

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი
G. TSERETELI INSTITUTE OF ORIENTAL STUDIES

ახლო აღმოსავლეთი და საქართველო

X

THE NEAR EAST AND GEORGIA



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ILIA STATE UNIVERSITY
2017

ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, X
THE NEAR EAST AND GEORGIA, X

სარედაქციო კოლეგია:

აკად. თამაზ გამყრელიძე (სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე),
თამაზ აბაშიძე, გრიგოლ ბერაძე, ირინე ნაჭყებია, ნიკოლოზ
ნახუცრიშვილი, გიორგი სანიკიძე, დარეჯან სვანი, ჰიროტაკე მაედა
(ტოკიოს მეტროპოლიტენის უნივერსიტეტი), ჯორჯიო როტა (ვენის
უნივერსიტეტი)

Editorial Board:

Acad. Thomas V. Gamkrelidze (Head of the Editorial board), Tamaz
Abashidze, Grigol Beradze, Irene Natchkebia, Nikoloz Nakhutsrishvili,
George Sanikidze, Darejan Svani, Hirotake Maeda (Tokyo Metropolitan
University), Giorgio Rota (University of Vienna)

რედაქტორი: **გიორგი სანიკიძე**

Edited by **George Sanikidze**

საქართველო, თბილისი 0162, აკად. გ. წერეთლის ქ. 3

3. Acad. G. Tsereteli Str., 0162 Tbilisi, Georgia

ტელ./ფაქსი. Phone/Fax: (+995 32) 233 114

E-mail: giorgi.sanikidze@iliauni.edu.ge

<http://www.iliauni.edu.ge>

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის კრებული „ახლო აღმოსავ-
ლეთი და საქართველო“ გამოიცემა 1991 წლიდან. 2017 წლიდან კრებული გარდა-
იქმნა ყოველწლიურ ჟურნალად

© ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

G. Tsereteli Institute of Oriental Studies of the Ilia State University

ISSN: 2587-4780

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

შინაარსი

ენათმეცნიერება – Linguistics

ლელა ავალიანი ცხოველებთან დაკავშირებული გამოთქმები არაბულში (3).....	7
ლია ბაკურაძე, მარინე ბერიძე, ნიკოლოზ ნახუცრიშვილი ქართველები ირანში – კულტურული დ ენობრივი რეინტეგრაციის ასპექტები	14
რამაზ გორგაძე, ვიქტორ ჩიკაიძე თურქული წარმოშობის საერთო სიტყვები ქართულსა და სომხურ ენებში	27
ნუნუ გურგენიძე ადმოსავლური წარმოშობის ანთროპონიმების შესახებ „1723 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში“	36
ნუნუ გურგენიძე, ლუიზა რუხაძე ადმოსავლური წარმოშობის ლექსიკის შესახებ ქართული ენის ქართლისა და კახეთის დიალექტებში	41
Tamar Demetrashvili FROM THE HISTORY OF THE GEORGIAN-IRANIAN LINGUISTIC INTERACTIONS: PARSADAN GORGIJANIDZE AND HIS LEXICOGRAPHIC LEGACY	55
ვლადიმერ ლეკიაშვილი დისტრიბუციული სიტყვები სემიოტიკური სისტემებსა და ბუნებრივ ენაში	61
ნათელა უვანია ეთიოპური წარმოშობის სიტყვის პარადიგმა და სინტაგმატიკა	65
ალექსი ჟორდანია ენის გარემოს ტოპოლოგია ეგვიპტეში, ავსტრიაში, საქართველოში	69
Darejan Svani THE TREATISE OF ARSENIUS (FARIS) FAKHURI AND ITS PLACE IN SYRIAC GRAMMATICAL LITERATURE.....	73

ლიტერატურათმცოდნეობა
Literary Criticism

მზია ბურჯანაძე
სათაურის ფენომენი სადღეე ჰედაიათის მხატვრულ პროზაში 77

ვახტანგ თევდორაძე
ადი იბნ ზაიდი – ჭრისტიანი არაბი პოეტი ალ-ჰირაღან 89

თამთა ფარულავა
ადმოსავლური რენესანსის პრობლემა და
გორგანის „ვის ო რამინი“ 98

მურმან ქუთელია, მანანა გვიშიანი
ეგვიპტური რეალისტური რომანი 106

ელენე ჯაველიძე
ინტერტექსტუალობის საკითხი
ორჰან ფაშუს რომანში „თოვლი“ 117

თეოლოგია – Theology

დავით თინიკაშვილი
რამდენად უსხო იყო ბიზანტიისთვის
წმინდა ომის დასავლური იდეა? 129

ისტორია და წყაროთმცოდნეობა
History and Primary Sources Studies

თამაზ აბაშიძე
ათი ქართულ-სპარსული საბუთი 162

თამაზ აბაშიძე
სამღვდელთების სახელზე გაცემული
ქართულ-სპარსული საბუთები 181

მარინა ალექსიძე
მეჭაში საქართველოს გავლით
(საქართველო XIX საუკუნის სპარსულ პილიგრიმულ ლიტერატურაში) 189

მარინა ალექსიძე, გრიგოლ ბერაძე
მასალაი საქართველოს ეროვნული მუზეუმის ისტორიისათვის
(კავკასიის მუზეუმი XIX საუკუნის სპარსულ წყაროებში) 198

კანახერ დემეტრაშვილი ირანულ ცრუ უფლისწულთა ურთიერთობა საქართველოსთან პაპუნა ორბელიანის ცნობათა მიხედვით	212
ირაკლი თოფურაძე დაუდ ფაშას ურთიერთობა ერაყის შიიტურ მოსახლეობასთან	222
Tamar Lekveishvili PECULIARITIES OF NADER SHAHS CAUCASIAN POLICY ACCORDING TO GEORGIAN PRIMARY SOURCES	227
ჯაბა მესხიშვილი რუსეთ-იპაონიის ომი და ქართველი მემორები (1904-1905)	232
ლელა მიქიაშვილი ფულადი სისტემა საქართველოში XIX ს. 20-30-იან წლებში (შაკ-ფრანსუა გამბას „მოგზაურობის“ მიხედვით)	241
ირინე ნაჭყებია ფრანგი ავტორების ცნობები ქართველი ქალის შესახებ (XVIII-XIX სს)	248
ირინე ნაჭყებია, გიორგი სანიკიძე ფრანგი მოგზაურების ცნობები თბილისის შესახებ (XIX საუკუნის პირველი ნახევარი)	274
Александр Филиппов ИНСТИТУТ «МАЛИКА - MALIK» В ЕГИПТЕ В РАННЕБАХРИТСКИЙ ПЕРИОД (1250-1279 гг.)	313
ეპიგრაფიკა და ნუმიზმატიკა Epigraphy and Numismatics	
David Alexanyan, Irakli Paghava THE HEIRS OF KVIRIKE III THE GREAT, KING OF KAKHETI-HERETI: NUMISMATIC LEGACY	326
გიორგი ნარიშვილი ქართულ-არაბული ურთიერთობების ისტორიიდან: ვიზრის II საუკუნის (VIII – IX სს.) წარწერა თბილისიდან	338
ეთერ ღვინიაშვილი თბილისის ძველი მუსლიმური სასაფლაოს ოთხი არაბულენოვანი ეპიტაფია	345

პოლიტიკა – Politics

მირანდა ბაშელეიშვილი
აზერბაიჯანი ირანის რეგიონულ პოლიტიკაში 350

თამთა ბოკუჩავა
საკონსტიტუციო ცვლილებები თურქეთში და
ახალი სახელმწიფო სისტემა 360

ბექა მაკარაძე, ემზარ მაკარაძე
თურქეთ – აზშ-ის ურთიერთობები 2002 – 2017 წლებში 372

დემოგრაფია – Demography

Керим Амоев
ЕЗИДЫ И КУРДЫ В ПЕРВОЙ НАЦИОНАЛЬНОЙ ВСЕОБЩЕЙ ПЕРЕПИСИ
НАСЕЛЕНИЯ ГРУЗИИ ПОСТСОВЕТСКОГО ПЕРИОДА (2002 год) 382

SUMMARIES 391

ლელა ავალიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ცხოველებთან დაკავშირებული გამოთქმები არაბულში (3)

არაბულ ენას ისლამამდელ პერიოდშიც ჰქონდა განმასხვავებელი ნიშნები, რომლებიც შემდეგაც შეინარჩუნა. ეს განმასხვავებელი ნიშნები ანდაზებსა და ფრაზეოლოგიზმებშიც დასტურდება. სწორედ ამიტომ, ზოგიერთი მათგანი თარგმნისას კარგავს თავის პირვანდელ მნიშვნელობას.

არაბულ ანდაზებსა თუ ფრაზეოლოგიურ გამოთქმებში მრავლად გვხვდება ცხოველთა სახეები. ცხოველის ამა თუ იმ თვისებაზე აქცენტირებით დაგმობილია ან შექებულია ადამიანის ესა თუ ის თვისება. მაგალითად: შრომისმოყვარეობა, სიმამაცე, თადარიგიანობა, კეთილსინდისიერება, მზაკვრობა, სიმხდალე, პირფერობა, დაუდევრობა, გულგრილობა, უმადურობა, სიბრიყვე...

სტატიაში გავაანალიზებთ ცხოველებთან დაკავშირებულ ხატოვან სიტყვათქმებს, რომლებიც საკმაო სისრულითაა ასახული არაბულ ენაში. საანალიზო მასალა ალებულია სხვადასხვა ლექსიკონიდან. შედარებისას გამოვყავით შემდეგი მახასიათებლები:

მტრობა:

بالت بينهم الثعلب **მათ შორის მეღიებმა მოშარდეს.**¹ იგულისხმება მტრობა. არაბულში ამ ცხოველთან დაკავშირებით მხოლოდ უარყოფითი ასოციაციები ჩნდება, მაგ.:

أروغ من ذئب الثعلب, **„მელის კუღზე მეტად გაქნილი“**: بينه ذئب الضب و ჩემსა და მას შორის მტრობა და აზრთა სხვადასხვაობა (სიტყვასიტყვით: მორიელის კუღია; იქვე: 320). შდრ. ქართ. გამოთქმა **მათ შორის შავმა კატამ გაირბინა**. ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ სხვადასხვა ერის წარმოდგენები შეიძლება ძლიერ განსხვავებოდეს ერთმანეთისაგან. თუ ქართველისთვის შავი კატა წარუმატებლობისა და უბედურების მომტანად ითვლება, არაბისთვის ის, პირიქით, წარმატებისა და სიკეთის სიმბოლოა. არაბულ სამყაროში ხშირად გაიგონებთ გამოთქმას: **أبر من هرة** **კატაზე მეტად საყვარელი**.

სიმხდალე, ლაჩრობა:

أجبن من الرباط **მაიმუნზე მეტად მშიშარა**² **სიმამაცე:**

1 Sami Mousa Mahmoud, *A Dictionary of Idiomatic Expressions in Written Arabic*, (Cairo, 2014), 113.
2 *Арабские пословицы и поговорки*. Составитель Абуль-Фадль аль-Майдани (умер в 518 году по мусульманскому летоисчислению). Перевод с арабского Ильнур Сарбулатов, 986. www.nuruliman.ru

عب خليك (სირ.) ლომივით მამაცი იყავი!³

დაცულობა, ხელშეუხებლობა:

أسد أحمر من أنف الأسد ლომის ცხვირზე მეტად დაცული.

النمر أحمر من أسن النمر ვეფხვის უკანალზე (საჯდომზე, გავაზე) მეტად დაცული.⁴
ეს ცხოველები ყველაზე ძნელად მოსანადირებელია.

სიზარმაცე:

عرج الجمل من شفتو (სირ.) აქლემმა კბილი მტკივაო და კოჭლობა დაიწყო.⁵ მიემართება ადამიანს, რომელიც ცდილობს რაიმე მიზეზით თავი აარიდოს სამუშაოს.

კეთილშობილება:

أسد أكرم من أسد ლომზე კეთილშობილი.⁶

სიძულვილი:

كلبة لقيت أسد ძალის პატრონს შეხვდა.⁷ ამბობენ იმ ადამიანის მიმართ, რომელიც სძულთ.

მოჩვენებითობა:

مساح ذرف نيرانه ცრემლები დაღვარა.

ერთმანეთის გატანა:

الكلاب ما بتعض بعضا (სირ.) ძაღლები ერთმანეთს არ კბენენ.⁸ შდრ. ქართ. ძაღლი ძაღლის ძვალს არ სტენსო (ვაჟა-ფშაველა).

მზაკვრობა, მუხანათობა:

إنسان حى გადაატ. გველი, ასპიტი ადამიანი იტყვიან ქალზე;⁹

أعدى من الحية უფრო მოსისხლე (მოშულარი), ვიდრე გველი.¹⁰ შდრ. ქართ. გამოთქმა გველი ავი და მოლაღატე, დაუნდობელი ადამიანი, მზაკვარი, მუხანათი; გველაძეა გაიძვერა, ეშმაკი ადამიანი; გველის წიწილა ავი, მოლაღატე, დაუნდობელი ადამიანი.¹¹

3 М. Эль-Массарани, В.С. Сегаль, *Арабско-русский словарь Сирийского диалекта*, (М.1978), 191.

4 *Арабские пословицы и поговорки*, 1216.

5 Массарани, Сегаль, *Op. cit.*, 334.

6 *Арабские пословицы и поговорки*. 25.

7 Mousa, *Op. cit.*, 485.

8 Массарани, Сегаль, *Op. cit.*, 339

9 Борисов В., *Русско-арабский словарь*, (М. издательство русский язык, 2004), 305

10 *Арабские пословицы и поговорки*, 2195.

11 თ. სახოკია, *ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი*, (თბ., 1979), 90-91.

العرب أعدى من العفر **უფრო მოსისხლე (მოშულარი), ვიდრე მორიელი.**¹² ორივე ერის წარმოდგენაში ეს ცხოველი მკვეთრად უარყოფითი კონოტაციის მატარებელია.

სიფრთხილე:

أحزم من حرباء **ქამელეონზე მეტად ფრთხილი.**¹³ ცნობილია, რომ როდესაც ქამელეონს საფრთხე ემუქრება, ფერს იცვლის და ასე ცდილობს, მტერს დაემალოს. ბედუინი არაბები, ერთი მხრივ, გამოირჩეოდნენ სიმამაცით, ამტანობით, თავისუფლების სიყვარულით, მეორე მხრივ, სიფრთხილით, მათთვის მახასიათებელი საღი აზროვნებით. ეს თვისებები მათ გამოყვეს როგორც ადამიანებში, ისე ცხოველთა სამყაროს იმ წარმომადგენლებში, რომელთა გვერდითაც მათ უწევდათ ცხოვრება.

აქვე საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ცხოველებთან დაკავშირებულ ზოგიერთ გამოთქმასა და ანდაზას:

لم يكن ذئبا أكلته الذئاب **ის ვინც არ იქნება მგელი, მგლები შეჭამენ.**¹⁴

من جعل نفسه عظما أكلته الكلاب **ვინც საკუთარ თავს ძვლად წარმოადგენს, მას ძაღლები შეჭამენ.**¹⁵ ანალოგიური მნიშვნელობით არაბულში გაიგონებთ: عن أنيابه يؤكل إن من لا يكثر

ვინც თავს არ იცავს, დაიღუპება. სიტყვასიტყვით: ის, ვინც ეშვებს არ გაიმრავლებს, შეიჭმება.¹⁶ შდრ. „კუ და მორიელის“ მორალი (ს.ს.ორბელიანი). აღნიშნულ ანდაზებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუ რიგი ანდაზებისა მოგვიწოდებს თავმდაბლობისა და მგლურ კანონებზე უარის თქმისკენ, ზემო-მოყვანილით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ზოგი ადამიანი დაუნდობელი, მგლური ბუნებისაა. ასეთ შემთხვევაში სიფრთხილე გვმართებს, რომ არ დავიღუპოთ. უფრო მეტიც, მათ უნდა ვებრძოლოთ.

من استرعى الذئب ظم **უსამართლოა ის, ვინც მგლებზე ზრუნავს.**¹⁷ მსგავსი მნიშვნელობით არაბულში სხვა ანდაზაც დასტურდება يظلم الظلم **ინა ვინც არ ებრძვის (სიტყვასიტყვით: ხელს არ ჰკრავს) ბოროტებას, თვითონვე ჩადის ბოროტებას.**¹⁸ თუ ადამიანი არ იბრძვის ბოროტების წინააღმდეგ, ითვლება, რომ ის ხელს უწყობს მის გავრცელებას. სირაქლემას პოზიცია ხშირად უფრო ცუდი შედეგის მომტანია, ვიდრე თავად ბოროტება. უმოქმედობა და მასთან შეგუება აძლიერებს მას. აქედან მომდინარეობს ეს მოსაზრებაც: ვინც განზე დგას ბოროტებასთან ბრძოლაში ან ხელს აფარებს ბოროტმოქმედს, თავად არის ბოროტმოქმედი. შდრ. ქართ. **ვინც გველს რძეს ასმევს, შხამსაც უორკეცებს მასვე** (კ. გამსახურდია).

12 *Арабские пословицы и поговорки*, 2611.

13 *Ibid.*, 1183

14 *Ibid.*, 4027

15 *Ibid.*, 28.

16 E.В. Кухарева, *Словарь арабских пословиц и поговорок*, (М., 2008), 58.

17 Mousa, *Op. cit.*, 502.

18 Кухарева, *Op. cit.*, 35.

ჩემს აქლემს ვიპოვი, ერთ ღირჰემად გავყიდიო. იპოვა კაცმა აქლემი, მაგრამ დაენანა მისი ერთ ღირჰემად გაყიდვა და ხერხი იხმარა. აქლემს კატა გამოაბა, ცალ-ცალკე არ იყიდებაო. აქლემი ღირჰემი დააფასა, კატა კი – ათასი. ეს გამოთქმა გამოიყენება, როდესაც ზნეობრივად სრულყოფილი და უღირსი ადამიანი ერთმანეთს რაიმე მიზეზით უკავშირდებიან.

الشيخ شيخ كلب **შეიხის ძალღიჯი შეიხია.**²³ ადამიანები ხშირად მასაც აფასებენ, ვინც ცნობილ ადამიანთან მსახურობს. თუ ადამიანი დაფასებულია საზოგადოებაში, პატივს სცემენ მის მსახურსაც. ცნობილი ადამიანის გარემოცვას ხშირად თვით ამ ადამიანის რეპუტაციით განსაზღვრავდნენ.

إلا دوده لا يصبر على الخل **ძმარს ვერავინ გაუძლებს, მასში მცხოვრები ჭიის გარდა;**²⁴ ადამიანს უყვარს ის გარემო, სადაც დაიბადა და გაიზარდა. შესაბამისად, სიყვარულს რაიმეს ან ვინმეს მიმართ ლამაზი და კომფორტული გარემო არ სჭირდება.

أنا أمير و أنت أمير من يسوق الحمير **თუ მე ემირი ვარ, შენც ემირი ხარ, მაშ, ვინ წაიყვანოს ვირები?** ბევრ ადამიანს ახასიათებს კარიერისტული სწრაფვა და თავი მხოლოდ ხელმძღვანელის თანამდებობაზე წარმოუდგენია. ამ ანდაზით ნაჩვენებია, რომ ჯანსაღ საზოგადოებას ხელმძღვანელის პოზიციასთან ერთად საქმის შემსრულებელიც (მუშა) სჭირდება.

أجسام البغال و أحلام العصافير **ტანნი ჯორების აქვთ და მოწიფულობა ბელურების.**²⁵ მიემართება ტანად ღიად, წარმოსადეგ, მაგრამ უჭკუო ადამიანს. აღნიშნული გამოთქმა უარყოფითი კონოტაციისაა და ადრესატის სიბრწყვეს უსვამს ხაზს.

ما استيقك من عرضك **შენი სიკვდილი მას უნდა, ვინც ლომთან გგზავნის.** მიემართება მას, ვინც გაიძულებს ისეთი რამ გააკეთო, რასაც ცული შედეგი მოჰყვება.

بجنب البازل **მაიმუნი ფხანს მოწიფულ (ხცრა წლის) აქლემს.**²⁶ მიემართება ადამიანს, რომელიც ცდილობს დაუახლოვდეს მასზე ძლიერსა და ცნობილს. ამ ანდაზით გაკიცხულია მაამებლობა, გუნდრუკის კმევა, ანგარება.

إذا نكرت الذئب فالتفت **მგელს რომ ახსენებ, ყურადღებით უნდა იყო** (ირგვლივ უნდა მიმოიხედო). ამბობენ, როდესაც სურთ გამოხატონ სიყვარული ან სიძულვილი იმ ადამიანის მიმართ, ვისაც ახსენებენ.²⁷

حمار **ვირს წიგნები უჭირავს.**²⁸ ამ გამოთქმით ახასიათებენ ადამიანს, რომელმაც არაფრის ფასი არ იცის.

أتعلمني بضب أنا حرشته **მე უკეთ ვიცი ეს საქმე** (ან უკეთ ვიცნობ ამ პიროვნებას). სიტყვასიტყვით: შენ მასწავლი ხვლიკს, მე ის მონადირეული მყავს.

23 Кухарева, *Op. cit.*, 91.

24 *Арабские пословицы и поговорки*, 3409.

25 Mousa, *Op. cit.*, 86.

26 *Арабские пословицы и поговорки*, 2933.

27 Mousa, *Op. cit.*, 25.

28 *Ibid.*, 272.

29 *Ibid.*, 320.

لا يضر السحاب نباح الكلاب³⁰ ძალღების ყეფა ღრუბლებს ვერ აზიანებს (ვნებს). გამოიყენება უღირსი ადამიანის მიმართ, რომელიც ათასგვარი ფანდით, მზაკვრობით, ცილისწამებით ცდილობს ღირსეულის გასვრას, მაგრამ ამოდ. ამ კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ სირიული ანდაზაც الفرس الاصيلة ما بعيبها جلالها სუფთა სისხლის ცხენისთვის ცუდი უნაგირი ნაკლი არ არის.³¹

امبوتهن ادا ميانه, რომელიც აგვიანებს და თან არასასურველი რაიმეთი მოდის.

ان اذا اصطلح الفأرة و السنور حرب الدكان توه كاتا دا تاغვი (მტრულად განწყობილი ადამიანები) ერთმანეთს გაუგებენ, (დაუმეგობრდებიან, ანუ ბუნებრივი ბალანსი დაირღვევა) საერთო ენას გამონახავენ, დუქანი დაცარიელდება.³²

ان اذا اخذت بذنبه الضب اغضبته იყავი კეთილგანწყობილი ხალხის მიმართ, ნუ გამოიწვევ, გააბრაზებ ადამიანს.³⁴

ان حتى لو حملته خزينة السلطان ويري داره ვირი დარჩება ვირად, თუნდაც სულთნის განძს (საზინას) ატარებდეს.

ان الذي يخاف من الفرد يبطل له (პალესტ.) ვისაც მაიმუნის ეშინია, შეხვდება (ე. კუხარევა, 2008: 61). თუ ადამიანს ეშინია რაიმე უცხოთ, მუდამ მასზე ფიქრობს, ის აუცილებლად შეეჯახება ცხოვრებაში ამ უსიამოვნებას. ამ ანდაზის მიზანია, დაეხმაროს ადამიანს ნეგატიური ფიქრების დაძლევაში. ასე ხომ ადამიანი, უბრალოდ, ირთულეს ცხოვრებას. შდრ. აგრეთვე, იორდ. ان الذي يخاف من العفريت يبطل له ვისაც ეშინია დემონის (ბოროტი სულის), შეხვდება მას.

ان الذي يعمل جمال بوسع باب داره (იორდ.) ვისაც უნდა, რომ აქლემების გამრეკი ერქვას, სახლის კარი ფართოდ უნდა გააღოს.³⁵ გულუხვობა, დიდსულოვნება, სტუმარმასპინძლობა, იმდენად მნიშვნელობანია არაბული მენტალიტეტისთვის, რომ ადამიანი ვალდებულიც კია ასეთი იყოს, თუ უნდა ავტორიტეტით სარგებლობდეს საზოგადოებაში.

ان حتى يلج الجمال في سم الخياط გამოთქმა ბიბლიურია და ყურანშიც დასტურდება. ანალოგიური დატვირთვით გამოიყენება

ان حتى يرجع غراب نوح ويدر نوح مტრედი დაბრუნდება. ე.ი. შეუძლებელია.³⁷ შდრ. ქართ. როცა ვირი ხეზე გავა.³⁸

როგორც განხილული მასალიდან ჩანს, არაბულ ანდაზებსა და ფრაზეოლოგიურ გამოთქმებში ცხოველები შთამბეჭდავადაა წარმოდგენილი. გამოთქმების

30 Ibid., 322.

31 Массарани, Сегаль, *Op. cit.*, 327.

32 Mousa, *Op. cit.*, 397.

33 Ibid., 25.

34 *Арабские пословицы и поговорки*, 94

35 Кухарева, *Op. cit.*, 197

36 Mousa, *Op. cit.*, 279.

37 Ibid., 226.

38 სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, 525.

ნაწილი ქართულში არსებული გამოთქმების იდენტურია როგორც ფორმით, ისე შინაარსით, (მაგ. გველი, ასპიტი ადამიანი, ნამდვილად მელას კუდია, ნიანგის ცრემლები და სხვ.); ამასთან, არაბულ ენაში არის დიდი ჯგუფი ანდაზებისა და გამოთქმებისა, რომელთაც ქართულში ანალოგი არ ეძებნება, თუმცა აზრი შეიძლება გადმოიცეს აღწერილობით. არაბული ფრაზეოლოგიზმებისა თუ ანდაზებისა ერთ ნაწილს ქართულში აზრობრივი ანალოგიც არ გააჩნია (მაგ., ორი თვე გავიდა და მოვიდა ორი ძაღლით, რა იაფია აქლემი, კატა რომ არა, მიაბი ვირი ადგილზე, როგორც მისმა პატრონმა თქვა და სხვ.).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სახოკია, თ. *ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი*. თბ., 1979.
2. *Арабские пословицы и поговорки*. Составитель Абуль-Фадль аль-Майдани (умер в 518 году по мусульманскому летоисчислению). Перевод с арабского Ильнур Сарбулатов. www.nuruliman.ru
3. Баранов, Х. *Арабско-русский словарь*. М., 1989.
4. Борисов, В. *Русско-арабский словарь*, М.: Издательство русский язык, 2004.
5. Эль-Массарани, М., Сегаль, В.С. *Арабско-русский словарь Сирийского диалекта*. М., 1978.
6. Кухарева, Е. В. *Словарь арабских пословиц и поговорок*. М., 2008.
7. Фавзи, А., Шкляр В.Т. *Учебный русско-арабский фразеологический словарь*. М., 1989.
8. Шайхуллин, Т. А. Отражение арабского мировоззрения в пословицах и поговорках. *Вестник Вятского государственного гуманитарного университета*. 2011
9. Шарбатов, Г. *Русско-арабский учебный словарь*. М., 1964.
10. Mousa, Sami Mahmoud. *A Dictionary of Idiomatic Expressions in Written Arabic*. Cairo, 2014.

ლია ბაკურაძე, მარინე ბერიძე

ა. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ნიკოლოზ ნახუცრიშვილი

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ქართველები ირანში – კულტურული დ ენობრივი რეინტეგრაციის ასპექტები¹ *

ქართული ენობრივი სივრცე, რომელიც სამ ქართველურ ენასა და მათ სამ ათეულამდე დიალექტს მოიცავს, საქართველოს გარდა სამი სახელმწიფოს ტერიტორიაზე განფენილი: ირანში (ფერეიდანი, ისპაჰანის პროვინცია), თურქეთში (ისტორიული სამხრეთი საქართველო, აგრეთვე ქართველ მიგრანტთა – მუჰაჯირთა კომპაქტურად განსახლების ადგილები თურქეთის შიდა რაიონებში) და აზერბაიჯანში (ქრისტიან და მაჰმადიან ეთნიკურ ქართველთა – ე.წ. ინგილოებით დასახლებული სამი რაიონი – კახის, ბელაქნისა და ზაქათალისა).

ხალხთა მიგრაციების ან ტერიტორიული საზღვრების პოლიტიკური გადაწყვეტილების შედეგად შექმნილ მსგავს ენობრივ არეალებს ლინგვისტურ ლიტერატურაში „ენობრივ (დიალექტურ) კუნძულებს“ უწოდებენ.

„კუნძულურ დიალექტოლოგიას“ როგორც ლინგვისტიკის ერთ ქვედარგს, გერმანული ენის მთელ მსოფლიოში გაბნეული „კუნძულების“ შესწავლით დაედო საფუძველი, თუმცა მსოფლიოს მრავალი ენა აღმოჩნდა გასულ საუკუნეებში „კუნძულურ იზოლაციაში“ და ლინგვისტიკის ამ მიმართულების გამოცდილება მრავალი მათგანის კვლევისთვის გახდა აქტუალური.

ირანის ისლამური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამჟამად არსებობს ქართული ენობრივი კუნძული ფერეიდნული დიალექტის სახით. ის ჩამოყალიბდა მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან დიდი იძულებითი მასობრივი გადასახლების შედეგად და, სავარაუდოდ, შემდგომ პერიოდებშიც „ივსებოდა“ სხვადასხვა მიგრაციული ნაკადით.

ცნობილია, რომ ასეთი კუნძულები არსებობდა ირანის ტერიტორიაზე სხვა რეგიონებშიც (მაზანდარანის, გილანის, ფარსის და სხვა პროვინციები), მაგრამ ენობრივი და კულტურული ასიმილაციის შედეგად ეს კუნძულები მოიშალა.

„დიალექტური კუნძულების“ არსებობას და ბედს მრავალი ფაქტორი განაპირობებს. აღნიშნავენ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება „კუნძულებისთვის“ არის ის, რომ მათში განსაკუთრებითაა გაძლიერებული ასიმილაციისაგან თავდაცვის ინსტინქტი. „კუნძულის“ ცნება სწორედ ამას გულისხმობს – გარემომცველი უმრავლესობის ენის გავლენისგან მშობლიური ენის დაცვას. „კუნძულის“ ტრა-

1 სტატია ეყრდნობა ჩვენ მიერ 2008-2017 წლებში მოპოვებულ და სამეცნიერო ლიტერატურაში მანამდე გამოქვეყნებულ მასალებს (არნ. ჩიქობავა, მ. თოდუა, დ. ჩხუბიანიშვილი, ჯ. გიუნაშვილი, თ. უთურგაიძე და სხვ.).

* კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერით [გრანტის ნომერი 217438].

დიციულ განმარტებაში სწორედ ამ ნიშანს წამოსწევენ წინა პლანზე.² მიჩნეულია, რომ ენობრივი კუნძული შენელებული კულტურულ-ენობრივი ასიმილაციის პროცესის შედეგადაა წარმოქმნილი და კუნძულური კულტურების კვლევის მთავარი ამოცანაა იმ ანტიასიმილაციური ინოვაციების შესწავლა, რომლებიც განსაზღვრავენ უმცირესობის მენტალიტეტის საფუძველს.

აღნიშნულია, რომ ამ ტიპის კუნძულებში ორი ფაქტორი აქტიურდება: 1. სალიტერატურო ენა (იგულისხმება, რომ გადასახლებულებს ნორმირებული ენის გარკვეული კომპეტენცია მიჰყვებათ თან); 2. სხვადასხვა დიალექტის თანაარსებობისას იწყება დიალექტთა „გაწონასწორების“ ერთგვარი პროცესი, მიმართული საერთო დიალექტის – კოინეს ჩამოყალიბებისაკენ.³

ირანის ქართული კუნძულების შესწავლა საინტერესო მაგალითია მსგავსი მოვლენების ზოგადი ტიპოლოგიის კვლევისათვის.

„კუნძულური“ თეორიის მიხედვით დროთა განმავლობაში ასიმილაციისადმი კუნძულელთა წინააღმდეგობა სხვადასხვა ფაქტორის გამო სუსტდება და კუნძული ნელ-ნელა მიემართება დაშლისკენ. ეს გარდაუვალი პროცესი სხვადასხვა პირობებში სხვადასხვა ტემპით ვითარდება, თუმცა საბოლოო შედეგი ერთია – კულტურული მახასიათებლების სრული ასიმილაცია და იდენტობის წაშლა.

როგორც აღვნიშნეთ, ირანის ტერიტორიაზე გვაქვს საკმაოდ კარგად შენახული ენობრივი და კულტურული ტრადიციის მატარებელი ტიპური „ენობრივი კუნძულიც“ ფერეიდნულის სახით და აგრეთვე, სხვადასხვა რეგიონალური ერთობები, რომლებსაც ეთნიკური იდენტობის ნიშნებიდან შემოუნახავთ მხოლოდ ეთნიკური წარმომავლობის / მიკუთვნებულობის ნიშანი.

კუნძულური ერთობის შენარჩუნებისა და აღდგენის მთავარი ფაქტორი არის ისტორიულ სამშობლოსთან სხვადასხვა კავშირების არსებობა და მათი ინტენსივობა.

როგორც ცნობილია, მე-19 საუკუნის ბოლოდან ფერეიდნელ ქართველებთან აქტიური ურთიერთობა იბმება საქართველოს მხრიდან. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ეს ურთიერთობები კიდევ უფრო მჭიდრო და ინტენსიური ხდება. ამ მოვლენებმა და აგრეთვე სსრკ-ს დაშლის შემდეგ საქართველოსა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის პირდაპირი პოლიტიკური კავშირების დამყარებამ სერიოზული გავლენა მოახდინა არამარტო ფერეიდნული დიალექტური კუნძულის მოსახლეობაზე, არამედ, უკვე ენობრივად თითქმის საბოლოოდ ასიმილირებულ ქართველებზეც ირანის სხვა პროვინციებში, განსაკუთრებით კი ირანის კასპიისპირეთში, მაზანდარანში.

შეიძლება ითქვას, ირანში ქართული „კუნძულის“ არსებობის კრიტიკულ პერიოდს – ასიმილაციის საბოლოო საფეხურის მოახლოებას დროში დაემთხვა ზემოხსენებული პოლიტიკური პოლიტიკური პროცესები, რასაც მოჰყვა ამ რეგიონებში ეთნიკური მობილიზაციისა და იდენტობის ენობრივი ფაქტორის გააქტი-

2 K.J. Mattheier, Nina Berend, Klaus J. Mattheier (Hrsg.), *Theorie der Sprachinsel: Voraussetzungen und Strukturierungen Sprachinselforschung*. Eine Gedenkschrift für Hugo Jedig. (Frankfurt am Main: Lang, 1994), 333-348.

3 В. М. Жирмунский, „Проблемы переселенческой диалектологии“, *Общее и германское языкознание*, (Ленинград: Наука, 1976), 492.

ურების დასაწყისი. მართალია, კუნძულური იზოლაცია მოიშალა, მაგრამ ეთნიკური ქართველობა მაინც განაგრძობს ძლიერი „დიალექტური“ დიასპორის სახით არსებობას და საკუთარი იდენტობის გაცნობიერებულ „წრთობას“:

ახალმა პოლიტიკურმა რეალობამ ბიძგი მისცა „ეთნიკურ მობილიზაციას“ და ისტორიულ სამშობლოსთან კულტურული და ენობრივი რეინტეგრაციის საინტერესო პროცესებს, რამაც ერთგვარად დაამუხრუჭა ფერეიდნული კუნძულის დაშლა, ხოლო უკვე მოშლილ კუნძულებში (მაგ., მაზანდარანში) გააცოცხლა იდენტობის ძიების სურვილი.

რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული ჩვენი სამეცნიერო პროექტების ირანული ექსპედიციები ამ კონტაქტების ცხელ კვალზე მიმდინარეობდა და ჩვენ აღმოვჩნდით არა მხოლოდ დოკუმენტალისტები, ვინც ძველი, წარმავალი ენობრივი ერთობის ფრაგმენტებს ვაფიქსირებდით და ვინახავდით გადასარჩენად და წმინდა მეცნიერული კვლევისთვის გამოსაყენებლად, არამედ ის ადამიანებიც, ვინც შეესწრო და აკვირდება ამ ენობრივ ერთობათა კულტურული და ენობრივი რეინტეგრაციის პროცესს ბირთვულ კულტურულ არეალთან და ამავე დროს ერთგვარად მონაწილეობს კიდეც მასში. სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ ვრცლად არის გაანალიზებული ირანის ქართული დასახლებების ფენომენის ისტორიული და კულტურული ასპექტები.

ისტორიულ სამშობლოსთან 400-წლიანმა უკონტაქტობამ ამ ჯგუფებში მოშალა ეთნიკური იდენტობის მთავარი ფაქტორი – კულტურული მემსიერება, შესაბამისად დაარღვია ე.წ. „დიდი ტრადიცია“:

სრული კონფესიური და თითქმის სრული კულტურული ასიმილაციის პირობებში ჩვენთვის საინტერესო ორი ჯგუფებიდან ქართული ენის შენარჩუნება ფერეიდნულმა შეძლო, მაზანდარანში მცხოვრებ ქართველებში კი, წყაროების მიხედვით, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან ფიქსირდება ენის დაკარგვის პროცესი და მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში აქ უკვე აღარ საუბრობენ ქართულად.⁴ თუმცა, როგორც ვთქვით, პოლიტიკური დათბობის თითოეული „გრადუსი“ და მშობლიურ (ისტორიულ) კულტურულ სივრცესთან კონტაქტის ყოველი შესაძლებლობა ამ ჯგუფებში კულტურული რეინტეგრაციისა და „ეთნიკური მობილიზაციის“ ნიშნულს ზრდიდა. თითქოს „თავისთავად“ ჩნდებოდნენ ეთნიკური მობილიზაციის ლოკომოტივებიც.

იმის გამო, რომ არ იყო თაობათა შორის ცოდნის გადაცემის მყარი საყრდენი თუნდაც დაწყებითი სკოლის სახით, გასული საუკუნის 60-იანი წლებისთვის ირანის ქართველებმა ისიც კი აღარ იცოდნენ, რომ ქართული დამწერლობა არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გვაქვს უტყუარი ცნობები, რომ 20-იანი წლებისთვის რამდენიმე ფერეიდნელმა შესანიშნავად იცოდა წერა-კითხვა და სკოლამაც კი იმუშავა ცოტა ხანს. ცნობილია, რომ სეიფოლა ხანს ფერეიდანში ჩატანილი წიგნებით უსწავლია წერა-კითხვა.⁵ იური მარის ცნობით, ამ დროისთვის ქართველ სასულიერო პირებს (მოლებს) სცოდნიათ როგორც სპარსული, ისე

4 ზურაბ შარაშენიძე, *ფერეიდნელი „გურჯები“*, (თბილისი: მეცნიერება, 1979), 55; ავთანდილ სონდულაშვილი, *ირანში ქართველთა ნაკვალევზე* (თბილისი, 2005), 83.

5 სოსო ასლანიშვილი, „ქართველები სპარსეთში“, *ბახტრიონი*, 18 (1922): 2.

ქართული წერა-კითხვა.⁶ მკვლევარი ეყრდნობა 1925 წელს ისპაჰანში გაცნობილი ფერეიდნელი ქართველის მონათხრობს.

მეოცე საუკუნის 60-იან წლებში რამდენიმე ფერეიდნელმა ახალგაზრდამ გადაწყვიტა ქართული ანბანი შეექმნათ. სწორედ იმ პერიოდში ჩავიდა პირველად თეირანში აწ განსვენებული ირანისტი ნოდარ კოჭლაშვილი საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე. მას, როგორც ირკვევა, ჰქონდა საგანგებო დავალება, დაემყარებინა კავშირი ფერეიდნელ ქართველებთან, ესწავლებინა მათთვის წერა-კითხვა. მან შეკრიბა თეირანში მცხოვრებ ახალგაზრდა ქართველთა (ფერეიდნელთა) ჯგუფი და ქართული ანბანი შეასწავლა. მეორედ ჩასვლისას კი 25 დედაენა წაიღო ფერეიდნელი ქართველებისათვის.⁷ საყურადღებოა ის ფაქტიც რომ მას ამ საქმეში ეხმარებოდა ვინმე ესტატე მუხიგულიშვილი, რომლის შესახებაც ფერეიდნელ ქართველებში არაერთი მოგონებაა შემორჩენილი. მათი თქმით, ესტატე ემიგრანტი ქართველი იყო, რომელიც ბოლშევიკებს გამოქცევია საქართველოდან.⁸ როგორც ახლახან აღმოჩენილი წერილებიდან ირკვევა, ესტატე მუხუგულაშვილი აქტიურად თანამშრომლობდა საბჭოთა საქართველოდან წარგზავნილ ოფიციალურ პირებთან.⁹

ფერეიდნელები დიდი მონდომებით სწავლობდნენ წერა-კითხვას და სხვებსაც ასწავლიდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა – ხელობით მეპარკეტემ – ჰეიდარ დარჩიაშვილმა ნარჩენი ფიცრებისგან გამოჭრა ანბანი და იმით სწავლობდა და ასწავლიდა სხვებსაც წერა-კითხვას, რაშიც ძმა და მეგობრებიც აქტიურად ეხმარებოდნენ.

კულტურული რეინტეგრაციის პროცესი ნელა, მაგრამ შეუქცევად მიიწევდა წინ. კოლექტიური მეხსიერების „გააქტიურება“ და საერთო ეროვნული კულტურული მეხსიერების კომპონენტად ქცევის დიდი მისწრაფება შეინიშნება ფერეიდანშიც და მაზანდარანის რეგიონშიც. მაზანდარანის ქართველებში ეთნიკურმა მეხსიერებამ გაიღვიძა ფერეიდნელ ქართველებთან კონტაქტის შემდეგ. მათ დაამყარეს კავშირი საქართველოსთანაც და გაჩნდა ქართული ენის შესწავლის სურვილი. მაზანდარანელ ქართველებში ენის არცოდნის გამო განსაკუთრებით შეინიშნება ეთნიკური იდენტობის სხვა მახასიათებლების ძიება; გაძლიერებულია კულტურული მეხსიერების აღდგენისა თუ შევსების მცდელობა.

საკუთარი ეთნიკური იდენტობის მარკირების, ერთგვარი აფიშირების სურვილი არის ამ ჯგუფების ერთ-ერთი მკაფიო მახასიათებელი. ამ ტენდენციის გამომხატვის სხვადასხვა ფორმას ვხვდებით ირანში მცხოვრებ ქართველებში:

თვითდასახელება. მე-19 საუკუნის ბოლოს ფერეიდნელებმა არ იცოდნენ მნიშვნელობა სიტყვებისა – „ქართველი“ და „საქართველო“ და არ იყენებდნენ მათ. ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ისინი საკუთარ თავს მოიხსენიებდნენ, როგორც „გორჯი“¹⁰ 1922 წელს საქართველოში ჩამოსული სეიფოლა იოსელიანი უკვე

6 Basil Nikitin, "Life and Work of Y. N. Marr", *Georgica* 4-5, (1937): 278-286.

7 ნოდარ კოჭლაშვილი, „ახლოა ფერეიდნამდე“, *კვირის პალიტრა*, 17 (2006): 31.

8 *ქართული დიალექტური კორპუსი* (მთქმელები: ქერიმ დარვიში, მუხტარ დარჩიაშვილი)

9 http://fereidani.ge/99_nodari/99_nodari.html

10 ლადო აღნიაშვილი, *სპარსეთი და იქაური ქართველები* (ტფილისი, 1896), 210.

იყენებს ტერმინებს „საქართველო“ და „ქართველი“. როცა მას დაუსვებს კითხვა: „თქვენ ქართველებს ეძახით თქვენ თავს?“ – უპასუხა, რომ იმ ადგილს, იმ 14 სოფელს, სადაც ქართველები ცხოვრობდნენ სპარსელები უწოდებდნენ გურჯის-ტანს, თავად ქართველები კი – საქართველოს.¹¹

დღეს სიტყვა „გორჯი“ თითქმის მთლიანად განდევნილია მათი მეტყველებიდან და ეთნიკური თვითდასახელების ტერმინად აქვთ მხოლოდ „ქართველი“. ტერმინს „გორჯი“ მხოლოდ არაქართული მოსახლეობა იყენებს (სპარსელები, ბახტიარები, თურქები...).

მაზანდარანელ ქართველებთან დამკვიდრებულია „გორჯი“, რომელიც ხშირად მათ ირანულ გვარებზეც არის მიერთებული: ჰეიდარი-გორჯი, ქარიმი-გორჯი და ა.შ.

გვარი, სახელი. ეთნიკური იდენტობის მარკირების / დეკლარირების ძლიერი სურვილი საქართველოსთან ინტენსიური ურთიერთობების შედეგად გვარების „გაქართულებაშიც“ გამოიხატა. ფერეიდანი მათ, ვისაც ზუსტად არ ახსოვს წინაპრების ქართული გვარი, ალაღბედზე ან ბგერითი მიმსგავსების საფუძველზე იღებს ქართულ გვარებს, მაგალითად, ყალანების ერთი ნაწილი ყაფლანიშვილს უწოდებს თავს, ნაწილი – ყავლაშვილს, ნაწილი – ყაველაშვილს, ზოგი კი კალაძესაც ირქმევს. რაჰიმი – რამიშვილი; თავაზოჰი – თავაზიშვილი, თავაძე და ა. შ.

ჩვენი ბევრი რესპოდენტი გამოთქვამდა უკმაყოფილებას, რომ ახალი გვარების რქმევის პროცესი არ არის კოორდინირებული და ორგანიზებული. ერთი გვარის წარმომადგენლები პარალელურად რამდენიმე სხვადასხვა ქართული გვარის მატარებლები ხდებიან, რაც ანაწევრებს მათ ისტორიულად ჩამოყალიბებულ ერთობას. ასეთი დანაწევრება, როგორც ჩანს, ადრეულ პერიოდში სპარსულ გვარებზე გადასვლის დროსაც მომხდარა. ხშირი ყოფილა შემთხვევა, როცა ერთი ოჯახის წევრებს სხვადასხვა გვარი ჰქონდათ – სპარსული და ქართული. იყო შემთხვევები, როცა სხვა ტომის წარმომადგენლები ქართულ გვარებს ირქმევდნენ იმ იმედით, რომ „თუ როდისმე გაგვიჭირდა, იქნებ საქართველომ გვიპატრონოსო.“¹²

გვარების დარქმევის ეს ტენდენცია შეინიშნული აქვთ ქართველ მოგზაურებს სხვადასხვა დროში.¹³ ამის გამოა, რომ 120 წლის მანძილზე სხვადასხვა მოგზაურის ან მკვლევართა მიერ შემოთავაზებულ ფერეიდნულ ქართულ გვართა სიები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. დღესაც ხშირია შემთხვევა, როცა საქართველოში მარტო ამიტომ ჩამოდიან ფერეიდნელები, რომ საკუთარი გვარის წარმომავლობა გამოიკვლიონ.

იგივე მისწრაფება შეინიშნება ქართული წარმომავლობის მაზანდარანელებშიც. მაგალითად, ისინი, ვინც ატარებენ გვარს „სიამიან-გორჯი“, ეძებენ იმის დამამტკიცებელ საბუთებს, რომ ისინი გურული სიამაშვილებიდან მოდიან. ხშირად ასეთ ძიებებს „ეხმარებიან“ საქართველოდან ჩასული სტუმრებიც, რომლე-

11 ასლანიშვილი, „ქართველები სპარსეთში“, 2.

12 ამბაკო ჭელიძე, *ფერეიდნელი ქართველები*, (თბილისი, 2011), 162.

13 აღნიაშვილი, *სპარსეთი და იქაური ქართველები*, 197; ჭელიძე, *ფერეიდნელი ქართველები*, 162.

ბიც სთავაზობენ მასპინძლებს გვარის ან სახელის მიმსგავსებულ ვერსიებს. ამის შედეგად უმრავლესობას (თითქმის ყველას, ვისაც საქართველოსთან აქვს კონტაქტი) პარალელურად მეორე სახელიც აქვს დარქმეული: კახა, ბექა, გიორგი და ა.შ. ან საკუთარი სახელის მიმსგავსებით აქვს გადაკეთებული: „ალი“ ხდება „ალექსანდრე“; „ყოღრათოლა“ – „კონდრატი“; „ეზათოლა“ – „ზაზა“ და ა.შ.

ქართული ტოპონიმები. ფერეიდანში შემორჩენილია მდიდარი მიკროტოპონიმია, რომელიც, როგორც ჩანს, ასახავს მიგრანტთა თავდაპირველ საცხოვრისს. ფერეიდნელები დიდი სიფრთხილით და ზრუნვით ეკიდებიან ადგილთა სახელებს და მიზანდასახულად ცდილობენ მათ დოკუმენტირებას და პოპულარიზაციას. ერთ-ერთმა ცნობილმა ქართველმა, ალექსანდრე დავითაშვილმა (ალი-ჰოსენ დავითაშვილი) სიმღერაც კი შექმნა ამ თემაზე და ჩვენთან საუბარში განმარტა, რომ მიზნად ჰქონდა ახალგაზრდებისთვის ქართული ადგილის სახელების გაცნობა და დამახსოვრება. ეს რაც შეეხება სოფლის შიგნითა სივრცის ქართულ სახელდებას.

საინტერესო მოვლენამ იჩინა თავი მე-19 საუკუნის ბოლოსვე, როცა პირველი ქართველი მოგზაურები ჩავიდნენ ფერეიდანში. ადგილობრივი მოსახლეობა მათი დახმარებით ცდილობდა ქართული სახელების ეტიმოლოგიზებას ან მიმსგავსებული სახელების მოძიებას ქართულ სინამდვილეში და ამის საფუძველზე სოფლების სახელების გადარქმევას. ამის გამოა, ალბათ, რომ სხვადასხვა მოგზაურის ან ფერეიდნელების მიერ შედგენილი სიები ძალიან განსხვავებულია ერთმანეთისგან.

ეს პროცესი დღემდე გრძელდება და სოფლების დასახელებებიც შესაბამისად, ვარიაციულია: თოლერი/ თოლელი / თელავი; სიბაქი /სილნალი; ბოინი / ბოლნისი; ჩულრუთი / ჩულურეთი¹⁴ და ა. შ.

ქართული წარწერები. ირანული კულტურის ერთ-ერთი დამახასიათებელი შტრიხია ცნობილ ავტორთა ნაწარმოებებიდან ამოღებული აფორიზმები, რელიგიური ტექსტებიდან ციტატები ან სხვადასხვა მიძღვნილი ხასიათის წარწერები აბრეზებზე, კედლებზე სახლის ავეჯზე, ხალიჩებზე და სხვ. ქართულ ეთნიკურ თემში ეს ტრადიცია ფართოდ არის გამოყენებული ქართული ანბანის პოპულარიზაციისათვის.

კერძო მაღაზიებსა და მანქანებზე ქართულ-სპარსულ ან მხოლოდ ქართულ წარწერებს ვხვდებით: „*მიყვარხარ საქართველო*“; „*ელა ღმერთი*“; „*უფალი უკეთესი შემნახველია*“ და ა.შ. მსგავსი წარწერები თანდათანობით მრავლდება მაზანდარანის ქართულ დასახლებებშიც.

სპეციალურად პოპულარიზაციის მიზნით ცნობილმა ქართველებმა – რეზო დავითაშვილმა (რაჰიმი), ალექსანდრე დავითაშვილმა (რაჰიმი) და ძმებმა ჰეიდარ და მუხტარ დარჩიაშვილებმა (ასლანი), წამოიწყეს ტრადიციული სპარსული სუფრების ქართული წარწერებით გამოშვება. ეს სუფრები ბოლო ათწლეულების განმავლობაში გამოდიოდა ქართულენოვანი წარწერით: „*მარად და ყველგან საქართველოვ, მე ვარ შენთანა*.“ პირველ ასეთ სუფრებზე კი პირდაპირ იყო გადატანილი სასკოლო „*დასაჭრელი ანბანი*“.

14 Nikitin, „Life and Work of Y. N. Marr“, 285.

სასაფლაოებზე გამოირჩევა ქართველთა საფლავები ქართული წარწერებით. გაჩნდა ტენდენცია, რომ, როცა ვინმე გარდაიცვლება, ახლობლები ქართველი ნაცნობებისგან ითხოვენ რაიმე ცნობილ ტექსტს – ლექსს ან გამოთქმას საფლავზე წარსაწერად ან აგზავნიან საკუთარ ტექსტებს და ითხოვენ მათ ქართულად თარგმნას.

ქართული ანბანისადმი დამოკიდებულება თითქმის მისტიკურობამდეა მისული.

მაგალითად, ერთი ფერეიდნელი ახალგაზრდა გვიამბობდა: თარჯიმნად ვახლდი ქართველ ბიზნესმენებს, რომლებმაც „ნაბელავი“ დალიეს და ბოთლი გადაადგდესო. მე დამენანა ქართული წარწერა ბოთლზე, გადასადგებად ვერ გავიმეტე და სახლში წავიღე. საბოლოოდ ეს ბოთლი წყლის კონტეინერად გამოიყენეს და მაცივარში ედოთ თვეების განმავლობაში. ჩვენი ახალგაზრდა რესპონდენტის დედა მთელი ამ ხნის განმავლობაში დარწმუნებული იყო და ამტკიცებდა, რომ ქართულწარწერიანი ბოთლიდან დაღეული წყალი მაკურნებელი ძალისა იყო.

ფერეიდნის, ისპაჰანისა და თეირანის უგამონაკლისოდ ყველა ქართულ სახლში არის ქართული წარწერით, ძირითადად კლასიკოსების აფორიზმებით, დამშვენებული ხელით ნაქსოვი ხალიჩა, ან ფოტო მაინც. მუხტარ დარჩიაშვილის სახლში ინახება ნაქარგი პანო – ხე, რომელსაც ფოთლებად ქართული ანბანის ასოები ასხია. როგორც მუხტარ დარჩიაშვილმა (ასლანი) განგვიმარტა, მან სიზმარში ნახა ეს ხე, „აყოვებული“ მეორე დღესვე დახატა და ცოლს ამოაქარგინა.

ისპაჰანის პროვინციაში ფუნქციონირებს საკვირაო სკოლები ქართული ენის შესწავლისათვის.

ქართული თემატიკა ხალხურ რეწვაში. ქართული ანბანის გამოყენებას ხალხურ რეწვაში ზევით უკვე შევხვით. ფერეიდანში ვხვდებით ნაქარგობებს ქართველი ისტორიული პირების, მაგალითად, თამარ მეფის გამოსახულებით. იქაური ქალები ხშირად ითხოვენ ქართულ ორნამენტებს ხალიჩებზე და სხვა ნაკეთობებზე გადასატანად.

ოფიციალური ქართული ატრიბუტიკა. ეროვნული იდენტობის ნიშნულებია: ქართული ჰიმნის ცოდნა, საქართველოს დროშა, რომელიც ბევრ ქართულ ოჯახს აქვს სახლში. ერთ-ერთი ფერეიდნელი ქართველის სახლის ეზოში აუზის კედლებზეც საქართველოს დროშაა გამოსახული.

ქართული სამოსელი. ფერეიდანში ქართული სამოსელის (კაცებისთვის – ჩოხა-ახალუხი, ქალებისათვის – უფრო ხშირად წითელი კაბა და თეთრი თავშალი) გამოყენება ოფიციალურ ღონისძიებებსა და ხალხური ცეკვა-სიმღერის კონცერტებზე ჩვეულ მოვლენად იქცა. ასე შემოსილი დახვდა ფერეიდნელ ახალგაზრდა მომღერალთა გუნდი 2004 წელს ფერეიდანში ჩასულ საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს.

მაზანდარანელი ქართველების დღევანდელი ყოფა-ცხოვრების შესახებ მეზობელი გოლესთანის პროვინციის ტელევიზიის მიერ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში ერთსა და იმავე ხასხასა წითელ ქართულ სამოსელში გამოწყობილი ქართველი ქალ-ვაჟები ცეკვავენ ბუნების წიაღში, ბაღებში კრეფენ ბროწეულს, ხარშავენ ბროწეულის წვეს და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ამ ფილმის ერთ-ერთი

კონსულტანტია ფერეიდნელი ქართველი, ისპაჰანის უნივერსიტეტის მაგისტრი საიდ მულიანი.

ცხადია, ეს ყოველივე ინოვაციაა. თუ მივუბრუნდებით უახლოეს წარსულს, 90 წლის წინ ფერეიდანში ამბაკო ჭელიძის ვიზიტისას გადაღებული ფოტოები თვალნათლივ აჩვენებენ, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს ჩვეულებრივი ირანული სოფლური ტანისამოსი აცვიათ. ლადო აღნიაშვილიც, რომელიც 30 წლით ადრე იყო იქ, ზედმიწევნით აღწერს ქართველთა სამოსელს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იქ ქართული ელემენტი არ მოიპოვება.¹⁵

ქართული მუსიკალური კულტურა. ქართული სიმღერები „სულიკო“ და „შავლეგო“ თითქმის საქართველოს ჰიმნის თანაბარ ეროვნულ ატრიბუტად მიჩნეიან. ძლიერია ქართული სიმღერებისა და ცეკვების სწავლის სურვილი: თუ ადრე დამოუკიდებლად, ვიდეოკასეტების დახმარებით სწავლობდნენ ქართულ სიმღერებსა და ცეკვებს, ახლა საქართველოდან ჩასული ენთუზიასტი მასწავლებლების დახმარებით ბევრი ბავშვი ეუფლება ფერეიდანსა და ისპაჰანში ქართულ ხალხურ მუსიკასა და სიმღერას; ბოლო წლებში უკვე სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია ატარებს საქართველოში ფერეიდნელი ახალგაზრდების ჯგუფებისათვის ხალხური ცეკვა-სიმღერისა და ფანდურზე დაკვრის კურსებს.

ფერეიდანში განსაკუთრებული სიამაყის გრძნობით აღნიშნავენ პოლიფონიური შესრულების კულტურის აღდგენას, რადგან პოლიფონიურობა მშობლიური კულტურის ერთ-ერთ ნიშნად აქვთ გაცნობიერებული.

ისტორიული ფესვების ძიება. გაძლიერდა საკუთარი ფესვების ძიების სურვილი. სოფელ დაშკესანაში ძმებ ხოსროვების (ხოსროშვილები) ოჯახში კედელზე გვარის დიდი გენეალოგიური სქემა აქვთ, რომლის თავშიც არის საქართველოდან გადმოსახლებული მათი დიდი წინაპრის სახელი.

ფერეიდნელი და მახანდარანელი ქართველები წერენ სპარსულ ენაზე წიგნებსა და სტატიებს, რომლებშიც მათი ისტორია და გადმოცემებია დაფიქსირებული.¹⁶

ქართული ენა. რაკი ქართული ენა ეთნიკური იდენტობის მთავარი ნიშანსვეტია, ქართულის ცოდნა-არცოდნა ჩვენთვის საინტერესო კოლექტივებში მკაცრი შეფასებითი კრიტერიუმია. ეს მომენტი ზოგადად არის დამახასიათებელი კუნძულური კულტურისთვის. რუსეთის გერმანელთა ასეთი კუნძულების შესახებ კვლევებში არაერთხელ არის ხაზგასმული ეს მომენტი. მაგალითად, აღწერილია ალტაის მხარის ერთ-ერთი გერმანული სოფლის მკვიდრთა მკაცრი შეფასებები მათ გვერდით მცხოვრები გვიანი მიგრანტების – ყაზახეთიდან გადმოსახ-

15 აღნიაშვილი, *სპარსეთი და იქაური ქართველები*, 193-194.

16 ეს ცალკე განსახილველი თემაა და აქ მხოლოდ ავტორების მოხსენიებით შემოვიფარგლებით: მოჰამად მალეჟ რაჰიმი, აბულყასემ აჰმადი მიანდაში, საიდ გუგუნანი, მოჰამად სეფიანი, საიდ მულიანი, აბდოლალი ჰეიდარი-გორჯი, მოჰამად სადეჟ ესჰაყი-გორჯი, ალირეზა ვალიზადე, ალიაქბარ ოჯაქე, ჰოსეინ მიქელანი, ნოურუზ ლაჩინანი, რუჰოლა სეფიანი და სხვები.

ლებული გერმანელების ენობრივი კომპეტენციის გამო. მათთვის ეს მიუტევებელი ნაკლია.¹⁷

ფერეიდნელები, რომლებიც ერთადერთი არიან ირანში მცხოვრებ ქართველთაგან, ვინც დედანა შეინარჩუნა, მგრძობიარედ ეკიდებიან მშობლიური დიალექტის – „დედას ენის“ (ასე უწოდებენ ქართულს ფერეიდნელები) თანდათანობითი დავიწყების პროცესს. ეს დამოკიდებულება ფერეიდნული „ხალხური რიტორიკის“ ამ შესანიშნავი ნიმუშიდანაც ჩანს ავტორი, მარტყოფის მკვიდრი, ჰეიდარ დარჩიაშვილი (ასლანი) მიმართავს სოფელ აფუსის მცხოვრებთ, რომელთაც დაივიწყეს ქართული ენა:

„აფუსელნო, დედის ენის გამგუებელნო!¹⁸
თქვენმა ცხვრებმა არ დაივიწყეს ბლავილი;
თქვენმა თხებმა – კიკინი;
თქვენმა ძროხებმა – ბლავილი;
თქვენმა მამლებმა – ყივილი;
თქვენმა ქათმებმა კრასკრასი;
თქვენმა ჩიტებმა – ჭიკჭიკი;
თქვენმა ბულბულებმა გალობა არ დაივიწყეს!

დედებო, სახლის ბოძებო!

აფუსელნო, დედას ენას გამგუებელნო!

მე წომ ვიცი, დედის ენაზე საუბარს ნატრობთ. იმიტომ, რომ ქართული ღმერთის მოცემული ენაა. რაც რომ ღმერთის მოცემული იყოს, არ დაიკარგების!“¹⁹

აღსანიშნავია, რომ აფუსელ ქართველებს ამგვარი კრიტიკის საპასუხოდ გააჩნიათ თავის გასამართლებელი საკმაო არგუმენტები, თუ რა ისტორიულმა და სხვა ფაქტორებმა მიიყვანეს ისინი ქართული ენის დაკარგვამდე.

ფერეიდანში „დედას ენის“ შენარჩუნების მცდელობა ისტორიულ სამშობლოსთან კულტურული რეინტეგრაციის სურვილის გამოვლინებაა. ახალგაზრდობის დიდი ნაწილი, რომელსაც ამისთვის არ აღმოაჩნდა ბუნებრივი პირობები, ცდილობს, ყველა საშუალება მონახოს ქართულის შესასწავლად, ის, ვინც ამას ვერ ახერხებს, უკმაყოფილებას არ მალავს და გამობატავს თავის გულისტკივილს ქართული ენის არასახარბიელო მდგომარეობის გამო.

სოფელ ჯაყჯაყში, რომელშიც ქართული მოსახლეობის გვერდით ქურთებიც ცხოვრობენ, ახალგაზრდები ვნახეთ, რომლებიც კარგად ლაპარაკობენ ქართულად და ინტონაციაც კი სწორი ჰქონდათ. ჩვენდა გასაკვირად, ისინი საქართველოში ნამყოფნი არ ყოფილან. აღმოჩნდა, რომ ქართულს სწავლობდნენ ინტერნეტის საშუალებით და ხშირად უსმენდნენ ქართულ სატელევიზიო არხებს. ამავე სოფლის ახალგაზრდების თქმით, აქ ქურთებმაც იცოდნენ მეტ-ნაკლებად ქარ-

17 Лариса Москалюк, „Проблема сохранения идентичности российских немцев“, *Российское государство, общество и этнические немцы: основные этапы и характер взаимоотношений (XVIII-XXI вв.): материалы XI международной научной конференции*. Москва, 1-3 ноября 2006), 398-399.

18 უარმყოფელნო.

19 *ქართული დიალექტური კორპუსი* (მთქმელი: ჰეიდარ ასლანი, სათაური: აფუსელები). <http://corpora.co/#/>

თული, რადგან მათთან ქართველები მხოლოდ ქართულად ურთიერთობდნენ. შესაბამისად ამ სოფელში ქურთული ერთენოვნების დამკვიდრებისკენ კი არ მიდის პროცესი, არამედ იქმნება „პიჯინი“ ენა ორივე ენის შერევის საფუძველზე. დღეს ახალგაზრდებში შეინიშნება ამ მოვლენის გააზრებისა და ქართულ ენობრივ სივრცესთან რეინტეგრაციის გაცნობიერებული პროცესის გააქტიურება.

ქართულ სოფლებში გამოიკვეთა ტენდენცია – ახალგაზრდა თაობამ რაც შეიძლება კარგად იცოდეს ქართული ენა. ეს მომენტი, როცა მშობლიური ენის არმცოდნე ნაწილს ჯგუფის წევრები დომინანტი ენის უცოდინარობასაც „აყვედრიან“, დამახასიათებელია მსგავსი ენობრივი კუნძულებისთვის. ზუსტად ასეთი შეფასება მოვისმინეთ ფერეიდანში. ასეთივე ვითარება აღწერილია რუსეთის გერმანელთა კუნძულებშიც.

ასეთი ადამიანების დატუქსვის, დაცინვის, შეგულიანების ფაქტებს არაერთხელ შევხვედრივართ ჩვენი მივლინების დროს და დარცხვენილი „შერისხულის“ ბოდიშებიც მოგვისმენია. ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ დღეს რეგიონში ქართული ენა შევიწროებულია სოციოლინგვისტური თვალსაზრისით, რაც იმას ნიშნავს, რომ ძლიერ დამცრობილია მისი სოციალური სტატუსი და სიტუაციური რეპერტუარი, მაგრამ, როგორც კულტურული ღირებულება და ისტორიულ სამშობლოსთან იდენტიფიკაციის საშუალება, ის უფრო და უფრო პრესტიჟული და სასურველი ხდება. ფაქტობრივად უგამონაკლისოდ, ყველა გამოკითხული თვლის, რომ სურს იცოდეს ან უკეთ იცოდეს ქართული და უნდა, რომ მისმა შეილებმაც იმეტყველონ ქართულად.

ენობრივი რეინტეგრაცია ბირთვულ ენობრივ და, შესაბამისად, კულტურულ არეალთან დაახლოების გზაა. ენობრივი რეინტეგრაცია გააზრებული პროცესია და ის აუცილებლად ითხოვს პრიმიტიულ ენობრივ ანალიზს. დიალექტოლოგიური ექსპედიციები ამ პროცესის ერთგვარ ბიძგად იქცევა ხოლმე. თუმცა იმპულსი ასეთი ენობრივი ანალიზისთვის შესაძლოა გახდეს ნებისმიერი ქართულენოვანი კონტაქტი. უნდა აღინიშნოს, რომ ლინგვისტური ანალიზი უდევს საფუძვლად ასიმილაციური პროცესებისადმი გაძალიანებასაც, თუმცა იქ „მიმღები“ ენისა და მშობლიურის თავისებურებები გაანალიზდება. რეინტეგრაციის პროცესში კი შედარება ხდება სალიტერატურო ენასთან ან მის რომელიმე დიალექტთან.

პირველადი „ენობრივი ანალიზი“ ასეთი კონტაქტების დროს ბიძგს აძლევს ერთგვარი „ენობრივი ამნეზიის“ ფაქტების გამოვლინებას. ფერეიდანულში გვაქვს ასეთი „ამნეზიის“ ძალიან საინტერესო შემთხვევები, როცა იქაურებმა „გაიხსენეს“ მნიშვნელობა სიტყვებისა: *მარგალიტი, კარგი, შავი მიწა* და ა. შ. ამ სიტყვებს ისინი მხოლოდ ფრაზეოლოგიზმების ან მყარი შესიტყვებების სახით იცნობდნენ ისე, რომ მნიშვნელობა არ ესმოდათ: „მარგალიტებს ხომ არ აცვამ?!“; „კარგი იყო, ყოფილიყავ“; „შავი მიწა დაგაყარე“. მხოლოდ ენობრივი რეინტეგრაციის პროცესში „ამოიცნეს“ ამ სიტყვების მნიშვნელობა. ჩვენს მასალებში ბევრი ამგვარი მაგალითია.

კუნძულის წარმომადგენლისთვის ბირთვულ ენობრივ სისტემასთან დამოკიდებულება, როგორც ვთქვით, შეფასებითია და ეს „ნაივური ლინგვისტიკა“ რამდენიმე მიმართულებით ვითარდება:

- საერთო ლექსიკის გამოვლენა
- მნიშვნელობაცვლილი საერთო ლექსიკის გამოვლენა
- უცხოენოვანი ლექსიკა
- განსხვავებული, მაგრამ ქართული ლექსიკა
- ქართულ დიალექტებთან საერთო ლექსიკა

„ჩვენ – თქვენ“ პოლარიზაცია ხშირად წარმოგვიდგება, როგორც ამ ენობრივი „დაკვირვებების“ შედეგი: ჩვენ კოჭობ ვიტყვით, თქვენ – ქოთანს (ფერეიდნული). ამ სახის მაგალითები უამრავია და ისინი უდებენ საფუძველს ასეთი ენობრივი კოლექტივისთვის დამახასიათებელ სინონიმურ პარალელიზმს. რენტეგრაციის გზაზე ამგვარი პარალელიზმი ჩნდება სხვა მსგავსი მოვლენის – დომინანტურ ენასთან ინტერფერენციის შედეგად გაჩენილი სინონიმური პარალელიზმის გვერდით – როცა პარალელურად გვაქვს დამოწმებული დიალექტური ფორმა და უცხოენოვანი ფორმა. თუ ეს უკანასკნელი ასიმილაციის მიმანიშნებელია და უახლოეს ხანში დიალექტური ფორმის გაქრობის პროგნოზის საშუალებას იძლევა თეორიულად, პირველი – სალიტერატურო ფორმასთან პარალელიზმი – ბირთვულ ენობრივ არეალთან დაახლოების მიმანიშნებელია. ასეთ პარალელიზმები ადვილად, თითქმის მყისიერად მკვიდრდება. „ჩვენ“ – „თქვენ“ პოლარიზაციის დაძლევის გზაზე კუნძულელები ფრთხილად მოსინჯავენ თანამოსაუბრის ენობრივ კომპეტენციას – მათ უნდა შეამოწმონ მათი ლექსიკური მარაგიდან რა არის ჩვენთვის გასაგები და რა – არა. „საძულველი ხო იცი რა არი?“ – გვკითხა ერთმა ფერეიდნელმა რესპონდენტმა და თან აგვისხნა: „საყორველის პირად არის საძულველი.“ ასე ყალიბდება ერთგვარი „პედაგოგიური სისტემა“, რომელიც მათ ბირთვული არეალის ენობრივ სისტემასთან ადაპტაციაშიც ეხმარება და ერთგვარ სასწავლო მეთოდადაც იქცევა ბავშვებისთვის ქართული ენის სასწავლებლად.

ზემოთ ნახსენებ „პრიმიტიულ ლინგვისტურ ანალიზზე“ დაკვირვების არაჩვეულებრივი შემთხვევა მოგვეცა ფერეიდანში – ერთ-ერთმა ჩვენმა რესპონდენტმა მუხტარ დარჩიაშვილმა (ასლანი) ჩვენი სტუმრობის შემდეგ დაიწყო ფერეიდნულის თავისი მეთოდით დოკუმენტირება. მან შექმნა სქელტანიანი წიგნაკი, სადაც სხვადასხვა ტიპის ენობრივი მასალა შეიტანა. აქ არის ონომასტიკა (ადგილის სახელები, მეტსახელები, გვარები...), ლექსიკა – მეტწილად თემატურად დალაგებული და ერთგვარი პრინციპით წარმოდგენილი: მაგ. „ახლა ცხორს რა აქ“ – და ჩამოთვლილია ცხვრის სხეულის ნაწილების დასახელებანი. „ახლა ადამიანს რა აქ“ და ა. შ.

აქვეა გამოყოფილი ლექსიკა, რომელიც უცხოენოვანია, მაგრამ სალიტერატურო ენაშიც იმავე სახით გვაქვს – ამ ჯგუფს მან „მურაბა“ ჯგუფი დაარქვა. ეს ჯგუფი განსაკუთრებით საინტერესოა ხოლმე მათთვის, რადგან ამ სიტყვების უცხო წარმოშობა იციან და ქართულ შესატყვისს ეძებენ (ლაზათი, ფანჯარა...).

იმის გამო, რომ არ არსებობს დედაენის ბუნებრივი მიმოქცევის და, შესაბამისად, შესწავლის ბუნებრივი გარემო, ბავშვებისთვის ქართული ლექსიკისა და რეალიების დასასწავლად ამოქმედებულია სხვადასხვა პედაგოგიური ხერხი.

ჩვენ გაგვაოცა ერთი პატარა ქართველის ზუსტმა და ნათელმა განმარტებებმა ჩვენს შემთხვევით კითხვებზე: „ბარტყი იცი რა არის? – ჩიტის ბაიტა! – სტუმარი? – ჩვენსა რო მოა! – მზე? – მალლა როა და ანათებს!“ და ა. შ.

მოგვიანებით მივხვდით, რომ მას სათანადო წვრთნა ჰქონდა მიღებული. ჩვენ ვნახეთ ბები, რომელიც კალთაში ჩასმულ შვილიშვილს ასწავლიდა და ცალ-ცალკე ასახელებინებდა გარემომცველი საგნების სახელებს.

ძნელია ერთ სტატიაში ამ დიდი პრობლემის ყველა ასპექტით წარმოჩენა. ფაქტია, რომ ენობრივი რეინტეგრაცია ქართულ დიალექტურ დიასპორებში საკმაოდ აქტიური პროცესია.

ენობრივი რეინტეგრაცია არ არის ასიმილაციის შექცეული პროცესი.

ასიმილაცია სოციოლინგვისტური მოვლენაა და ენათა კონტაქტის დროს უმცირესობის ენის სოციალურ სტატუსთა დამცრობისა და თაობათა შორის ტრანსლაციის მოშლის შედეგია. ასიმილაცია გარდაუვალი მოვლენაა კუნძულური ერთობის იზოლაციის დარღვევის დროს.

რაც შეეხება ენობრივ რეინტეგრაციას, ის კულტურული რეინტეგრაციის პროცესის კვალდაკვალ ისახება. მასზე პირდაპირ მოქმედებს საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობა, ქვეყანათა შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა, პოლიტიკური აკრძალვების ხარისხი და ა. შ.

რეინტეგრაციას ბიძგს ეროვნული სიამაყე და მასზე დაყრდნობილი „ეთნიკური მობილიზაცია“ აძლევს, ხოლო ნიადაგს, როგორც აღვნიშნეთ, პოლიტიკური „ამინდი“ უქმნის. დღეისათვის კულტურული და ენობრივი რეინტეგრაციისაკენ სწრაფვა ქართული დიალექტურ დიასპორებში უდავო ფაქტია. 400 წლის მანძილზე ახლა ამისთვის ყველაზე საუკეთესო პირობებია შექმნილი – როგორც დიასპორების განსახლების ქვეყნებში ამ საკითხებისადმი პოლიტიკური დამოკიდებულების, ისე საერთაშორისო პოლიტიკური ორიენტირების გამო. განსაკუთრებულ მდგომარეობას ქმნის ამ პროცესების წარმატებით წარმართვისათვის თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები, რომლებიც სულ უფრო და უფრო ამცირებენ მანძილსა და დროს და სულ უფრო კონტაქტურს ხდიან მსოფლიოს.

ვფიქრობთ, ენობრივი რეინტეგრაციის პროცესები ბირთვული ენობრივი არეალიდან – საქართველოდან აქტიურად უნდა შეისწავლებოდეს და გონივრულად იმართებოდეს კიდევ. რასაკვირველია მეცნიერული და კულტურული ურთიერთობების ფარგლებში. დღეს ასეთი აქტივობის უამრავი მაგალითია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასლანიშვილი, ს. „ქართველები სპარსეთში“. *ბახტრიონი*, 18 (1922): 2.
2. აღნიაშვილი, ვლ. *სპარსეთი და იქაური ქართველები*. ტფილისი, 1896.
3. კოჭლაშვილი, ნ. „ახლა ფერეიდნამდე“. *კვირის პალიტრა*, 17 (2006): 31.
4. სონლულაშვილი, ა. *ირანში ქართველთა ნაკვალევზე*. თბილისი, 2005.
5. შარაშენიძე, ზ. *ფერეიდნელი „გურჯები“*. თბილისი: მეცნიერება, 1979.
6. ჭელიძე ა. *ფერეიდნელი ქართველები*. თბილისი: 2011.

7. Mattheier, K. J. Berend, N. *Theorie der Sprachinsel: Voraussetzungen und Strukturierungen Sprachinselforschung. Eine Gedenkschrift für Hugo Jedig.* (Frankfurt am Main: Lang, 1994): 333-348.
8. Nikitin, B. "Life and Work of Y. N. Marr." *Georgica* 4-5, autumn, 1937: 278-286.
9. Москалюк Л. И. „Проблема сохранения идентичности российских немцев.“ *Российское государство, общество и этнические немцы: основные этапы и характер взаимоотношений (XVIII-XXI вв.): Материалы XI международной научной конференции.* Москва, 1-3 ноября 2006, 338-405.
10. Жирмунский, В. М. „Проблемы переселенческой диалектологии.“ *Общее и германское языкознание: избр. тр. Л.*, 1976, 492-516.

ელექტრონული წყაროები:

<http://corpora.co/#/> – ქართული დიალექტური კორპუსი
<http://fereidani.ge> – ვებგვერდი „ფერეიდანი“

რამაზ გორგაძე, ვიქტორ ჩიკაიძე

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

თურქული წარმომავლობის საერთო სიტყვები ქართულსა და სომხურ ენებში

სტატიის მიზანს წარმოადგენს საერთო ხმარების თურქული ლექსიკური ერთეულების გამოვლენა და ანალიზი ქართულსა და სომხურში. ფაქტობრივი მასალა მოპოვებულია სამივე ენის ლექსიკონებიდან:

1. ათაბაგ-ი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ეს სიტყვა ისტორიულ ლექსიკას მიეკუთვნება და წარმომავლობის მინიშნების გარეშეა წარმოდგენილი:

ათაბაგ-ი „სამცხის მმართველთა საგვარეულო წოდება.“¹

აღნიშნული ლექსიკური ერთეული არ დასტურდება ს. ორბელიანთან, მაგრამ ფიქსირდება ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებში შემდეგი განმარტებებით:

ათაბაგი „არაბულად მამამთავარი, უმაღლესი მთავარი შემდგომად მეფისა, ტიტლო ესე მიეცა ახალციხის მთავარსა სერგის ჯაყელსა VI გიორგი მეფისაგან გარემო 1330 წლისა.“²

ათაბაგი (სპარს.) წარჩინებული, გამზრდელი უფლის წულისა; საქართველოში ათაბაგად იწოდებოდნენ ახალციხის მთავარნი და იყვნენ თამარ მეფის დროს გამზრდელნი მეფის ძეთა...³

ბ. გიგინეიშვილის ნაშრომის მიხედვით, საქართველოში ეს ტერმინი შემოიღო თამარ მეფემ, როცა ივანე მხარგრძელმა სთხოვა: „ამით განაღდე წყალობა შენი ჩემ ზედა, რომე ახალსა და უაღრესსა პატივსა ღირს-მყო და **ათაბაგობა** მიბოძო, რომელ სულთანთა წესი არს **ათაბაგი**, რომელი მამად და გამზრდელად სულტანთა იწოდების **ათაბაგი** (ქ. ცხ. II, 110, 12-15).“⁴

საკვლევი თურქული ისტორიული სიტყვა **Atabeg / Atabek** წარმოადგენს კომპოზიტს. იგი შედგება **ata** („მამა“) + **beg** („მმართველი“, „ბელადი“, „ბატონი“) სიტყვებისაგან. თურქ-სელჯუკებში აღნიშნავდა „უფლისწულების აღმზრდელს, ან რეგიონის დამოუკიდებელ მმართველს – ვეზირს“⁵

უნდა ითქვას, რომ ჩვენთვის საინტერესო სიტყვის პირველი კომპონენტი (**ata**) დამოწმებულია აგრეთვე ქართ. **ათადან-ბაბადან** (ათა-დან+ბაბა-დან) ლექსიკურ

1 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. (ქეგლი). ერთტომეული, 19

2 ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, 133.

3 დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1 3

4 ბ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, (ა-მ), 11.

5 *Türkçe Sözlük*, I, 100.

ერთეულში მნიშვნელობით „ძველთაგან, უხსოვარი დროიდან“⁶, ხოლო მეორე კომპონენტი **ბეგი** („ფეოდალი მემემულე“) – ცალკე ლექსიკურ ერთეულად გლინდება.⁷

საერთო ხმარების ეს სიტყვა ჰრ. აჭარიანის ლექსიკონში დამოწმებულია რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტით – აყაყექს [atabek], აყაყექს [atabek], აყაყასს [atabak], აყაყასს [atapak] „მეფის მამა, მეფისნაცვალი“ ავტორი სავსებით იზიარებს რა ჰ. ჰიუბშმანის მოსაზრებას, თურქულ ნასესხობად მიაჩნია და აკავშირებს იმავე მნიშვნელობის თურქ. **atābēg** სიტყვასთან.⁸

2. არტალა

ჩვენთვის საინტერესო სომხური სიტყვა აყაყასს [არტალა] (ტრადიციულად ბოლოკიდური იოტი (ჲ) არ იკითხება – რ.გ.) ისტორიული ლექსიკის კუთვნილებას წარმოადგენს. ქართულისაგან განსხვავებით, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, არ ფიქსირდება თანამედროვე სომხური ენის ლექსიკონებში.

პროფ. ჰრ. აჭარიანისთვის უცნობი წარმომავლობის სიტყვაა და არ გამოიციხავს მის ქართულ ნასესხობას სომხურში.⁹

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში საკვლევი ლექსიკური ერთეულის წარმომავლობის საკითხი აგრეთვე უცნობია ბ. გიგინეიშვილისთვის.¹⁰

სტ. მალხასიანისა¹¹ და ლ. რუხაძის¹² აზრით, რომელსაც ჩვენ სავსებით ვიზიარებთ, საერთო ხმარების აღნიშნული სიტყვა უნდა უკავშირდებოდეს თურქულ **ardala / Ardale** სიტყვაფორმას, რომლის რამდენიმე მნიშვნელობიდან ერთ-ერთი, კერძოდ, „ძროხის ფეხის უკანა ნაწილის ხორცი“ სრულად ემთხვევა საკვლევი სიტყვის სემანტიკას. სხვა მნიშვნელობების შექენა ქართულსა და სომხურში, ვფიქრობთ, შედარებით გვიანდელი მოვლენაა, რაზეც მეტყველებს ფაქტობრივი მასალა. ასე, მაგალითად:

არტალა – ძროხის ბარკლის ქვედა ნაწილი. // ამ ნაწილისაგან დამზადებული წვნიანი შეჭამანდი.¹³

ეს სიტყვა პირვანდელი მნიშვნელობით ფიქსირდება ს. ორბელიანისა და ჩუბინაშვილების ლექსიკონებშიც:

არტალა – საკლავთ უკანა მუხლს ქვეითი.¹⁴

არტალა – საკლავთ უკანა ბარკალი, ანუ წვივი.¹⁵

6 ქეგლი, 19.

7 იქვე, 59.

8 ჰრ. აჭარიანი, *სომხური ენის ძირთა ეტიმოლოგიური ლექსიკონი*, I, 88.

9 იქვე, 338.

10 ბ. გიგინეიშვილი, *ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი*, 23.

11 სტ. მალხასიანი, *სომხური ენის განმარტებითი ლექსიკონი*, I, 282.

12 ლ. რუხაძე, *თურქული ნასესხობები ქართულ სალიტერატურო ენაში*, 20.

13 ქეგლი, 38

14 სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 66.

15 ნ. ჩუბინაშვილი, *ქართული ლექსიკონი*, 140.

სომხური ენის დიალექტებში დაფიქსირებულმა ჩვენთვის საინტერესო ლექსიკურმა ერთეულმა, თანამედროვე ქართულისაგან განსხვავებით, დამატებით შეიძინა „ცუდი ხარისხის ხორცის“ და, გადატანითი მნიშვნელობით, „დაუპატიუებლად მიყვანილი სტუმრის“ სემანტიკა.¹⁶

3. არხი

საერთო ხმარების აღნიშნული სიტყვა შემოსული ჩანს თურქული **ark** – რუ, ნაკადული, არხი¹⁷ – ფორმიდან არაუადრეს XVIII საუკუნისა¹⁸ და ამიტომ იგი არ ფიქსირდება ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონში.

მოცემული სიტყვა დასტურდება ნ. ჩუბინაშვილთან, სადაც სრულიად მართებულად მინიშნებულია მისი თურქული წარმომავლობა: **არხი** – რუ, რუსხმული, **канал, канава**. თ. არხ.¹⁹

აღნიშნული ლექსიკური ერთეული წარმოდგენილია აგრეთვე დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონში (როგორც სინონიმი „რუ“ სიტყვისა) იმავე მნიშვნელობით და განმარტებით, მისი წარმომავლობის შესახებ მინიშნების გარეშე.²⁰ სომხურისაგან განსხვავებით, თანამედროვე ქართულში საერთო ხმარების აღნიშნული სიტყვა მიეკუთვნება ენის ძირითად ლექსიკურ ფონდს მოგვიანებით შეძენილი დამატებითი მნიშვნელობებით: **არხ-ი** – 1. წყლის სადენი საგანგებო თხრილი (სარწყავად, სანაოსნო...). 2. თხრილი ახალშენი ვაზის ჩასაყრელად. 3. ცოცხალ ორგანიზმში – მილის მსგავსი სავალი. 4. მოწყობილობათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ელექტროსიგნალების გადაცემას მანძილზე.²¹

საკვლევი ლექსიკური ერთეული დასტურდება მხოლოდ თანამედროვე სომხური ენის დიალექტებში **արխ** [არხ] ფორმითა და მისი ძირითადი მნიშვნელობით.²²

ფრიად საგულისხმოა, რომ პროფ. ჰრ. აჭარიანის ცნობით, საკვლევი სიტყვა პირველად ვლინდება 996 წლის ერთ-ერთ სომხურ ლაპიდარულ წარწერაში.²³

რაც შეეხება მის ეტიმოლოგიას – აღნიშნულ სიტყვას სრულიად სამართლიანად მიიჩნევს თურქულენოვან ნასესხობად და ამისათვის იმოწმებს ლ. ბუდაღოვის ლექსიკონში ფიქსირებული თურქულ-თათრული **arx** ან **arq** („ნაკადული“, „არხი“) სიტყვის ფორმებს.²⁴

16 თანამედროვე სომხური ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, 243.

17 *Türkçe Sözlük*, I, 24.

18 ბ. გიგინეიშვილი, *ქართული ენის ისტ.-ეტიმოლოგიური ლექსიკონი*, 24.

19 ნ. ჩუბინაშვილი, *ქართული ლექსიკონი*, 140.

20 დ. ჩუბინაშვილი, *ქართულ-რუსული ლექსიკონი*, 48.

21 *ქეგლი*, 38.

22 თანამედროვე სომხური ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, 223.

23 აჭარიანი, დასახ. ნაშრომი, I, 317.

24 *იქვე*, 317.

თავის ნაშრომში ანალოგიური აზრი აქვს გამოთქმული აგრეთვე პროფ. სტ. მალხასიანცს.²⁵

4. ბოლაზი

საერთო მოხმარების ლექსიკური ერთეულია ქართულსა და სომხურში, რომელიც უკავშირდება თურქულ **boğaz** და აზერბაიჯანულ **boraz**. ანატ. ყელი.. ორ მთას შორის ვიწრო გასასვლელი, ხევი. 3. ორ ზღვას შორის ვიწრო გასასვლელი, სრუტე...²⁶

თანამედროვე სომხური სალიტერატურო ენის ლექსიკონებში բողაզ [ბოლაზ] სიტყვა დიალექტურ ერთეულად ფიქსირდება და მისი განმარტება სინონიმური բოღ [ბუკ] სიტყვით ხდება. გარდა ამისა, ქართულისაგან განსხვავებით, ეს ლექსიკური ერთეული მხოლოდ ანატომიურ ტერმინად „ყელის“ მნიშვნელობით გამოიყენება.²⁷ არ განიხილება პროფ. ჰრ. აჭარიანის ლექსიკონში, რადგანაც ძველ ნასესხობას არ წარმოადგენს. თურქულ ნასესხობად განიხილება პროფ. სტ. მალხასიანცის განმარტებით ლექსიკონში.²⁸

ბ. გიგინეიშვილის ცნობით, ეს სიტყვა ძველ და საშუალო ქართულში გამოვლენილი არაა.²⁹ ამიტომ ის არ ფიქსირდება ს. ორბელიანისა და ჩუბინაშვილების ლექსიკონებშიც, ვლინდება მხოლოდ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, სადაც მითითებულია მისი წარმომავლობაც: **ბოლაზი**-ი [თურქ.] (ძვ.) ნავსადგური.³⁰

როგორც ჩანს, სომხურისაგან განსხვავებით, ქართულ ენაში საკვლევი სიტყვა თავდაპირველად გამოიყენებოდა „ნავსადგურის“ მნიშვნელობით და ასოცირდებოდა თურქულის „ვიწრო ყელი“, „სრუტე“, სემანტიკასთან. შემდგომში, როგორც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნება, „ბოლაზი“ სიტყვის მნიშვნელობა თანდათან გაფართოვდა. თურქულისა და აზერბაიჯანულისათვის ცნობილი მნიშვნელობების გარდა, შეიძინა ახალი ნიუანსები, რაზეც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი და თ. სახოკია მიუთითებს – „მდიდარი ადგილი, ყველაფრით სავსე“, ან კიდევ: „უხვად მიმწოდებელი რისამე“.³¹

5. ბურნუთი

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მოცემული სიტყვა წარმოდგენილია მისი წარმომავლობის მინიშნებით: **ბურნუთი**-ი [თურქ.] წვრილად დაფქული და გაცრილი საყნოსი თამბაქო.³²

25 მალხასიანცი, *სომხური ენის განმარტებითი ლექსიკონი*, I, 269.

26 *Türkçe Sözlük*, I, 123; ვ. ჯანგიძე, *ქართულ-აზერბაიჯანული ლექსიკონი*, 31.

27 *თანამედროვე სომხური ენის განმარტებითი ლექსიკონი*, I, 336.

28 მალხასიანცი, *სომხური ენის განმარტებითი ლექსიკონი*, I, 384.

29 ბ. გიგინეიშვილი, *ქართული ენის ისტ.- ეტიმოლოგიური ლექსიკონი*, 60.

30 *ქეგლი*, 63.

31 ლ. რუხაძე, *თურქული ნასესხობები ქართულ სალიტერატურო ენაში*, 30.

32 *ქეგლი*, 65.

აღნიშნული ლექსიკური ერთეული არ გვხვდება ს. ს. ორბელიანთან, მაგრამ დამოწმებულია ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებში. ეს უკანასკნელი მის თათრულ წარმომავლობაზე მიუთითებს – **ბურნუთი** (თათრ.), ს, დაფქვილი თამბაქო მოსაწევად, გლარჯი...³³

ბ. გიგინეიშვილის აზრით, სიტყვა შემოსულია არაუადრეს XVIII საუკუნეში თურქული ენიდან (შდრ. თურქ. **burun-otu** „საცხვირე / ცხვირისა თამბაქო“).³⁴ აღნიშნული სიტყვა წარმოადგენს ორი სიტყვისგან შედგენილ კომპოზიტს (**burun+otu**) შემდეგი მნიშვნელობით – „ცხვირში შესასუნთქი ბალახი.“³⁵

სომხური ენის იგივე ლექსიკური ერთეული პროფ. სტ. მალხასიანცის ლექსიკონში თურქული მინიშნებითაა³⁶, სომხური ენის სხვა ლექსიკონებში ის დიალექტურ ფორმებად არის წარმოდგენილი.³⁷

6. ბულა

მოცემული თურქული წარმომავლობის ლექსიკური ერთეული **boğa** – საჯიშე ხარი (შდრ. აზერბაიჯანული **buğa** – დაუკოდავი საჯიშე ხარი) დეტალურად აქვს შესწავლილი თავის მონოგრაფიაში ლ. რუხაძეს.³⁸ აღნიშნული სიტყვის ეტიმოლოგიის თაობაზე ახალს ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ ერთს დავძენთ, რომ ძველ და საშუალ ქართულში იგი არ არის დადასტურებული.

ჩვენთვის საინტერესო სიტყვა თურქული ენიდან მრავალ ენაშია შესული. გამონაკლის არც სომხური ენა წარმოადგენდა, თუმცა დროთა განმავლობაში სიტყვის ადგილი მისმა ძირ-ძველმა სინონიმმა, სომხური წარმომავლობის და იმავე მნიშვნელობის **ցու** [ცულ] სიტყვამ დაიკავა.³⁹

7. დოლ-ი

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ეს სიტყვა წარმომავლობის მინიშნების გარეშეა წარმოდგენილი: **დოლ-ი** საკრავი: წარმოადგენს ღრუ ცილინდრს, რომლის ორივე მხარეს გადაკრულია ტყავი. უკრავენ თითების ან ორი ჩხირის ცემით.⁴⁰

აღნიშნული ლექსიკური ერთეული არ გვხვდება ს. ორბელიანისა და ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებში, მაგრამ დაფიქსირებულია დ. ჩუბინაშვილთან, რომე-

33 დ. ჩუბინაშვილი, *ქართულ-რუსული ლექსიკონი*, 124.

34 ბ. გიგინეიშვილი, *ქართული ენის ისტ.- ეტიმოლოგიური ლექსიკონი*, 69.

35 *Türkçe Sözlük*, I, 233.

36 მალხასიანცი, *სომხური ენის განმარტებითი ლექსიკონი*, I, 397.

37 *თანამედროვე სომხური ენის განმარტებითი ლექსიკონი*, I, 345.

38 ლ. რუხაძე, *თურქული ნასესხობები ქართულ სალიტერატურო ენაში*, 36.

39 ალაიანი, *თანამედროვე სომხურის განმარტებითი ლექსიკონი*, I, 208; *თანამედროვე სომხური ენის განმარტებითი ლექსიკონი*, I, 351.

40 *ქეგლი*, 214.

ლიც მის სპარსულ წარმომავლობაზე მიუთითებს – დოლი (სპარს.), ს. დაფდაფი, *баранъ*.⁴¹

ბ. გიგინეიშვილის ცნობით, მოცემული სიტყვა ძველ და საშუალო ქართულში გამოვლენილი არაა.⁴²

მიგვაჩნია, რომ საკვლევი სიტყვა თურქული წარმომავლობისაა და მომდინარეობს თურქ. *davul* „დიდი დოლი“, „ნალარა“ ლექსიკური ერთეულიდან.⁴³

როგორც მოსალოდნელი იყო, ეს სიტყვა არ ფიქსირდება პროფ. ჰრ. აჭარაიანის ცნობილ ლექსიკონში. იგი დასტურდება *ქიქი* [დჰოლ] ფორმით, იმავე „დოლი“-ს მნიშვნელობით და თურქული წარმომავლობის მინიშნებით პროფ. ჰრ. მალხასიანცის ლექსიკონში.⁴⁴ თანამედროვე სომხურის განმარტებით ლექსიკონებში⁴⁵ წარმოდგენილია როგორც დიალექტური ფორმა.

8. დოში

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სიტყვა წარმომავლობის მინიშნების გარეშეა წარმოდგენილი: **დოში**-ი ზუთხის, ორაგულის და ზოგი სხვა თევზის ლორად გამოყვანილი გვერდი.⁴⁶

მოცემული ლექსიკური ერთეული არ გვხვდება ს. ორბელიანთან, მაგრამ იმავე მნიშვნელობით და აგრეთვე წარმომავლობის მინიშნების გარეშე, დაფიქსირებულია ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებში.⁴⁷

ბ. გიგინეიშვილის ცნობით, აღნიშნული ლექსიკური ერთეული ძველ ქართულში არ დასტურდება.⁴⁸

ცნობილი მკვლევარის აზრით, რაშიც სავსებით ვეთანხმებით, ჩვენთვის საინტერესო სიტყვა შემოსული უნდა იყოს არა უადრეს XIX საუკუნისა⁴⁹ თურქული ენიდან *dös* – 1. მკერდი 2. ნეკნის ქვედა ნაწილი – სიტყვიდან.⁵⁰ საერთო წარმომავლობის ჩვენთვის საინტერესო ლექსიკური ერთეული *დი* [დოში] ძირითადად გვხვდება სომხური ენის დიალექტებში შემდეგი სემანტიკური მნიშვნელობით: 1. მკერდი („*грудь*“); 2. დოში („*тешка*“); 3. მკერდის ხორცი („*грудинка*“).⁵¹ როგორც ვხედავთ, ქართულისაგან განსხვავებით დამატებით შექმნილი აქვს ორი

41 დ. ჩუბინაშვილი, *ქართულ-რუსული ლექსიკონი*, 480.

42 ბ. გიგინეიშვილი, *ქართული ენის ისტ.- ეტიმოლოგიური ლექსიკონი*, 128.

43 *Türkçe Sözlük*, I, 341; *Karşılaştırmalı Türk Lehçeleri Sözlüğü*, 150.

44 მალხასიანცი, *სომხური ენის განმარტებითი ლექსიკონი*, I, 531.

45 *თანამედროვე სომხური ენის განმარტებითი ლექსიკონი*, I, 518; ედ. ალაიანი, *თანამედროვე სომხურის განმარტებითი ლექსიკონი*, I, 303.

46 *ქეგლი*, 214.

47 ნ. ჩუბინაშვილი, *ქართული ლექსიკონი*, 206; დ. ჩუბინაშვილი, *ქართულ-რუსული ლექსიკონი*, 481.

48 ბ. გიგინეიშვილი, *ქართული ენის ისტ.- ეტიმოლოგიური ლექსიკონი*, 129.

49 *იქვე*

50 *Resimli Türk Dili Sözlüğü*, 295.

51 *Армяно-русский словарь*, 197.

სხვა მნიშვნელობა, გარდა ამისა, ქართულ ენაში იგულისხმება „თევზის ლორად გამოყვანილი გვერდი“; სომხურში კი – ლორად გამოყვანილი თევზის მკერდი.

სტ. მალხასიანცის განმარტებით ლექსიკონშიც საკვლევი სიტყვა თურქული წარმომავლობის ნიშნითაა მოცემული.⁵²

9. იარა

იარა 1. ჭრილობა, წყლული; 2. გადატ. სულიერი ტკივილი, ტანჯვა.⁵³

აღნიშნული სიტყვა ფიქსირდება სულხან-საბა ორბელიანის,⁵⁴ ნიკო ჩუბინაშვილისა⁵⁵ და დავით ჩუბინაშვილის⁵⁶ ლექსიკონებშიც იმავე მნიშვნელობით და, სამართლიანად, მის თურქულ წარმომავლობაზე მინიშნებით.

ეს ლექსიკური ერთეული მიჩნეულია თურქულ ნასესხობად, კავშირდება თურქ. *yara* „ჭრილობა“ სიტყვასთან.⁵⁷ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ სიტყვის წარმომავლობის საკითხი განხილულია ლ. რუხაძის მონოგრაფიაში.⁵⁸

საერთო ხმარების აღნიშნული ლექსიკური ერთეული სომხურიც არის შესული. თანამედროვე სალიტერატურო ენაში იგი დიალექტურ ლექსიკას მიეკუთვნება და მისი ადგილი სომხურ *վարք* [ვერქ] სინონიმურ ფორმას აქვს დაკავებული.⁵⁹

თანამედროვე სომხურ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ჩვენთვის საინტერესო სიტყვის თურქული წარმომავლობის შესახებ ცნობა პროფ. სტ. მალხასიანცის ლექსიკონშია მოცემული.⁶⁰

10. იორლა

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მოცემული სიტყვა თურქული წარმომავლობის მინიშნებითაა წარმოდგენილი:

იორლა [თურქ.] კარგად მოსიარულე ცხენი. – თოხარიკი.⁶¹

ბ. გიგინეიშვილის ცნობით, იგი გვიანდელ ნასესხობას წარმოადგენს.⁶² ამით უნდა აიხსნებოდეს ის ფაქტი, რომ ს. ორბელიანის ლექსიკონში არ არის დაფიქ-

52 მალხასიანცი, *სომხური ენის განმარტებითი ლექსიკონი*, I, 547.

53 *ქეგლი*, 244.

54 სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 321.

55 ნ. ჩუბინაშვილი, *ქართული ლექსიკონი*, 238.

56 დ. ჩუბინაშვილი, *ქართულ-რუსული ლექსიკონი*, 576.

57 ბ. გიგინეიშვილი, *ქართული ენის ისტ.- ეტიმოლოგიური ლექსიკონი*, 215.

58 ლ. რუხაძე, *თურქული ნასესხობები ქართულ სალიტერატურო ენაში*, 44.

59 *თანამედროვე სომხური ენის განმარტებითი ლექსიკონი*, I, 2.

60 მალხასიანცი, *სომხური ენის განმარტებითი ლექსიკონი*, I, 548.

61 *ქეგლი*, 244.

62 ბ. გიგინეიშვილი, *ქართული ენის ისტ.- ეტიმოლოგიური ლექსიკონი*, 220.

სირებული. მოგვიანებით ვლინდება ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში,⁶³ ხოლო დ. ჩუბინაშვილთან ოსმალურ, ანუ თურქულ ნასესხობად არის მიჩნეული.⁶⁴

საკვლევი სიტყვა ქართულში შემოსულია თურქული *yorga* („ჩორთი“, „ჩორთით მავალი ცხენი“) ლექსიკური ერთეულიდან.⁶⁵

ჩვენთვის საინტერესო სომხური ლექსიკური ერთეული, յորդա [დორღა] ფორმითა და „თოხარიკის, თოხარიკით მოსიარულე ცხენის“ მნიშვნელობით, თანამედროვე სომხურში დიალექტურ სიტყვად არის მიჩნეული.⁶⁶

ცნობა თანამედროვე სომხურში საკვლევი სიტყვის თურქული წარმომავლობის შესახებ სტ. მალხასიანს ეკუთვნის.⁶⁷

დამოწმებული ლიტერატურა:

1. აღაიანი, ედ. *თანამედროვე სომხური ენის განმარტებითი ლექსიკონი*. I-II, ერევანი, 1976 (სომხ. ენაზე).
2. აჭარიანი, ჰრ. *სომხური ენის ძირთა ეტიმოლოგიური ლექსიკონი*. I-IV. ერევანი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1971-1979 (სომხ. ენაზე).
3. მალხასიანი, სტ. *სომხური ენის განმარტებითი ლექსიკონი*, I-IV. ერევანი.
4. სომხეთის სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1944-1945 (სომხურ ენაზე).
5. ორბელიანი, სულხან-საბა. *ლექსიკონი ქართული*. I-II. თბილისი: მერანი, 1991.
6. რუხაძე, ლ. *თურქული ნასესხობები ქართულ სალიტერატურო ენაში*. თბილისი: მწიგნობარი, 2013.
7. *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ქეგლ)*. I-VIII. მთ.რედ. არნოლდ.
8. ჩიქობავა. თბილისი: საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, 1950-1964.
9. *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*. ერთტომეული. მთ.რედ. არნოლდ.
10. ჩიქობავა. თბილისი: საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, 1986.
11. ჩუბინაშვილი, დ. *ქართულ-რუსული ლექსიკონი*. მოამზადა ა.შანიძემ. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1984.
12. ჩუბინაშვილი, ნ. *ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ*. რედ. ალ. ლლონტი. თბილისი: საბოთა საქართველო, 1961.
13. *Армяно-русский словарь*. სომხ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, ერევანი, 1984.

63 ნ. ჩუბინაშვილი, *ქართული ლექსიკონი*, 239.

64 დ. ჩუბინაშვილი, *ქართულ-რუსული ლექსიკონი*, 582.

65 *Türkçe Sözlük*, I, 966.

66 *თანამედროვე სომხური ენის განმარტებითი ლექსიკონი*, IV, 4.

67 მალხასიანი, *სომხური ენის განმარტებითი ლექსიკონი*, I, 608.

14. *Турецко-Русский словарь*. Под ред. А.Н. Баскакова и др. Москва: Русский язык, 1977.
15. *Türkçe Sözlük*, I –II cilt, TDK.Ankara, 1988
16. *Karşılaştırmalı Türk Lehçeleri Sözlüğü*. Ankara, 1991.
17. *Resimli Türk Dili Sözlüğü*. Istanbul, Arkin Kitabevi,1967.

ნუნუ გურგენიძე

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

აღმოსავლური წარმოშობის ანთროპონიმების შესახებ „1723 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში“

ენის ლექსიკურ სისტემაში გამოიყოფა განსაკუთრებული ფენა, რომელსაც ადამიანთა და ადგილთა სახელების ფართო ნომენკლატურა ქმნის. მათი ერთობლიობის აღსანიშნავად მიღებულია ტერმინი ონომასტიკა, რომელიც ამავე მასალის შემსწავლელი დარგის აღმნიშვნელიც არის. იგი ლექსიკოლოგიის ნაწილია, რომლის კვლევის ობიექტი უზვი ლექსიკური ფონდია, შედგენილი ანთროპონიმებისა და ტოპონიმებისაგან. ქართულის, ისევე, როგორც ყველა სხვა ენის ლექსიკის მეცნიერული კვლევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ტოპონიმისა და ონომასტიკის შესწავლას. ქართული ონომასტიკური ლექსიკა მშვენიერ მასალას იძლევა ენის ისტორიისა და თანამედროვე ეტაპის გამოსაკვლევად, ხშირ შემთხვევაში იგი წარმოადგენს მასალას სიტყვათა სემანტიკური ცვალებადობის, გრამატიკული აგებულებისა და ეტიმოლოგიური სათავეების წარმოსაჩენად. გვარებად გამოყენებულ საკუთარ სახელებში მრავალნაირი წარმოქმნილი ფორმა გვხვდება. მათ შორის საკმაოდ დიდ ჯგუფს ქმნის წარმომავლობა-სადაურობის სუფიქსებით გაფორმებული გვარები. მათში ჩაქსოვილი ტოპონიმური სახელები საყურადღებო მითითებებს იძლევა ისტორიული გეოგრაფიიდან და ფუძე ძირთა ფონეტიკური ვარიაციების სურათს გვიხატავს. ქართულ გვარებზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ უძველეს დროში ხმარებული ბევრი საკუთარი სახელი, რომლებიც დადასტურებულია ლიტერატურულ ძეგლებსა და ხალხური სიტყვიერების ნიმუშებში. ცნობილია, რომ ანთროპონიმები ხშირად საფუძვლად უდევს საგვარეულო შტოს დამწყებ პიროვნებათა ვინაობას (ი. მაისურაძე, 27,35). ქართულ თურქული ენობრივი კონტაქტების შედეგად ქართულ ონომასტიკონში დამკვიდრდა თურქული საკუთარი სახელები, რომელთა გამოვლენა ხელს უწყობს ნასესხებ სიტყვათა პრონციპების შესწავლას. ვინაიდან ქართულში ძველთაგანვე იყო გავრცელებული ადამიანთა თურქული პერსონული სახელები, ცხადია, რომ გარკვეული რაოდენობით დასტურდება მათგან წარმოქმნილი პატრონიმებიც (ნ. გურგენიძე, 140-148). სტატია წარმოადგენს ქართველ თურქოლოგთა შრომების გაგრძელებას იმ სფეროში, რომელიც მიზნად ისახავს მრავალსაუკუნოვან ოსმალურ-ქართული ურთიერთობების შესწავლას. ჩვენ დაგვიანტერესა 2009 წელს ორ ტომად გამოცემულმა ფუნდამენტურმა ნაშრომმა „1723 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“, რომლის ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევიდა და ფაქსიმილებით გამოსაცემად მოამზადეს პროფესორმა ნოდარ შენგელიამ და აკადემიკოსმა სერგი ჯიქიამ. ამ ნაშრომს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ პერიოდის საქართველოს სოციალურ ეკონომიკური, პოლიტიკური, ლინგვისტური, ონომასტიკური, ისტორიული გეოგრაფიისა და სხვა საკითხების შესწავლისათვის. სტატიაში განხილული და დადგენილია ქართულში ნასესხები თურქული ონომასტიკის აგების პრინციპები. განხილულ ანთროპონიმთა უმრავლესობა საკუთრივ თურქული

წარმოშობისაა, ნაწილი წარმოადგენს თურქულ – ქართული ფუძის მქონე კომპოზიტს. დავთრის მასალები გვაძლევს საინტერესო ცნობებს არა მხოლოდ ქართული, არამედ თურქული ონომასტიკონის შესახებაც, რომელთა შორის არის ისეთი პირველადი თურქული ანთროპონიმებიც, რომლებიც თვით თურქულშიც დავიწყებულია. განსაკუთრებით საინტერესოა მომრავლებულ თურქმანთა ტომებს შორის მოქცეულ თბილისის ვილაიეთში შემავალი ქართული სოფლების მოსახლეობის მდგომარეობა, რომლის ანთროპონიმებზე დაკვირვებამ საშუალება მოგვცა გავრკვეულიყავით ამ სოფლებში მცხოვრებ ქართველთა რაოდენობასა და მათ რელიგიურ მრწამსშიც. შევნიშნე, რომ ქართლის ვილაიეთში მცხოვრები სომხური და ებრაული სოფლების მოსახლეობის ანთროპონიმებზე არ იცვლება ნასესხობების თვალსაზრისით, არც სახელებს აქვთ მიწერილი 'ახლადგამუსლიმებული'. ქართულ სოფლებში კი სხვაგვარი მდგომარეობაა, აქ მრავლად არის ნასესხები ანთროპონიმი და რელიგიასაც ხშირად იცვლიან ამ სოფლების მაცხოვრებლები: აქ ხშირად ხდება, რომ ერთი ოჯახის ერთი წევრი ქრისტიანია, ხოლო მეორე (მისი ძმა) კი მუსლიმი, ან ახლად გამუსლიმებული. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ბევრი აღმოსავლური წარმოშობის საკუთარი სახელი დღეს არ არის აქტუალური, მაგრამ მათგან წარმოქმნილი პატრონიმები დღესაც აქტიურად ფიგურირებენ ქართულ ონომასტიკონში. განსაკუთრებით მრავლად გვხვდება წოდება – თანამდებობის შინაარსის შემცველი ანთროპონიმი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ პერიოდის საქართველოში, კერძოდ თბილისის ვილაიეთში ერთი ოჯახის წარმომადგენლები შესაძლოა იყონ ქრისტიანებიც და ისლამის რელიგიის წარმომადგენლებიც, მაგალითად: ელიზბარ ძე ზაალისა აზნაურია, მეჰმედი ძმა მისი – ახლად გამუსლიმებულია (დავთარი I, 40), ზაჯია ძე ვარდანისა, დავით ძე მისი, აჰმედი ძმა მისი – ახლად გამუსლიმებულია (დავთარი I,315), შაჰბუდაქი ძე ესტატესი (დავთარი I,73) ჰაკვერდი ძმა ოთარისა (დავთარი I,390), შაჰვერდა ნიკოლოზის ძეა (დავთარი I,290) და ა.შ. ანთროპონიმები დაყავით მარტივ და რთულფუძიანებად. აქ განსაკუთრებით ჭარბობს წოდება-თანამდებობის პირთა სახელები.

1. მარტივფუძიანი საკუთარი სახელები.

ეპონიმურ ანთროპონიმებს მივაკუთვნებთ ისეთ ანთროპონიმებსაც რომელთაც მეტსახელები უდევთ საფუძვლად. მარტივ ფუძიანებში ჭარბობს საკუთარი სახელი **'ბერდია'** (დავთარი 136, 517,518, 383, 157) <T. ზმნის *vermek* (ფუძე *ver*)=მიცემა, სახელად არქმევდნენ ბავშვებს, რომლებიც ღმერთის მიერ ბოძებულად თვლებოდა (<*verdi*=მომცა); აქედან პატრონიმი 'ბერდიაშვილი'; **ბაინდური** (128,287,284,324,387, 389,513,359) მისი სახეცვლილი ფორმა, ბაჰადირი, ბაჰადური (520, 337,329), აქედან ქართ. საკუთარი სახელი ბაადური და პატრონიმები ბადურაშვილი, ბაინდურაშვილი:<თურქ-სელჯუკთა ერთერთი ბაინდურის (<*Bajandur* – მდიდარი) ტომის სახელწოდებიდან. შემორჩენილია *patronimic* ბაინდურაშვილი (გომარეთი, დმანისი); **გელია** – ძე ოქროპირისა (517), მახარა ძმა **გელიასი**(381), გელია ძე დათუნასი (387), გელია ძმა შოშიასი (363), გელია ძე ბასითასი (297), გელია ძე აზიათარისა (135) <თურქ. ზმნის *gelmek* (მოსვლა), ფუძე *gel*= 'მოდი'. ამ სახელსაც ნანატრ ახალშობილს არქმევდნენ; იგივე ანთროპონიმი შეგვხვდა

გელდიას ფორმითაც, რაც ნიშნავს: 'უკვე მოვიდა, მოსულია' (geldi-მოსვლა ზმნის ნამყო დროის III პირის ფორმა). ასევე ნამყო დროის III პირში გვაქვს საკუთარი სახელი **ალდიმ** ძე კოგინასი (366) <თურქ. ზმნა almak=ალება, ყიდვა, **aldim** კი ნიშნავს 'ვიყიდვ'. ასე არქმევდნენ ახალშობილს, რომ ავი თვალისგან დაეფარათ; **ბირადერი** – ოსიტა ძმა ბირადერისა (301)<T. birader-ძმა; ბერუა ძე **ალთუნისა** (331)<თ. **altin**-ოქრო; აქედან გვაქვს ჩვენამდე მოღწეული პატრონიმი ალთუნაშვილი. როგორც თურქულ, ასევე ქართულ ანთროპონიმსა თუ მისგან წარმოქმნილ პატრონიმში შემორჩენილია სიტყვის ძველთურქული ფორმა: altun და არათანამედროვე სალიტერატურო თურქულის altin; **გირსუნი** – ძე იორგასი (136). ეს საკუთარი სახელი წარმოადგენს თურქული ზმნის ბრძანებითი კილოს III პირის მხოლოდითი რიცხვის ფორმას, ნიშნავს 'შემოვიდეს!'; **გოზალი** – ბერი ბერი ძე ძმა გოზალისა (238)<თურქ. güzel – ლამაზი; აქედან ჩვენში დამკვიდრებული პატრონიმი გოზალიშვილი; **გუნლიკა ძმა** შოშიასი (363) <თურქ. Günlük – დღიური, ყოველდღიური; **დევირა** – სარგის ძედევირასი (517) <თურქ. Ddevir-დრო, ეპოქა; **დეველეთა// დოველეთა** – **დოვლათა** ძებერისა (238), ზიგხანი ძედეველეთასი (243), დეველეთა ძე მამისიასი (162), დოვლათა ძე ბუჰსარასი (163) <არ.თ.devlet – 1. **სახელმწიფო**, იმპერია, 2. **კეთილდღეობა**, ბედნიერება, სიუხვე; **დოლმაზა** – გიორგი გიორგი ძმა დოლმაზასი (285)<თ. ზმნისdolmak (=გავსება, გადავსება), აწმყო განუსაზღვრელი დროის უარყოფითი ფორმის III პირი, ნიშნავს 'არ აივსება' ანუ გაუმაძღარია; აქედან დღესაც გვაქვს პატრონიმი დოლმაზაშვილი; **დუნიაბერი** ძე დუნიასი (309), დუნია ძე თამაზასი (310) <არ.თ.dünya – სამყარო, ქვეყნიერება; დური – ძე გოჩასი (305), დური ძმა თამაზისა (319) <თ. ზმნის durmak – გაჩერება, შეჩერება, ფუძე ,dur'. ამავე ძირისაა საკუთარი სახელი 'დურმიშხანიც' (dur-muş-გაჩერებული + han ხანი, ბატონი); თაბათა – ძე გაბრიელისა (330). < თ. არ. tabiat-ბუნება, ხასიათი, ზნედაა. შდრ.; თოფალი – **კაზარა ძე** თოფალისა (526) < თ. topal – კოჭლი; კორკმაზი – **კორკმაზ ძე დავითისა** (71), **აბრამა ძე კორკმაზისა** (357)<თურქ. ზმნის korkmak (შეშინება, შიში), აწმყო განუსაზღვრელი დროის III პირის უარყოფითი ფორმა korkmaz – უშიშარი; საჰიბა-**საჰიბა** ძმა ნონიასი (244)< არ.თ. sahip(bi) – პატრონი, მებატონე, მფლობელი; **სალირა** – სალირა ძე დათუნასი (522), სალირა ძე ბერუკასი (306), დათუნა ძე სალირასი (517); სახელი უდაოდ მეტსახელს წარმოადგენს, ვინაიდან სიტყვა თურქული წარმოშობისაა და ნიშნავს 'ყრუს' (<თ. sağır-ყრუ); შდრ. პატრონიმებისალირაძე, სალირაშვილი. საკუთარ სახელად იშვიათად გვხვდება გეოგრაფიული მდებარეობის აღმნიშვნელი სახელები: თაჰრანი – **ბერდია** ძე თამაზასი, თაჰრან ძმა მისი (518), თაჰრან კი ირანის დედაქალაქის თეირანის სპარსული სახელწოდებაა: თ. **Tahran** – თეირანი. ბუდაკა **ბუდაკა თამაზას ძე, ბუდაკასი** (238) <თ.budak – ტოტი, შტო; ბადემი – **ბადემი ძე** ბერისა (138) <სპ.badem = ნუში; შერქმეულ სახელებს განეკუთვნება აგრეთვე კაბაკა – **ათალი** ძე კაბაკასი (238) <თ. kabak-გოგრა; **ავშარ** ძე თამაზისა (342), თაჰრანის მსგავსად ეს საკუთარი სახელიც მოსახელის ეთნიკურ წარმომავლობას ეხება, როგორც ცნობილია, ავშარები იგივე Afşar-ი ეწოდებოდა თურქულენოვან ტომს, რომელიც სახლობდა ირანის ჩრდილოეთით და ანატოლიის სამხრეთით (<Avşar// afsar); ასევე ეთნიკური წარმომავლობისაა ანთროპონიმი გურჯია – **გურჯია** ძე ზაალისა (319); ლევენდი – **ლევენდი** ძმა ოთარა-

სი (296), ლევენტა ძე ბათასი (296) <თ. levent – 1. ისტ. ასე ეწოდებოდა მეზღვაურს, იანიჩართა კორპუსის წევრს ოსმალეთში; 2. მეორე მნიშვნელობით კი, წარმოსადგესა და ლამაზს ნიშნავს; აჯილა – აჯილა ძე ზოჰრაბისა (287) <თ. acik (ჭი)-დარდი, ნაღველი, სიმწარე; ყაზარა ძე ბერუასი (284) <არ.სპ. Kazara – შემთხვევითობა, მოულოდნელობა; თაყა – ავთანდილ ძეთაყასი (77), თაყა ძე მისი (78) <თურქ. tek – ერთადერთი, ერთი; აქედანვე უნდა იყოს წარმოქმნილი პატრონიმი 'თაყაიშვილი'. ბათიჰა – ბათიჰა ძე ხალიფასი (302) <სავარაუდოდ ეს არის თურქ. სიტყვა batik – ჩაძირული; ალია – ალია ძე პეტრესი (518) <თ.ანთრ. Ali, რომელიც ნიშნავს უმაღლესს, ამაღლებულს; გუნლიკა – გუნლიკა ძმა გელიასი (360) <თ. gūnlük – დღიური, ერთდღიური, ყოველდღიური; ჰალილი – შოშიკა ძე ჰალილისა (136) <არ. Halil – კანონიერი ქმარი; მეჰმედი – მეჰმედი ძმა ელიზბარისა, ახლად გამუსლიმებული (140) <არ. საკუთარი სახელი Mehmed; ჯიჰადი – ბერია ძე ჯიჰადისა (513) <არ. cihat(-di) – რელ. წმინდა ომი მუსლიმანობის გასავრცელებლად; ფირალა – ფირალა ძმა გიორგისა (381) <არ. Firari – გაქცეული, დეზერტირი; აჰმედ – აჰმედ ძმა დავითისა (ახლად გამუსლიმებული, 315) <არ.საკ. სახელი Ahmet.

2. შერქმეულ კომპოზიტიურ ანთროპონიმებში

მეორე კომპონენტად ყველაზე ხშირად გვხვდება თურქული ზმნის vermek (მიცემა) ნამყო დროის III პირი: verdi – მოგვცადა ბერდიას (<verdi) მსგავსად უმეტესად არქმევდნენ ბავშვებს: შაჰის მოცემული, ალაჰის მოცემული და ა.შ. ამ ფორმით უმეტესად გვხვდება ანთროპონიმი **შაჰვერდი**, სხვადასხვა ვარიანტებით 'ჰ' თანხმონის დაკარგვით: შავერდი ძე მახარასი (377), შავერდა ძე მამუკასი (379), შაჰვერდა ძმა მურადისა (288), შაჰვერდა ძე ივანესი (381), ნიკოლოზ ძე შაჰვერდასი (290) <თ.სპ. şah verdi – შაჰმა მოგვცა; აქედანვეა პატრონიმი შავერდაშვილი, შახვერდაშვილი და სავარაუდოდ შავერზაშვილიც; ასევე მრავლად გვხვდება ანთროპონიმი **ალაჰვერდი**, ალაჰვერდი ძე თამაზისა (524), ამირ ძე ალაჰვერდისა (73), ალაჰვერდი ძმა სიმონისა (73), სარგის ძე ალაჰვერდისა (524) <თ. არ. Allah verdi – ალაჰმა მოგვცა; აქედან პატრონიმია ლავერდაშვილი, რომელიც ჯერ კიდევ 1799 წლის ძველი საბუთების დედნების კოლექციაშია დაფიქსირებული (დოკ. VI); **ჰაკვერდი ძმა** ოთარისა (393), ჰაკვერდი ძესიმონისა (74) მუსლიმია; ჰაკვერდა ძე მამუკასი (379), დავით ძე ჰაკვერდისა (75) <არ. თურქ. hak – ჭეშმარიტება, სიმართლე (ანუ ღმერთი) + თ.verdi – მისცა, ანუ ღმერთმა (ჭეშმარიტმა) მისცა; აქედან პატრონიმი ახვერდაშვილი, ახვერდოვი (1809); შერქმეულ ანთროპონიმებს მივაკუთვნებთ აგრეთვე შემდეგ საკუთარ სახელებს: **აჩიკბაში** – სენნია ძე აჩიკბაშისა (321), ივანე ძე აჩიკბაშისა (330) <თ. acik – ღია, შიშველი baş-თავი მისი = შიშველი თავი მისი; **შაჰბუდაქი** – ესტატე ძე შაჰბუდაქისა (73) <თ. სპ. şah+ budak – შტო, ყლორტი ე.ი. შაჰის შთამომავალი, მისი შტოსი.

3. წოდება – თანამდებობის შინაარსის შემცველი პატრონიმები.

როგორც ცნობილია, XVI საუკუნიდან ქართლში შემოდის შაჰის ან სულთნის კარის მოხელეთა თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინები, რომლებიც მიუთითებენ ქართლის და ოსმალურ ირანული წესწყობილების გარეგნულ მსგავსება-

ზე. დროთა განმავლობაში ეს სამოხელეო თუ სოციალური ტერმინები საფუძვლად დაედო ჯერ ქართულ ანთროპონიმებს და შემდგომ პატრონიმებსაც. ამ ანთროპონიმთა ფუძეს ძირითადად წარმოადგენენ თურქული სოციალური ტერმინები: ბეგი, ხანი, სულთანი, ყულუ, ალა და ა.შ.ეს მდგომარეობა სათანადოდ აისახა თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარშიც.

4. **ბეგი** – ათაბეგ ძე დავითისა (73), ათაბეგ ძე კაზარისა (524), რევაზ ძმა ათაბეგის (517) <თ. ata – მამა + bey – თავადი, ფეოდალი; აქედან პატრონიმი ათაბეგაშვილი, ათაბეგოვი, ბეგაშვილი, ბეგოძე, ბეგიაშვილი და სხვ. **ხანი** – **კარახან ძე** რევაზისა (კირაკოზის, 524) <თ. kara-შავი + ისტ. han – xani; დოვლან ძე ულუხანისა (521) <თ. ulu – წარჩინებული, უმაღლესი, ბრწყინვალე + han; ბეჯან ძე ფირხანისა (381) <თ. Pir – მამამთავარი, გვარის ფუძემდებელი (pirhan); დათუნა ძე ფირჰანისა (368).

5. ცალკე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ იმ პერიოდის ნასესხებ საკუთარ სახელებად ხშირად გამოყენებულია ზმნის ესა თუ ის ფორმა: **გელდია** (<T.gelmek, ფუძე gel+di ნამყო დროის III პირის მხოლოდითი რიცხვი); **გირსუნი** (<თ. Girmek-შესვლა, ფუძე gir+ ბრძანებითი კილოს III პირის მხ. რიცხვის აფიქსი – sin) – სიტყვასიტყვით “შემოვიდეს”.

6. **გელია // გელდია**, ასევე თურქ. gelmek ზმნის ფუძეს წარმოადგენს :gel+ di-ნამყო დროის III პირი; **დოლმაზა**<თურქ. ზმნის **dolmak**(gavseba) – ფუძიდან, **dolmaz**-არ აივსება; **დური** – თ. ზმნიდან **durmak** – **გაჩერება**; კორკმაზი, დოლმაზას ანალოგიურად აწმყო განუსაზღვრელი დროის III პირის ფორმაა და წარმოადგენს korkmak (შიში, შეშინება) ზმნის ფუძეს **kork**.

დაფიქსირდა აგრეთვე რამდენიმე ანთროპონიმი, რომლებიც პირის ეთნიკურ წარმომავლობაზე მიუთითებენ: **ავშარა** <თურქულენოვანი ტომის სახელწოდებიდან **Afşar**, **გურჯია**, **Gürcü** – ასე უწოდებენ თურქები ქართველებს, **Gürcistan** – **საქართველო**, **Tahrani**<**Tahran** ირანის დედაქალაქი თეირანი და ა.შ.

დამოწმებული ლიტერატურა

1. შენგელია, ნ. 1723 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი II, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით და ფაქსიმილურებით, გამოსაცემად მოამზადეს აკად. ს. ჯიქიამ და პროფ. ნ. შენგელიამ. თბილისი, 2010.
2. მაისურაძე, ი. ქართული გვარსახელები, სემანტიკა, სტრუქტურა, ეტიმოლოგია. თბილისი, 1979.
3. გურგენიძე, ნ. თურქულიდან ნასესხებ პატრონიმთა სტრუქტურისა და სემანტიკისათვის ქართულში. დიალექტოლოგიური ძიებანი, თბილისი, 2016.
4. *Türkçe Sözlük*. ანკარა, 1979, 2005, 2011.
5. Баскаков Н.А. Русские фамилии турецкого происхождения. Москва, 1979.
6. ლლონტი, ალ. ქართველური საკუთარი სახელები. თბილისი, 1967.

ნუნუ გურგენიძე, ლუიზა რუნაძე

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკის შესახებ ქართული ენის ქართლისა და კახეთის დიალექტებში

როგორც ცნობილია, არსებობის მანძილზე სალიტერატურო ენა საზრდოობდა დიალექტებით, რომლებითაც ქართული ენა საკმაოდ მდიდარია. იმ დიალექტთა შორის, რომლებშიც დაცულია ძველი და ახალი ლექსიკური ფორმები და ენობრივი მოვლენები მთავარი ადგილი უჭირავს ქართლურ და კახურ დიალექტებს. ამ დიალექტებისადმი ენათმეცნიერული ინტერესი დიდი და მრავალმხრივი. ქართლურისა და კახურის მნიშვნელობა ქართული სამწერლობო ენის განვითარების ისტორიისა და ისტორიული დიალექტოლოგიის შესწავლისათვის მეტად მნიშვნელოვანია. ქართლურისა და კახურის გრამატიკულ – ლექსიკური თავისებურებანი საკმაოდ ფართოდ არის წარმოდგენილი ქართლსა და კახეთში შედგენილ ისტორიულ დოკუმენტებში – სიგელ გუჯრებში, რომლებმაც დღევანდლამდე საკმაოდ რაოდენობით მოაღწიეს. აღსანიშნავია, რომ ეს საბუთები, თუმცა სხვადასხვა ხნოვანებისაა (XIV-XVIII ს.ს.) და ქართლისა და კახეთის სხვადასხვა ადგილასაა შედგენილი, მათი ენობრივი თავისებურებები თითქმის ერთნაირია და არ განსხვავდება დღევანდელი ქართლურისა და კახურის თავისებურებებისგან (გიგინეიშვილი, 267).

ქართული ენის კილოთა შორის ქართლური და კახური ყველაზე უფრო მსხვილი დიალექტური ერთეულებია. ქართლურს უჭირავს საქართველოს ცენტრალური (შუაგული) ადგილი და ვრცელდება კახეთიდან იმერეთამდე, ე.ი. არაგვისა და მტკვრის ხეობიდან ლიხის მთამდე. ისტორიული ქართლი კიდევ უფრო მეტ ტერიტორიას შეიცავდა, სახელდობრ, ჩრდილოეთით – ხევსა და მთიულეთს, სამხრეთით – მესხეთ-ჯავახეთს (სამცხე-საათაბაგოს) და დასავლეთით – ზემო იმერეთს. თუმცა ამჟამად ქართლური დიდ მანძილზეა გავრცელებული, იგი შედარებით მთლიანია და არ იყოფა თვალსაჩინოდ განსხვავებულ დიალექტებად. ქართლი არაა მხოლოდ ქართველებით დასახლებული. მათთან ერთად შიგადაშიგ სოფლებში სახლობენ სხვა დიალექტთა წარმომადგენლები: იმერლები, ნაწილობრივ გურულები ხაშურისა და ბორჯომის რაიონებში, მოხევეები, მთიულეები, ხევსურები, კახელები. განსაკუთრებით ნარევი ამ მხრივ დუშეთის რაიონის მოსახლეობა. თუმცა მოსახლეობის ასეთ სიჭრელეს არ გამოუწვევია ქართლის მცხოვრებთა დიალექტურ მეტყველებაში არსებითი ცვლილებები (გიგინეიშვილი, 272). ქართლური დიალექტი დიდი ხნის განმავლობაში და მრავალმხრივად შეისწავლებოდა ჩვენი დიდი ენათმეცნიერების ვარლამ თოფურიას, ა. შანიძის, ი. გიგინეიშვილის, ი. ქავთარაძის, შ. გაფრინდაშვილის, რ. იმნაიშვილის და სხვათა მიერ, მაგრამ ამ დიალექტის მონოგრაფიულად შესწავლას საფუძველი ჩაეყარა ვ. თოფურიას ნაშრომით „ქართლური“, რომელიც დაიბეჭდა 1925 წელს ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილ კრებულში „არილი.“ ამ გამოკვლევაში წარმოდგენილია ქართლურისთვის დამახასიათებელი ყველა თავისებურება თანამედროვე სალიტერატურო ქართულ ენასთან და და სხვა დიალექტებთან შედარებით.

ზოგი საკითხი კი განხილულია ძველ ქართულთან მიმართებით. აქვე ვრცლად არის დახასიათებული ქართლური დიალექტის ბგერითი შედგენილობა, ფონეტიკური მოვლენები (ასიმილაცია-დიდიმილაცია, მეტათეზისი, ბგერის დაკარგვა, ბგერის ჩართვა, ბგერათა სუბსტიტუცია, კომპექსთა მონაცვლეობა და მორფოლოგიურ – სინტაქსური – თავისებურებანი. ამ და სხვა ქართველოლოგთა ნაშრომებიდან ირკვევა, რომ ქართლური თავისი ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსური მოვლენებით ახლოს დგას სხვა აღმოსავლურ კილოებთან, მაგრამ მასში გამოიყოფა ისეთი თავისებურებანიც, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა კილოებისაგან. ამ თავისებურებების დაწვრილებით შესწავლის მიზნით დღემდე ჩატარებულია დიდი და მნიშვნელოვანი სამუშაოები და შეიძლება ითქვას, რომ სხვა ქართული დიალექტების მსგავსად ქართლური დიალექტიც მეტნაკლები სისრულითაა შესწავლილი. იგივე შეიძლება ითქვას კახურ დიალექტზედაც. იგი ქართლურის შემდეგ ქართული ენის ყველაზე უფრო გავრცელებულ დიალექტთაგანია. იგი კახეთის ძირითადი მოსახლეობის მეტყველებას წარმოადგენს და გავრცელებულია თბილისის გარეუბნის, საგარეჯოს, კაჭრეთის, გურჯაანის, თელავის, ახმეტის, ყვარლის, სიღნაღის, ლაგოდეხისა და წითელწყაროს რაიონებში, ნაწილობრივ თიანეთის რაიონშიც (ა. მარტიროსოვი, 10.) მიუხედავად იმისა, რომ კახეთში ბინადრობენ სხვა ქართულ კილოთა წარმომადგენლებიც, კახურ დიალექტს სხვა კილოთა ძლიერი გავლენა არასოდეს არ განუცდია (ივ. გიგინეიშვილი, 177). ქართლური და კახური დიალექტების უფრო ჩაღრმავებული კვლევა-ძიება ქართული ენათმეცნიერებისთვის ოდითგანვე მეტად აქტუალურ საქმედ ითვლებოდა, ვინაიდან როგორც ქართულის დასავლურ დიალექტებში ასევე აღმოსავლურშიც, სალიტერატურო ენის გავლენა დიალექტებზე თანდათანობით ძლიერდებოდა (ალ. ლლონტი, 8) და როგორც ონომასტიკაში, ასევე თვით დიალექტებშიც საკმაო რაოდენობით ვხვდებით სხვადასხვა ხასიათის აღმოსავლურ ლექსიკას. მაგალითად კახეთში მევენახეობა სოფლის მეურნეობის ერთერთი წამყვანი დარგია, ამიტომაც კახური მდიდარია ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკით, მისი მოვლა-მოშენების, ღვინის დაყენების ტერმინებით. ახალქალაქის, ასპინძისა და ახალციხის რაიონებში უფრო მეტად მესაქონლეობაა განვითარებული და სიტყვათა სესხებასაც ამ ქართლურსა და უფრო მეტად კახურ დიალექტებში, (იმ რაოდენობით არა დარგში უფრო მეტად ვხვდებით. ამ თვალსაზრისით ქართლის რაიონებში სინტერესო ჩანს მეზაღვლეობა – მეხილეობასთან და მარცვლეულ კულტურასთან დაკავშირებული სპეციალური გამოთქმები და ტერმინები და ა.შ. ყურადღებას იქცევს აგრეთვე სხვა სამეურნეო და საოჯახო საქმიანობის ამსახველი ლექსიკა, ხელოსნობასა და ნადირობასთან დაკავშირებული სიტყვები, შრომის იარაღების სახელწოდებები, მცენარეთა სახელები, ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები, საჭმელ-სასმელთა და ჭრა-კერვის სახელები, ჩაცმა-დახურვის, საბავშვო ხალხურ გასართობათა სახელების ლექსიკა, სხვადასხვა ნაგებობათა და საზომ ერთეულთა სახელები, სხვადასხვა საწესო ჩვეულებათა გამომხატველი გამოთქმები და სხვა მრავალი. ამ საკითხებთან დაკავშირებული ნასესხები ლექსიკის მოსაძიებლად დავამუშავეთ მეტად მრავალფეროვანი ლიტერატურა. თვით ეს დიალექტები (ქართლური და კახური) სრულყოფილად არის დამუშავებული ქართველოლოგიური თვალსაზ-

რისით ისეთი ცნობილი ენათმეცნიერების მიერ როგორებიც იყვნენ აკაკი შანიძე, ვარლამ თოფურია, ივანე გიგინიევილი, ივანე ქავთარაძე, შ. გაფრინდაშვილი, რ. იმნაიშვილი, მაგრამ ნასესხობების თვალსაზრისით ეს დიალექტები არ არის შესწავლილი, თუმცა ყველა ზემოთხსენებული მეცნიერი აღნიშნავდა არა მხოლოდ მეზობელი დიალექტების, არამედ მეზობელი ქვეყნების დიალექტთა გავლენის შესწავლის აუცილებლობასაც. სწორედ მეზობელი ქვეყნების დიალექტთა გათვალისწინებით შევეცადეთ ეს საკითხი შეძლებისდაგვარად შეგვესწავლა და წარმოგვედგინა წლიური ნაშრომის სახით (80 გვერდი). თემა გარდამავალია. ვინაიდან ქართული ენის ქართლისა და კახეთის დიალექტებში აღმოსავლური ენებიდან ბევრი ნასესხობაა შემორჩენილი, გადავწყვიტეთ მათი საერთო ჭრილში განხილვა, თუმცა თითოეულ ნასესხობასთან დაკავშირებით მივუთითებთ თუ რომელ მათგანში არის დადასტურებული ესა თუ ის ნასესხობა.

I – სასოფლო სამეურნეო და საოჯახო ნივთების აღმნიშვნელი ტერმინოლოგია:

ალათა (<არ. თ. alet) – ქართლ. ‘საცა მარცვალ ჩაყრიან ხვიმირი ქვიან, მარცვალი ჩამოდის, კრიჭაში გამუა, წისქვილი ყელში ჩადის, იფქვება, ფქვილი **ალატაში** ჩადის’ (ქ. დიალ., 274). ალატა<თურქ. Alet – იარალი, ისტრუმენტი, რაიმე ხელსაწყოს ნაწილი (მუსტ.).

ზარფუხ-ი-ზარფუში (< სპ. serpus) – კახ. ზარფუში, ხუფი, სახურავი საარაყე ქვაბისა (დიალ., კახ., 605); ეს სპარსული წარმოშობის სიტყვა სალიტერატურო ქართულშიც არის დამკვიდრებული „მაღალი თავსახურავი, სარქველი, ხუფი (ჩვეულებრივ სპილენძის ქვაბისა), საარაყე ქვაბის ზარფუში (ქეგლ., 230); < სპ. თურქ. Serpus – თავსაბურავი (მუსტ., TS).

თანგირა (ქვაბი) – (<თურქ. tangir) – კახ., ქიზიყ., ‘მეც კაი ჭედილა მყვანდა და იმ წინა დღით დეერემა დამაკვლევინა, თანგირა ქვაბში მშრალათ მამიხარშა და სახნავზე გამატანა’ (ქ. დიალ., 212); თანგირა ქვაბი – შუათანა ზომის საშეჭამანდე ქვაბი თუჯისა (კახ. ლექსიკ., 606). სალიტერატურო ქართულში – თანგირა – სპილენძის მოზრდილი ქვაბი, ფართოძირიანი (ქეგლ., 237). სიტყვა თურქული წრმომავლობისაა, ეს არის ხმაბაძვითი სიტყვა **tangir** = ჟღარუნით, ხმაურით, ჟღრიალით, ბრახუნით (მუსტ., ჩლ., TS). სიტყვის მნიშვნელობა გადაწეულია, ვინაიდან თანგირა ქვაბი სპილენძის ან თუჯისაა, რა თქმა უნდა გამოყენებისას იწვევს ხმაურს, ჟღარუნს და ა.შ.

თოხმახ-ი – ქართლ. – სიმინდის საცეხავი კეტი, აქვს მსხვილი მოხრილი თავი, თოხმახსა ტარი ცოტა მოგრძო აქ და ბოლო მორკალული; ჩაყრიან ტაროებსა, დაუწყებენ თოხმახით ბეგვასა (კავთ.)< თურქ. **tokmak** – ხვედა, კვერი, ჩაქურჩი.

კორაქ-ი// კორაკ-ი(<თურქ. **koru**) ქართლ. < ზმნის **korumak** – დაცვა, ფუძე **koru**+სიტყვათმაწარმოებელი აფიქსი – **k, u**<ო კი ასიმილაციის შედეგია): კორაქი (კორაკი) უღელსა აქვს, ტაბიკსა აპეურს უჭირამენ (ქ. დიალ., 273); კორაქი – უღლის ნახვრეტები, ტაბიკები ჩასაყრელად (ქ. დიალ., კახ. 638).ე.ი. კორაქი იცავს ტაბიკს (აპეურს უჭირამს).

ყოში (**თურქ. koşa**) – ქართ., კახ.: ფქვილ იღებენ ტომრებში ყოშით (დიალ., 219); ყოში – მარცვლეულის ან ფქვილის ასაღები პატარა ნიჩაბი (ლექსიკ., 610). თურქული წარმოშობის სიტყვა *kişa* ნიშნავს 'წყვილს, ტყუპს, წყვილად შეტყუპებულს' (ჩლ., 871); თურქულ დიალექტებშიც არის სიტყვა *kiş*, რომელიც ჩაღათაურში, ყირგიზულში, ყაზახურსა და მონღოლურში ნიშნავს წყვილს (*xış*), ხოლო ძველ თურქულში კი *kuş* – ღვინით სავსე წყვილ თასს აღნიშნავს. შდრ. რუსულის მიერ თურქული ენებიდან ნასესხები სიტყვა *кош* – ციცხვი, ჩამჩა, აზარფეშა.

ლატა// ლაიტი // ლარტყა (**თურქ. Lata**) კახ. 'ერთ ადგილად ეჭუნტა ლაიტეზისგან გაკეთებული აყალოთ გაღესილი ქოხი' (კახ., დიალ. 221); ლარტყა – ლატას ვეძახით (დიალ. კახ., 360); ქართლ. ლატა – გრძელი წვრილი ხე, ჭოკი; კახ. ლაიტი ლასტი, წნელისგან დაწნული ჩელტი (ლექსიკ., 606). ლატა<თურქ. Lata – გრძელი, წვრილი ფიცარი, ყავარი, თამასა (მუსტ., ჩლ.).

ტარალ-ი//ტარულ-ი (<turk.tarak) – ქართლ. – ქვის სათლელი იარაღი, ტაგარი (იმნ.,160) < თურქ. tarak – 1.(ქვისმთლელის) ღოჯი, თეგი; 2. საჩეჩელი, 3. სავარცხელი; 4. ფარცხი, ფოცხი; 5. მიწახაპია. შდრ. აზერბ. Tağar.

ყამა – ქართლ. დიდი ხანჯალი, უყამო – გადატ. ძალაგამოლეული, უღონო. გადატ. უყამო – ქალია, მიმღრძვალი, აბა, რა შეუძლია იმასა (დიალ.,) < თურქ. kama – 1. სოლი 2. ყამა, ხანჯალი, დანა.

ყამიში , ქართლ. დუღუკის ნაწილი, ჩასაბერი მილი ლერწმისა. დუღუკის მთავარი ნაწილია ყამიში, ის უკრამს (კოდ.). ყამიშიანი – ნაყოფიერი, მოსავლიანი (მიწა). ყამიშიან მიწას ეხლაც ეძახიან სუქან მიწასა (დიალ., 234).< თურქ. Kamyş – ლერწამი, ლელი (ჩლ.)

ჩამჩა (**თურქ. Çamçak**) – ქართლ. ხის სახელურიანი წყლის ჭურჭელი. თურქულში დასტურდება იგივე მნიშვნელობით სიტყვა *çamçak*//დიალექტებში *çömçek* – ციცხვი, ჩამჩა (TS, ჩლ.).

ჭრაქი (**თ. çırak**) – ქართლ. ჭრაქი: 'ჩვენ დროსა სინათლე არ იყო, იყო ქონის სანთელი, კვარი იყო ჭრაქი' (280), 'ჭრაქს გრძელი ცხვირი ქონდა ესრე და პატრუქი იყო შიგ' (280). სალიტ. ქართულში ჭრაქი – უმარტივესი გასანათებელი მოწყობილობა. შედგება ნავთის ჩასასხმელი ჭურჭლისა და პატრუქისგან; იყენებდნენ ძველად (ქეგლ., 572). < თურქ. Çırak-სანთელი, ლამპარი, ნათურა (ჩლ. მუსტ.)

ჩეკი, კახ. (<თ. Çekilmek ზმნის ფუძიდან *çek*) – 'გუთნი ბარ როცა ლაფი ეედებოდა, ჩეკით იფხეკამდა ხოლმე ჩვენი გუთნიდედა' (დიალ., 213); ჩეკი – გუთნის საფხეკი რკინისა, გრძელტარიანი, იხმარება გუთნის ბარისა თუ ფრთისათვის ტალახის ჩასაფხეკად (დიალ, 611); <თურქ. Çekel – პატარა თოხი (ჩლ., I, 252).

ხვიმირ-ი (<თ. homur, homurdamak) ქართლ. – ხვიმირი – წისქვილის ნაწილი (დიალ. 645) თურქ.<homurda(n)mak – სიტყვას სხვა მნიშვნელობებთან ერთად ხმაურის, ბრაზუნის , მნიშვნელობაც აქვს, რაც პირდაპირ უკავშირდება წისქვილის ხსენებული ნაწილის თვისებას, ხვიმირის – ვი<ი კი ჩვეული მოვლენაა თურქულიდან ქართულის მიერ ნასესხები სიტყვებისათვის. შდრ. გვირჯისტანი < gürcistan, ქოქვი<kök და ა.შ.

ჯამბარა (<თურქ. çember) კახ. – გუთნის ნაწილია; დიდი ჯაჭვი, რკინის ჭაპანი (დიალ., კახ., 612); 'ჯამბრებით გადაბმული უღლები და გუთანი ან მარჯვენა ნაფთევში რჩებოდა, ან მარცხენა თავში, იმი მიხედვით, თუ საქონელი საძოვარისა უფრო კარგი იყო' (დიალ., 212). დამკვიდრებულია სალიტ. ქართულში: ჯამბარა – ჯაჭვი ან საგანგებოდ დაწნული ღვედი ყვეარი ხარის მისაბმელად ურემზე, გუთანზე (ქეგლ., 586). სიტყვა არაბულ-თურქული წარმოშობისაა და სხვა მნიშვნელობებთან ერთად ნიშნავს: <არ. თურქ. çember – სალტე, რგოლი, რკალი; რკინის რგოლი – tekerlek çemberi-ბორბლის არტახი (TS, 176, ჩლ., I).

ჯელი – კახ., (<çelik-ği)-ჯელი ეწოდება იმ თავთავს, რომელიც გაულეწავი რჩება, ის მოქუჩბული ჯელი უნდა გაგატარდეს ცხავში (დიალ. 185); ჯელი-გალეწვის შემდეგ ხვავში დარჩენილი გაულეწავი თავთავები (ლექსიკ., 612); 'ერთი დედაკაცი იდგა, უსურავებს ცოცხით, ჯელს აქუჩებს' (დიალ., 185). სავარაუდოდ, ეს არის თურქული წარმომავლობის სიტყვა: çelik (-ği) – 1. მოკლედ მოჭრილი ტოტი; 2. ბოტ. კალამი, რქა, ლერწი (ჩლ., I, 258); ენათმეცნიერებაში, კერძოდ, ფონეტიკაში <c, k> ცვლილება სრულიად კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენს. ასევე ლექსიკოლოგიისთვისაც უცხო არ არის სესხებისას სიტყვის მნიშვნელობის გადაწევა (ჯელი – გაულეწავი თავთავი, çelik – კალამი, რქა ლერწი < მოკლედ მოჭრილი ტოტი).

II – ზომა – წონის აღმნიშვნელი ტერმინოლოგია:

არშინი (<თ. Arşın) – (საკირის) ზედა უღელი უნდა იყოს არშინი და სიგანე არშინი და ერთი ჩარეტი. არშინის მეოთხედი არის ჩარეტი. არშინი < თ. Arşın=დაახლ. 0,68 სმ.

მინდი – კახ. (<არ. თ. Minnet): დაფქვის საფასური მარცვლის სახით (დიალ., 339). ჩვენი ვარაუდით, ეს სიტყვა არაბული წარმომავლობის სიტყვის ანალოგი უნდა იყოს <minnet – მადლიერება, წყალობა, მადლი, მოვალეობის შეგნება კეთილი საქმის ჩადენის გამო. ეს სიტყვა ამ მნიშვნელობით მხოლოდ კანეთსა და ქართლში არ გამოიყენება, იგი სხვა ქართულ დიალექტებშიც გვაქვს (გურული, აჭარული, იმერული, ასევე მეგრულშიც). წისქვილში სიმინდს ან ხორბალს რომ დააფქვევინებდნენ მადლიერების ნიშნად აუცილებლად უტოვებდნენ მარცვლის გარკვეულ ნწილს, რასაც მინდი ერქვა. ქართულის მიერ სესხებისას არაბულ სიტყვაში დაკარგულია ხმოვანი ,e' ბოლოკიდურმა ყრუ ,t' თანხმოვანმა მოგვცა თავისივე მჟღერი მეწყვილე ,d'.

ჩარეტი (<თ. çeyrek) : კახ., საკირის ზედა უღელი უნდა იყოს არშინი სიმაღლე და სიგანე ხუთი ჩრეტი, არშინი და ერთი ჩარეტი იმიტომ, რომა უნდა მორი მაიმორჩილოს (დიალ., 276); სანაცრე უნდა იყოს ერთი ჩარეტი, იმის უღელი იქნება ორი ჩარეტი (დიალ., 276); სამორეს ისეთი ქვა უნდა, რო სამჩარეტიანი მაინც იყოს (276); ჩარეტი – არშინის მეოთხედი, 4 ვერშოკი (≈18 სმ.). <თ. Çeyrek-1.რაიმეს მეოთხედი; 2. საათის მეოთხედი.(ჩლ., I).

ჩაფი (<თურქ. Çap) – ღვინის საწყაო. აქედან ზმნა ქართლ. ამოჩაფვა : 'ამოხაპვა, ამოცარიელება': ეს ამოტელა ღვინო სუ ამოეჩაფა, სანამ მოვიდოდი (ტყვ.); ჩაფურუკა – პატარა ჩაფი. <თურქ. Çap – მოცულობა, სიდიდე 2.დიამეტრი, კალიბრი, 3. რაოდენობა, ზომა.

III-ფაუნის აღმნიშვნელი ლექსიკიდან დავაფიქსირეთ რამდენიმე:

ალაშა (<თ. *alaşa*) – ფაშატი, ჭაკი (ტანდ.), მთელ რიგ თურქულ ენებში *alaşa* – პატარა ჯიშის ცხენს, ჯაგლავს აღნიშნავს(ყუმის., თათრ., ყარაჩ.-სეგ., 136).

ბულა (<თურქ. *Boğ*) – ქართლ., კახ.-მოზვერი, კურო, დაუკოდავი ხარი < ხიგა-ბულა, ხარი (ჩლ.).

დოლი (<თ. *Dolu*) – ქართლ., კახ. ბატკნის მასობრივი მოგება ცხვარში, დოლობა (დიალ., 636); დამკვიდრებულია სალიტერატურო ენაში: დოლი – ბატკნის მოგების დრო (მოდის თებერვალში); დოლი დაიძვრება – ცხვარი დაიწყებს ბატკნის მოგებას (ქეგლ., 214); სიტყვა თურქული წარმომავლობისაა, თუმცა მისი მნიშვნელობა ქართულში დავიწროებულია. შდრ., თურქ. *dolu* – სავსე, უხვი, გადავსებული; ადგილი, სადაც ბევრი რამ არის თავმოყრილი (მუსტ., TS) სწორედ ასეთი მდგომარეობაა ბატკნის მოგების დროს.

თოხლი (< თ. *toklu*) – ქართლ., კახ. თოხლი – ერთ წლამდე ასაკის ცხვარი. თურქულ დიალექტებში, კერძოდ გირესუნის დიალექტში *toklu*-საკმაოდ დიდ, მოზრდილ ბატკანს ეძახიან. სალიტ. თურქულში *toklu* – ერთი წლს ბატკანია. ასევე გვაქვს სიტყვა სალიტერატურო ქართულშიც > თოხლი – ცხვარი ექვსი თვის ასაკიდან ერთ წლამდე (ქეგლ.).

ყორი (თურქ. *koç*) – ქათლ.,კახ. გამოუკოდავი მამალი ცხვარი (დიალ., 644); ‘ღვინობისთვე რო ნახევარი ჩამოვიყვანოთ ძელზე მაშინ უნდა დაუროთ ყორი და მარტის ნახევარში დოლი იქნება’ (დიალ., 276). სიტყვა სალიტ. ქართულშიც და მის სხვა დიალექტებშიც არის დამკვიდრებული: დაუკოდავი მამალი ცხვარი, ვერძი (ქეგლ.) <თურქ. *Koç* – 1. ვერძი, ერკემალი, ყორი, 2.ზოდ. თხის რქა(ჩლ.).

შიშაქი (თურქ. *şişak*) – ერთი წლის დედალი ცხვარი(დიალ., 644); ‘პირველი დღე ჩვილი ბატკანია, მერე ბატკანი, მერე თოხლი გახდება, მერე შიშაქი, მერე დედა ცხვარათ გადავა’ (დიალ., 276). ‘შიშაგი უნდა მოკრიფო და ისე მოხარშო’ (karal.) ამავე მნიშვნელობით დასტურდება სიტყვა სხვა ქართულ დიალექტებშიც (გულ., მოხ., ფშ., მთიულ., თუშ.). ა. შანიძის ლექსიკონში “შიშაქი” განმარტებულია, როგორც ‘უმზველი ღორი’ (შან., 431); შიშაგს ქართლში ოდნავ მკვახე, ახლად შემწიფებულ ხილსაც უწოდებენ. შიშაგი უნდა მოკრიფო და ისე მოხარშო (karal.) სიტყვა თურქული წარმომავლობისაა <თურქ. *şişek* – ორი წლის ცხვარი (მუსტ., ჩლ.).

ტამაზლუხი (თურქ. *damızlık*) ქართლ. სანაშენო (საქონელი, ფრინველი): ‘რაც უნდა იყოს, სულ არ გაიწყვეტამს ქათამსა, ტამაზლუხს ხო არ გავიწყვეტამ’ (კავთ.). აქედან ნაწარმოები სახელი ‘სატამაზლუხე’: ‘სანაშენოთ რო უნდათ, გინდა ღორი იყოს, გინდა ქათამი, იტყვიან, სატამაზლუხეთ მინდაო’ (ერთაწმ.)< *damızlık*-სანაშენო (საქონელი, პირუტყვი).

ქერი (თურქ. *keçi*) ქართლ.: ქერი – მამალი ცხვარი: ‘მამალ ცხვარს, ქერს წაუძლოლებს ფარას; წაუძღვება ცხვარი რო მიჰყავთ, წინ მამალი ცხვარი უნდა გაუქერონ’ (კავთ.)<თურქ. *Keçi*-თხა. იხ. ზმნა ‘გაქერვა’.

IV – ნასესხები ლექსიკა გვხვდება მცენარეთა სახელწოდებებშიც:

მაგდანოზი (თურქ. *maydanoz*) ქართლ. *Petroselinum* – ოხრახუში (დიალ., 315);

ისვრიმი (<თურქ. **ısırmak**) კახ., ქიზ. მკუხე, დაუმწიფებელი ყურძნის წვენი ნივრითა და მწვანელით შეზავებული (ა. მარტ., გ. იმნ.). ისრიმი – მკუხე ყურძენი (დიალ. 606). როგორც ცნობილია მკუხე ყურძნიგან მომზადებული წვენი მეტად მწკლარტე, მომჟავო მომწარო გემოსია და ენაზე იკბინება. ეს გვაფიქრებინებს, რომ სიტყვა თურქული წარმოშობის ზმნის **ısırmak** (კბენა) ფუძეს წარმოადგენს, ხოლო ამ სიტყვისგან წარმოქმნილი სიტყვა **ısrigan** კი ბოტ. ჭინჭარია (ჩლ., მუსტ.), რომელიც როგორ იკბინება და ისუსხება საყოველთაოდაა ცნობილი.

ჩადი (< çadır), კახ.: 'ცოტა წინათ ნავებში ან საწინახელებში ვწურამდით. ჩავუფენამდით ჩადს, ჩავყრიდით ექვს – რვა გოდორ და შარვალ ტოტებაკეცილი ბიჭები გადი გამოდიოდნენ ხოლმე' (დიალ. 217), ჩადი-ბოტ. ჩადუნა, გვიმრა. <თურქ. ბოტ. **Çadır çiçeği** – ბოტ. თეთრი დუმფარას ნაირსახეობა, ფართოფოთლებიანი მცენარე, ხარობს ამერიკისა და ჩინეთის მდინარეებში. ფრ. Euryale (ჩლ., I, TS, 163). ქართულში სესხებისას დაიკარგა ბოლოკიდური ,r' თანხმოვანი.

V – საინტერესოა ნიადაგთან და ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული ნასესხები ლექსიკაც:

ყამიში (თურქ. kamış) – ქართლ. ყამიში – დუდუკის ნაწილია, ჩასაბერი მილი ლერწმისა. დუდუკის მთავარი ნაწილია ყამიში, ის უკრამს. სიტყვა თურქულია <**kamış** – ლერწამი, ლელი. ქართლურ დიალექტში სიტყვის მნიშვნელობა გადაწეულია, თუმცა მისგან ნაწარმოები ზედსართავი სახელი ყამიშიანი (მიწა) – ნაყოფიერ, მოსავლიან მიწას აღნიშნავს: ყამიშიან მიწას ეხლაც ეძახიან სუქან მიწასა (ძეგ.).

ჩურუქი/ჩურუქი (çürük) ქართლ, კახ. – გაქვავებული მიწა, ქვაზე მიკრული. ჩურუქი უწინ ყოფილა მიწა, და ქვასეფ გადაკრული აქს და ქვაზეა ჩამდგარი (მეჯვრ.) < თურქ. **Çürük** – 1. დამპალი, გახრწნილი დამყაყებელი. 2. სუსტი, არამყარი, უხარისხო. 3. უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი. 4. საეჭვო, არასაიმედო. 5. უარყოფილი, დაწუნებული და ა.შ.

ბექითავა (ქართლ.) – მიწის ნაკვეთი ფერდობზე, მისი ხენა სიგრძეზე (დიალ., 634); სიტყვა კომპოზიტს წარმოადგენს < თურქ. **Berk** – რომლის ერთერთი მნიშვნელობაა მაგარი, მტკიცე (მუსტ., ჩლ.) + ქართ. თავა, ანუ ფერდობის ზედა ნაწილში მიწის ნაკვეთი არის მაგარი, მყარი.

იალა (თურქ. yayla) ქართლ. იალა: 'რო მათანდა გათენება, ავშლიდით ხარსა. იალაში რო დაიძრებოდა, ერთი მარსკულავი რო ამოვიდოდა, ცისკარი იყო, თენდებოდა' (დიალ., 206.). ქართლ. იალა<იალალი<თურქ. Yayla – საზაფხულო საძოვარი, იალალი.

იაქთალი (თურქ. სპ. Yaktak სპარსულ – თურქულ კომპოზიტს) < თურქ. Yak-გვერდი, გვერდითა მხარე, ასევე ნიშნავს შენობის სახურავზე საწვიმარ მილზე დამაგრებულ ფირფიტას (წვიმამ რომ კედელი არ დაასველ) – ქართლ. 'ბერებმა გვიან გაიგეს, რომ მათი ყოფილი მსახური მთაწმინდის შუკაბანდებში მოწყალეობას თხოულობდა და სახლის იაქთალებთან ხელგაშვერილი იდგა' (გაბაონი, თ. V); 'იაქთალთან საცოდავად ატუზულიყო' (გაბაონი, თ. VI) < მიგვაჩნია, რომ სიტყვა წარმოადგება სიტყვიდან **yaka** – დახრილი, დაფერდებული (TS, 841) + **სპ. Tak-თალი (ჩლ., მუსტ.)**.

ყორული, კახ., ქიზ., ქართლ., აჭ., მოხ., თუშ., მთიულ., ფშ. (თურქ. koruk) – პირუტყვის საძოვრად შემოკავებული ადგილი, ნაკრძალი (დიალ., მაკალ., ულ.): ‘ჩვენი ნათესი თავსა და ბოლოი ყორულები დავაკეთეთ და წამოვლით შინ’ (დიალ. 214) < თურქ. Koruk(-ğū) – დაცული ადგილი, ნაკრძალი, თურქ. ზმნის korumak (=დაცვა, მფარველობა) ზმნის ფუძე koru – კორომი, პატარა ტყე (გურ.,178,182; ჩლ.,II, მუსტ.). აქედან ზმნა დაყოფილება.

VI – საინტერესო ნასესხობები გვაქვს ჩასაცემელ-დასახურავის აღმნიშვნელ ლექსიკაშიც:

როგორც ცნობილია, ქართული ეროვნული ტანაცმელი ეთნიკური კუთხეების მიხედვით დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ქალების ჩაცმულობა ტრადიციული გრძელი კაბა იყო. მიუხედავად მისი ზოგადქართული ხასიათისა ქართლსა და კახეთში შეიმჩნევა ქალის ტანსაცმლის განსაკუთრებულობა, რაც გამოიხატება მის დეკორსა და გამოყენებულ მასალათა პაკეტში. ჩვენ დავაფიქსირეთ, რომ ამ კუთხეებისთვის დამახასიათებელი ჩასაცემელ-დასახურავის აღმნიშვნელი ლექსიკა აღმოსავლური წარმოშობისაა:

დოშლული (თურქ. **döşeklik**) **ქართლ.** ‘ისედაც კობტას კიდევ უფრო აკობტავებდა დოშლულიანი ატლასის ახალუხის ღილები გაეხსნა’ (გაბ., 39, ყურნ. გზა, 14); სიტყვა თურქული წარმომავლობისაა: > თურქ. ზმნა **döşemek**(= დაგება, გაშლა), ფუძე **döş<döşek** – ლოგინი, ლეიბი; **döşeklik** – სალეიბე მასალა (ქსოვილი, ბამბა, ჩალა). ჩვენს დიალექტში სიტყვის მნიშვნელობა გადაწეულია და ახალუხის ნაწილს წარმოადგენს.

თოფრე (<თურქ. **torba**) – **ქართლ.** ფართო, გამოუყვანელი, ცუდად შეკერილი ტანსაცმელი: ‘ენლა ხომ ხედამ, თოფრე შარვლები აღარავის აცვია’ (კარალ.). იხ. ზმნა ამოთოფვრა.< თურქ. torba-ტომარა, თოფრა, ტოპრაკი, ჩანთა(ჩლ.)

კოპი (< თურქ. **kopça**) კახ. ‘ქალის თავსაბურავის ნაწილია ნახევარმთვარის მსგავსი რკალი ატლასის ან სატინის ქსოვილში შეკერილი ბამბისა. ხმარობენ ლეჩაქის დასამაგრებლად’ (დიალ., 606); ‘ჩიხტაი ზემოთ იდამენ კოპ (კოპი აყენებს ლეჩაქს, მაგარია), მერე ზედ ბაღდად იხვევენ და ქინძისთავით იმაგრებენ’ (დიალ., 221). დადასტურებულია ქართულ სალიტერატურო ენაშიც, აქაც აღნიშნავს ქალის ქართული თავდასახურის შემადგენელ ნაწილს, რომელიც ატლასით ან სატინით შეკერილი ბამბის ნახევარრკალს წარმოადგენს, მას ჩიხტის შიგნით დებენ მასზე ქინძისთავით ლეჩაქის დასამაგრებლად (ქეგლ., 269) <ვფიქრობთ, სიტყვა თურქული წარმომავლობისაა: **kopça** – 1. მარყუჟიანი დუგმა, 2. შესაკრავი (ჩლ. II, 868, მუსტ.). იხ. აგრეთვე ქართ. ჩიხტა კოპი.

ლეჩაქი (თურქ. **leçek**) ქართლ. კახ. ლეჩაქი – თავი მორთულობა შედგება ჩიხტისა, კოპისა, ლეჩაქისა და ბაღდათისგან (დიალ., 221), კახ. ქალის თავსაბურავი, აბრეშუმის გამჭვირვალე ბადისებრი ქსოვილი (დიალ. 607) < თურქ. Leçek-თავსაბურავი, თავსახვევი, შალის მოსახვევი (TS, 1580).

ფესტამალი (<სპ., თურქ. **peştemal**), ქართლ. ‘მომკალსა ფესტამალი აქ აკრული, ძურწამურწამ არ შააწუხოი’ (დიალ. 274); ‘მეძნეურსაც უნდა სამკლავ-ფესტამალი, ტალავერ კარქა შაინახამს’ (დიალ., 274); ‘ბიჭებმა ხელები გადააბანინეს,

მათ მხრებზე გადაგდებულ ფესტემალზე შეიწმინდეს' (გაბ. 41, გზა, 21,17) < სპ. თურქ. peştemal – წინსაფარი (ჩლ., მაგ., მუსტ.).

ჩიხტი, ჩიხტა – ქართველი ქალის თავსაბურავის ნაწილი, თავზე დასადები ბრტყელი რკალი, რომელზეც თავსაკრავია გადაკრული; ჩიხტი-კოპი, ჩიხტა-კოპი-ჩიხტი კოპით თავდახურული ქალი (ქეგლ., 533). ჩიხტა – თუ ქართლში, კახეთში, ქიზიყში ეს სიტყვა ქალის თავსაბურავის სალტესავით ნაწილს (ს. მენტემ., დიალექტ., 611), ფშავში, გუდამაყარსა და მთიულეთში იგი უხეირო, უვარგის, ცხვარს და საერთოდ საკლავს აღნიშნავს (ვაჟა, I, ა.შან., ლ. ლეონ., ლ. კაიშ.). სიტყვა თურქული წარმომავლობისაა და წარმოადგენს **çekmek** ზმნის ნამყო კატეგორიული დროის მესამე პირის ფორმას, რომლის მრავალ მნიშვნელობათაგან ერთერთია: შემოხვევა, ჩაცმა, დახურვა: **çekti** (yorgani, mendili) – შემოიხვია (თავსაფარი, საბანი, ხელსახოცი) და ა. შ.

VII – საჭმელ-სასმელთან დაკავშირებული ლექსიკა:

ალაო (თურქ. **ala**) – ნაწვიმარი ხორბლის პური, არ ცხვება ხეირიანად და უგემურია (დიალ. კახ., ქიზ., 603), წმინდა ფქვილი, გაფუჭებული ქუმლისაგან, ფორისაგან, სინესტისაგან (პ. ხუბ.). სავარაუდოდ სიტყვა თურქულია გადაწეული ლექსიკური მნიშვნელობით. თურქ. **ala** სიტყვის მრავალ მნიშვნელობათაგან ერთერთია: 'ჭრელი, ფორაჯებიანი', რომელიც შესაძლოა გაფუჭებული ფქვილის ვიზუალურ მხარეს მიუდგეს.

ბადაქი (არ. სპ. **bade**) – კახ. 'დაწურვი დრო, ხო იცი, სა-ბადაქეთ რო ტკბილ აიღებენ ხოლმე, იმაი მერე მათულებენ და გამოა ნადული ბადაქი' (დიალ., 218); ბადაგი – ბადაგი, ტკბილი, მოდუღებული ყურძნის წვენი (დიალ., ლექსიკ., 603) < არ. სპ. **bade** – ღვინო, სასმელი (TS, 81, ბუდ., I) + – k თურქული სიტყვათმწარმოებელი აფიქსია.

ბაქმაზი (თურქ. **pekmez**) ქართლ. 'საზამთროდ შესანახად მოდუღებული პამიდორის სქელი წვენი' (დიალ., 634). შდრ. სალიტ. ქართ. 'შესანახად მოდუღებული სქელი წვენი' (პომიდვრისა ყურძნის, თუთისა და ზოგი სხვა ხილისა (ქეგლ. 58) < თურქ. **Pekmez**-ყურძნის ბაქმაზი, ბადაგი (ჩლ. I).

დელამა (თურქ. **teleme**), ქართლ., კახ., ქიზ. დელამა – დელამუტი, საყველედ შედგებულ რძე, შეყველებული რძე (ს. მენტემ., დიალექტ., 636) < თურქ. **teleme**-ერთგვარი უმარილო და რბილი ყველი (TS, 778), **teleme peyniri** – ხაჭო (ჩლ. II). სიტყვა აჭარაშიც არის დადასტურებული: დელამუტი-თავმოხდილი რძე, შედგებულ უკვეთოდ (შ.ფ., 433).

დურდო (ფუძე თურქ. ზმნისა **durmak**): „სქელი, ტალახის მსგავსი დანალექი ღვინისა“ (დიალ. 605). შდრ. სალიტ. ქართ. დურდო – ღვინის დანალექი; წამხდარი ყურძენი (საბა), დაჭყლელი ყურძნის მასა (ქეგლ., 215) < თურქ. ზმნის **durmak** (გაჩერება, დგომა, დადგომა) ფუძე **dur**+ნამყო დროის III პირის ნიშანი – **du** (**durdu**-გაჩერდა, დადგა).

თათარა (თურქ. **tatar**): კახ. თათარა – ფელამუში, ხორბლის ფქვილით ამოკიდებული ბალბის ფაფა, რომელშიც ჩურჩხელებს ავლებენ (დიალ., 606) < თურქ. **tatar** – ზოგიერთების მიერ თურქებისთვის შერქმეული სახელი, თათარი (TS, ჩლ.,).

ყარფუზი (თურქ.*karpuz*): ქართლ. 'იმ დღეი რო ყარფუზი მოიტანე, მათგან ვიყიდევი, პურები წაუღევი და მამცეს ყარფუზი' (დიალ.179) < თურქ. *karpuz*-საზამთრო (ჩლ.). შდრ. აგრეთვე დასავლეთ საქართველოში გავრცელებული სახელწოდება 'ხაბურზაკი'.

ჩამიჩი (თურქ. *Çamiç*) – ქართლ. გამხმარი ყურძენი (დიალ.,644); 'ჩამიჩი ყურძენი უნდა დამარცვლო და ჩათუთქო რამეში, ქვაბში, თბილ თონეში, მერე ამოიღებ, გაწურამ, ღვინო გამოვა. მერე გაფინამ, გაკნება და გამოვა ჩამიჩი' (დიალ., 310) < სიტყვა თურქული წარმომავლობისაა და სხვა მნიშვნელობებთან ერთად ნიშნავს: *çamiç* – წვრილი ქიშმიში (*must.*).

ჩანახი (თურქ. *Çanak*(-ჭი) – 1.ცხვრის ხორცი, ბადრიჯნითა და პომიდვრით გაკეთებული საჭმელი; 2. გულამოღებული ხისგან დამზადებული ჯამი < თურქ. *Çanak*(-ჭი) – 1. ჯამი, ლანგარი, სინი. 2. ბოტ. ჯამი (ყვავილის); 3. გეოგრ. ქვაბური (ჩლ., მუსტ. TS).

ჩანჩუხა//ჯანჯუხა (<თურქ. *çançıçeği*), ქართლ. 'წამოვიდა ზევიდან ერთი ძერა, დაავლო ერთსა ბჭყალები, როგორც ჩანჩუხა (ასხმული), ისრე წაიღო, ეხლა დავიწყე ტირილი (დიალ. 329), ჩანჩუხა-ასხმულა (დიალ. 644)<თურქ. *çançıçeği* – ბოტ. დეკორატიული მცენარე, რომელსაც ყვავილები ზანზალაკებივით აქვს ჩამოკიდებული; მაჩიტა, მაჩიტელა (TS, 168, ჩლ.,I); შდრ. გურული, აჭარული, იმერული დიალექტების ჯანჯუხა (ს. ულ., ალ. ლლ., 775) = ჩურჩხელა(ისიც ხომ კაკლის, თხილის და სხვ. ასხმულაზეა აგებული).

ჩირი (< თურქ. *çir*): ქართლ., კახ. 'პანტის ჩირი ასე კეთდება: პანტა ძიელ მწიფე უნა იყოს. გაჩირამ იმასა და მერე თონეში ჩადგამ ქვაბებითა' (დიალ., 310). სალიტ. ქართ. საგანგებოდ გამხმარი ხილი (ქეგლ, 532). < თურქ. *çir* – გამხმარი, გამომშრალი, ჭერამი, ქლიავი, გარგარი (TS, 188, მუსტ.).

ხიზი (<თურქ. *hiz*), კახ. 'ხიზი – ერთად მოღულებული თხის ან ძროხის ქონი და დაფქული აგური, რომელსაც გატეხილი ქვევრის ან თიხის სხვა ჭურჭლის გასაგლესად ხმარობენ' (დიალ. 611); 'გატეხილ ჭუჭელს უსვამენ ხიზს, ხიზ კიდე ძროხის ქონისა და დაფქული აგურისას ვაკეთებთ' (დიალ. კახ., 219) < არ. თურქ. *hiz*-სისწრაფე, სირქარე. კახეთში ამგვარად მომზადებულ წებოს დაერქვა მისი სწრაფი მოქმედების გამო, ასეთი წებო სწრაფად აწებებს.

VIII – ქართლისა და კახეთის დიალექტებში დადასტურებული აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკა დიალექტის აქტიურ ფონდს წარმოადგენს და ქართული დერივატების საშუალებით მათგან ნაწარმოებია ყველა მორფოლოგიური კატეგორია. არსებითი სახელი, ზედსართვი სახელი, ზმნა, ზმნიზედა. გვაქვს მრავალი მაგალითი ნასესხებ სიტყვათაგან ზედსართვი სახელების წარმოებისა:

ბარებარი, ბარიბარი (<თურქ. *beraber*): ქართლ. თანასწორი, თანაბარი (დიალ., 634).

დომფილა, დომფილო (<თურქ. *tombul*): დიდი მსუქანი (ბავშვი, ქათამი...), რომელიც კარქი არი, სუქანი, გინდა ბავშვი იყოს, გინდა წიწილაი, ქათამი, სუ ერთია, სუყველაფერზე ითქმის, რა კაი დომფილა არიო (ერედ.), აქედანაა: დომფლო – დონდლო, დუნე (ადამიანი). დომფლო – დონდლო, მოუხეშავი როა, ის

არი (თამ.) < თურქ. **tombul** – მსუქანი, დამრგვალებული, ბუთხუზა, პუტკუნა (ჩლ., მუსტ.).

იასალი-იანი (<თურქ. **yasak**) ქართლ. 'კარგი, საუკეთესო. კარგი როა, იასალი-იანიაო: სუ ყველაფერზე შეიძლება მაგის თქმა, ადამიანზეც, საქონელზეც' (ატ.) < თურქ. **yasak** – აკრძალული (მუსტ., ჩლ.II).

იოხსულ-ი (<თურქ. **yoksul**); ქართლ. 'მეტისმეტად ღარიბი, არაფრისმქონე, ღატაკი. ვინც ძალიან ღარიბია, იმაზე იტყვიან, იოხსულიაო' (ქვ. ჭ.); 'ამ იოხსულ-ებს...ტრებახობდა ფირუზა' (გაბ., 43, გზა, 14, 17) აქედან წარმოქმნილი: გა-იოხსულ-ებ-ულ-ი, გა-იოხს-ებ-ულ-ი: 'ღარიბი, ღატაკი, აი, გეგენაი, ეხლა იოხსულია, მა რა არი, მაგრამა თავი ჭკუით არი **გაიოხსულეებული**' (მეჯვრისხევი.) <თურქ. **yoksul** – ღარიბი, ღატაკი, უქონელი(ჩლ., II, მუსტ.).

ოჯახმალა (<თურქ. **ocak+ mal**): შეძლებული, მდიდარი. კაი **ოჯახმალა** სი-მამრი ყავ მაგასა, არაფელ გაუჭირეფს (წილკ.). <თურქ. **ocak**-კერა, კერია, ღუმე-ლი + არ. **mal** – ქონება, დოვლათი, საქონელი (ჩლ., II, მუსტ.).

ფათლახი//ფუთლუხი (<თურქ. **patlak**): 1. დუნე, დონდლო, მოშვებული (ადა-მიანი): შენ მე რომ მომერევი, **ფუთლუხი** ხარ (კავთ.); 2. უწესრიგო, უსუფთაო (ადამიანი), 'ძიენ ფათლახი ქალია, ვერ გამიწყვია სისუფთავეი' (ღლ. 532, სომხ.). აქედანვეა 'მოფათლახებული': გაბინძურებული, გაჭუჭყიანებული: 'ნეტა რასა განდენ მოფათლახებულეები იდგენ სახშია' (ზერ.) < თურქ. **patlak** – გამსკდარი, განეთქილი, გაპოხილი, გაგლეჯილი, გადმოკარკლული (თვალეები) (ჩლ.II, მუსტ.).

შატამუტა//შეტემუტა (თურქ. **Şatafatlı**) ქართლ., ქიზიყ. შატაბუტა – არადარ-ბაისელი ადამიანი, ცუნდრუკი (ღლ., 623); ქართლ. **შატამუტა** – ჭკუამსუბუქი, მოსულელი, მჩატე (დიალ., 644): 'კითხავო, შეტემუტა კაცს კითხეო' (დიალ., 303); წავიდა და ერთი კაცი მოდის, სულ უბერამს, შეტემუტაა რალა, სულელი (დიალ., 302), – ესეც კარგად იცოდა გარეგნულად შატაბუტა მაიკომ (გაბ., 43, გზა, 18, 17) <თურქ. **Şatafatlı** – ბრწყინვალე, მბრჭყვინავი, მასხარა, **Şatafat** – ბრწყინვალე (ჩლ., მუსტ.).

IX – ნასესხებ ფუძეთაგან ქართული დერივატებით ნაწარმოები ზმნები:

ადოლევს (<თურქ. **Dolmak**): ცხვრებს ბატკნებს აგებინებს (დოლი) <თურქ. ზმნა **dolmak**-გავსება, შევსება, გადავსება < **dolu**-სავსე (TS, მუსტ., ჩლ., I).

ამო-თოფრ-ვა (<თურქ. **topra**): თოფრე: ამოთოფრავს – ფართოს, ტანზე გაუწყობელს შეკერავს; როგორ ამოთოფრა, წმინდა გულით კი არ გააკეთა! (ძეგ.); ამოუთოფრავს: ამოუთოფრა და ჩააცვა (კავთ.). ამოთოფრვა – უბრალოდ რო ამოჰკერავს, ამოთოფრვა ეგ არი (ატ.); აქედან ზედსართავი სახელი 'ამო-თოფრილი': ამოთოფრილი კაბა აცვია (კავთ.) < თურქ. **torba** – ტომარა, თოპრა, ტოპრაკი, ჩანთა(ჩლ., I, მუსტ.).

გამო-სალ-ებ-ა //გასალეა (<თურქ. **sağ**) ქართლ., კახ., ქიზ.: გამოსალეა-გა-მოჯანმრთელეა; გამოვსალდი – გამოვჯანმრთელდი (დიალ. 604, 635); 'როგორც კი გამოვსალდი, ახლა ლუარსაბიანთა დამაყენი მოჯამაგირეთ' (კახ., ქიზ. 221); 'ხემწიფე საცა ცხოვრობს იმ ქალაქის ნაპირას წყაროა, იქ არისო ბაყაყი. ის ბაყაყი ბოჭკაში ჩასვან, იმ წყალში აბანავონ და გასალეა და გასალდეაო; თავიანთ

სოფელს ზევით წყალი აქვს, პირი რო დაიბანოს, გასაღდება' (დიალ., 319). < **sağ**-ჯანმრთელი, სალი, ცოცხალი (TS, ჩლ., II).

და-ბელგა-ვა (<თურქ. **belge**), ქართლ., კახ., ქიზ. დაბელგა – ბელგა (ბეჭედი ან სხვა სამკაული) მიუტანა საპატარძლოს, დანიშნა (დიალ., 605); 'წაიყვან ახლავე თუ როდისთვისინაო? ბიჭმა დაბელგა და წამოიდა, უთხრა რო ერთი თვის მერეო მოვალო' (დიალ., 206); 'ქალი დანიშვნა რო უნდათ თავდაპირველად დაბელგამენ, უყიდიან ბაღდადსა, ბეჭედსა და მიიცემენ' (წილკ.); 'ბიჭს კითხეს: – წაიყვან ახლავე თუ როდისთვისინაო? ბიჭმა უთხრა: ახლა მარტო ბელგას გაუკეთებო' (დიალ., 206). სალიტ. ქართულში (ქეგლ., 164) იგივე სიტყვა მიჩნეულია როგორც ძველი: 'დაბელგვა (ძვ.) – ბელგის მიცემა, დანიშვნა (ქალისა)'. < თურქ. **belge** – საბუთი, ცნობა, დოკუმენტი, პირადობის მოწმობა, წარუმატებლობის გამო სასწავლო დაწესებულებასთან ურთიერთობის გაწყვეტა (TS, 299, ჩლ., I).

გა-ბუტაყ-ებ-ა (<თურქ. **budak**) ქართლ.: ტანს აიყრის, გალალდება (მცენარე...), 'ეგრე ნუ სხლამ, თორე გაბუტაყდება ძალიანა და აღარ დაისხამს' (ბიწმ.). <თურქ. **budak (-ği)** – ტოტი, შტო, რტო, ყლორტი (TS, ჩლ. I).

გა-ქეჩ-ვა (<თურქ. **keçi**) ქართლ., კახ., ქიზ. გზის მიმართულების მიცემა ფარისა და ჯოგისთვის – ცხვრის ფარას რომ წინ გაუძღვება თხა ან თვითონ მეცხვარე და გაიყოლებს მთელ ფარას (ალ. ლლ., 140), აქედან, გადატანითი მნიშვნელობით: დაქეჩრაობს – თავის ნებაზე დადის, დანავარდობს, დათარეშობს; იქეჩრაავებს – იდიდგულებს, იყოყლოჩინებს. კაცს თავისი უნდა ჰქონდეს, თორე სხვისი ქონებით ყველა იქეჩრაავებს (კარალ.) <თურქ. **keçi** – თხა (ჩლ., II).

და-ყომრალ-ებ-ა (<თურქ. **kumral**) ქართლ.: გადაყომრალეებს-თეთრ მატყლში შავს შეურევს: 'დამაცა, ბიჭო, გადავაყომრალე და მოგიქსოვ' (კარალ.) < თურქ. **kumral** – 1. წაბლისფერთმიანი; 2. ქურანი, წაბლა(ცხენი) (ჩლ., II); 3. მუქი ყვითელი ან ღია წაბლისფერი (თმა, წვერი, ულვაში – TS, 521).

თაფ-ვა (<თურქ. **tap**) ქართლ., კახ.: ხუ არ ითაფა პურმა? (დიალ., 179); ითაფა პურმა – ერთბაშად შემცხვარი პური თორნემ აიყარა და ჩაცვივდა თორნეში (დიალ., 606). <თურქ. **tap**-ძალა, სიძლიერე (ჩლ., II). თაფვა = ანუ 'გაძლიერება'.

და-ისვრიმ-ებ-ა (<თურქ. ზმნის **ısırmak** ფუძე **ısır**), კახ., ქართლ. 'ისვრიმი-ისვრიმი, მკუხე ყურძენი' (დიალ., 606) < თურქ. ზმნა **ısırmak** – კბენა, სუსხვა, დაგლეჯა, ფუძე – **ısır**, აქედან ბოტ. **Isirgan** (-gan – თურქული სიტყვათმაწარმოებელი აფიქსია) – ჭინჭარი (ჩლ., I); ცნობილია, რომ მკვახე ყურძენი ჭინჭარით ისუსხება, მწკლარტეა და იკბინება. ვფიქრობთ, რომ ჩვენს დიალექტებში დაფიქსირებული 'ისვრიმიც' აქედან არის დამკვიდრებული.

და-ფთილავე-ებ-ა (<თურქ. არ. **fitil**): ქართლ. 'მატყლს გარეცხამ, გაიწეწამ, დაფთილავდება დაიჩეჩამ საჩეჩელზე' (დიალ., 276); დაფთილავება – ფთილებად გაკეთება (მატყლი) (დიალ., 636). თურქული წარმომავლობის სიტყვა **fitil** სხვა მნიშვნელობებთან ერთად (პატრუქი, ზონარი, ფალია; შდრ. აგრეთვე აჭარული დიალექტის ფთილი – პატრუქი – ფუტკ.) ნიშნავს 'ნაძენძ', რომელიც უნდა მისადაგებოდეს ქართლური და კახური დიალექტების 'დაფთილავებას'.

გა-ფეშ-ოვ-ებ-ა (<თურქ. **pişek**-(ği): კახ., ქიზ. 'გავაფეშოვამთ – გავაფეშოვებთ-ხერხემალზე შუა გავჭრით (საკლავს) – (დიალ., 235), 'თუ ცხვარი ჩვენთვის გვინდა დავკლამთ, გავატყავამთ, ჯერ გავაფეშოვამთ, მერე დავჭრით

წვრილათ, ჩავყრით ქვაბში და მოვხარშავთ' (დიალ., 311). ფეშო – ხერხემალზე სიგრძე გაჭრილი დაკლული ცხვრის ხორცი, ძროხის და მისთ. ნახევარი (დიალ., 444). სიტყვა თურქული წარმომავლობისად მიგვანჩნია: **pişek, pişeğen** – ადვილად მოსახარში რამ (მუსტ.,), ადვილხარშვადი (ჩლ., II).

მო-ხაშ-ეზ-ა (<თურქ. ზმნის **haşlamak** ფუძე): კახ. 'ხაშის გაბევერება, ძველი ხაშით მცირე ცომის მოზელა, რომ შემდგომ ეს ცომი საფუარად გამოიყენონ' (დიალ., 607); მოხაშება: მოზელი წინ მოხაშებაა საჭირო მემრე ცომი გასაფუებლად (დიალ., 215); ხაში – საფუარად შენახული ცომი (დიალ., 611). ზმნის ფუძე 'ხაშ' – წარმოადგენს თურქული **haşlamak** (მოხარშვა, მოწალვა, გათუთქვა, დამდუღვრა) ზმნის ფუძეს, აქედანვეა ჩვენი 'ხაშლამაც' < **haşlama** – მოხარშული, ადუღებული (ჩლ., I, მუსტ.).

და-ხიფ-ვ-ა (<თურქ. **kipe**), კახ., ქიზ. დახიფვა – ძაფის შულოდ ამოხვევა (დიალ., 605); ხიფა – ხელის გაჭიმულ თითებზე ამოხვეული ძაფი – პატარა შულო (ქეგლ., 581); 'ძაფის გორგლის ერთ ნაწილ ეწოდება ჭალი. მემრე თუ გინა, დაინიფამ'. ხიფი შეიძლება მოკეცილი მუხლების სიგრძეზე გააკეთო ან სხვის ხელებზე. ხიფი დაახლოებით ნახევარი მეტროა (დიალ., კახ., ქიზ., 220). სიტყვა თურქული წარმომავლობისაა, შდრ. თურქ. **Kipe** – მაგრად შემოჭერილი, ჩამოკიდების გარეშე თეძოზე ან ბარძაყზე შემოხვევით დაგრეხილი შულო (TS, 496). **k**-**x** ქართული დიალექტების მიერ აღმოსავლური გზით ნასესხები ლექსიკისთვის დამახასიათებელი მოვლენაა და ის ქართული ნიადაგით აიხსნება.

X – წოდება – თანამდებობის შინაარსის შემცველი სახელები:

ასეთი სახელები ძირითადად კომპოზიტიური წარმოშობისაა და კომპოზიტის მეორე ნაწილად შედარებით პროდუქტულია თურქული წარმოშობის სიტყვა **baş**(თავი):

უსტაბაში (თურქ. **ustabaş**) ქათლ.: 'ჩემს წინ არასოდეს გავეშვებ **უსტაბაშად** ყველგან და ყოველთვის მე უნდა ვიყო, მარტო მე, ფირუზა ზანდაროვი' (გაბ., აივნიანი ქალაქი, 41,11); **ustabaş** < თურქ. **Usta** – ოსტატი, თავისი საქმის კარგი მცოდნე + **baş**+**ı**-თურქ. მესამე პირის კუთვნ. აფიქსი.

იქითბაში (თურქ. **yişit+başı**): 'შუშანიკი თავისი მამის იქითბაშის ბურნუთოვის სახლის ბნელ სარდაფში ცხოვრობდა' (გაბ., 44, 18); 'ეგა მამაჩემის იქითბაში ყოფილა, ამბობენ იმის მალაზიებშიც ბლომად ფულს იგებსო' (გაბ., 41,19); **იქით-ბაში**<თურქ. **yişit+başı** <თურქ. **yişit**-1.ყმაწვილი, ბიჭი. 2. მამაცი, გულადი, ვაჟკაცი+ **baş-i** – თავი, მეთაური მისი.

მეთულუხჩე-მეთულუხჩე (ფუძე თურქ. **tuluk-çu**) ქართლ. 'მეთულუხჩის ნაშვილები მარია იყო იქ' (გაბ., 5,11). < თურქ. **Tuluk** – ტიკი, რუმბი + - **çu** თურქული ოთხვარიანტიანი (**çi**, - **çî**, - **çu**, - **çü**) – პროფესიის მაწარმოებელი აფიქსი. სალიტერატურო ქართულმაც შეითვისა ეს სიტყვა, იხ. ქეგლ. თულუხი, მეთულუხე (თულუხით წყლის მზიდავი – ქეგლ. 288).

ალაფი (არ. **alaf**), ქართლ. 'ალაფის ცოლს ღარიბთ ქოხებში გამოჩენა არ ეკადრებოდა' (გაბ. 42,32, 21); სიტყვა არაბული წარმოშობისაა ძველად ქართულშიც აქტიურად გამოიყენებოდა და ქართული ენის განმარტებით ლექსი-

კონშიც დაიმკვიდრა ადგილი:“ ალაფი არაბ., 1. საქონლის საკვები 2. მარცვლე-
ულისა და ფქვილის ვაჭარი „გაბ., 42,21).

დამოწმებული ლიტერატურა:

1. გაბაშვილი, ვ. აივნიანი ქალაქი, ჟურნალი „გზა“, #7-25, 2017.
2. გიგინეიშვილი, ი., თოფურია, ვ., ქავთარაძე, ი. ქართული დიალექტოლოგია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1961.
3. გურგენიძე, ნ. დიალექტოლოგიური ძიებანი. თბილისი: ქართული აკადემიური წიგნი, 2016.
4. იმნაიშვილი, გრ. ქართლური დიალექტი, I, II. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1974.
5. მარტიროსოვი, არ. იმნაიშვილი გრ. ქართული ენის კახური დიალექტი (გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, თბილისი, 1956.
6. მარტიროსოვი, არ. დიალექტიზმები XV-XVIII სს კახურ ისტორიულ საზუბუბოში. იბერიულ – კავკასიური ენათმეცნიერება, IV. თბილისი, 1953.
7. მენტეშაშვილი, სტ. აჭარის ეთნოგრაფიული მასალები. ენიმკის მოამბე, II. თბილისი, 1937.
8. რუხაძე, ლ. თურქული ნასესხობანი ქართულ სალიტერატურო ენაში. თბილისი: მწიგნობარი, 2013.
9. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, 1986
10. ქართლური დიალექტის ლექსიკონის მასალები. შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, მ. ჭაბაშვილის რედაქციით, თბილისი, 1981.

Tamar Demetrashvili

G. Tsereteli Institute of Oriental studies

**FROM THE HISTORY OF THE GEORGIAN-IRANIAN LINGUISTIC
INTERACTIONS: PARSADAN GORGIJANIDZE AND
HIS LEXICOGRAPHIC LEGACY**

Georgia and Iran count many centuries of political and cultural ties. These relations were particularly intensified in the 16th-18th centuries. Parsadan Gorgijanidze (a.k.a. Parsadan Beg, 1626 –) is one of the interesting representatives of this period.

The life and activity of Parsadan Gorgijanidze is related to Rostom, King of Kartli (a.k.a. Rostom Khan, Khosrov Mirza, Prince Kaikhosro, 1565-1658). Parsadan was the King's favorite official. In 1656, thanks to the King's recommendation, Abbas II, Shah of Iran, appointed Parsadan a *tarugha* of Isfahan, the capital city of Iran.¹ Parsadan Beg adopted Islam² and lived in Iran for 40 years, from 1656 to 1696, amid hostility and animosity of Iranian officials. He used to serve Shah Abbas, then his son Shah Suleiman. He enjoyed much influence and respect at the Safavid Royal Court and occupied highest administrative positions for many years.

Besides political life, Parsadan Gorgijanidze is also famous as a man of letters. He wrote a book on the history of Georgia, from the dissemination of Christianity to the 17th century.³ *The History* written by Parsadan Gorgijanidze also contains autobiographical references.⁴

Ivane Javakhishvili dedicated a special research work to Parsadan Gorgijanidze as a historiographer.⁵ According to Javakhishvili, Parsadan Gorgijanidze wrote his historical work in Iran in his late sixties, living in extreme poverty, at the time when the Commission of Educated Men assembled by King of Kartli Vakhtang VI had not even started to collect materials needed for the completion of *Kartlis Tskhovreba* (*The Life of Kartli*).⁶

1 See: K'arlo K'utsia, "Isp'ahanis kartveli t'arughebi (1618-1722)" (Georgian Tarugas of Esfahan (1618-1722)), *Issues in the History of the Near East* II (1972): 97.

2 Vladimer Puturidze, Text, trans. and remarks, "Mohamed Taheris tsnobebi sakartvelos she-sakheb" (References about Georgia by Mohammed Taheri), *Materials for the History of Georgia and Caucasus* 30 (1954): 386.

3 Sargis K'ak'abadze, "Parsadan Giorgijanidzis istoria" (Parsadan Giorgijanidze's History), *Historical Herald* II (1925): 198.

4 *Histoire de la Georgie depuis l'Antiquite jusqu'au XIX siecle*, trad. du georgien par M. Brosset, II, 1 (S.-Petersbourg: 1856), 510-514.

5 Ivane Javakhishvili, *Tkhzulebani* 12 t'omad, t. 8: ist'oriis mizani, ts'q'aroebi da metodebi ts'inat da akhla, ts'igni 1: dzveli kartuli saist'orio mts'erloba (Works in 12 Volumes, vol. 8: Purpose, Sources and Methods of History Previously and Now, Book 1: Old Georgian Historical Writing (V-XVIII) (Tbilisi: Tbilisi University Press, 1977), 284-297.

6 *Ibid.*, 288.

Besides the fact that Parsadan Gorgijanidze occupied significant positions at Persian Royal Court, he was also well aware of Georgia's internal political affairs. The part of his work, which describes contemporary events in which he has taken part personally, is of crucial importance for research into the history of Georgia. Additionally, using the available Iranian sources, he "filled in the blanks" in the 14th-17th century history of Georgia with the vast collection of important facts. His *History* is considered to be a key source of Georgia's medieval history.⁷ Besides his historical legacy, Gorgijanidze also worked on creating Georgian versions of *Shah-Name*.

Parsadan Gorgijanidze played a certain role in Georgian lexicography. The major subject of my study is a lexicographic direction of his works. He is an author of the first trilingual Georgian-Arab-Persian dictionary, which is one of the oldest dictionaries survived. It was published twice: for the first time in 1896 by M. Janashvili⁸, for the second time by V. Puturidze in 1941.⁹

I have compared editions by M. Janashvili and V. Puturidze.

M. Janashvili has found a collection of the works by Parsadan Gorgijanidze, as a manuscript N174, at the book depository of the Society for Dissemination of Literacy among Georgians. "This manuscript has been executed purely, in Mkhedruli script, on white paper. The whole book comprises 271 pages",¹⁰ The Georgian-Arab-Persian dictionary is just one part of the collection of Parsadan Gorgijanidze's works. The first part of the collection is *Jami Abasi (Jāme'-e 'abbāsi)*, a Shi'a-oriented interpretation of Muslims' everyday life. The work contains autobiographical references.

The manuscript contains the following letters: a) "Translation of Muslims' sacred book and Kanuni" (pages 1-230); b) Georgian-Arab-Persian dictionary (pages 231-252); c) "Anjan alphabet" (page 252); d) "Sasizmro" (Interpretation of Dreams) (p.253); e) "Asotsamghereli" (255-266); f) "Story of Osman Jugi" (King of Osmans) (p. 267-271).

All other letters jointly with the dictionary, excluding "Translation of Muslims' sacred book and Kanuni", were new and previously unknown works of Parsadan Gorgijanidze. Based on this manuscript, M. Janashvili published *Parsadan Gorgijanidze and His Works*, which contains all the unknown works, including Georgian-Arab-Persian dictionary.¹¹

V. Puturidze describes N174 manuscript in more detail. According to his conclusion, the manuscript is an autograph by Parsadan Gorgijanidze. He believed that, given the

7 About importance of Parsadan Gorgijanidze's "Life of Georgia" for identification of scientific-research text of "Histories and Praisings" (XIII) and about their comparative textological analysis see: Revaz Kiknadze, *Parsadan Gorgijanidze and "Histories and Praising of Crowned Heads"* (Tbilisi: Metsniereba, 1975).

8 Mose Janashvili, publ., *Parsadan Gorgijanidze da misni shromani* (Parsadan Gorgijanidze and his works) (T'pilis: M. Sharadzis da amkhanagobis st., 1896).

9 Parsadan Gorgijanidze, *Kartul-arabul-spārsuli leksikōni* (Georgian-Arab-Persian Dictionary), publ., Vladimer Puturidze (Tbilisi: 1941).

10 Janashvili, Parsadan Gorgijanidze, 5.

11 The book also includes the Anjan Alphabet, Story of Osman Jugi, Beginning and End of "Asotsamghereli" and Bibliography of the first letter, see the mentioned work by Janashvili.

characteristic design (binding, frames), the manuscript should have been bound and illuminated in Iran.¹²

How can this dictionary be categorized? The work by Parsadan Gorgijanidze belongs to the type of trilingual (in this case, Georgian-Arab-Persian) dictionaries.

What sources did the lexicographer use? Two methods are applied to compile dictionaries: extracting words from texts or employing some other existent dictionary. Parsadan Gorgijanidze applied the second method. Apparently, Parsadan Gorgijanidze used the short Arab-Persian dictionary compiled in verse by the 14th-century Iranian writer and philologist Abu Nasr Farahi (ابونصر فراہی).

On the ground of comparison of dictionaries by Abu Nasr Farahi and Gorgijanidze, V. Puturidze concludes that Parsadan Gorgijanidze incorporated the Arab-Persian material from Abu Nasr Farahi's work into his dictionary and only added Georgian equivalents in front of them. V. Puturidze also added indices of Georgian and Arab-Persian words to his publication. Since Puturidze identified the source of this dictionary, it became possible to decipher almost all words and prepare them for publication, using Farahi as a reference.¹³

It is known that in traditional dictionaries words and forms are ordered alphabetically and this order requires that dictionary units follow each other according to the sequence of word-sound of a word in the alphabet of the given language.

Parsadan did not process the available material according to traditional lexicographic standards. He followed his source and simply translated the extracted Arab-Persian entries into Georgian. Lexical units do not follow the alphabetical order in the dictionary of Parsadan Gorgijanidze, but are grouped into conceptual categories, which is a practice characteristic of Arab-Persian dictionaries.¹⁴

Gorgijanidze writes Arab-Persian words in Georgian letters, with Arab words given only in Georgian consonants: he marks consonants and misses vowels. He uses only those letters which are provided in his Arab-Persian source. Short and long vowels are not distinguished.

The author of the dictionary does not utilize any system for transcription of Arab-Persian words, however, some interesting peculiarities of the Georgian transcription can be observed.

The Georgian transcription of Persian and Arab words provided by Gorgijanidze has the following peculiarities: 1) In many cases, Arab words are written only in consonants, i.e. not the pronunciation of a word, but its written form is presented, although he often applies the rule of graphic description of Arab words to Persian words as well and frequently provides them without vocalization; 2) vocalization, when provided, is hardly consistent; not only short vowels, but also long ones are not provided throughout; 3)

12 Gorgijanidze, *Kartul-arabul-sp'arsuli*, VI.

13 According to V. Puturidze, in due time, Iuri Marr wanted to publish this dictionary. He started preparatory works, but could not finish the work. He has only written 130 words on cards. See: Gorgijanidze, *Kartul-arabul-sp'arsuli*, XIII.

14 Gorgijanidze, *Kartul-arabul-sp'arsuli*, VIII.

displacement of letters and sounds; 4) expression of vowels by vowel complexes; 5) inserting a superfluous consonant; 6) duplicating a consonant.

For the purpose of exploring Georgian transcription of Persian and Arab words by Parsadan Gorgijanidze, Maia Sakhokia compared the dictionary by Parsadan Gorgijanidze with the *Georgian Dictionary* by Sulkhan-Saba Orbeliani. We conclude that exploration of Georgian transcription of Persian and Arab words in Parsadan Gorgijanidze's dictionary and its comparison to phonetic forms of Persian borrowings given in the *Georgian Dictionary* by Sulkhan-Saba Orbeliani gives interesting results for research of Persian-Georgian correlation. The differences can be mostly explained by the fact that the material in Parsadan Gorgijanidze's dictionary is based on live speech of various Persian and Georgian dialectic groups, while some aspects are preconditioned by the imperfections of the transcription system itself.¹⁵

As to the contents of the dictionary, I have observed several major conceptual categories:

Words describing humans and human actions: mother, woman, man, wife, female, husband, king, shepherd, teacher, artisan, blacksmith, horseman, nurse, farmer etc.;

Animals: horse, sheep, dog, leopard, bear, camel, lamb, kid, whale, donkey, wolf, pig;

Birds: nightingale, dove, hawk, crow, honey buzzard, crane;

Fishes, reptiles, insects: lobster, snake, lizard, scorpion, worm, mouse, gadfly;

Plants, fruit, vegetable: rose, thorn, quaking aspen, walnut, grapes, pomegranate, mulberry, peach, apple, radish, turnip, cucumber.

Food, beverages: bread, lavash, cheese, wine, salt, grape juice, buttermilk, boiled butter, omelet, loaf, grass;

Things, subjects: land, stone, brick, bronze, marble, cotton, wool, net, gauze, arrow, knife, bowl, sword, armor, bridle, bell, book, nib;

Words of action, quality, quantity: writing, reading, plough-sowing, proud, arrogant, dark, wide, scarlet, new, one, three, ten, six hundred, one thousand.

It is important that in the small dictionary of Parsadan Gorgijanidze created in the 17th century contains vulgar words, invective vocabulary. Vulgar vocabulary was tabooed in the Soviet period. Invective vocabulary was not included in Georgian dictionaries published in the Soviet period, including the eight-volume *Explanatory Dictionary of the Georgian Language*. Linguistic research in this field is still wanting.

Invective vocabulary has been tabooed to a certain degree in our society, as well as in linguistic circles. Even in foreign countries research into this domain remains nascent: "Exclusion of vulgar vocabulary and invectives from linguistic research represents the language in sterilized form and therefore, gives its distorted picture. Adequate, ideal description of this or that language would be a description of its all discourses."¹⁶

15 Maia Sakhokia, "Akhalsparsul ponemata gadmotsemistvis kartulshi" (For Expression of New Persian Phonemes in Georgian) (Diploma Thesis, Tbilisi State University, 1967), 176-182.

16 Salome Omiadze, "Kartuli disk'usis lingvok'ult'urul shemadgenelta st'rukt'ura, semant'ik'a da punktсионireba" (Structure, Semantics and Functionality of Linguistic-Cultural Components of Georgian Discourse), (PhD diss., Arnold Chikobava Institute of Linguistics, 2006), 266.

Hans Vogt says in the review for *Explanatory Dictionary of the Georgian Language*: “Abusing and vulgar words are excluded. Regretfully, they have not been included; They were recently tabooed...”. He also notes that Sulkhan-Saba was more liberal in this respect.¹⁷

We have compared Parsadan Gorgijanidze’s *Georgian-Arab-Persian Dictionary* to Sulkhan-Saba Orbeliani’s *Georgian Dictionary* in terms of invective vocabulary too. For the purpose of lexicographic completeness, Sulkhan-Saba has included vulgar words as well: “These books contain both good and evil words, praising and abusive, wicked and bad ones. I have not described them for abuse or mocking, but have described them for fullness of the language”, writes Sulkhan-Saba Orbeliani in his *Dictionary*.¹⁸

In this respect, the dictionary of Parsadan Gorgijanidze provides the picture of the contemporary social world as well as enabling us to observe the ever-changing social and cultural contexts.

What was the purpose of Parsadan Gorgijanidze and what did he aspire to when creating his dictionary? How did he plan and manage to attain his goal?

1. This dictionary is one of the oldest trilingual Georgian-Arab-Persian dictionaries and, according to researchers’ conclusion, genuinely satisfies all necessary and required criteria for a decently compiled dictionary;¹⁹

2. Apparently, the dictionary by Abu Nasr Farahi was very popular at the time and, therefore, Parsadan Gorgijanidze chose it as a source for his creation;

3. The Georgian author believed that a work like his was important and tried to “fill the gaps” in Georgian lexicography. Apparently, in the 17th century, compiling such a dictionary with the polyglot contents was preconditioned by practical needs. Many Arab and Persian borrowings had penetrated the Georgian language and this new vocabulary required suitable knowledge and interpretative skills. Parsadan seems to have assumed responsibility for resolving this practical task.

4. Because of tight political dependence on Iran, in those centuries, knowledge of the Persian language used to give a certain advantage to a person in the life. The dictionary contains important lexical material from the fields of material culture, everyday life etc. The dictionary would provide good assistance in the form created by Parsadan Gorgijanidze, despite its small size. For research of Georgian-Persian relations, the work contains rich and diverse material. Many forgotten or lost lexical forms and meanings were preserved in this dictionary.

17 Hans Vogt, “Kartuli enis ganmart’ebiti leksik’oni” (*Explanatory Dictionary of Georgian Language*), *Ibero-Caucasian Linguistics XVII* (1970): 360.

18 Sulkhan-Saba Orbeliani, *Leksik’oni kartuli* (*Georgian Dictionary*), vol. 1 (Tbilisi: Merani, 1991), 29-30.

19 Aleksandre Ghlonti, *Kartuli leksik’ologia* (*Georgian Lexicology*) (Tbilisi: Tsodna, 1964), 152; Aleksandre Potskhishvili, *Kartuli enatmetsnierebis ist’oria* (*History of Georgian Linguistics*), book 1 (Tbilisi: 1995), 134.

References:

1. Gorgijanidze, Parsadan. *Kartul-arabul-spàrsuli leksik'oni (Georgian-Arabic-Persian dictionary)*. Edited by Vladimer Puturidze. Tbilisi: 1941.
2. Ghlonti, Aleksandre. *Kartuli leksik'ologis (Georgian Lexicology)*. Tbilisi: Tsodna, 1964.
3. *Histoire de la Georgie depuis l'Antiquite jusqu'au XIX siecle*, trad. du georgien par M. Brosset, II, 1. S.-Petersbourg: 1856.
4. *Histoire de la Georgie depuis l'Antiquite jusqu'au XIX siecle*, trad. du georgien par M. Brosset, II, 1. S.-Petersbourg: 1856.
5. Janashvili, Mose, publish. *Parsadan Gorgijanidze da misni shromani (Parsadan Gorgijanidze and his works)*. T'pilisi: M. Sharadzis da amkhanagobis st., 1896.
6. Javakhishvili, Ivane. *Tkhzulebani 12 t'omad, t. 8: ist'oriis mizani, ts'q'aroebi da metodebi ts'inat da akhla, ts'igni 1: dzveli kartuli saist'orio mts'erloba (Works in 12 Volumes, volume 8: Purpose, Sources and Methods of History Previously and Now, Book 1: Old Georgian Historical Writing (V-XVIII))*. Tbilisi: Tbilisi University Press, 1977.
7. K'ak'abadze, Sargis. "Parsadan Giorgijanidzis istoria" (Parsadan Gorgijanidze's history). *Historical Herald* II (1925): 198-320.
8. K'ik'nadze, Revaz. *Parsadan Gorgijanidze da 'istoriani da azmani sharavanded-tani (Parsadan Gorgijanidze and history and praising of crowned heads)*. Tbilisi: Metsniereba, 1975.
9. K'utsia, K'arlo. "Isp'ahanis kartveli t'arughebi (1618-1722)" (Georgian Tarugas of Esfahan (1618-1722)). *Issues in the History of the Near East* II (1972): 93-103.
10. Omiadze, Salome. "Kartuli disk'usis lingvok'ult'urul shemadgenelta st'rukt'ura, semant'ik'a da punktсионireba" (Structure, Semantics and Functionality of Linguistic-Cultural Components of Georgian Discourse). PhD diss., Arnold Chikobava Institute of Linguistics, 2006.
11. Orbeliani, Sulkhan-Saba. *Leksik'oni kartuli (Georgian Dictionary)*. Vol. 1. Tbilisi: Merani, 1991.
12. Potskhishvili, Aleksandre. *Kartuli enatmetsnierebis ist'oria (History of Georgian Linguistics)*, book 1. Tbilisi: 1995.
13. Puturidze, Vladimer, Text, trans. and remarks. "Mohamed Taheris tsnobebi sakkartvelos shesakheb" (References about Georgia by Mohammad Taheri). *Materials for the History of Georgia and Caucasus* 30 (1954): 375-425.
14. Sakhokia, Maia. "Akhalsparsul ponemata gadmotsemistvis kartulshi" (For Expression of New Persian Phonemes in Georgian). Diploma Thesis, Tbilisi State University, 1967.
15. Vogt, Hans. "Kartuli enis ganmart'ebiti leksik'oni" (Explanatory Dictionary of Georgian Language). *Ibero-Caucasian Linguistics* XVII (1970): 359-364.

ვლადიმერ ლეკიაშვილი

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

დისტრიბუციული სიჭარბე სემიოტიკური სისტემებსა და ბუნებრივ ენაში

ტექსტის დისკრეტული ობიექტების დისტრიბუციული ანალიზი სემიოტიკური სისტემის ოპტიმალური, „არაჭარბი“ აღწერის უმთავრესი წინაპირობაა. ეს ბანალური ჭეშმარიტებაა, რადგან თვით „სიჭარბის“ ცნება ნასესხებია ინფორმაციის თეორიიდან, რომელიც ტექსტის სინთეზს განიხილავს სტოქასტურ პროცესად და ამდენად მთლიანად ეფუძნება სტატისტიკურ ანალიზს. თავის მხრივ, ტექსტის შემადგენელთა დისტრიბუციული მახასიათებლები იძლევა მათი ნაწილების ან გაერთიანებების სისტემურ ერთეულებად პოსტულირების საშუალებას. სემიოტიკური სისტემის მოდელირებისას სიჭარბე უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ მისი თავიდან აცილება განსაზღვრავს აღწერის ეკონომიურობას და ადეკვატურობას. სხვა საკითხია, რამდენად შეიძლება ის განვიხილოთ სისტემის იმანენტურ მახასიათებლად. ინფორმაციის თეორიაში სისტემის სიჭარბის განსაზღვრისას გზავნილის შინაარსი არარელევანტურია: “(...) we are not at all interested in semantics or the meaning implications of information. Information for the communication engineer is something he transmits from one point to another as it is given to him, and it may not have any meaning at all. It might, for example, be a random sequence of digits, or it might be information for a guided missile or a television signal.” აქ მთავარია გასაგზავნი ინფორმაციის კოდირების ეკონომიურობა. სემიოტიკურ სისტემაში, რომლის სემანტიკაც ექსტასისტემურად განსაზღვრებად რეფერენტთა კონცეფციას ემყარება (და, როგორც წესი, შესაბამისი აღსანიშნები მოცემული სისტემისთვის მეტ-ნაკლებად ფიქსირებული მოცემულობაა), სემანტიკური სიჭარბე სისტემური ხარვეზი იქნებოდა. ლოტმანის აზრით, ასეთი სიჭარბე ენის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორია: “(...) what looks redundant from the synchronic point of view appears differently from the dynamic position and constitutes the structural reserve. It may be suggested that there is a certain connection between the maximum of redundancy characteristic of a given language and its capacity to change while remaining itself.” ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია მოსაზრება, რომ სიჭარბე შეიძლება ბუნებრივი ენის სემანტიკურ სისტემასაც ახასიათებდეს და ამის არგუმენტირებასაც შევეცდებით. გამოკვლევებში, რომელთა უმთავრესი თემა ზეპირი ტექსტის ამოცნობისა და ანალიზის კომპიუტერული პროგრამირებაა, „სიჭარბე“ განიხილება, ერთი მხრივ, როგორც ენობრივი სისტემის სასურველი და მისი ფუნქციონირებისთვის თითქმის აუცილებელი მახასიათებელი (რამდენადაც ის საშუალებას იძლევა სრულად ან მინიმალური შეცდომებით აღდგეს ტექსტის დამახინჯებული ან ნაკლები ფრაგმენტები), მეორე მხრივ კი, სწორედ ამ „სიჭარბის“ გამო ეჭვის ქვეშ დგება ტექსტის გარკვეულ ლინგვისტურ ერთეულებად სეგმენტაციისა და საერთოდ, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ენაში მკაცრი სისტემური დისკრეტული ელემენტე-

ბის გამოყოფის მიზანშეწონილობა. მაგალითისთვის ერთი ციტატაც იკმარებს: „ვერ ვიტყვით, რომ უპირატესობა უნდა მიენიჭოს დისკრეტული ერთეულების სიგნალს; სიგნალში ინფორმაციის განაწილების ხასიათი უზრუნველყოფს მის საიმედოობას, რამდენადაც იძლევა ჭარბ ინფორმაციას წინამავალ და მომდევნო ფრაგმენტებზე. მეტყველების ნაკადის დაყვანამ დისკრეტულ სეგმენტებზე შესაძლოა მოგვცეს ისეთი სისტემა, რომელშიც არ იქნება გათვალისწინებული ადამიანის მიერ მეტყველების აღქმის მექანიზმი და ვერ შეძლებს ეფექტიანად აღადგინოს ან გამოასწოროს არასრულყოფილი ან მცდარი აღნიშვნები.“ ჩვენ შეგნებულად შემოვიფარგლებით ამ ერთი ფრაგმენტით, რადგან იმის მიუხედავად, რომ ამ ხასიათის კვლევების მრავალი განშტოება არსებობს, მოტიანილი ციტატა სრულად გამოხატავს მათ ზოგად მიმართულებას და მეთოდოლოგიურ საფუძველს. შეზღუდული რაოდენობის ენობრივ ფრაზათა გადაცემის ეფექტიანობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს კოდიფიკაციის ეკონომიურობა; სხვა საკითხია, რამდენად მიზანშეწონილია ზოგადად ენობრივი სისტემის ან მისი რომელიმე დონის ანალიზისას „სიჭარბის“ ცნებით ოპერირება და საერთოდ, თავად ეს ცნება რამდენად ჭარბია ენის ადეკვატური აღწერისთვის. ენობრივი სისტემის ან მისი ერთ-ერთი დონის სიჭარბეს, სხვა გარემოებებთან ერთად, შეიძლება განაპირობებდეს ის, რომ (1) სისტემაში არსებობს შესაბამისი დონის ერთეულთა კომბინირების არაგანზოგადებადი შეზღუდვები (არაგანზოგადებადი საკუთრივ ლინგვისტური თვალსაზრისით, და არა, ვთქვათ, აკუსტიკურ, საარტიკულაციო თუ სხვა ექსტრალინგვისტურ საფუძველზე) ან (2) ხსენებული კომბინაციები გამოიყენება რალაც დამოუკიდებელი სისტემის გარკვეულ ერთეულთა „დასახელებისთვის“ ბუნებრივ ენაში ერთ-ერთი დონე, რომელსაც შეიძლება ახასიათებდეს სიჭარბე, ალბათ ფონოლოგიურია, რამდენადაც გარკვეულწილად შეზღუდულია ნებისმიერი ფონოლოგიური სისტემის ერთეულთა კომბინაციები – ეს შესაძლოა განპირობებული იყოს საარტიკულაციო ან აკუსტიკური კანონზომიერებებითაც. ოღონდ ასეთი „სიჭარბეც“ პირობითია: როგორც წესი, მას საფუძვლად უდევს ამა თუ იმ ენის ისტორიულად ჩამოყალიბებული და გრამატიკოსთა მიერ „დაკანონებული“ ფონემათა სიმრავლე ან სულაც ასოების ჩამონათვალი. შესაბამისად, ხსენებული სიჭარბე შეიძლება დაძლეულ იქნეს ფონოლოგიური სისტემის რესტრუქტურისაზაციით ან ე. წ. სისტემატიზაციის პროსოდიული მეთოდის გამოყენებით, როგორც ამას ცდილობდნენ ფირსი და მისი მიმდევრები ლონდონის ლინგვისტური სკოლიდან. სხვა საკითხია, საერთოდ ღირს კი უკვე მიღებული და დაკანონებული სისტემის შეცვლა, თუკი მთელი ამ პროცედურის შედეგად ფონოლოგიური სისტემის, ვთქვათ, 20 ელემენტი დავა 15-ზე. რაც შეეხება სისტემურ სიჭარბეს, რომელიც გამოწვეულია ტექსტში მის ელემენტთა (ფონემათა) შორის ინფორმაციის მკვეთრად არათანაბარი გადაწილებით (და რასაც საფუძვლად ტექსტში მათი შეხვედრის სიხშირული მახასიათებლები უდევს), ალბათ ზედმეტიცაა იმის აღნიშვნა, რომ ამ მოვლენის პირველმიზეზი უფრო მაღალი დონის ერთეულების – სიტყვების, სინტაგმების თუ წინადადებების კომბინატორული შეზღუდვებია და მისი „გამოსწორება“ სრულიად დაშლიდა მოცემულ სისტემას. გასაგებია, რომ უმთავრესი ნიშანი, რაც ბუნებრივ ენებს თუ დედუქციურ სისტემებს სისტემებად აქცევს, სწორედ ის კომბინატორული შეზ-

ღუდვებია, რომელიც ახასიათებთ მათ სხვადასხვა დონის ერთეულებს. სისტემის „ოპტიმიზაცია“ ანუ სიჭარბის მოხსნა ან მინიმუმამდე დაყვანა შესაძლებელია მხოლოდ ყველაზე მაღალი დონის ერთეულთა სასრული ჩამონათვალის საფუძველზე დაბალ დონეებზე ელემენტთა ისეთი კლასების დადგენით, რომლებსთვისაც ტექსტში დასაშვები იქნებოდა ნებისმიერი კომბინაცია და ამდენად ეს ელემენტები თანაბარი (ან თითქმის თანაბარი) ინფორმაციის მატარებლები იქნებოდნენ. სხვა სიტყვებით, ფორმალურ სისტემებში უკლებლივ ყველა გამოსახულება იქნებოდა ფორმულა, ეს უკანასკნელი კი – თეორემა; ბუნებრივ ენებში კი მოხდებოდა არა ტექსტების სინთეზი, არამედ მეხსიერებიდან მათი „ამოღება“; თანაც ამ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა „არასწორი“ ან „უჩვეულო“ ტექსტის მიღება. „სასაუბრო ენა ინფორმაციის გადაცემის მეტისმეტად ჭარბი სისტემაა“; აქ ლაპარაკია იმ სიჭარბეზე, რომლის წყალობითაც შესაძლებელია დეფექტური ან არასრული სიგნალის აღდგენა. ფონოლოგიურ დონეზე ამ მოვლენის აშკარა მაგალითია ე. წ. გადაფარვები – როცა ტექსტში რომელიმე დისტინქტური ნიშანი მოიცავს არა ერთ, არამედ რამდენიმე ფონემას და ამდენად შესაძლებელი ხდება გარკვეული ფონემის აკუსტიკური მახასიათებლის პროგნოზირება წინამდგომელი ფონემის საფუძველზე. ნიშანდობლივია, რომ მსგავს ფაქტებს სრულიად განსხვავებულად აღწერენ და აფასებენ ერთი მხრივ, ლინგვისტები, და მეორე მხრივ, ლინგვისტური პრობლემებით დაინტერესებული ინჟინრები (ძნელია მათემატიკური ან ლოგიკური უწოდო მიდგომას, რომელსაც სათავე ხომსკის შრომებმა დაუდო და რომელიც ფაქტიურად განსაზღვრავს თანამედროვე „მათემატიკური ლინგვისტიკის“ ძირითად ტენდენციებს). კერძოდ, ფონოლოგია აქტიურად იყენებს ვარიანტი / ინვარიანტის დიქტომიას, „პროსოდიული ანალიზის“ საშუალებით კი ცდილობენ ვარიანტების და სისტემაში მათი განმსაზღვრელი წესების მინიმუმამდე დაყვანას. ამის საპირისპიროდ, ბუნებრივ ენობრივი ტექსტების ანალიზისა თუ სინთეზის ალგორითმთა შემუშავებისას ინტერდისციპლინარული მიმართულების კვლევებში – ბევრათა ცალკეული კლასების ინფორმაციული სიჭარბის გათვალისწინებით – საერთოდ ეჭვის ქვეშ დგება სისტემური დისკრეტული ელემენტების გამოყოფისა და ინვარიანტთა დაფიქსირების მიზანშეწონილობა. ეს ერთი შეხედვით სრულიად არაადეკვატური მიდგომა (ტექსტის სემანტიკა კლასიფიკაციისა და სისტემური პარადიგმებისა და ინვარიანტების უგულებელყოფა ფაქტიურად ენობრივი სისტემის სტრუქტურირებაზე უარის თქმას ნიშნავს) ადვილი ასახსნელია, თუ მხედველობაში მივიღებთ არათუ ლინგვისტიკის მიმიჯნავე, არამედ თვით ლინგვისტიკაში ურყევად დამკვიდრებულ განსაზღვრას – „ენა არის კომუნიკაციის საშუალება“; ბუნებრივ ენათა პროგრამულ დამუშავებას საფუძვლად უდევს კონცეფცია, რომლის თანახმადაც ენით გამოითქმება რაღაც მისგან დამოუკიდებელად არსებული „აზრები“; გადაიცემა „მნიშვნელობები“ და ინფორმაცია – ერთი სიტყვით, ბუნებრივი ენა არამც და არამც არ განიხილება თვითკმარ ფორმალურ სისტემად. ხსენებულ ინტერდისციპლინარულ მიმართულებებში ლინგვისტური მხარე არ სცილდება სოსიურიამდელ წარმოდგენებს და საქმესაც ისეთი პირი უჩანს, რომ ამ სფეროში მომუშავე მკვლევრები აპირებენ გულმოდგინედ გაიარონ მეოცე საუკუნის ლინგვისტიკის გზა და თანაც ისე, რომ არ იქნეს გამოტოვებული არც ერთი უარყოფი-

ლი და ნაკლებფექტიანი მეთოდი. მეორე მხრივ, საკმარისად დიდი მოცულობის ტექსტის ერთეულთა მხოლოდ და მხოლოდ დისტრიბუციული ანალიზი საკმარისია იმისთვის, რომ სრულად დადგინდეს ამ ერთეულთა სემანტიკა – მათი კომბინირების სისტემატური შეზღუდვების გამოვლენის შედეგად, ხოლო პირუკუ პროცედურა – ასეთი ერთეულების აპრიორულად პოსტულირებული მნიშვნელობების და მხოლოდ მათი ცოდნის საფუძველზე გამართული ტექსტის სინთეზი ზოგად შემთხვევაში შეუძლებელია: ჩვენ თავიდან ვერ ავიცილებთ აშკარა სტილისტურ ხარვეზებს. აშკარაა, რომ ბუნებრივ ენაში ერთეულთა სემანტიკა მხოლოდ და მხოლოდ ტექსტებში მათი გამოყენების შედეგად ყალიბდება და მათი რეფერენტებიც და აღსანიშნებიც არ არის ექსტრალინგვისტური მოცემულობა. შესაბამისად, ენობრივი სისტემის ამ დონეზე სიჭარბის ცნება უბრალოდ უადგილოა. შეუძლებელია ტექსტის კომპრესია მასში გადმოცემული აზრის შენარჩუნებით: ტექსტის ნებისმიერი ფორმალური ტრანსფორმაცია ავტომარულად იწვევს მისი შინაარსის ცვლილებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Firth, J. R. *Sounds and Prosodies, Papers in Linguistics*. Oxford University Press, 1957: 121-138.
2. Lotman, Ju. M. The Dynamic Model of a Semiotic System. *Semiotica, Journal of the International Association for Semiotic Studies/Revue de l'Association Internationale de Sémiotique*, Volume 21, Issue 3-4 (Jan 1977): 208.
3. Shannon, Claude E. The Redundancy of English. *Cybernetics: The Macy-Conferences 1946–1953*. Vol. 1: Transactions. Ed. Claus Pias. (Zürich: Diaphanes, 2003), 248–72.
4. Wright, Richard; Frisch, Stefan; and Pisoni, David B. Research on Spoken Language Processing. *Progress Report No. 21* (1996-1997), Bloomington, Indiana University.

ნათელა ჟვანია

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ეთიოპური წერიტი სისტემის პარადიგმა და სინტაგმატიკა

როგორც ცნობილია მსოფლიოში არსებული 14 დამწერლობიდან ერთ-ერთი არის სამხრეთ-სემიტური ეთიოპური დამწერლობა.

ძველი ეთიოპური ენა-გეეზი სასაუბრო ენას წარმოადგენდა მეთათე საუკუნემდე ჩვ. წელთაღრიცხვით, ხოლო მეთათე საუკუნიდან დღემდე წარმოადგენს ლიტურგიის ენას.

გეეზის ლექსიკოგრაფია მოიცავს რამდენიმე ლექსიკონს, მათ შორის საუკეთესოა ავგუსტ დილმანის ეთიოპურ-ლათინური ლექსიკონი¹ და მისი გრამატიკა², რომლის საფუძველზეც წარმოვადგენ და ვახასიათებ ეთიოპური წერიტი სისტემის 26 გრაფიკულ სილაბურ სიმბოლოს პარადიგმატიკაში და სინტაგმატიკაში.

პარადიგმატიკაში აღნიშნული 26 გრაფიკული სიმბოლო გამოხატავს შესაბამის თანხმოვანს თანდართული ხმოვნით. აქ a ხმოვანი ყოველ ნიშანში იმპლიციტურად იგულისხმება: მაგ., la, ra, da, ga და ა.შ. სინტაგმატიკაში a ხმოვანს ემატება კიდევ ექვსი რიგის ხმოვნის უმნიშვნელო ნიშანი: ህ, ስ, ል, ጅ, ሀ, ሁ. ულტრა მოკლე ხმოვანი ፀ და ፊ: მაგ., lu, li, la, le, l, lo, lo. ულტრა მოკლე ხმოვანი _ፀ შეესაბამება ებრაულ šawa-ს – šaw, რაც ნიშნავს „არაფერს“.

ცნობილი მკვლევარების აზრით ამგვარ ნიშნებს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან უხმოვნობის გამოხატვის შედეგად სილაბრ ნიშანს აქცევს მხოლოდ თანხმოვნის გამომხატველად.

ეთიოპურ წერიტი სისტემის იგივე სიმბოლოებს შეიცავს ეთიოპური გრამატიკული ხელნაწერები Sawäṣəw, რომელიც შემდგომ გამოცემულ იქნა ეთიოპი და ევროპელი მკვლევარების მიერ.

ახლა განვიხილოთ წარმოდგენილი გრაფიკული სილაბური სიმბოლოები პარადიგმაში. პარადიგმატული რიგი იყოფა ორ ნაწილად: პირველ რიგს იწყებს ha, ხოლო მეორე რიგს _'a. სილაბური ასო-ნიშნები დალაგებულია მსგავსი ფორმის, მოხაზულობის მიხედვით. პარადიგმატიკის ორივე ნაწილში მსგავს მოხაზულობას ავლენენ: sa და ba; ሀa და na; _'a და Kha; ya და da; 'a და wa; p'a და ša და ა.შ.

ფონეტიკური თვალსაზრისით შემდეგი ვითარებაა: პირველი რიგის დასაწყისში ხშულ ყრუ ლარინგალ ha-ს და ფარინგალ ሀh – ს შორის მოთავსებულია ლიკვიდი, სონორი la; ყრუ ფარინგალ ሀh – ს მოსდევს ისევ მჟღერი ma; მას მოსდევს ისევ ყრუ ფრიკატივი ša, რომელსაც ყრუ sa ფრიკატივისგან გამოჰყოფს სონორი ra; შემდეგ ყრუ ხშულ qa-ს ყრუ ფშვინვიერი tha – სგან გამოჰყოფს მჟღერი ba, ხოლო მომდევნო ყრუ პოსტველარ ሀh-ს ყრუ _'a – სგან გამოჰყოფს მჟღერი na. ეს წესი რეგულირებს მთელი პირველი პარადიგმატული რიგის მანძილზე

1 *Lexicon Linguae Aethiopicae Cum Indice Latino* (Lipsiae, 1865).

2 *Ethiopic Grammar*, by August Pillmann; Second edition, enlarged and improved, by Carl Bezold (London: Williams and Aorgate 1907)

ე.ი პირველი პარადიგმატული ნაწილის სილაბური ასო-ნიშნები დალაგებულია სიმჟღერე-სიყრუის მიხედვით.

ახლა რაც შეეხება მეორე პარადიგმატულ ნაწილს-აქ უკვე აღარ აქვს ადგილი მჟღერი სილაბური თანხმოვნის უშუალო ჩართულობას, მაგრამ ფონეტიკური წესი სიმჟღერე სიყრუისა ჩემი აზრით, მაინც შენარჩუნებულია: ყრუ ფშვინვიერ ხშულს kha-ს მოსდევს ექვსი მჟღერი სილაბური თანხმოვანი: wa, 'a, za, ya, da, ga, რომელთაც თავის მხრივ მოსდევთ ექვსი ყრუ სილაბური თანხმოვანი: t'a, p'a, s'a, .da (z'a), fa და pha. ამგვარად, სიმჟღერე-სიყრუის წესი ისევ ოპერირებს.

ახლა განვიხილოთ ძვ. ეთიოპური წერითი სისტემის გრაფიკულ სიმბოლოთა სპეციფიკური სახელწოდებების სტრუქტურა და წარმომავლობა. აღსანიშნავია, რომ წერითი სისტემას, როგორც სტრუქტურას აქვს ორგვარი პლანი: გამოხატულების პლანი და შინაარსის პლანი. ზემოთ უკვე განვიხილეთ, ნაწილობრივ გამოხატულების პლანი, რაც გულისხმობს სილაბურ ნიშან-სიმბოლოთა გრაფიკულ მხარეს, აგრეთვე, ნაწილობრივ, განვიხილეთ შინაარსის პლანიც, როდესაც ვისაუბრებთ სილაბურ ასო-ნიშანთა განლაგებაზე პარადიგმაში ფონეტიკური ბუნების გათვალისწინებით. ახლა განვიხილოთ ძვ. ეთიოპური წერითი სისტემის გრაფიკულ სიმბოლოთა სპეციფიკური სახელწოდებების სტრუქტურა და წარმომავლობა, რაც გამოხატულების პლანს შეადგენს და რომელთა ლექსიკური მახასიათებლები, რამდენადმე განსხვავებულია სხვა სემიტური ენებისგან: მაგ. ḥa-ḥarm ნიშნავს „პატარა ხაზს, შტრისს“ და არა „მესერს, გალავანს“; yaman „მარჯვენა ხელი“ ნაცვლად 'ad-ისა, რაც ნიშნავს „ხელს“ ყველა სემიტურ ენაში; nahās „გველი“ იხმარება ნაცვლად nun-ისა, რაც ნიშნავს „თევზს“; 'af „პირი“ ნაცვლად phe-სი. დანარჩენი სახელწოდებები საერთოა ყველა სემიტური ენისათვის როგორცაა მაგ., māi „წყალი“; 'ain „თვალი“; bēt „სახლი“; re'es „თავი“; ḥaut-ს ა. დილმანი³ უკავშირებს არაბულ طح (ზღუდე). ḥaut-ის იმიტაციით არის შექმნილი šaut. s'ap'p'a (პირვანდელი .dap'p'a) დილმანი უკავშირებს არაბულ شش ნიშნავს „ურდულს“: hōi, lawe და Dant-ი მის მიერ აუხსნელი რჩება. P'ait' შექმნილია T'ait'-ის იმიტაციით, ხოლო Pa არის ბერძნული Pi(Psa).

საინტერესოა, რომ ჩრდილო-აღმოსავლურ სემიტურში, აქადურში ხსენებული nunnum „თევზის“ მნიშვნელობით და alfum მნიშვნელობით „ხარის თავი“ იდენტიფიცირდება აღნიშნულ ობიექტთან⁴, მაგრამ მაინც ასო-ნიშნების სახელეები განისაზღვრება ფონეტიკური პრინციპით და არა ნახატი ფორმებით.

ამჟამად, ეთიოპურ ასო-ნიშნებს აქვთ შემდეგი დასახელება: hā, lā, hā, mā და ა.შ. ცნობილი სემიტოლოგი და ეთიოპისტი ედვარდ ულენდორფი⁵ თვლის, რომ ეს დასახელებანი წარმოიშვა თვით ეთიოპიაში, ხოლო hoī, lawe ნასესხობაა ებრაულიდან.

ეთიოპებში გავრცელებული იყო ისეთი დასახელებებიც, რომელთაგან თითოეული, ეთიოპური სიტყვის საწყის თანხმოვანს შეიცავდა მაგ., na-naš'a „აღება“, ga-gabra „გაკეთება“ z'a-z'ahay „მზე“ და ა.შ.

3 A. Dillmann, *Ethiopic Grammar*, 17-18.

4 Л. А. Липин, *Аккадский Язык*, Москва: Наука, 1964, 16.

5 E. Ullendorff, *Studies in the Ethiopic syllabary*, *Africa* XXI, 1951, 207-217.

აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის აზრით⁶, მთელი რიგი ძველი სემიტური ნიშნების იდენტიფიცირება, მათი წარმომავლობის გარკვევა ხდება სათანადო ეგვიპტური ჰიეროგლიფური ნიშნებისგან და ამასთან ირკვევა, რომ ამ ასო-ნიშანთა სემიტური სახელწოდებანი თარგმანს წარმოადგენს სათანადო ეგვიპტური სიტყვებისა. ამგვარ ნიშნებად შეიძლება ჩაითვალოს 'aleph „ხარი“, waw „კავი“, jod „ხელი“, khaph „ხელის გული“, mem „წყალი“, nun „თევზი“, reš „თავი“, dalet „კარი“. აკროფონიულად ყველა ეს სიტყვა იძენს ცალი თანხმობის მნიშვნელობას.

გამოხატულების პლანს წარმოადგენს აგრეთვე წერის მიმართულება. განსხვავებით სემიტური ენებისგან ეთიოპები წერენ მარცნიდან მარჯვნივ, რაც როგორც ცნობილია მათ გადმოიღეს ბერძნებისგან, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბაბილონურ-ასურული წერის მიმართულებაც იყო მარცხნიდან მარჯვნივ.⁷ რაც შეეხება ეთიოპური დამწერლობის წარმმავლობას, იგი ეფუძნება მინაო-საბეურ დამწერლობას.⁸ ეს ფაქტი უპირობოდ არის მიღებული სამეცნიერო ლიტერატურაში. იგულისხმება მხოლოდ გრაფიკულ ნიშანთა რიგი პრადიგმატიკაში. ცნობილია, რომ ძვ. ეთიოპური წარწერები შესრულებულია სამხრეთ არაბული წერილობითი სისტემით, მაგრამ ძვ. ეთიოპურ ენაზე. ხოლო სამხრეთ არაბული ეპიგრაფიკული წარწერების ვოკალიზაცია ხდება ეთიოპურის საფუძველზე.

ისტორიული ფაქტია, რომ სამხრეთ არაბეთის (იემენის) სამეფოებს საზღვაოსნო და სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდათ წითელ ზღვასთან მდებარე სამეფოებთან. ვარაუდობენ, რომ პირველი კოლონიები აფრიკაში შექმნეს სწორედ იემენიდან გადმოსულმა ვაჭრებმა. მიგრაცია დაიწყო დაახლოებით 2500 წელს ძვ. წელთაღრიცხვით საბას სამეფოს მთავარი ქალაქის „მარიამის“ კაშხალის დანერგვის გამო ბევრი იძულებული იყო დაეტოვებინა საცხოვრებელი და მოეძებნა ახალი ტერიტორიები. ემიგრანტმა სემიტებმა იემენის ვაჭრებთან და ებრაელებთან ერთად თან წამოიღეს კლტურა, საბეური დამწერლობა და საბეური წარწერები.

ახლა რაც შეეხება ასო-ნიშანთა რიცხვით მნიშვნელობებს, ეთიოპურ გრაფიკულ სიმბოლოებს არა აქვთ მიწერილი (როგორც მაგალითად ებრაულს, არამეულს, ბერძნულს) რიცხვითი მნიშვნელობები. მაგრამ ითვლება, რომ რიცხვითი სისტემა გადმოცემული აქვთ ბერძნებიდან⁹, რაც უკვე წარმოდგენილია ხელნაწერებში, მაგრამ ეთიოპებში შეეცადნენ განევითარებინათ საკუთარი რიცხვითი სისტემა. ამისათვის გამოიყენეს საკუთარი სილაბური ნიშნები, რომელთაც ზემოდან და ქვემოდან გაუკეთეს პატარა ჰორიზონტალური შტრიხები რომ არ არეოდათ სილაბურ ასო ნიშნებში: $\aleph=40$.

პუნქტუაციის ნიშნებს რაც შეეხება, ეს გადმოღებული იქნა ძვ. სამხრეთ არაბული მონუმენტური დამწერლობიდან, რომელიც სიტყვების გამოსაყოფად ხმარობდა ვერტიკალურ შტრიხს რაც ეთიოპურმა გადმოიღო როგორც (:), ხოლო

6 თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1989, 53-54.

7 Л. А. Липин, *Аккадский Язык*, 16.

8 Г. М. Вауэр, *Язык Южноаравийской письменности*, Москва: Наука, 1966, 24-25.

9 A. Dillman, *Op. cit.*, 23.

(/) იხმარება როგორც მძიმედ ან წერტილ-მძიმედ წინადადებაში, ხოლო (: :) – ეს ოთხი წერტილი დაისმის წინადადების ბოლოს და აღნიშნავს წერტილს. ე.ი. ეთი-ოპურმა დამწერლობამ აღნიშნული ვერტიკალური შტრიხების სხვადასხვა კომ-ბინაციით შექმნა საკუთარი პუნქტუაციის ნიშნები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამყრელიძე, თამაზ. *წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამ-წერლობა*. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1989.
2. Dillman, August. *Lexicon Lingua Aethiopiae Cum Indice Latino*. Lipsiae, 1865.
3. Dillman, August. *Ethiopic Grammar*. Second edition, enlarged and improved, by Carl Bezold, London: Williams and Norgate, 1907.
4. Ullendorff, Edward. *Studies in the Ethiopic syllabary*. *Africa*, XXI, 1951.
5. Липин, Л. А. *Аккадский Язык*. Москва: Наука, 1964.
6. Вауэр, Г. М. *Язык Южноаравийской письменности*. Москва: Наука, 1966.

ალექსი ჟორდანია

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ენის გარემოს ტოპოლოგია ეგვიპტაში, ავსტრიაში, საქართველოში

ენა რიგი დარგების ინტერესთა სფეროს მოიცავს. შემოვიფარგლები ფსიქო-ლინგვისტიკისა, სოციოლინგვისტიკის, კონკრეტული ლინგვისტიკის დარგების ზოგიერთი პრობლემით.

ფსიქოლინგვისტიკის კვლევის ერთ-ერთი საგანია მეტყველებისა და აზროვნების ურთიერთობა. ჰეგელის დოგმატს “აზროვნება სიტყვების გარეშე შეუძლებელია”¹ ეწინააღმდეგებიან სერიოზული მეცნიერები: კრიტიკული აზრი მსგავსი, მუდამ არსებული „კანონისგან“ ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვით 5000 წელს მცხოვრებმა **პატანჯალიმ**² გამოთქვა. ჰეგელის მიმართ ხსენებულ საკითხში კრიტიკულად იყვნენ განწყობილნი მე-19-მე-20 საუკუნის მოღვაწეებიც – **ბირკჰოფი, ვინერი, პოია, აინშტაინი**.³

ჰანს ბირკჰოფი: „აზროვნებისას არა სიტყვებს, არამედ ალგებრული ელემენტების ვიზუალიზაციას ვაწარმოებ.“⁴

ნორბერტ ვინერი: „მე სიტყვების გარეშეც ვაზროვნებ, რაღაცა საინჟინრო სქემების წარმოსახვით.“⁵

ალბერტ აინშტაინი: „ჩემს აზროვნებაში არსებული დაწერილი ან წარმოთქმული სიტყვები არ ასრულებენ განსაკუთრებულ როლს. სიტყვები ლოგიკური სტრუქტურის სახით დრო და დრო ამომიტივტივდებიან მეხსიერებაში.“ შესაძლოა, სიტყვიერი მასალა ქვეცნობიერებაშია და კონტაქტი აზროვნებით სფეროში შემდგომ გაფორმდება სიტყვაში. აქ მნიშვნელოვანი მომენტი დაძაბულობა – სიძლიერის გრადაცია. ეს მომენტი ასე ესმით ფსიქოლინგვისტებს: არსებობს დაძაბულობა – სიძლიერის თვალსაზრისით საუბრის სამი ტიპი: 1. ხმამაღალი; 2. საშუალო ხმოვანებისა; 3. დაბალი ხმოვანებისა. ფიზიკური გრადაციით ეს ტიპები ასე ნაწილდება: 1. 70 ფონი; 2. 40 ფონი; 3. 20 ფონი. ეთნოსების მიხედვით ასეთი მდგომარეობაა:

I ტიპის ხმოვანება – არაბები, ქართველები;

II ტიპის ხმოვანება – გერმანელები, ესპანელები, თურქები;

III ტიპის ხმოვანება – ესტონელები, ფინელები, კორეელები, ჩინელები.

საუბრის ხმოვანების გარდა მნიშვნელოვანია ემოციის გამოხატვის რაღაცე-ულობა, რომელიც სამ ტიპს მოიცავს:

ძლიერი ემოციურობა;

საშუალო ძალის ემოციურობა

1 *Энциклопедия философских наук*, III. статья Г. Гегель. Москва, 1956, 273.

2 Чаттерджи Д., Датта П., *Ведение в индийскую философию*, Москва, 1963, 148.

3 Соколов А.Н., *Внутренняя речь и мышление*, Москва, 1968, 26.

4 *Ibid.*, 74.

5 *Ibid.*, 73.

დაბალი ემოციურობის დონე.⁶

ეთნოსების მიხედვით ეს ტიპები ასე ნაწილდება:

თურქები, არაბები, ქართველები;

ესპანელები, იტალიელები, ბოშები, ფრანგები;

ბირმელები, იაპონელები, შვედები, ესტონელები.⁷

ფსიქოლინგვისტიკები შეისწავლიან გარკვეულ ფერთა უნარს შევიდეს ასოციაციურ კავშირში სხვადასხვა ლექსიკურ ერთეულთან.⁸

აღვნიშნავ განსხვავებულ „ფერთა ეტალონს“ ეთნოსთა მიხედვით.

ა) თეთრი ფერის ეტალონი: უზბეკებისათვის – ბამბა; ყაზახებისთვის – რძე; ინგლისელებისთვის, ქართველებისთვის – თოვლი.

ბ) ყვითელი ფერის ეტალონი: უკრაინელებისთვის – მზესუმზირა; ფრანგებისთვის – ოქრო; ინგლისელებისთვის – ლიმონი; უზბეკებისთვის – ფეტვი; ყაზახებისთვის – კარაქი.⁹

საინტერესოა ცნობილი მწერლების ნაწარმოებებში ფერთა სიხშირე. გალაკტიონთან;

ა) შავი ფერი – 396; ბ) თეთრი ფერი – 354; გ) წითელი ფერი – 186; დ) მწვანე – 141; ე) ყვითელი ფერი – 82. მაგალითად: „ყვითელი ქადაგება მარტოოდენ შურია“, „ყვითელი ვარდები“, „ყვითელი სათლები“, „წითელი, ყვითელი – ფერია ხმაურობის მოყვარული საზოგადოებისა“

დანარჩენ ფერებს გალაკტიონ ტაბიძე ნაკლები სიხშირით ხმარობს:

ა) იისფერი – 19; მაგ. „იისფერი ნახვა“, „იისფერი საღამოთა ფენი“; ბ) ნარინჯისფერი – 2, მაგ.: „თევზებს ნარინჯისფერი ხაზებით ვჭვრეტთ ალტაცებით“; გ. რუხი – 1, მაგ.: „გზა სუფთა თუ რუხია, – უარი რა პასუხია?!“ დ) ცისფერი – 2, მაგ.: „ციფერ ლანდებს“, „ცისფერი გზებით“, „მოვიდა ქალი ცისფერ ლიფით“; ე) ყავისფერი – 1, მაგ.: „დავშთენია ყავისფერი და ყვითელი ველის კვალი“

ფერებიდან გ. ტაბიძესთან უხშირესია „შავი“¹⁰ დოსტოვესკის ნაწარმოებებში უხშირესია „ყვითელი“, და „შავი“ რუსთველთან, თუ ვიქტორ ნოზაძის ტერმინს გამოვიყენებთ, შავი და თეთრი „ფერთა მეტყველებისა“, არა მარტო სიხშირეს, არამედ – გარკვეულ სიმბოლოებსაც გამოხატავს, კერძოდ – „არისტოკრატიის სიმბოლოა“, „ყვითელი“ – განშორების სევდაა და მისთ.

ფსიქოლინგვისტიკაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია სოციოლინგვისტიკა.

სოციოლინგვისტიკა შეიქმნა ტრადიციული ლინგვისტიკის, ეთნოლოგიისა, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, პოლიტიკური ლინგვისტიკის მიჯნაზე. სოციოლინგვისტიკა, როგორც მეცნიერების ახალი დარგი შეიქმნა ამერიკელი Currie-ს

6 Abercrombie D. *Elements of General Phonetics*, 1967, 85. (გამოცემის ადგილი არ არის მითითებული).

7 Кулиш Л. Ю., *Психолингвистические аспекты восприятия устной иноязычной речи*, Киев, 1982, 12.

8 *Этнолингвистика* (ответственный редактор Ю. Сорокин), Москва, 1988, 35.

9 Цеплитис Л. К., *Анализ речевой интонации*, Рига, 1974, 55.

10 გალაკტიონის ფერთა სიხშირე აღებულია წიგნიდან: თ. და ც. სანიკიძე, *გალაკტიონ ტაბიძის ენის ლექსიკონი*, I-V.

ძალისხმევით.¹¹ ამ დარგის ერთ-ერთი ამოცანაა ენისა და დიალექტის გამიჯვნა და მათი კონტაქტის ანალიზი. სოციოლინგვისტიკების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აღმოჩენაა ის, რომ წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები ზედმეტი სიხშირით ხმარობენ „პრესტიჟულ“ ლექსიკას: ქვეცნობიერად მათი ნატურა ხომ ელიტაში მოხვედრაა; ასევე, ამერიკელები ხშირად ჭარბად იყენებენ ანდაზებს რუსულ ენაზე საუბრის წარმოებისას: მათი სურვილია „უფრო კულტურულები“ და „ენის უფრო მცოდნეებად“ გამოიყურებოდნენ, ვიდრე საშუალო რუსი.¹²

ჩემი ამოცანაა, ვუჩვენო კონკრეტული ენების – არაბულის, ავსტრიის გერმანულის, ქართულის, როგორც შესაბამისი რეგიონების სტანდარტული ენების, ასევე – ამ ენების „სასაუბრო-ყოველდღიური“ ვარიანტების, ეგვიპტელი არაბების მეტყველების, ვენის სასაუბრო ენის, მეგრული ენის ტიპოლოგიური ანალიზის ცდა.

სწავლა ჩემთვის საინტერესო სამივე რეგიონში სალიტერატურო ენაზე მიმდინარეობს, ასევე – სასამართლოც, დიპლომატიური კორპუსის მოქმედებაც. თეატრი და კინო – ავსტრიაშიც და საქართველოშიც სტანდარტულ ენას იყენებს, ეგვიპტეში კი – დიალექტური, სასაუბრო ენა არის თეატრის ენა (ვინაიდან ფართო მასებს არ ესმით სალიტერატურო ენა). მნიშვნელოვანია რეგულარული შესატყვისობები სტანდარტულ არაბულსა და სასაუბრო ენას შორის.¹³ ამ მხრივ, ეგვიპტური სასაუბრო ენაც, მეგრული ენაც, ავსტრიის (ვენის) სასაუბრო ენაც ერთნაირი სიტუაციის მაჩვენებელია – ისინი „არაპრესტიჟულნი“ არიან, შეზღუდულ ფუნქციას ატარებენ; მეგრული – „რეგიონალური კონინგენაა“, გავრცელებულია საქართველოს 6 რაიონში. კაიროს „დიალექტი“ – მთელს ეგვიპტეში მოქმედებს. „ვინერშიც“ (ვენის დიალექტი) – კონინგენა მთელი ავსტრიისთვის.

სალიტერატურო ქართულში არ იგრძნობა მეგრული მასალის „ინვაზია“ (თუ არ ჩავთვლით თავის დროზე თედო სახოკიასეული „ინოვაციების“ არსებობას – ძიქვა (შარვალი), ცირა (გაუთხოვარი ქალი). „ვინერში“-იდან სალიტერატურო ენაში, „ავსტრიის გერმანულში“ შესულია ისეთი ფორმები, როგორცაა „ინერ“ („იანურ“ ნაცვლად), Feber (Februar-ის ნაცვლად), ასევე – Obers (Sahne ნაცვლად, = არაჟანი). ვიძლევი დიალექტური სიტყვების მაგალითს „ვინერში“-ში (ფრჩხილებში – სალიტერატურო გერმანული ფორმაა):

სამსთაგ (ზამსთაგ) „შაბათი“:

ა დრაი ა ჭიირე (ეთვა დრაი ოდერ ჭიირ) „დაახლოებით სამი თუ ოთხი.“ ა (აინერ, აინე, – არტიკლია).

აა (აუხ) „აგრეთვე“ დუ ბისტ აა დილო (დუ ბისტ აუხ ცუ ბლიოდ) „შენ სულელი ყოფილხარ“:

სოლხე (ზოლხე) + „ასეთი“ აბა (ჰერაბ) „ქვემოთ“:

აუსი (ჰინაუს) „გარეთ“ აუგ (აუგე) „თვალი. შო (შონ) „უკვე“:

11 ლადარია ნ., *სოციოლინგვისტიკა*, თბილისი, 2002, 8.

12 Цеплитис Л. К., *Анализ речевой интонации*, Рига, 1974, 77.

13 Короткова М., *Об использовании различных уровней арабского языка*. „პერპექტივა XXI“; ტ. IX (2), თბილისი, 2007, 40.

ჰოზერლ (ჰოზე) „შარვალი“ დი სუნა ში შო (დი ზონე შაინთ შონ) „მზე ოკვე ანათებს“ ფარადის (თომათენ) „პომიდორი“¹⁴

გას (ციიგე) „თხა“ გშაქთ (ქერრიუქთ) „გაგიჟებული“

ცაარნ (თრაგენ) „ტარება“ ბუსერლ (ქუს) „კოცნა“

ბიმს (ბროთ) „პური“ ფაუხერლ (ქინდ) „ბავშვი“

ბადერ (არცთ) ექიმი“ ბიმსრუჩნ (მუნდ) „პირი“

ქითცე (ლიიბლინგ) „შეყვარებული“ (მომდინარეობს ძველი ზემო-გერმანული ტერმინიდან „ქიცცი“).

მეგრულისა და ქართულის რეგულარული შეპირისპირება ჩანს ამა თუ იმ სიტყვის ბგერით შემადგენლობაში: წითელი – ჭითა; ძმარი – ჯიმორი; ძმა – ჯიმა; ერთი – ართი; ასი – ოში; ძალი – ჯოლორი.

ზოგჯერ შეპირისპირება მიღებულ კანონზომიერებას არღვევს. ჩემი აზრით, ეს შეიძლება თანხმობის ზემოქმედებით ავხსნათ. მაგალითად, ქართული სიტყვის „დედა“ შესატყვისი ქართულში, წესით, უნდა ყოფილიყო „დადა“, მაგრამ რეალურად არის „დიდა“. შესაძლებელია, აქ ერთგვარი უმლაუტიზაციაა „დ“ ასობგერის ზემოქმედებით. გაგებინების თვალსაზრისით, მეგრული – არასამწერლობო ენაა, და არა – „ქართულის დიალექტი“, როგორც უმართებულად ფიქრობს პროფესორი ტარიელ ფუტყარაძე. თუ ლექსიკური ერთეულების 85% გაუგებარია ქართული ენის სალიტერატურო ფორმის მცოდნეებისთვის, ასეთი მეტყველების ნიმუში არ შეიძლება ჩაითვალოს დიალექტებად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლადარია, ნ. *სოციოლინგვისტიკა*. თბილისი, 2002.
2. სანიკიძე, თ. და ც., *გალაკტიონ ტაბიძის ენის ლექსიკონი*, I-V.
3. Abercrombie, D., *Elements of General Phonetics*, 1967.
4. Teuschl, W. *Wiener Dialekt*. St. Pölten-Selzbung, 2007.
5. Гегель, Г. *Энциклопедия философских наук*, III. Москва, 1956.
6. Короткова, М. Об использовании различных уровней арабского. „*პერპექტივა XXI*“, ტ. IX (2), თბილისი, 2007.
7. Кулиш, Л. Ю. Психолингвистические аспекты восприятия устной иноязычной речи. Киев, 1982.
8. Соколов, А. Н. Внутренняя печь и мышление. Москва, 1968.
9. Чаттерджи, Д., Датта, П. Введение в индийскую философию. Москва, 1963.
10. *Этнопсихолингвистика* (ответственный редактор Ю. Сорокин), Москва, 1988.

14 Teuschl W., *Wiener Dialekt*, Salzburg, 2007, 54.

Darejan Svani

G. Tsereteli Institute of Oriental Studies

THE TREATISE OF ARSENIUS (FARIS) FAKHURI AND ITS PLACE IN SYRIAC GRAMMATICAL LITERATURE

Syriac grammatical scholarship originated in the 4th-6th centuries, reaching its summit in the period of activity of the great figure of the 13th century, Abu-l Faraj Gregory bar Hebraeus. He is the last representative of Syrian grammarians, if we do not take into consideration several Maronite grammarians, of whom Arsenius Fakhuri, a 19th-century figure, is noteworthy. The only author providing information about him is L.Cheikho. He offered an extensive description of Fakhuri's life and work in his special study and published it in the journal *Al-Machriq* (*Al-Machriq*, 13, 1900). He also noted some basic moments of Fakhuri's biography in *La littérature arabe au XIX siècle* (L.Cheikho, *La littérature arabe au XIX siècle*, Beyrouth, 1926).

Arsenius (Faris) Fakhuri was born in 1800 in Lebanon. He received elementary education at the Greek College, and then continued his studies at Mar Anthony Seminary, which later became known as Ain Warka.

At Ain Warka Seminary main attention was paid to the study of Literary Arabic and Classical Syriac. Along with these languages, Italian and Latin, theology, logic and philosophy were also taught. The Seminary students also received general education in arithmetic and history. Together with Arabic and Old Syriac, here Fakhuri studied the Italian and the Latin languages, as well as philosophy, logic and theology. Still being a Seminary student, he worked independently on the history of religion and world history. Over a short period of time, Faris won universal recognition as the most erudite person. His popularity reached Youssef Hobaish, the Patriarch of Maronites at that time. In 1826 he appointed Fakhuri Patriarch of Bkerke and named him Arsenius.

The beginning of Fakhuri's activity is linked with the political innovations occurring in Syria and Egypt in the early 19th century. American, French and English missionaries set off to Syria and, especially, Lebanon, where the Christian religion of a part of the population had long since facilitated the dissemination of European culture. Missionaries established theological seminaries and schools. In 1866 the Syrian Protestant College (later known as the American University) was opened in Beirut. The Maronite clergy met with hostility the ever-growing flow of missionaries in Syria and established a new public school at one of the nunneries of Lebanon, where Arsenius Fakhuri was invited as a teacher of the Arabic and the Latin languages. The latter at that time fulfilled the duties of the ambassador in the city of Bella, from where he was immediately withdrawn upon the demand of Youssef Hobaish. However, very soon he was forced to abandon educational activity, as was transferred to the position of secretary of the Pope's ambassador.

In 1838 Christian Cadi Metropolitan Gabriel of Lebanon died. The Governor of Lebanon of that period regarded Arsenius Fakhuri as the worthiest for this position. Fakhuri fulfilled the duties of Christian Cadi of Lebanon for a long time and was held in respect by Christians, Muslims and Druses. He was elected as a member of the Majlis and

enjoyed great rights as a judge in Lebanon. For example, this is indicated by the fact that Arsenius Fakhuri participated in the hearing of a case concerning one of the armed attacks between Druses and Christians in 1842.

From 1856 Fakhuri's eyesight deteriorated significantly. He gave up his career as a judge and was engaged only in literary work. Faris Fakhuri died in 1883.

Arsenius Fari Fakhuri's literary heritage is diverse. He is the author of works of literary, grammatical as well as ecclesiastical character. Mention should be made of his divan of poems, consisting of 440 pages, a book on issues of Arabic poetry and explanations of Al-Mutanabbi's divan of poems. He also composed a textbook for students, which covers morphology and syntax of the Arabic language. His *Grammar of the Syriac Language* ("*Fundamentals of Syriac Grammar*") deserves special attention.

When discussing Arsenius Fakhuri's grammatical treatise, first of all, several moments should be emphasized: the treatise is the latest of similar works of Syrian authors surviving to the present day and also attracts attention by the fact that views of early grammarians are gathered and taken into consideration in it. Although Fakhuri mentions only Gregory bar Hebraeus, even this is sufficient to clarify that he was familiar with the works of the Syrian authors, about whom important information is preserved in the grammatical treatise of this great thinker *Book of Splendours*.

This allows us to evaluate more correctly the peculiar approach, which is observable at the time of analysis of some categories and selection of illustrative material. The treatise is based on the principles of the Arabic grammatical system. The influence of the Arabic system is observable in the classification of the parts of speech, discussion of the noun categories, especially in the characterization of verb types.

The grammar of Arsenius Fakhuri, consisting of an introduction and three parts, is mainly devoted to issues of morphology, although issues of phonetics as separate chapters are also found in the text.

In the introduction, characterization of the Syriac alphabet, a quite brief overview of issues of the vowel system and punctuation are presented, the final chapter deals with the classification of the parts of a sentence.

The most extensive, second part of the grammar is entirely devoted to names, where nouns, adjectives and pronouns are discussed, statuses characteristic of Syriac nouns i.e. state is described. The author dwells specially on *status absolutus*, offers an extensive overview of formation of numerals.

The third part of the grammar deals with verb categories. Verb types are described accurately, from the viewpoint of the completeness of verb conjugation paradigms, Fakhuri's grammar hardly finds parallels in Syriac grammatical literature.

It should be noted that the author begins discussion of one or another issue on the basis of peculiarities recorded in the language at his time. This mostly applies the plosives (*bgdkpt*), and is also attested during the discussion of verbal noun and participle forms. In the first case Fakhuri indicates only those sounds pronunciation of which as spirants is preserved in the language (naturally, here Classical Syriac is not implied).

Thorough knowledge of the Syriac language is confirmed by the rich illustrative material recorded in the grammar. Often one page, sometimes two pages are devoted to

Illustrations. The list of peculiar nouns is offered alphabetically. Words and meanings are represented, which are very important for studying the language. Many of them are not attested either in European or Syriac grammatical literature known to us. Unlike works of the same character, here Arabic equivalents of meanings are offered. Thus, illustrative material attracts certain attention from the viewpoint of Syriac as well as Arabic.

As noted above, in the treatise highly precise and extensive analysis of nouns and verbs is offered, views of Arab grammarians are taken into consideration. At the same time it should also be noted that sometimes Fakhuri is original and some of his qualifications seem to be more acceptable than those of the previous authors. There are cases when Fakhuri does not follow the tradition and derives some form or category by the analogy of Arabic. For example, at the time of formation of the Genitive construction, *al-mu,dafa* (the added) and *al-mu,dafa ilayhi* (the added to) are differentiated. Here we can also mention identification of regular and broken plurals in nouns and grouping of nouns according to Arabic.

Since the study of punctuation and accentuation issues are no longer regarded as the main purpose of grammar, in the works of almost all Syrian grammarians one finds analysis of verb categories. Some of them, e.g. Elias of Tirhan (11th c.), whose grammar is created like Arabic and is written in the form of questions and answers, confines himself only to the classification of verbs. In the treatise of Bar Hebraeus, which has no equal in the relevant literature, inflection of all types of verbs are presented, their paradigm, however, is not always indicated. In this respect Arsenius Fakhuri's grammar is different from works of all other authors. In his grammar regular, geminated, weak, guttural verbs are recorded, those of the active voice as well as their reflexives with paradigms. As regards noun inflection and verb inflection, Fakhuri's grammar is the most perfect. In the noun inflection not only the changes are indicated that occur at the time of adding pronominal suffixes, but paradigms of these types are also represented. The situation is the same with verbs. It should be noted that according to the accuracy and consecutiveness of paradigms the treatise is not inferior to European grammars.

The grammatical terminology presented in Fakhuri's work is especially important. It can be said that almost none of the categories or linguistic phenomena occurs without a corresponding term. The majority of grammatical terms given in the treatise are attested in Syriac grammatical literature and are mostly recorded in grammatical treatises of the 10th-13th centuries (in grammars of Jacob of Edessa – 7th c., Bar Zo'bi – 12th c., Elias of Tirhan, Bar Hebraeus). The number of terms offered by Fakhuri exceeds that recorded with other Syrian authors and, most importantly, all Syriac terms are accompanied by Arabic equivalents. In works of Syrian grammarians we get acquainted only with Syriac terminology (not counting Elias of Tirhan; in his grammar, however, only some Arabic terms are found). With Arsenius Fakhuri one often finds terms which are not recorded elsewhere and represent direct translations from Arabic.

References:

1. Райт, В. *Краткий очерк истории сирийской литературы*. СПб., 1902.
2. Baumstark, A. *Geschichte der syrischen Literatur*. Bonn, 1922.
3. Cheikho, L. *La littérature arabe au XIX siècle*. Beyrouth 1926.
4. *Al-Machriq*, 13, 1900.

ლიტერატურათმცოდნეობა Literary Criticism

მზია ბურჯანაძე

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

სათაურის ფენომენი სადღეეჲ ვედაიათის მხატვრულ პროზაში

რიგითი მკითხველისთვის სათაური ტექსტის თავისთავად არსებულ ნაწილად, მის სახელად აღიქმება, თუმცა კარგი სათაური არ შეიძლება, იყოს შემთხვევითი ან არაფრისმთქმელი. რა ფუნქცია ეკისრება სათაურს? „სათაური პირველი შთაბეჭდილებაა მოთხრობისგან. ადამიანები პირველ შთაბეჭდილებას თავიანთი გამოჩენით, ტანსაცმლით, უესტ-მიმიკით ახდენენ, მოთხრობები კი – სათაურით. სათაური იწვევს განწყობას, მოლოდინს ან, იქნებ, უინტერესობასაც. ხშირად სწორედ სათაური განსაზღვრავს, წაიკითხავს თუ არა კაცი ამა თუ იმ მოთხრობას.“¹

სათაურის პირველადი და ძირითადი ფუნქცია ნომინატიურია. ესაა მისი ისტორიულად განსაზღვრული და ჩამოყალიბებული ფუნქცია, როგორც ტექსტის სახელი. ეს ფუნქცია ერთიანად ვრცელდება ყველა სახის სათაურზე, მიუხედავად მისი სტრუქტურისა და დანიშნულებისა. ასევე, უნივერსალურია სათაურის ინფორმაციული ფუნქცია, რადგან ნებისმიერი სახელდება ადრესატისთვის გარკვეული ინფორმაციის გადაცემას ისახავს მიზნად. ძალიან მნიშვნელოვანია, ასევე, სათაურის სარეკლამო ფუნქცია, რომელიც მკითხველის დაინტერესებას, ყურადღების მიზიდვას გულისხმობს. თანამედროვე სინამდვილეში, როდესაც წიგნის ბაზარი საგრძნობლად გაიზარდა, სათაურის სარეკლამო ფუნქცია სულ უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. თუმცა სათაურის ფენომენის უფრო ფართო განხილვას მის კიდევ ერთ – ექსპრესიულ-აპელაციურ ფუნქციამდე მივყავართ. სათაურმა ავტორის პოზიცია უნდა გამოხატოს, ტექსტამდე მიიყვანოს, მის არსში ჩაახედოს მკითხველი. სათაური ტექსტის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, მისით იწყება ტექსტთან ურთიერთობა და მისი აღქმა, მისი ინტერპრეტირება. იმაზე, თუ რამდენად სწორად და კარგადაა სათაური შერჩეული, ხშირად ნაწარმოების ბედიც, მისი წარმატებაცაა დამოკიდებული. სათაური ტექსტის შინაარსის დესპანია, ნიშანია, რომელიც წინ უნდა წაუძღვეს მკითხველს. „ნიშანი კაცობრიობის კულტურაში შუამავლის ფუნქციას ასრულებს. ნიშნობრივი მოქმედების მიზანი განსაზღვრული შინაარსის გადაცემაა.“²

სანამ ნაწარმოებს წაიკითხავს, მკითხველის ყურადღება სათაურმა უნდა მიიპყროს. ის უნდა იყოს ტექსტის როგორც აზრობრივი, ასევე, ესთეტიკური სტრუქტურის განმსაზღვრელი. ამდენად, კარგი სათაურის შერჩევა კარგი მწერ-

1 B. Reissenweber, *How important is the title of a story?*

2 Ю. Лотман, *Об искусстве*, СПб.: Искусство-СПБ, 1998, 44.

ლისთვის საკმაოდ მძიმე ამოცანაა, ტექსტზე მუშაობისას იგი მრავალჯერ შეიძლება შეიცვალოს.

კაცობრიობის განვითარების მანძილზე ლიტერატურის ისტორიის სხვადასხვა პერიოდი სათაურის სხვადასხვა გაგებას და მის მიმართ განსხვავებულ მიდგომას ამჟღავნებდა. გვიან შუასაუკუნეებში სათაურები ხშირად გრძელი, ანოტაციური ხასიათის – ვრცელი ახსნა-განმარტების შემცველი იყო („ცხოვრება და საოცარი თავგადასავალი რობინზონ კრუზოსი, იორკელი მეზღვაურის, რომელმაც 28 წელი სრულ სიმარტოვეში იცხოვრა ამერიკის ნაპირებთან მდინარე ორინოკოს შესართავთან მდებარე უკაცრიელ კუნძულზე, სადაც გამორიყულ იქნა გემის დაღუპვის შემდეგ, რასაც შეეწირა გემის მთელი ეკიპაჟი მის გარდა. მეკობრეების მიერ მისი მოულოდნელი ხსნის ამბავი, მის მიერ დაწერილი“).

თანდათან სათაურები დამოკლდა და ანოტაციური ფორმა დაკარგა. განსაკუთრებით ეს მეოცე საუკუნეზე ითქმის. დამკვიდრდა მოკლე, ფორმალურად ეკონომიური სათაურები. თუმცა მეოცე საუკუნეშიც ხშირია შემთხვევა, როცა სათაურად მთელი წინადადებები გამოაქვს ავტორს („გზაზე ერთი კაცი მიდიოდა; „ყბაჩამ დაიგვიანა“). ხშირად სათაურად ნაწარმოების ჟანრული მახასიათებელი გვხვდება („მგზავრის წერილები“), მიღებულია ნაწარმოების დასათურება მთავარი პერსონაჟის სახელის („ანა კარენინა“, „ნიკოლას ნიკლბი“) ან მოქმედების ადგილისა და დროის მიხედვით („სარჩობელაზე“, „ხვალ“); შეიძლება, სათაურად გამოვიდეს პერსონაჟის არსობრივად მნიშვნელოვანი სიტყვა ან რაიმე რეპლიკა („დამპატიჟე“); ტექსტის ძირითად თემაზე ან კონფლიქტზე მინიშნება („ჩემი თავგადასავალი“, „თინას ლეკური“); ხდება, რომ მწერალი რიტორიკულად მიმართავს მკითხველს („კაცია-ადამიანი?!“).

თუმცა სათაურის ფორმალურ შეკუმშვას მისი შინაარსობრივი გამარტივება არ გამოუწვევია. პირიქით, რაც უფრო ლაკონურია სათაური, მით მეტადაა დატვირთული სემანტიკურად. ამდენად, კარგი სათაურის შერჩევა უფრო გართულდა. სათაური ტექსტის მხატვრულ სამყაროსთან მჭიდრო კავშირში უნდა იყოს, მისგან ცალკე არ უნდა აღიქმებოდეს; ის ავტორის მსოფლხედვის, სამყაროსადმი მისეული მიმართების გამომხატველი უნდა იყოს; ის მკითხველისთვისაა განკუთვნილი და მისგან ადეკვატურ ინტერპრეტაციას მოითხოვს. სწორედ ამ ფუნქციების გათვალისწინებით, კარგი მწერალი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სათაურის შერჩევას.³

დღევანდელი ეპოქის ტექსტური ალქმისა და ინტერპრეტაციის პირობებში, როდესაც მოდერნიზმმა და პოსტმოდერნიზმმა ახალი ხედვა და ახალი მეთოდები დაამკვიდრა ხელოვნებაში, როდესაც ხელოვნების ნაწარამოები აღარ მიიჩნევა „დახურულ“ ერთეულად და მისი ალქმა „ლია“ ნებისმიერი გაგებისთვის, განსაკუთრებულ მნიშვნელობას და ფუნქციას იძენს სათაური. როდესაც „აღარ არსებობს“ მწერალი, როდესაც „ავტორის სიკვდილი“ უკვე ბუნებრივ მოდელად დამკვიდრდა თანამედროვე ხელოვნების სფეროებში, მათ შორის, ლიტერატურათმცოდნეობაში, მკითხველისთვის ავტორის ჩანაფიქრისკენ ერთ-ერთ მნიშვ-

3 Н, Веселова, Заглавие литературно-художественного текста (канд. Дисс.), Тверь, 1998, 25. <http://www.dissercat.com/content/zaglavie-literurno-khudozhestvennogo-teksta-antologiya-i-poetika>

ნელოვან და უტყუარ მეგზურს სათაური წარმოადგენს. თუმცა, რა თქმა უნდა, აქ კვალიფიციურ მკითხველზეა ლაპარაკი, რომელიც ნაწარმოების ჩანაფიქრის ინტერპრეტირებას ადეკვატურად შეიძლებს. ამგვარი სათაურის გააზრება, შესაძლოა, ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ ხელახლა მობრუნებასაც მოითხოვდეს და ეს მობრუნება, თავის მხრივ, მთელი ტექსტის გადააზრებას გულისხმობდეს.

არსებობს ერთი შეხედვით მარტივი სათაურები, რომელთა მოფიქრებას მწერლისთვის დიდი თავსატეხი არ უნდა მოჰქონდეს. ესაა, მაგალითად, უკვე ნახსენები ნომინაცია (პერსონაჟის სახელი, მოვლენის ადგილი ან დრო...). თუმცა ამ შემთხვევებშიც შეიძლება, რომ მთლად ასე მარტივად არ იყოს საქმე და სათაურად გამოტანილი კონკრეტული პიროვნების სახელი, პროფესია თუ მოქმედების ადგილი ნაწარმოების წაკითხვის მერე სრულიად განზოგადებულ მოვლენად ან პერსონაჟად წარმოგვიდგეს („ოთარაანთ ქვრივი“..).

არის ალუზიურ-ასოციაციური სათაურებიც, როცა სიახლესთან შერწყმული, სათაურის ერთ-ერთ კომპონენტად შემოსული უკვე ნაცნობი, ადრე არსებული მოვლენა ან პერსონაჟი მკითხველში ასოციაციურ განწყობას ქმნის და სწორედ ამ ასოციაციას მიჰყავს იგი მწერლის ჩანაფიქრის გახსნამდე („ქარაჯელი დონ-ჟუანი“).

ამდენად, სათაურის გაგება, რამდენად ერთმნიშვნელოვანად, ბანალურად და მარტივადაც არ უნდა გვეჩვენებოდეს ის, შესაძლოა, მხოლოდ მთელი ტექსტის – ერთიანი სტრუქტურულ-სემანტიკური და ესთეტიკური ორგანიზაციის – აღქმის შემდეგ გახდეს შესაძლებელი.

რაც შეეხება სიმბოლურ სათაურებს, რომლებიც თანამედროვე ეპოქის ლიტერატურაში ძალიან ხშირია, მათი უმრავლესობის სიღრმისეული გააზრება მხოლოდ მეგაკონტექსტშია შესაძლებელი.

ამ ერთი სტატიის ფარგლებში მინდა ვცადო და ამ უდავოდ მნიშვნელოვანი ფენომენის გამოყენების ასპექტები განვიხილო სადეჟ ჰედაიათის მხატვრულ პროზაში.

ჰედაიათი გახლავთ მეოცე საუკუნის სპარსული მწერლობის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი, მრავალმხრივი შემოქმედი და სრულიად არაორდინარული პიროვნება. კაცი, რომელმაც სულიერ სიმარტოვეში, „სხვანაირობის“ დაღდასმულმა გალია საკმაოდ ხანმოკლე ცხოვრება და ორმოცდარვა წლის ასაკში თავი მოიკლა. ჰედაიათის მნიშვნელობა, როგორც ხშირად ხდება ხელოვნების ისტორიაში, მისი სიკვდილის შემდეგ მეტად გამოჩნდა და დღესდღეობით მისი იდემალებით მოცული ცხოვრებისა და ბუნდოვანების საბურველში შეფუთული სიკვდილის დეტალები ისეთივე ინტერესის საგანია მკითხველებისთვის და ლიტერატურათმცოდნეებისთვის, როგორც – მწერლის შემოქმედება. ეს იქნებ არც იყოს გასაოცარი, რადგან აქ მხოლოდ ამაო ადამიანური ცნობისმოყვარეობა არ თამაშობს როლს. ჰედაიათი იმდენად ერთიანი და დაურღვეველი პიროვნება იყო – მწერალი, რომელიც ისე წერდა, როგორც ცხოვრობდა და კაცი, რომელიც ისე ცხოვრობდა, როგორც წერდა – რომ მისი ნაწერები მისივე პიროვნების შეცნობის ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს და არგუმენტს წარმოადგენს. იქნებ ნაწარმოების შეცნობის ასეთი მეთოდი დღევანდელი ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთ დამკვიდრებულ პოსტულატს – „ავტორის სიკვდილს“ – არ

ეთანხმებოდეს, მაგრამ ეს წინააღმდეგობა, შეიძლება, თეორიული პოსტულატების სიმკიცხვეზე უფრო მეტყველებდეს (რაც არ უნდა დიდი ავტორიტეტები ქმნიდნენ მათ), ვიდრე აღნიშნული ვითარების მცდარობაზე.

ჩემთვის მნიშვნელოვანია როგორც თავისთავად სათაურის ფენომენის დაწინაურება ჰედაიათთან, ასევე, თავად მწერლის მსოფლალქმისა და მოვლენებისადმი მისი პიროვნული დამოკიდებულების ჩვენება სათაურების გახსნის გზით.

პირველ რიგში, აუცილებლად მიმაჩნია იმისი აღნიშვნა, რომ ჰედაიათი არ იყო მხოლოდ ერთი ჯგუფის ან ერთი პრობლემის მწერალი. ის წერდა ყველასთვის და ყველაფერზე. მის შემოქმედებაში არის ნაწარმოებები, რომლებიც სრულიად გასაგები და მისაღებია დაბალი სოციალური კუთვნილების მკითხველისთვის და ნაწარმოებები, რომლის გაგებას მხოლოდ კვალიფიციური მკითხველი შეიძლება. ამ შემთხვევაშიც, მათ შესახებ, შესაძლოა, სრულიად განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობდეს. ჰედაიათი არის მასობრივი მკითხველის მწერალიც და ელიტური მკითხველის მწერალიც. ამ ყველაფერს, რა თქმა უნდა, თავისი ახსნა აქვს (აქ გასათვალისწინებელია ეპოქის მოთხოვნები, გასათვალისწინებელია, რომ ჰედაიათი ერთ-ერთი პირველი პროზაიკოსია ირანში და მას გარკვეული მისია აკისრია მკითხველის წინაშე...), მაგრამ ამ საკითხებზე საუბარი ახლა შორსაც წაგვიყვანს და არცაა საჭირო განსახილველ საკითხთან მიმართებაში. თუმცა ამ თემის წამოჭრა საჭიროდ მივჩნე იმდენად, რამდენადაც ჰედაიათის შემოქმედებაში ნაწარმოების ტიპი და დაწინაურება (გაუხლენჯავად დაკავშირებული ადრესატის – მკითხველის ტიპთან და მოთხოვნილებასთან) თითქმის მთლიანად განსაზღვრავს სათაურის ფორმას და შინაარსს. ბანალურად რომ ვთქვათ, ჰედაიათის მხატვრული ნაწარმოებები ორ რიგად შეიძლება დაიყოს: რეალისტურად და მოდერნისტულად. და ორივე შემთხვევაში ჰედაიათს თავისი მკითხველი ჰყავს. საინტერესოა, რომ მეოცე საუკუნის შუახანების ირანში, რომელსაც პოლიტიკურად და კულტურულად მჭიდრო კავშირი ჰქონდა საბჭოთა კავშირთან, მეტად ფასობდა ჰედაიათის ე.წ. რეალისტური თხზულებები და ეს ბუნებრივიც იყო, იმდროინდელი საბჭოური სინამდვილის დაკვეთიდან გამომდინარე. საბჭოთა რესპუბლიკებშიც თარგმნიდნენ და კითხულობდნენ ჰედაიათის ნაწარმოებების სწორედ ამ ნაწილს, რომელიც მისაღებად მიიჩნეოდა. მის ე.წ. „დეკადენტურ“ თხზულებებს დასავლური მოდის გავლენად მოიზარებდნენ და გვერდს უვლიდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ჰედაიათის ამ რიგის თხზულებებიდან ქართულადაც და რუსულადაც იმ პერიოდში ითარგმნა მხოლოდ მისი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები – მოდერნისტული რომანი „ბრმა ბუ“, თუმცა რეალისტური თხზულებები აქტიურად ითარგმნებოდა.

დროსთან ერთად ვითარება შეიცვალა: საბჭოთა სინამდვილესთან ურთიერთობის გაწვევტამ ირანში უარყოფითი დამოკიდებულება დაამკვიდრა ყველაფრის მიმართ, რასაც, საფუძვლიანად თუ უსაფუძვლოდ, საბჭოთა გავლენასთან აკავშირებდნენ. ასეთად აღიქმებოდა ე.წ. რეალისტური მიმდინარეობა ხელოვნებაში და, კერძოდ კი, ლიტერატურაში. შესაბამისად, ყველაფერი, რაც დასავლური მოდერნიზმის მიმდევრობად აღიქმებოდა, ერთბაშად და უპირობოდ დაფასდა. ამ გულუბრყვილო მიმართებამ მოიტანა ჰედაიათის (და არამარტო ჰედაიათის) მხატვრული შემოქმედებისადმი დამოკიდებულების გადაფასებაც. გან-

ხილვის (და ახლა უკვე აღტაცების) ობიექტად იქცა მისი მოდერნისტული თხზულებები, ხოლო აქამდე დაფასებული რეალისტური ნაწარმოებები დავიწყებას მიეცა ან გაცამტვერდა.

თუმცა, საბედნიეროდ, შემოქმედის მსოფლადქმა და მხატვრული სამყარო არ ცნობს ამგვარ პირობითობებს და ყოველდღიურობის ფაციფუსს. ამდენად, ჰედაიათის რეალისტური სივრცეც ისევე დაურღვევლადაა მიბმული მის არსებობას, როგორც – ე.წ. მოდერნისტული ხედვა. ის ობიექტური სინამდვილე, რომელიც ერტყა გარს თავად მწერალს, სასიკეთო იმპულსებს არ უგზავნიდა მის ფაქიზ სულიერ არსს და „დეკადენტური შეგრძნებებით“ ამძიებდა.

შეიძლება ითქვას, რომ ჰედაიათი თავადვე – უკვე სათაურიდანვე – „ყოფდა“ ნაწარმოებებს ამ პრინციპით: რეალისტური (ობიექტურად არსებული სინამდვილე, რიგითი მკითხველისთვისაც ადვილად ხელმისაწვდომი) და მოდერნისტული (შინაგანი დისპარმონია, ფიქრები და ტკივილები – მისი უფრო რეალური ცხოვრება, ვიდრე ყოფითი სინამდვილე – მხოლოდ რჩეული მკითხველისთვის გამიზნული).

პირველი რიგის (ე.წ. რეალისტური) ნაწარმოებების დასათაურებისას ჰედაიათი, თითქოს, დიდ მღელვარებას არ იჩენს. უფრო ხშირად ნომინაციური მიზნით იფარგლება და სათაურის ფუნქციად ტექსტის მარტივ სახელდებას სჯერდება: „ლალე“, „აბჯი-ხანუმი“, „ჰაჯი-აყა“, „ალავიე-ხანუმი“. ამავე რიგს წარმოადგენს სუბორდინაციული სახელადი ფრაზა სათაურის რანგში: „მაწანწალა ძალლი“, „კუზიანი დაუდი“.. მოქმედების დროსა თუ ადგილის სახელდება („ხვალ“..);

თუმცა ამ შემთხვევებშიც, შესაძლოა, ასეთი ცალსახა და მარტივი გადაწყვეტა არც იყოს მწერლის მიზანი და ეს – ერთი შეხედვით, ლოგიკური – სათაურები არ იყოს მხოლოდ მარტივი ნომინაცია ტექსტისთვის. ცნობილია, რომ ხშირად ამ ტიპის სათაურებიც უფრო რთულ სემანტიკურ დატვირთვას ითავსებს და, შესაძლოა, კონკრეტული მოვლენის თუ პიროვნების მახასიათებლის ფართო განზოგადებას გულისხმობდეს. ეს ის შემთხვევებია, როცა ერთი ლუარსაბ თათქარიძე „თათქარიძეობის“ რანგში გადადის, „ჯაყოს ხიზნებში“ მთელი ქვეყნის გათელილი ღირსება იგულისხმება, „თავსაფრიანი დედაკაცი“ სულაც არ ნიშნავს ერთ კონკრეტულ დაქვრივებულ დედაკაცს და საზოგადოდ დედობის უმაღლეს განზომილებად მოიაზრება...

რა თქმა უნდა, ძნელია კატეგორიულად რაიმეს მტკიცება, როდესაც საუბრის თემა ისეთი არანივთიერი ფენომენია, როგორც – ხელოვნების სფერო, შემოქმედის აზრი და სული, რომელთა დამწყვედვა კონკრეტულ ლოგიკურ ჩარჩოში შეუძლებელია. თუმცა ვარაუდის გამოთქმა კი შეიძლება. ჰედაიათი არ იყო ის კაცი, რომელიც რამეს შემთხვევით აკეთებდა. მისი ყოველი სიტყვა „ასჯერ ნაფიქრი, აწონილ-დაწონილი და ქალაღზე ნაპკურები იყო“. ამდენად, ვფიქრობ, არ შეეცდები, თუ ვიტყვი, რომ „აბჯი-ხანუმი“, „მაწანწალა ძალლი“ თუ „კუზიანი დაუდი“ მწერლის გარემომცველი სინამდვილის ერთი საერთო სურათია: უსიყვარულობის, გულგრილობის, ფარისევლობის ზეიმი და ამ საერთო სურათის კონკრეტული მსხვერპლის განზოგადებული სახეები: უსიყვარულობის გამო თვითმკვლევობამდე მიყვანილი მრავალი აბჯი-ხანუმი, მოჩვენებითი სიყვარულის გაუცნობიერებელ ძიებას შეწირული ადამიანები (მაწანწალა ძალლის სახეში თავმოყრილნი),

გულგრილობისა და დაცინვის მტანჯველი შიშით დაჩრიავებულ-დაკომპლექსებული კუზიანები – ფიზიკურად ნაკლოვანი ან სულიერად მყიფე ადამიანები...

ჰედაიათის ნოველა „ცეცხლთაყვანისმცემელი“ ასევე, ნომინაციურად თითქოს ნეიტრალურ სათაურს ატარებს, მაგრამ ნოველის წაკითხვის შემდეგ, როდესაც კვლავ სათაურს მოუბრუნდები, აშკარა ხდება, რომ მისი ტექსტთან კავშირი უფრო ღრმაა, ვიდრე, უბრალოდ, ნომინაცია. ამ სათაურში დევს ჰედაიათის ღრმა სულიერი ერთობა ისლამამდელი ირანის ზოროასტრულ კულტურასთან, მის მიერ ამ რელიგიისა და კულტურის რეალურ სამშობლოდ, ნამდვილ ირანად გააზრება. ჰედაიათი თავის ამ მიმართებას არც სხვა ნაწარმოებებში მალავს („ფარვინი – სასანელი ასული“, „ბრმა ბუ“...), მაგრამ ამ ნოველის სათაური არათუ მხოლოდ ერთი ნაწარმოების იდეისა და მიზანდასახულობის სიმბოლოდ არ იქცევა, არამედ მწერლის ზოგადი რელიგიურ-ფილოსოფიური და პატრიოტული კრედოს გამომხატველადაც გვევლინება. ნოველაში ევროპელი არქეოლოგი ზოროასტრულ ტაძართან და ქურუმებთან წარმოსახვითი თუ რეალური შეხების შედეგად ღმერთთან მიახლებისა და ჭეშმარიტი რელიგიის აღმოჩენით გამოწვეულ აღმაფრენას გრძნობს: „მე, ვისაც არაფრისა მწამდა, მუხლი მოვიყარე ამ ნაცრის წინაშე, ცისფერი კვამლი რომ სდიოდა, და თაყვანი ვეცი... აჰურამაზდას ტაძარს ვეთაყვანე – იქნებ ისევე, როგორც ძველი ირანის ფადიშაჰები ეთაყვანებოდნენ ცეცხლს. იმ წუთებში ცეცხლთაყვანისმცემელი ვიყავი...“⁴

ნოველას „ქარაჯელი დონ ჟუანი“ სიმბოლური, ალუზიურ-ასოციაციური ხასიათის სათაური აქვს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ტექსტთან სათაურის კავშირი ძველის, კარგად ნაცნობი პერსონაჟისა თუ მოვლენის ცოდნას ემყარება. ამის გარეშე სათაურის იდეური კავშირის აღმოჩენა ტექსტთან შეუძლებელი იქნებოდა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ჰედაიათის მხატვრულ ნაწარმოებებში ამ ტიპის სათაურები თითქმის არ გვხვდება.

რაც შეეხება მეორე რიგის, მოდერნისტული, ნაწარმოებების სათაურებს, მათ ჰედაიათი ძალიან ფრთხილად და ფიქრიანად არჩევს. ეს სათაურები სიმბოლურ-მეტაფორულ დატვირთვას შეიცავს და არასდროს ადვილი ამოსაცნობი არ არის.

სიმბოლურ სათაურებსაც, პირობითად, დანიშნულებისა და ტენდენციის მიხედვით, სხვადასხვა ტიპებად ყოფენ. ჰედაიათის შემოქმედებაში ხშირია ე.წ. ოკაზიონალურ-სიმბოლური სათაური, რომელიც თანდათან, ტექსტში მრავალგზის გამეორების შედეგად, სიუჟეტის გაშლის ფონზე იხსნება. ხშირია, ასევე, ქვეტექსტური სათაური, რომელშიც ტექსტში ჩადებული სიმბოლური მნიშვნელობა ცხადდება.

ე.წ. ოკაზიონალურ-სიმბოლურ სათაურს ატარებს ჰედაიათის ერთ-ერთი ყველაზე რთული მოდერნისტული ნოველა „სამი წვეთი სისხლი“. ნოველა საინტერესოა არა მარტო ფორმის, არამედ – შინაარსის თვალსაზრისითაც. მასში, ნოველის უანრულად გამართლებული შეკუმშულობის მიუხედავად, მისი მრავალპლანიანობის, მოდერნისტული მანერის დამსახურებით (ქრონოტოპის რღვევა, ცნობიერების ნაკადი, პერსონაჟის გარდასახვა და სხვა) ჰედაიათის, როგორც პიროვნებისა და მწერლის, შეხედულებებისა და დამოკიდებულებების დანახვა თავისუფლად შეიძლება.

4 101-102.1342/1963 «کتاب های پرستو»، تهران، زنده بگور، تهرآن، «آتش پرست»، صادق هدایت

ამ ნოველაში სათაურად გამოტანილი სამ-სიტყვიანი ნომინაცია ტექსტში რამდენჯერმე მეორდება. ცხადია, რომ ეს არაა უბრალოდ ნომინაცია სახელდებისთვის. სათაურის არაერთხელ გამეორება ტექსტში კიდევ მეტად უსვამს ხაზს მის იდეურ მნიშვნელოვნებას ნოველის არსის გასაგებად. „გუშინ... ერთ ზოლებიან კატას დაედევნა. როგორც კი კატა მისი ფანჯრის წინ ფიჭვზე აცოცდა, კარისკაცს დაუძახა და დაავალა, კატისთვის ესროლა. ეს სამი წვეთი სისხლი იმ კატისაა. თუმცა, მას თუ ჰკითხავ, გეტყვის, სიმართლის ჩიტისააო.“⁵ სამი წვეთი სისხლი ხან სასიყვარულო პერიოდში აჩხავლებული კატის მკვლელობის ნაშთია, ხან – ამავე კატის მიერ შეჭმული სიმართლის ჩიტისა⁶ (ბუნებრივია, როგორც არაფერი ჰედაიათის ნაწარმოებებში, არც ამ ჩიტის სახელია შემთხვევითი და არც – კატის სიკვდილი სიყვარულის ჟამს). სხვადასხვა ვარიაციით წარმოდგენილი სამი წვეთი სისხლი, სხვადასხვა ადამიანის (უფრო სწორად, ერთი ადამიანის სხვადასხვა განსხვავების) მიერ ჩადენილი დანაშაული ერთ იდეად იყრის თავს ნოველის სიუჟეტური ხაზის განვითარების ფონზე და, სავარაუდოდ, ფსიქიკურად ავადმყოფი პერსონაჟის დაკარგული სიყვარულის და დაშლილი სულის ნაწილებად აღიქმება...

... მხოლოდ ერთხელ, ნოველის დასასრულს, ჩნდება ტექსტში სათაურად გამოტანილი, პრედიკაციად ქცეული, სახელდება – „ცოცხლად დამარხული.“ რა თქმა უნდა, ამ სათაურის გაგება პირდაპირი მნიშვნელობითაც შეიძლებოდა, რომ არა – ისევ და ისევ ნოველის ძირითადი ტექსტი. ტექსტი თავიდან ბოლომდე იმისი დასტურია, რომ სათაური მეტაფორას წარმოადგენს – კერძოდ, იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც ის ხალხის ცნობიერებაში იდიომად გადაიქცა. სპარსულსა და ქართულ ხალხურ გამონათქვამებში ამ სიტყვათშეერთებას ცოტათი განსხვავებული დატვირთვა აქვს, თუმცა ორივე შემთხვევაში სიცოცხლეშივე კაცის მკვდრად მიჩნევა იგულისხმება (სპარს.: მძიმე, გაჭირვებული ცხოვრება;⁷ ქართ.: „დიდი შერცხვენა, ... სირცხვილეულობა“).⁸ ბუნებრივია, ნოველაში ლაპარაკია ირანულ ხალხურ წარმოდგენაში დამკვიდრებულ მნიშვნელობაზე – უმძიმეს ცხოვრებაზე, გაუსაძლის სულიერ ტკივილებზე და არა – სირცხვილზე. ესაა არსებობა, როცა კაცი სიკვდილს ნატრობს, მაგრამ „სიკვდილსაც დავიწყებია“; როცა სასაფლაოზე დაეხეტება და მკვდრების უკეთ ესმის, ვიდრე – ცოცხლების... ნოველის ბოლოს ადამიანური ვნებათაღელვისგან და ამქვეყნიური გრძნობებისგან თავისუფლდება: „მახსნდება მონპარნასის სასაფლაო. აღარ მშურს მიცვალებულების. მეც მათ სამყაროს ვეკუთვნი. მეც ერთი მათგანი ვარ. ერთი ცოცხლად დამარხული...“⁹

5 صادق هدایت، «سه قطره خون»، سه قطره خون، نقد ها و نظر ها، متن داستان، ترجمه انگلیسی داستان مقدمه و گرد آوری جهاتگیر هدایت، تهران، «نشر چشمه»، 1384/2006، 110.

6 مرغ حق (სპარს.) ქოტის სახეობა. სახელი შეარქვეს ღამეული შეძახილების გამო, რომელსაც ხალხი აღიქვამდა, როგორც „ჰაყ, ჰაყ“ (სამართლი, სიმართლე).

7 فرهنگ فشرده سخن، به سر پرستی دکتر حسن انوری، تهران، «سخن»، 1211، 1382/ 2004.

8 თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბილისი: მერანი, 1979, 815.

9 صادق هدایت، «زننده بگور»، مجموعه «زننده بگور»، تهران، «کتاب های پرستو»، 1342/1964، 48.

ნოველა „ნიღბებიც“ ამ ტიპის სათაურს ატარებს. ერთი შეხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ სათაური სრულიად მარტივ ნომინაციას წარმოადგენს, რამდენადაც მთავარი პერსონაჟები – ერთმანეთზე უსაფუძვლოდ გამწყვრალი ახალგაზრდა შეყვარებულები – კოსტიუმირებული წვეულებიდან ნიღბებით გამოდიან და ავტოკატასტროფაში იღუპებიან. ნოველის წაკითხვის შემდეგ ნათელი ხდება, რომ ამ სათაურში ავტორს ბევრად უფრო მძიმე პრობლემა აქვს ჩადებული: ნიღბების სისტემა სიყალბის, შეფარვის, ტყუილის, ფარისევლობის, „სირაქლემის პოზის“ თუ სხვა მოვლენების ფორმით თითქოს ბუნებრივ სახედ ჰქცევიათ ადამიანებს და, მისტიფიკაციას ამოფარებულთ, ერთმანეთისა არც აღარაფერი ესმით და აღარც სურთ, ესმოდეთ. დაფერფლილი სხეულებისა და მანქანის დამწვარი ნაწილების სიახლოვეს დავარდნილი, უვნებლად გადარჩენილი ნიღბები „ერთმანეთს ეჭყანებოდნენ“¹⁰ ამდენად, ნიღბებს ამ ნოველაში ორმაგი დატვირთვა და მეტაფორულ-ქვეტექსტური მნიშვნელობა აქვს; აშკარაა სათაურისა და ტექსტის ურღვევი კავშირი: სათაურად გამოტანილი ეს ერთი სიტყვა აიძულებს მკითხველს, საკარნავალო ნიღბის მიღმა დაფარული აზრიც ეძებოს. თავის მხრივ, სათაურის ქვეტექსტური ბუნებაც მხოლოდ ნოველის ყურადღებით წაკითხვის შემდეგ ცხადდება.

„ფოტოლაბორატორია“ – («تاریکخانه») ჰედაიათის ცხოვრებისეული პოზიციის გამომხატველი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნოველაც, ასევე, სიმბოლურ-ქვეტექსტურ სათაურს ატარებს. „თარიქხანე“, თავისთავად, ფოტოლაბორატორიასაც ნიშნავს და ბნელ სახლსაც – ბნელ ადგილს. მხოლოდ ნოველის ბოლომდე წაკითხვის საფუძველზე შეიძლება სათაურის ადეკვატური გაგება და მისი სწორად თარგმნა. სიუჟეტის განვითარების შესაბამისად, მკითხველში ეჭვი არ ჩნდება, რომ მასპინძლის უსიხარულო, ადამიანის საცხოვრისთან სრულიად შეუთავსებელი და პირქუში ოთახი სწორედ ბნელი (სიბნელის) სახლია, სადაც დღის შუქიც ვერსაიდან აღწევს. მაგრამ სტუმართან საუბარში მასპინძელი აცხადებს: მინდა, „მოზამთრე ცხოველივით სოროში ჩავძვრე, საკუთარ სიბნელეში ჩავიძირო და შინაგანად გავძლიერდე. სწორედ ისე, როგორც ფოტოლაბორატორიაში მჟღავნდება სურათი...“¹¹ [ჰედაიათი 1343: 202]. და იგი დედის წიაღივით მეწამული ფერის დანშულ ოთახში – „ფოტოლაბორატორიაში“ – ემბრიონის პოზაში ასრულებს სიცოცხლეს, რათა ხელახლა მოველინოს ქვეყანას.

ვფიქრობ, შესაძლებელია, რომ ქვეტექსტურ, ორპლანიანიან სათაურად გავიაზროთ კიდევ ერთი ნოველის სათაური: „კაცი, რომელმაც ვნება ჩაიკლა“ («کدی را کشت که نفسش را کشت»). ამ შემთხვევაში მკითხველს სათაურის არა მარტო ადეკვატურად აღქმის, არამედ სწორად წაკითხვის პრობლემაც უდგას. რადგან სპარსულში „ნაფს“ ვნებაა (ხორციელება, ხორციელი ვნება), ხოლო „ნაფას“ – სუნთქვა. გასაგებია, რომ დიაკრიტიკული ნიშნების გარეშე (რომელიც სათაურს არ ახლავს), ზუსტი წაკითხვის შესაძლებლობას მხოლოდ ტექსტი თუ მოგვეცემს. ძნელი სათქმელია, ხელნაწერში თავად მწერალს ჰქონდა თუ არა გახმოვანებული ეს სიტყვა. ხშირად, როდესაც გრაფიკულად ერთნაირად გამოსახული სიტყვა

10 «صورتک ها»، <http://forum.cafeghalam.com/thread124.htm> صا دق هدايت،

11 «تاریکخانه»، مجموعه «سگ ولگرد»، تهران، «کتاب های پرستو»، 1343/1965: 202

სხვადასხვანაირად ხმოვანდება, ავტორი მას, ორჭოფობის თავიდან ასაცილებლად, აწერს დიაკრიტიკულ ნიშნებს. თუმცა იქნებ ჰედაიათს ქვეტექსტი ჰქონდა, რომელიც, სიტყვის გახმოვანების შემთხვევაში, აზრს დაკარგავდა? ნოველის სიუჟეტური განვითარება, თითქოს, ეჭვს არ იწვევს: ახალგაზრდა მარტოსული კაცი, ერთადერთი მეგობრისა და მასწავლებლის – სასულიერო პირის – დამოძღვრით შთაგონებული, ყოველნაირად ებრძვის ხორციელებას. სულსა და გონებას წვრთნის, ხორცს კი თრგუნავს და ახალგაზრდობას ქარს ატანს. გარდა ამისა, ნოველას დიდი პოეტის – ჯელალ-ედ-დინ რუმის (მოულავის) ლექსიდან ეპიგრაფი ახლავს, რომელშიც, ასევე, ხორციელი ვნებები ურჩხულად იხსენიება. თითქოს ყველაფერი ლოგიკურად მიედინება. სათაური სრულად შეესაბამება ტექსტს – კაცმა ვნებები ჩაიკლა. მაგრამ მოულოდნელი ირონიული ფინალი ისევ ჰედაიათის „ავანტიურაზე“ დაგვაფიქრებს: მურშიდის გარყვნილებაში დარწმუნებული მთავარი პერსონაჟი თითქოს თავისუფლდება იმ ხუნდებისგან, რომელიც მის სიყმაწვილეს რელიგიური „ზნეობრიობის“ კანონებმა დაადო და ერთბაშად „აიწყვეტს“ – დასაღვეად მიდის, ლამაზ ქალთან ერთობა. მესამე დღეს კი მას გარდაცვლილს პოულობენ. გაზეთში ცნობა იბეჭდება: „ბატონმა მირზა ჰოსეინალიმ, ღირსეულმა ახალგაზრდა მასწავლებელმა, გაურკვეველი მიზეზით, თავი მოიკლა.“¹² აი, აქ ჩნდება ორჭოფობა – ჰედაიათის ჩანაფიქრის ორმაგობა, უფრო სწორად, ამ ორმაგობის შესაძლებლობა: ყალბი ზნეობრიობისადმი მისთვის ჩვეული ირონიული დამოკიდებულება და, ერთგვარად, სიტყვების თამაშიც: ხორციელება თუ სიცოცხლე, სუნთქვაში გაცხადებული? „კაცი, რომელმაც ვნება ჩაიკლა?“ თუ „კაცი, რომელმაც სუნთქვა (სიცოცხლე) ჩაიკლა?“ თუ ამ ვარაუდს დავეუშვებთ, ნათლად გამოჩნდება ტექსტსა და სათაურს შორის არსებული ურღვევი ერთობა. ერთის აღქმა მეორის გარეშე სრულიად შეუძლებელი ხდება.

საინტერესოა ქვეტექსტური, მეტაფორულ-სიმბოლური სათაური „ჩინი“ («بست بن»). ესაა შემთხვევა, როდესაც ნომინაცია ტექსტისთვის ნიშნის მინიჭების ფუნქციას ატარებს. სიტყვა, რომელიც ასათაურებს ნოველას, ტექსტში არ გვხვდება. ფაქტობრივად, ჩინი მეტაფორაა პერსონაჟის მარტოსული, ჩაკეტილი ცხოვრებისა და, რაც მთავარია, იმ წინასწარგანზრახულობისა, ბედისწერის ძლევამოსილებისა, რომელიც, ნოველის გმირის ღრმა რწმენით, წარმართავს ადამიანის ბედს და ჩინში აქცევს მის მისწრაფებებს. ადამიანი უმწეოა ბედისწერის წინაშე. თუ „შუბლზე არ აწერია“, დიდი ნიჭითაც ვერ გაიმარჯვებს. მაგრამ, თუ ბედისწერა ინებებს, სამყაროს მბრძანებლად იქცევა...

ასეთივე სათაური აქვს ნოველას „კლანჭები“ («چنگال»). ეს სიტყვა სპარსულად ჩანგალსაც ნიშნავს, კლანჭსაც და მარწუხსაც. თვითონ სიტყვა ნოველის ტექსტში არ გვხვდება. მისი თარგმნა მხოლოდ ნაწარმოების წაკითხვის და ერთიანობაში გააზრების საფუძველზე ხდება შესაძლებელი. ამ ნოველაში კვლავ ვხვდებით ჰედაიათისთვის ბუნებრივ მიმართებას წინასწარგანზრახულობის – ბედისწერის – უძლევლობისადმი. ადამიანი უძლურია ბედისწერის წინაშე. ეს საკითხი ნოველაში მემკვიდრეობითობის, გენეტიკური მოცემულობის მარწუხების თუ კლანჭების სახით შემოდის, რომელსაც ვერ დაუსხლტები. ის არსებობს, როგორც ბედისწერა და მისი განაჩენი უნდა აღსრულდეს. სიმთვრალეში ცოლის

12 <http://forum.cafeghalam...> «مردی که نفسش را کشت»، صادق هدایت.

მკვლელი ლოთი მამის კეთილი, უმცროსი დის მოყვარული და მასზე მზრუნველი ვაჟიშვილი, ალკოჰოლის გავლენით, მამას ემსგავსება. სიმთვრალეში დასაც კლავს და თვითონაც კვდება...

... მას შემდეგ, რაც თვალი მივაღვევით სადღეე ჰედაიათის ნოველების სათაურების მრავალფეროვან გამას, ვფიქრობ, ნათელია, რომ არცერთი მისი ნაწარმოები „შემთხვევით“ ან „ადვილად და სარფიანად გასაყიდად“ არ დასათაურებულა; რომ ყოველ სათაურს სიღრმისეული და ძირეული კავშირი აქვს ნაწარმოებთან და ავტორისეულ კონცეფციასთან. ამდენად, არაბუნებრივად და უცნაურად არ გამოჩნდება, თუ ვიტყვი, რომ განსაკუთრებული გულმოდგინებით უნდა იყოს შერჩეული მისი ერთადერთი თანამედროვე ტიპის, ე.წ. მოდერნისტული, რომანის სათაური – „ბრმა ბუ“ არა იმიტომ, რომ ეს რომანია და ამითაა გამორჩეული. არამედ იმიტომ, რომ ეს არის თავად ჰედაიათი – გარდასახული ლიტერატურულ ტექსტად, ან, იქნებ, სამარადისოდ დარჩენილი წიგნის ფურცლებზე. ჰედაიათმა „ბრმა ბუ“ შემდეგაც ბევრი რამ დაწერა, მაგრამ ეს ერთი – „ბრმა ბუ“ – იქცა მისი პიროვნებისა და სამწერლო იდენტობის გამომხატველ წერილობით ფაქტად და სიმბოლურ გამომხატულებად.

ერთხელ, მეგობართან საუბრისას, აღნიშნა: „მისი ფურცლები სანოტო რვეულივით წინ მედო და გულმოდგინედ ვაწყობდი... მარცვალ-მარცვალ ვწონიდი; შხამი (დიახ, მათში მართლაც შხამია), შხამი გამოვწურე და წვეთ-წვეთად დავაკურე ქალაქს. ჯერ საკუთარ თავს ვეკითხებოდი, რისი თქმა მინდოდა, შემდეგ კი ვცდილობდი, მის სათქმელად უკეთესი ფორმა და ტონი გამომეძებნა. მხოლოდ შენ არ შემცდარხარ, შენზე გამოცდილებიც ფიქრობენ, რომ „ბრმა ბუ“ პერსონაჟი მე ვარ თავად... რატომაც არა! სიტყვები კი ჩემია, მაგრამ პერსონაჟი ცალკეა ჩემგან. ყოველი პწკარი წინასწარ მაქვს განსჯილი – ნაფიქრი.“¹³

ბუნებრივია, რომ ასე მარცვალ-მარცვალ აკინძული რომანის სათაურზეც განსაკუთრებით იზრუნებდა მისი ავტორი. სამწუხაროა, მაგრამ ჰედაიათისთვის არავის უკითხავს სიცოცხლეში ამ სიმბოლური სათაურის ისტორია. თუმცა, ალბათ, არც ეს შეცვლიდა რაიმეს, რადგან ჰედაიათს საერთოდ სჩვეოდა ირონიული ხუმრობითა და ქილიკით აბეზრების ჩამოშორება.

უნდა ითქვას, რომ დიდად არც მწერლის სიკვდილის შემდეგ ჩაღმავებიან მკვლევრები ამ უდავოდ საინტერესო და კონცეფტუალურად მნიშვნელოვან სახეს, თუმცა მისი სიღრმისეული გააზრების გარეშე თავად რომანის გაგებაც შეუძლებელია.

ეს სათაური ისევე გამორჩეულია სტრუქტურულად და ფუნქციურად, როგორც თავად რომანი. ერთი მხრივ, ის, თითქოს, ოკაზიონალურ-სიმბოლური სათაურების კატეგორიას მიეკუთვნება, რადგან რომანში რამდენჯერმე ჩნდება ბუს (თუმცა არა ბრმა, არამედ – მხედველი ბუს) სახე და სათაურის კონცეფციის მნიშვნელოვნებას გამოკვეთს.

თავისთავად რთულია ამ სტრუქტურულ-მხატვრული თვალსაზრისით მრავალპლანიანი რომანის და მისი სიმბოლური სახეების (რომლითაც დატვირთულია ტექსტი) სრულად და სიღრმისეულად გაგება. გაგება ისე, როგორც ეს ავ-

13 მ. فرزانه، «آشنایی با صادق هدایت»، تهران، «نشر مرکز»، 2009/1387: 135

ტორს ესმოდა და ხედავდა. თუმცა კვალიფიციური მკითხველი ვალდებულია, ადეკვატურად ჩასწვდეს ნაწარმოებს და მის სტრუქტურულ ელემენტებს.

ცხადია, აქ არც ადგილია და არც დრო ამ უაღრესად საინტერესო ნაწარმოებზე სალაპარაკოდ, მაგრამ რამდენიმე სიტყვის თქმა, ისევ და ისევ, სათაურის ფუნქციისა და მისი არსის გასაგებად, აუცილებლად მეჩვენება.

ესაა რომანი ურთულესი ფსიქიკური წყობის, გნებავთ – ფსიქიკურად სწავლი მარტოსული მხატვრის ცხოვრებაზე. უფრო ზუსტად, ესაა პერსონაჟი მხატვრის აღსარება-მონოლოგი საკუთარი სულიერი ტკივილების შესახებ. ცნობიერების ნაკადის ტექნიკით აგებულ რომანში სტრუქტურულად დატენილ-დანაწევრებულ ფრაგმენტებს პერსონაჟის ავადმყოფური ფიქრები და წარმოსახვები, ტკივილიანი მოგონებები და შიშები კრავს. ეს რომანი არ გახლავთ ერთი რომელიმე ლიტერატურული სკოლის კუთვნილება, თუმცა მასში ჰედაიათმა მეოცე საუკუნის დასავლური მოდერნიზმის უამრავი მონაპოვარი – სიურრეალიზმის, სიმბოლიზმის, ექსპრესიონიზმის საუკეთესო მიგნებები – გამოიყენა.

ბუს სახე, რომელიც რომანის უმთავრესსა და უმნიშვნელოვანეს სიმბოლოს წარმოადგენს, არაერთხელ ჩნდება ნაწარმოებში – პერსონაჟი-მხატვრის კედელზე გადმოხრილი ჩრდილი ბუს წააგავს. მრავალი ხალხის მითოლოგიაში ბუ, როგორც ღამის ფრინველი, სიკვდილის სიმბოლოდ მიიჩნევა – სევდის, ნოსტალგიისა და მარტოობის სიმბოლოდ. ჰედაიათის პერსონაჟი სწორედ ამ განწყობების მატარებელი მარტოსული კაცია და მისი ჩრდილის ამგვარი გააზრებაც, ცხადია, ლოგიკური იქნებოდა. მაგრამ რომანში ბუს სიმბოლოს ფუნქცია ამით არ ამოიწურება. ნაწარმოების პერსონაჟი გამუდმებით წერს – ცდილობს, საკუთარი ფიქრები, განწყობები და მოგონებები ქალაქზე გადაიტანოს, რათა ამ გზით ჭეშმარიტება, სიცოცხლის არსი და საკუთარი თავი შეიცნოს. თუმცა ეს გზაც ამაო აღმოჩნდა. ამ ქვეყნისა მაინც ვერაფერი გაიგო იმის გარდა, რომ ის ხეპრე, ნამუსგარეცხილი ადამიანების სამფლობელოა. კედელზე გადმოხრილი ჩრდილი-ბუ დაკვირვებით კითხულობს მხატვრის ნაწერებს. მხატვარი თავადვე გრძნობს საკუთარი არსებობის სიმყიფეს და ირეალურობას, კედელზე დაცემული ჩრდილი კი ბევრად უფრო მკაფიოდ და რეალურად ესახება. ეს უკვე სიმბოლისტური ხედვაა, თავისთავად, პლატონისეული ფილოსოფიიდან ამოზრდილი. ამ დამოკიდებულების გამოხატვით ჰედაიათი ბუს სიმბოლოს სიმბოლისტურ დატვირთვასაც სძენს: ამქვეყნიური სამყარო მხოლოდ იმქვეყნიური იდეალური სამყაროს ნაკლოვანი ანარეკლია. „კედელზე დაცემული ჩემი ჩრდილი სულმთლად ბუს ჰგავდა, გადმოხრილი, ყურადღებით რომ კითხულობდა ჩემს ნაწერს. რა თქმა უნდა, მას ყველაფერი კარგად ესმოდა – მხოლოდ მას შეეძლო, გაეგო.“¹⁴ რამდენადაც ბუ, ბერძულ-რომაული მითოლოგიის გავლენით, უკვე საყოველთაო წარმოდგენით, ცოდნის, განათლების სიმბოლოა, ნათელია მისი ფუნქციაც რომანში: ის ბრძენია – ყველაფერს ხედავს და ყველაფერი ესმის. და სწორედ აქ ჩნდება ამ სათაურის („ბრმა ბუ“) კიდევ ერთი ფუნქცია, როდესაც ის ქვეტექსტური დატვირთვის საფუძველზე ხსნის სიბრძნის მეტაფორას. სიუჟეტური განვითარების ფონზე ბუს სიბრძნე ტექსტში არ იხსენიება: მხატვრის ჩრდილი, რო-

14 صادق هدايت، «بوف كور» تهران، «مؤسسة انتشارات امير كبير»، 110، 1971/1349

მელიც კედელს ეცემა, ჰგავს ბუს. მაგრამ მხედველ, გამჭრიახ ბუს და არა – ბრმას. ის ჩანაწერებს კითხულობს და ყველაფერს ხვდება. და, რადგანაც ასეა, მხატვარი, ანუ ბუს ამქვეყნიური გამოხატულება, ბრმა და უგუნური უნდა იყოს. ამ გზით კი უკვე შეიძლება რომანის სათაურის სიმბოლიკის გახსნა: ბრმა ბუ კაცობრიობის (ან ინდივიდის) უსუსურობის (სიბრმავის) სიმბოლოს უნდა წარმოადგენდეს რეალური სამყაროს შეცნობის საკითხში.

ვფიქრობ, სადევ ჰედაიათის რომანის სათაურის შესწავლა გვარწმუნებს, თუ რამდენად ფიქრიანად და სიღრმისეულად უდგება მწერალი დასათაურების საკითხს; რამდენად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს ნაწარმოებისთვის კარგი სათაურის შერჩევა და ამ გზით რამდენი რამ შეიძლება გაიგოს მკითხველმა მწერლის შესახებ. სათაური „ბრმა ბუ“ ურღვევადაა დაკავშირებული არა მარტო კონკრეტული რომანის მხატვრულ სამყაროსთან, არამედ მწერლის ერთიან ფილოსოფიურ ხედვასთან, საზოგადოდ, მის მიმართებასთან სამყაროსადმი. ასეთი სათაურის სიმბოლიკის გახსნა მხოლოდ ნაწარმოების ყურადღებით წაკითხვის (ხშირად, არაერთხელ წაკითხვის) შემდეგაა შესაძლებელი. თავის მხრივ კი, სათაურის ადეკვატური გაგება ნაწარმოების ქვედა შრეებში შედღვევის გარკვეულ გარანტიადაც შეიძლება იქცეს.

ბიბლიოგრაფია:

ტიქსტები:

1. هدایت، صادق. مجموعه «زنده بگور». تهران، «کتاب های پرستو» 1342 / 1964
2. هدایت، صادق. مجموعه «سگ ولگرد». تهران، «کتاب های پرستو» 1343 / 1965
3. هدایت، صادق. «سه قطره خون». نقد ها و نظر ها، متن داستان، ترجمه انگلیسی داستان مقدمه و گرد آوری جهانگیر هدایت، تهران، «نشر چشمه» 1384 / 2006
4. هدایت، صادق. «بوف کور». تهران، «مؤسسه انتشارات امیر کبیر» 1349 / 1971
5. هدایت، صادق. «مردی که نفسش را کشت»
<http://netnevesht.ir/> داستان-کوتاه-مردی-که-نفسش-را-کشت-صادق
6. هدایت، صادق. «صورتک ها»
<http://forum.cafeghalam.com/thread124.htm>

ლიტერატურა:

1. სახოკია, თედო. ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. თბილისი, „მერანი“, 1979.
2. Reissenweber, Brandi. *How important is the title of a story?* <https://www.writingclasses.com/toolbox/ask-writer/how-important-is-the-title-of-a-story>
3. Веселова, Наталья Анатольевна. Заглавие литературно-художественного текста. Кандидатская диссертация. Тверь, 1998. <http://www.dissercat.com/content/zaglavie-literaturno-khudozhestvennogo-teksta-antologiya-i-poetika>
4. Лотман, Юрий Михайлович. *Об искусстве*, Санкт-Петербург, „Искусство-СПБ“ 1998.
5. فرزانه، محمود. «آشنایی با صادق هدایت». تهران، «نشر مرکز» 1387/2009
6. فرهنگ فشرده سخن. به سرپرستی دکتر حسن انوری. تهران، «سخن» 1382/ 2004

ადი იბნ ზაიდი – ქრისტიანი არაბი პოეტი ალ-ჰირადან

ისლამამდელ არაბეთში ქრისტიანული კულტურის შესწავლას მიეძღვნა მრავალი სამეცნიერო ნაშრომი. მათში განხილული და გაანალიზებული ისტორიული ფაქტები მოწმობენ, რომ ისლამის აღმოცენების დროს VII საუკუნის I ნახევარში, ქრისტიანული თემები არაბეთის ნახევარკუნძულის თითქმის ყველა რეგიონში არსებობდნენ. ზოგიერთ მათგანს დიდი ისტორია გააჩნდა და მათთან არაბებიც იყვნენ გაწევრიანებული, რომლებიც მისდევდნენ, როგორც მიწათმოქმედებას, ასევე მომთაბარე ცხოვრებას, რაც ქმნიდა პირობებს, რომ ყოფილიყო ურთიერთზეგავლენა და ურთიერშერწყმა ტრადიციული არაბული კულტურისა ქრისტიანობასთან. აქედან გამომდინარე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი ამ ეპოქის არაბული კულტურის შესწავლისა არის ის, თუ რა დოზით იყო იგი დაკავშირებული ქრისტიანობასთან.

ისლამამდელი არაბეთის კულტურულ მემკვიდრეობაში მთავარი და ერთერთი ძირითადი ადგილი უჭირავს ისლამამდელ არაბულ ლიტერატურას, განსაკუთრებით კი პოეზიას. ეს დაკავშირებულია პოეტური შემოქმედების მაღალ დონესთან, რომელიც საკმაოდ კარგად იყო განვითარებული და დახვეწილი, გააჩნდა მყარი სალექსო ფორმები (კასიდა და კიტ'ა), დახვეწილი თემები (ძირითადი ათი თემა), ამ თემათა გარკვეული რეპერტუარი. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ის მნიშვნელობა, რომელიც ადრეულმა პოეზიამ არაბთა კულტურული იდენტობისათვის მოიპოვა, მხოლოდ ისლამამდელი ეპოქის ქრონოლოგიური ჩარჩოებით არ შემოიფარგლება. დღესდღეისობით ძველი პოეზია არაბული სიტყვიერების უბადლო მხატვრულ ეტალონად ითვლება და ინახავს თავის ფუძემდებლურ მნიშვნელობას არაბთა კულტურულ-ისტორიულ შეგნებასა და მის ფორმირებაში. არაბი ფილოლოგები, ასევე ევროპელი აღმოსავლეთმცოდნეები, მისი კვლევისას დადიან არაბული ლიტერატურის ტრადიციის საწყისებამდე, რომლის წიაღში იყო არამარტო კოდიფიცირებული ყველა ძირითადი მახასიათებელი წყაროები, რომელთა წყალობითაც დღეისათვის ცნობილია ძველი არაბული პოეზია, არამედ მისი ინტერპრეტაციის შემუშავებული პრინციპები, რომლებიც გახდნენ ძირითადი მახასიათებლები არაბული პოეტიკისა, მისი განვითარების ყველა ეტაპზე.

ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა გუსტაფ ფონ გრიუნებაუმმა სცადა დაეყო ადრეული არაბული პოეზიის კორპუსი სხვადასხვა პოეტურ სკოლებად და მათი კლასიფიცირება ქრონოლოგიურ თანმიმდევრობაში¹, დაეყრდნო რა სტილისტურ მახასიათებლების შედარებას და სხვადასხვა პოეტთა მეტრიკული რეპერტუარის ანალიზს, გრიუნებაუმი მივიდა დასკვნამდე, რომ ძველი არაბული პოეზიის ერთ-ერთი ძველი და შემოქმედებითად მდიდარი პოეტური სკოლა არ-

1 G. von Grunebaum, Zur Chronologie der fruharabischen Dichtung // *Orientalia* 8 (1939), 328-345.

სებობდა ალ-ჰირაში (الحيرة), არაბულ ქალაქში, რომელიც მდებარეობდა მდინარე ევფრატის დასავლეთ სანაპიროზე, თანამედროვე ერაყის სამხრეთ ნაწილში. მეცნიერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ძველი არაბული ლიტერატურა ღრმად უნდა იქნას შესწავლილი, რათა მასში ალ-ჰირას მნიშვნელობა უფრო მეტად განისაზღვროს, რადგან მის ძირითად მნიშვნელობაზე მიანიშნებს ის ფაქტიც, რომ მუალაკების ათი ავტორიდან რვა ან უმუშალოდ ალ-ჰირადან იყვნენ, ან მასთან იყვნენ დაკავშირებულნი (გამონაკლისია მხოლოდ ანთარა და ლაზიდი). შუა საუკუნეების არაბულმა ტრადიციამ ასევე შემოინახა მტკიცებულებები, რომლებიც მოწმობენ ალ-ჰირას მნიშვნელობაზე ისლამამდელი არაბული კულტურის განვითარებაში. როგორც მეცნიერი ფროლოვი აღნიშნავს, არაბული ტრადიცია არაბულ პოეზიის ყველა ადრეულ შემოქმედებას მიაწერს, ერაყის ტერიტორიაზე მცხოვრებ გაქრისტიანებულ თანუხის ტომს და პოეტებს, რომლებიც უკავშირდებიან ალ-ჰირას ლახმიდების დინასტიას.² მაგრამ მნიშვნელოვანია არამართო ალ-ჰირას პოეტური ტრადიციის სიძველე, არამედ მისი განსაკუთრებული ხასიათიც, რომელიც დაკავშირებულია იმ კულტურულ შრესთან, რომელიც არსებობდა ამ ქალაქში და რომლის შექმნაშიც განსაკუთრებული ადგილი ეჭირა იქ მცხოვრებ ქრისტიანულ თემებს.

IV-VII საუკუნის დასაწყისამდე ალ-ჰირა ლახმიდების სახელმწიფოს დედაქალაქი³ და მობინადრე არაბების ერთ-ერთი დიდი ცენტრი იყო, მანამდე კი ის მცირე ზომის დასახლებას წარმოადგენდა, რომელიც წყაროებში იწოდება ḥirtā⁴, მის დინამიურ განვითარებას ხელს უწყობდა გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი კლიმატი, მასზე გამავალი სავაჭრო-საქარავნო გზები, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებდა არაბეთის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთსა და დასავლეთს, სიახლოვე სასანიდურ ირანთან, განსაკუთრების მის დედაქალაქთან კტეზიფონთან, რომელიც იმ დროს მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი იყო, ყველაფერი ზემოთქმული ხელს უწყობდა, რომ ალ-ჰირას მცხოვრებნი კარგად გაცნობოდნენ ირანის კულტურას. ამასთანავე რჩებოდა რა არაბულ ქალაქად, ინარჩუნებდა ტრადიციული არაბული საზოგადოების წყობას და ჰქონდა მჭიდრო კავშირები, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ და ცენტრალური არაბეთის ნახევარკუნძულის არაბულ ტომებთან. მაგრამ მისი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ქრისტიანი იყო, იწოდებოდნენ იბად – ნესტორიანული თემი, რომელიც არაბთა სხვადასხვა ტომებს აერთიანებდა, ამის აშკარა დადასტურებაა ის, რომ ლაჰმიდების დინასტიის ბოლო მმართველს ან-ნუმანის (580-602) მიერ ქრისტიანობის მიღება.⁵ ეს ფაქტორები განსაზღვრავდნენ ალ-ჰირას მნიშვნელოვან როლს პოლიტიკურ-სავაჭრო და კულტურულ თანაგაცვლაში ირანს, არაბეთის ნახევარკუნძულსა და ბიზანტიის სირიას შორის, ამასთანავე ყველაფერმა ამან მნიშვნელოვანი იმპულსები მისცა არაბული კულტურის განვითარებას. ამ გან-

2 Д. В. Фролов, Два ранних текста о происхождении арабского письма // *Восток*, 1996, 102.

3 ტიკაძე მ. *არაბთა ისტორია (V-XV საუკუნეები)*. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2008, 24.

4 *The Encyclopedia of Islam*, VI, III, Leiden, 304

5 I. Toral-Niehoff, *The 'Ibād of al-Ḥīra: an Arab Christian Community in Late Antiquity (Iraq,S)*, 2010, 340.

ვითარების პროცესში ალ-ჰირა ასევე იყო „არამეულ-ელინისტური კულტურის და ისლამამდელი არაბული ტრადიციის“ ურთიერთშეწყობის წერტილი, რისი დამადასტურებელია შუა საუკუნეების არაბი ისტორიკოსების შეხედულებები, რომელთა მიხედვითაც არაბული „დამწერლობა“ შეიქმნა ალ-ჰირაში (რაც კიდევ საჭიროებს დამატებით გამოკვლევას) და აქედან განვითარდა დანარჩენ რეგიონებში (ისლამური გადმოცემის თანახმად, მექაში არაბული წერილი დამწერლობა მიიტანა ქრისტიანმა ბიშრ იბნ აბდ ალ-მალიქმა).⁶

უნიკალურია ისლამამდელი არაბეთის კულტურული მრავალფეროვნება, რომელიც ალ-ჰირაში იყო, მან დიდი როლი ითამაშა მისი ლიტერატურული ტრადიციის ჩამოყალიბებაში. ალ-ჰირას წყობას განაპირობებდა მოსახლეობის მრავალტომობრივი შემადგენლობა, რაც ხელს უწყობდა სხვადასხვა პოეტთა შორის პოეტური და ლიტერატურული ტრადიციების აქტიურ ურთიერთგაცვლას, ყალიბდებოდა ფორმები, ახალი ჟანრები, თემები, ხოლო შემდეგ ეს ყველაფერი კი გადიოდა არაბეთის ნახევარკუნძულის სხვადასხვა რეგიონებში. ამიტომ ამ ყველაფერში ალ-ჰირას მნიშვნელობა უდაოდ დიდია. როგორც ყველა სამეფო ცენტრებში, ასევე აქაც, როგორც ლახმიდთა სამეფოს ცენტრში, სამეფო კარზე მოდიოდნენ პოეტები ყველა რეგიონებიდან, ჩვენამდე მოღწეული ლიტერატურული, ბიოგრაფიული და ისტორიული წყაროები, შეიცავენ მტკიცებულებებს არანაკლებ ოცი პოეტის შემოქმედებისას, რომლებიც მოღვაწეობდნენ V საუკუნის ბოლოდან VII საუკუნის დასაწყისამდე, რომელთა წარმომავლობა და ცხოვრების უდიდესი ნაწილი დაკავშირებულია ალ-ჰირასთან და მის შემოგარენთან, მათ შორის იყვნენ: იმრუ ლ-კაისი, ზუჰაირ აბი სულმა, ტარაფ იბნ ალ-აბდი, ან-ნაბილა აზ-ზუბიანი და ლაბიდ იბნ ალ-აბრასი. ასე, რომ ლახმიდთა სამეფო კულტურამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა არაბული პოეტური შემოქმედების აქტიურობაზე, რომელმაც თავის ზენიტს VI საუკუნეში მიაღწია. უმეტესობა პოეტებისა იყვნენ ქრისტიანები. აღსანიშნავია, რომ ძირითადი წილი არაბული დამწერლობის განვითარებაში დაკავშირებულია სწორედ ალ-ჰირასთან, რაც ჯერ კიდევ არ არის დადასტურებული, რადგან აქ ნაპოვნი ტექსტების ფრაგმენტები სირიულ ენაზეა შესრულებული, რომლებზედაც არის ბიბლიური ფრაზეოლოგია⁷, ეს კი კიდევ ერთხელ მოწმობს ამ ქალაქში ქრისტიანული თემისა და დამწერლობის ტრადიციის არსებობას. ძველ არაბულ ლიტერატურაში არსებული ბიბლიური თემების მაგალითები კი დეტალურ გამოკვლევას და ანალიზს საჭიროებს, რადგან ეჭვი მისი ავთენტურობისა საბოლოოდ გაქრეს. მაგრამ საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ რელიგიურმა წარმოდგენებმა შეიძლება განსაზღვრონ ლიტერატურის ხასიათი. ამის მაგალითია ძველი არაბული პოეზიის ერთ-ერთი გავრცელებული მოტივი – ბედი, ბედისწერის თემა. ძველი არაბების წარმოდგენაში ბედი ემუქრება ნებისმიერ ადამიანს და ასევე ის არის სამყაროს მოწყობის პრინციპი, რომელიც ნებისმიერ დროს ცვლის მას. ქრისტიანი პოეტების ლექსებში ამ თემის ინტერპრეტაცია რამოდენიმე განსხვავებულ მახასიათებელს შეიცავს, მათში ზოგჯერ არის განზრახ პესიმისტური ტონი,

6 Д. В. Фролов, Op. cit.

7 E.C.D. Hanter, Syriac Inscriptions from al-Hira // (*Orients Christainus* 1996), 66-81.

არის წარმოდგენები დროის შესახებ, ეს მათ ალბათ ჩამოუყალიბდათ ქრისტიანული ესქატოლოგიის გავლენით, ეს კი ტრადიციული არაბული კულტურისათვის უცხო იყო. აქვე გვერდს ვერ ავუვლით ღვინის მოტივს, რომლის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ის, რომ ალ-ჰირაში მოღვაწე პოეტებმა მას მიანიჭეს კასიდის ერთ-ერთი ძირითადი თემის ფუნქცია, რომლისგანაც შემდგომში ის გარდაიქმნა, როგორც დამოუკიდებელი ჟანრი. ამაზე დაბეჯითებით საუბარი შეიძლება ადრეული პერიოდის, სწორედ ალ-ჰირაში მოღვაწე პოეტთა შემორჩენილ ქმნილებებზე დაყრდნობით, რომელთაგან გამორჩეულია ისლამამდელი ქრისტიანი არაბი პოეტის, ადი იბნ ზაიდის ლექსები.

ადი იბნ ზაიდი (გარდაიცვალა დაახ. 600 წ).⁸ იყო სასანიდების სამეფო კარის მდივანი ქტეზიფონში და გავლენიანი მრჩეველი ლახმიდებისა საკუთრივ ალ-ჰირაში, მისი დივანი დაკარგულია, ჩვენამდე მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტი მოღწეული, შემორჩენილ ლექსებში, კი ღვინის თემა არის არამარტო კასიდის შემადგენელი ნაწილი, (მას ასევე აქვს ლექსები, სადაც აღწერილია ბიბლიური ეპიზოდები, ადამიანის შექმნა, ცოდვით დაცემა, ლექსებში არის ისტორიული მომენტებიც, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს მის ქრისტიანობას) არამედ არის ცალკეული ფრაგმენტების სახითაც. ამიტომ ჩნდება კითხვა: არის კი ადი იბნ ზაიდის ხამრიათი დამოუკიდებელი ლექსები თუ ისინი ფრაგმენტებია, რომლებიც კასიდის ერთერთი შემადგენელი ნაწილებია? ეს სადაოა. ამ მხრივ საინტერესოა ცნობა აბუ ლ-ფარაჯ ალ-ისფაჰანის ცნობილი ანთოლოგიიდან „სიმღერათა წიგნი“, სადაც ავტორი გადმოგვცემს, რომ ადი იბნ ზაიდის ერთ-ერთი ლექსი ღვინოზე რეჩიტირებული იყო ალ-ვალიდ იბნ იაზიდისათვის (გარდაიცვალა 744 წ.), რომლის პოეზიამაც თავის მხრივ გავლენა მოახდინა შუა საუკუნეების ერთ-ერთ გამორჩეულ პოეტზე აბუ ნუვასის შემოქმედებაზე (755-813).⁹ ალ-ვალიდის შემოქმედებაში ხამრიათი საბოლოოდ არის დამოუკიდებელი ჟანრი, ხოლო მისი საბოლოო დამკანონებლად კი, მოგვიანებით ხდება აბუ ნუვასი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ადი იბნ იაზიდის მოხსნება ალ-ვალიდისა და აბუ ნუვასის გვერდით შემთხვევითი არ არის, ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ მანაც დიდი წვლილი შეიტანა ხამრიათის ჟანრის ჩამოყალიბებაში, რომ ის არის ნოვატორი არაბული პოეზიის ამ სფეროში, რაც აისახება მის მიერ ღვინოზე დაწერილი ცალკეული ლექსებით, სადაც ხამრიათი ხდებოდა მთავარი თემა, პოეტმა მას მიანიჭა კასიდის ერთ-ერთი ძირითადი თემის ფუნქცია, რომლისგანაც შემდგომში ის გარდაიქმნა დამოუკიდებელ ჟანრად.

ისლამამდელი პერიოდის პოეტთა კასიდებში ღვინის თემა გვხვდება ძირითადად იმ ნაწილებში, სადაც არის თავის ქება – ფახრი, პოეტის სატრფოს აღწერისას – ნასიბი და ბრძნულ გამონათქვამებში – ჰიქმა. ამიტომ კასიდის რეპერტუარი მრავალფეროვანია, მაგრამ ამასთანავე არ ირღვევა მისი დადგენილი ნორმები, სტრუქტურა და შემადგენლობა. „ღვინო“ არაბი პოეტებისათვის არის ერთ-ერთი თემა, რომელსაც ისინი იყენებდნენ შედარებებსა და აღწერებისათვის. თუ მხედველობაში მივიღებთ არაბული პოეზიის ნორმატივებს, საჭიროა

8 كتاب الاغانى، ابي الفرج الاصفهاني علي بن الحسين، م. 6.

9 Ibid.

გავითვალისწინოთ, რომ კასიდის უანრობრივ მახასიათებლებს განსაზღვრავს არამარტო მისი ფორმალური სტრუქტურა ან მისი მინიმუმ ერთი დამატებითი ნაწილი, არამედ ამ ნაწილების ერთმანეთთან მიმართება, აგებულება და შემადგენლობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ კასიდას აქვს უანრების ვარიაციების დიდი შესაძლებლობა. მისი გამოყენება კი ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა ახალი ლიტერატურული ფორმების განვითარებისათვის, რომლებიც შემდგომში ყალიბდებიან, როგორც დამოუკიდებელ თემებად, უანრებად. ასეთი პროცესები მუდმივად მიმდინარეობდა, რომელთაც თან სდევდა ცვლილებები სტრუქტურაში და თავისთავად კასიდის შემადგენლობაში. ეს ძალიან კარგად ჩანს ძველ კასიდებში, რომლებშიც შეიმჩნევა ახალი თემების თანდათანობითი განვითარებები. სწორედ ასეთია კაფიათი დაწერილი ადი იბნ ზაიდის ერთ-ერთი კასიდა.

კასიდა დაწერილია ხაფიფის საზომით, რომელიც მახასიათებელია ალ-ჰირას სკოლის პოეტთათვის. ეს არის არაბული ლექსის ერთ-ერთი მოკლე მეტრიკული ფორმა და ამიტომ გამოსაყენებლად ძალიან მოსახერხებელი იყო, რის გამოც მას თითქმის ყველა პოეტის შემოქმედებაში შევხვდებით, ძირითად კი ვინც სიმღერას სწერდა. ასეთია ადი იბნ ზაიდის კაფია, მასზე რომ სიმღერა სრულდებოდა ამას მოწმობს „სიმღერათა წიგნი“¹⁰

კასიდის სტრუქტურაში შეიძლება გამოვყოთ სამი ძირითადი ნაწილი: ნასიბი, ხამრიათი და წყლის აღწერა. ნასიბი – 1-3, 4-8 ბეითი სატრფოს აღწერა, ხამრიათი – ღვინის მახასიათებლები და მისი მიღება მე-9 ბეითი, მე-10-11 ბეითი იუდეველი ღვინით მოვაჭრე, მე-12 ბეითი მყიდველის თვისებები, სამაგიდო სცენა, მე-13 ბეითი დილის მხიარულობები, მე-14 ბეითი ღვინის ფერის შედარება მამლის თვალთან, მე-15-16 ბეითი ღვინის შეზავება წყალით. მე-17-18 ბეითი მთის წყაროს აღწერა, მე-19-22 სუფთა წვიმის წყლის აღწერა.

კასიდა იწყება ნასიბით, რომელშიც გამოიყოფა ორი ნაწილი. გარდასული სიყვარულის სევდიანი მოგონება, ცრემლით გახსენება სიყვარულისა, რომელიც იყო და აღარ არის, აღარ განმეორდება, მასთან დაკავშირებული ტკივილი და სულიერი მღელვარება, რომელსაც განიცდის პოეტი, დემონსტრირებას უკეთებს კოლექტიურ თვითშეგნებას, რომ ადამიანი უძლურია ბედთან და დროსთან, რომლებსაც მისი ცხოვრება ტრაგიკულ და გარდაუვალ დასასრულთან მიჰყავთ. აქ არის მოტივი „გმობა, დაგმობა“ რომელიც ერთ-ერთი პოეტური ხერხია, სადაც კარგად ჩანს კონფლიქტი პოეტის თვითშეგნებასა და საზოგადოების მიერ დადგენილ ეთიკურ ნორმებს შორის. სწორედ ამ კონფლიქტს, დაპირისპირებას ეხება კასიდის მომდევნო ნაწილი და აქ არის ფახრიც, საკუთარი თავისა და ტომის ქება-განდიდება, ამ კონტექსტში სატრფოს აღწერა ან აძლიერებს განშორების ტრაგიკულ განცდას, ან ირიბად მიგვანიშნებს პოეტის პიროვნულ თვისებებზე, რომლებითაც ის ამაყოფს. ღვინის ლექსში სატრფოს აღწერა იძენს გარდამავალი მოტივის დამატებით ფუნქციებს:

1. მოვიდნენ გაკიცხულნი დილის სინათლეზე //

და მე მითხრეს: შენ კიდე არ მოსულხარ გონს?

10 *Ibid.*, 60.

11 بكر العاذلون في وضع الصبح * يقولون لي الا تستفيق

2. და შენს გამო გააკიცხულნი, ოო აბდალლაჰის ქალიშვილო //
და გული (ჩემი) შენს მიერ არის დაჭრილი.
و يلومون فيك يا ابنة عبد الله * و القلب عندكم مو هو
3. მე არ ვიცი, თქვენ უკვე დასაწყისი მიეცით ჩემს (მასთან) განშორებას //
მკიცხავს მე მტერი თუ მეგობარი.
لست أدري وقد بدأت بصرمي * أعدو يلومي أم صديق
4. საუკეთესო არომატი, არომატი უმე 'ალიის //
როგორც მუშკისა და ამბარის გამქრალი სურნელება.
أطيب الطيب طيب أم علي * مسك فأر و عنبر مفتوق
5. ის მასში ურევდა სხვა (სურნელებას) //
ისე, რომ ანათებს მუქწვანედ (მის) ხელებზე.
خلطته بآخر و ببان * فهو أحوى علي البدين شريق
6. მორთეს ის შუბლზე ჩამოყრილმა //
ხშირმა, გლუვმა, კეთილსურნელებიანმა კულულებმა.
زانها وارد الغدائر جتل * و أسيل علي الجبين عبيق
- ერთ-ერთი ტრადიციული ელემენტი ძველი არაბული ნასიბისა არის აღწერა სიყვარულის, რომლის გემო შედარებულია ღვინოსთან. ზუსტად ეს მოტივი აქვს გამოყენებული ადი იბნ ზაიდის მე-7-9 ბეითებში, სადაც სატრფოს აღწერს ღვინოსთან მიმართებაში:
7. და კბილები როგორც გვირილა, ტკბილები //
არც პატარა ნატეხები და არც ეშვები.
و ثانيايا كالأقحوان عذاب * لا قصار كسر و لا هن روق
8. ელვარე, შენ რომ წარმოიდგენ, ისეთივე //
როგორც ხდება ჩასვლა ჩამავალი ვარსკვლავებისა.
12 مسرقات تخالهن إذا ما * حان من غائر النجوم خفوف
9. (თითქოს დაატკბო) ისინი დილით ღვინომ, (წითელმა) როგორც გულის
სისხლი // მუქწითელი ძველი ღვინო (ისეთი სუფთა, რომ) მასში
ჩანს მტვრის ნამცეცები.
باكرتهن قرقف كدم الجوف * تريك الفدى كميت رحيف

ღვინის ფერისა და ხარისხის აღწერა, მისი დახარისხების სცენები, ებრაელი ღვინის მოვაჭრის მოხსენიება და მყიდველის თვისებები, ესენია კასიდის ცენტრალური და ძირითადი ნაწილები, ისინი ნასიბთან პროპორციულია:

11 ديوان عدي بن زيد , 75-76. 1970

12 ديوان عدي بن زيد , 75-76-77-78. 1970

10. ინახავდა მას იუდეველი ღვინის ვაჭარი ორი წელი //
და მისი არომატი მისმა დაძველებამ გაამდიდრა.

صانها التاجر اليهودي حولين * فأذكى من نشرها التعتيق

11. შემდეგ მოხსნა დოქის თავზე ბეჭედი, //
და გამართა იუდეველმა ვაჭრობა.

ثم فض الختام عن حاجب الدين * و جائت من اليهودي سوق

12. იყიდა ის მაღალმა, გულმოწყალე, კეთილშობილმა //
დიდსულოვანმა (კაცმა), მისი საკვები რბილი პურია.

فاستبأها أشم خرق كريم * أريحي غذاه عيش رقيق

13. შემდეგ მას დაუძახეს დილის მაგიდასთან და მოვიდა //
მომღერალი ქალი დოქით მარჯვენა ხელში.

ثم نادوا على الصبوح فجاءت * فينة في يمينها إبرىق

14. მე დავაყენე ის პირველ ადგილზე სხვა ღვინოებს შორის, ის (წითელია,
როგორც მამლის თვალი // (გამჭვირვალე) საცერმა (დრომ) გაწ
მინდა მისი საუკეთესო ნაწილი.

قدمته على سلاف كعين الديك * صفى سلافها الراوق

15. მუავე ღვინო, შეურეველი, მაგრამ როცა მას შეურიეს (წყალი) //
მისი გემო გახდა ტკბილი, მათთვის ვინც ის დააგემოვნა.

مزة قبل مزجها فأذا ما * مزجت لذ طعمها من بذوق

16. და ცურავენ მის თავზე ბურთულები ისე //
როგორც წითელი იაგუნდები, როცა გაიწმინდება გადასხმისას.

وطفا فوقها فقايق كالباقوت * حمر يزينها التصفيق

ასევე აღსანიშნავია, რომ ღვინის თემასთან არის დაკავშირებული კასიდის
ბოლო ბეითებიც 17-22, რომლებშიც აღწერილია წყალი, რომელიც გამოიყენება
ღვინის გასაზავებლად:

17. მან შეაზავა ის გამდინარე სუფთა, გამჭვირვალე, წყლით //
დამშვენდა, შეზავებამ გაწმინდა მისი შემადგენლობა.

13قتلته بسبب أبيض صاف * طيب زان مزجه التصفيق

18. მისი დონე, მისი სიმაღლე (სურნელება) მიუწვდომელია //
ზეცაში ათრობს არწივს და ძერას.

فوق علياء ما يرام ذراها * يلعب النسر فوقها و الانوق

19. შემდეგ შერეულ იქნა წვიმის წყლით //
არც თუ ისე დიდი ხნის შენახული, დამდგარი და არადაბინძურე-
ბული.

ثم كان المزاج ماء سحاب * لا صرى آجن و لا مطروق

13 ديوان عدي بن زيد, 78-79. 1970.

20. ის იყო მის გზებზე, კლდეებს შორის //

როდესაც ის იყო მოხდენილი.

كان في مسحتها يكتنفها الصخر * إذا فيه أنيق

21. ყველაზე ქვემოთ შემოფარგლულია კვირინჩხით და ზემოთ //

ის სუფთა, არწყულებს გარეულ თხებსა და კვერნას.

أسفل حف بالعضاء و أعلاه * صفا يلغب الوعول دلوق

22. ჩრდილის დაცემის ადგილი, რომელსაც გარს არტყია ქვიშის //

მთები და მტვერი, რომელსაც ყრის ძლიერი ქარი.

مسقط الظل من تكتفه الحقق * و تنفي قذاه ريح جريق

18-22 ბეითში აღწერილია მთიანი მხარე, საიდანაც მოედინება ეს წყალი. წყლისა და ღვინის ეს ურთიერთმიმართება ასევე კარგად ჩანს მომდევნო პერიოდის პოეტთან ალ-ახტალთან (გარდაიცვალა 710 წ.), რომელიც ასევე მჭიდრო კავშირში იყო ალ-ჰირასთან და ქუფასთან, რომელიც ღვინის აღწერებში ქმნის წარმოსახვის მდიდარ დინამიკას. აქედან გამომდინარე, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადი იბნ ზაიდისათვის ღვინო და წყლის თემა თანაბარი მნიშვნელობისა იყო, ისევე როგორც მაშინდელი საზოგადოებისათვის.

ადი იბნ ზაიდის ლექსის ინტერპრეტაცია დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად არის იქ განსაზღვრული ღვინის თემის ფუნქცია კასიდის შემადგენლობაში, ღვინის მყიდველის თვისებების მოხსენიება მე-12 ბეითში, შეძლება მივაკუთვნოთ კასიდის ძირითად თემას – პოეტის თავის ქება, მაგრამ აქ ის ამას ეხება გაკვირვით, ასევე წყალთან სატრფოს შედარებით, არ განსაზღვრავს ღვინოზე თხრობას მთლიანად, ის მხოლოდ გვიჩვენებს მის ერთ-ერთ მხარეს. ადი იბნ ზაიდი ღვინოს აძლევს თვითკმარის ხასიათს, რთავს რა მას კასიდის ძირითად შემადგენლობაში. მხედველობაში იღებს ისლამამდელი კასიდის პოეზიის ზემოთხსენებულ მახასიათებლებს, გვიხატავს არა მხოლოდ კასიდის ღვინის მოტივის ხასიათს, არამედ ცდილობს ამით გამოხატოს მისი ძირითადი შინაარსი, ამიტომ, შესაბამისად ღვინის თემა თავის თავზე იღებს კასიდის ძირითადი თემის ფუნქციას, იმ სახით, როგორც იყო დამახასიათებელი მისთვის ისლამამდელ პოეტურ ტრადიციაში, მაგრამ ამასთანავე ავსებს მას ახალი აზრით, ახალი მნიშვნელობით. აქ საუბარი იმაზე, რომ ადი იბნ ზაიდმა დაარღვია ისლამამდელი პოეზიისათვის მახასიათებელი თვისებები შეცდომა იქნება, რადგან კასიდის საერთო სტრუქტურის შემადგენლობა მოწმობს იმას, რომ ის მისდევდა ლიტერატურულ კანონებს, მაგრამ ამავდროულად მას მისცა ისეთი მიმართულება, რაც იმდროინდელი საზოგადოებისათვის სავსებით მისაღები და გასაგები იყო. რადგან ღვინის მოტივი მის ლექსებში არის მთავარი თემა, ამიტომ აქ ჩანს მისი ინდივიდუალიზმი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ღვინის აღწერა ეს არის მხოლოდ ერთ-ერთი ვარიანტი ე. წ. „კომპენსირებული მოტივებისა“, ისეთებისა როგორებიცაა აქლემის აღწერა, პოეტის მიერ უდაბნოში თავისი მოგზაურობის აღწერა, ესენი კი იმდროინდელი საზოგადოებისათვის ერთობ საყვარელი და მისაღები თემები იყო. ადი იბნ ზაიდის ლექსში ხამრიათი იკავებს მათ ადგილს, მაგრამ პრინციპულად ინარჩუნებს თავის შემადგენილობას. მაგალითად, დილის ვიზიტი, სადაც

მოსხენიებულია მომნახველები, ამას უპირისპირდება დილის სამაგიდო ნადიმი მომღერალ ქალთან ერთად, სიყვარულისაგან თრობა იცვლება ღვინის თრობით.

კლასიკურ არაბულ ლიტერატურაში ხამრიათის ჟანრი სოციალური და კულტურული პროტესტის ერთ-ერთი მთავარი თემა ხდება. ადი იბნ ზაიდის ეს ლექსი კი მოწმობს იმას, რომ უკვე ისლამამდელ პერიოდში, ღვინის თემა დაკავშირებული იყო ახალი ფორმებისა და ჟანრების განვითარების გაცნობიერებულ მიმართებასთან, რომლებიც ინდივიდუალიზმს გამოხატავდნენ. თავის მხრივ ალ-ჰირას ქალაქური ყოფა კი, რომელშიდაც ჩამოყალიბდა ადი იბნ ზაიდის და სხვა ადრეული ხანის პოეტთა შემოქმედება, უფრო მეტად ხელს უწყობდა რეალობის აღქმას და ამ ინდივიდუალურობის განვითარებას. ამ მხრივ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენდა რელიგიურ კულტურული კონტექსტიც, მიუხედავად იმისა, რომ ეს ლექსი, ისევე, როგორც სხვა ისლამამდელი ხანის პოეტთა ლექსები არ არის რელიგიური შინაარსის მატარებელი. მაგრამ ღვინის დაყენება, დაწურვა, ვაჭრობა ისლამამდელ არაბეთში ყვაოდა და ვითარდებოდა ქრისტიანულ და იუდეურ ტომებში, რომლებიც ამ ასპექტში ხშირად არიან მოხსენიებული. თავად უმრავლესობა ავტორის ქრისტიანად ხსნება არ არის შემთხვევითი, ძირითადად სწორედ ალ-ჰირაში მოღვაწე ქრისტიან პოეტთა მოღვაწეობის შედეგად, ღვინის თემა არამარტო შევიდა არაბული ლექსის მოტივების სიაში, არამედ დასაწყისი მისცა მის შედგომ განვითარებას. ამიტომ სწორი, ყოველმხრივი გამოკვლევა ისლამამდელ არაბეთში ქრისტიანობის ისტორიის შესწავლისა, თავდაპირველად საჭიროებს ძირეულად იქნას შესწავლილი ქრისტიანი არაბების კულტურა ყველა მიმართულებით, მათ შორის მათი ლიტერატურული ქმნილებებიც, რომელთათვისაც ალ-ჰირას ტრადიციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ქონდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ტიკაძე, მ. *არაბთა ისტორია (V-XV საუკუნეები)*. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2008.
2. Фролов, Д. В. Два ранних текста о происхождении арабского письма // *Восток*, 1996.
3. Grunebaum, Von G. Zur Chronologie der fruharabischen Dichtung // *Orientalia* 8, 1939.
4. Horovitz, J. 'Adi ibn Zeyd, the Poet of Hira // *Islamic Culture* 4, 1930. p. 38
5. Hanter, E.C.D. Syriac Inscriptions from al-Hira // *Orients Christianus*, 1996.
6. Toral-Niehoff, I. *The 'Ibād of al-Hira: an Arab Christian Community in Lats Antique Iraq*. S 2010,
7. *The Encyclopedia of Islam*, VI, III. Leiden.
8. كتاب الاغاني، ابي الفرج الاصفهاني علي بن الحسين، م.
9. ديوان عدي بن زيد 1970

თამთა ფარულავა

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

აღმოსავლური რენესანსის პრობლემა და გორგანის „ვის ო რამინი“

უზოგადესი განმარტებით, რენესანსი ანტიკური სამეცნიერო აზრისა და ხელოვნების აღორძინებაა. თუმცა ამ ფენომენთან უბრალო მიახლოებითაც კი ცხადი ხდება, რომ ეს მხოლოდ ზედაპირული ხედვაა საკითხისა, რომლის მიღმა უფსკრულის პერსპექტივა იშლება. უკვე დიდი ხანია, გამოიკვეთა ის აზრი, რომ რენესანსი მხოლოდ XIV-XVI სს.-ის იტალიას, მით უფრო, მხოლოდ ტოსკანას, კი არ მოიცავს, არამედ აღორძინების ტალღა თანდათან მთელ ევროპაში გავრცელდა. რენესანსული აზროვნება ამა თუ იმ ქვეყნის სხვადასხვა ისტორიულ ეტაპს ამსგავსებს ერთმანეთს, იმავდროულად, იგი ხშირად ინდივიდუალურია ერთი ქვეყნის სხვადასხვა ისტორიულ მონაკვეთშიც კი. რენესანსული ესთეტიკის ნიშნებზე საუბრისას უპირველესად სახელდება: დიდი ჰუმანიზმი, სამყაროსა და ადამიანის აღმოჩენა, ანტიკის აღორძინება. „მაგრამ ვერც ერთი ამ ნიშანთაგანი მთლიანად ვერ გამოხატავს ამ ეპოქას. ვერც მათი უბრალო ჯამით ამოიწურება მისი ხასიათი, რადგან მათ მიღმა ბევრი რამ რჩება.“¹

საუკუნეზე მეტია, მეცნიერები აღმოსავლურ აღორძინებაზე როგორც დასავლური რენესანსის ანალოგიურ ცნებაზე ალაპარაკდნენ. გასული საუკუნის ოციან წლებში ადამ მეცი გამოსცემს ფუნდამენტურ ნაშრომს – „ისლამური რენესანსი“², რომელშიც IX-X სს.-ის არაბული სახალიფოს კულტურული აღორძინების, სოციალური დაწინაურების ისტორიას წარმოგვიდგენს.

ფიქრობენ, რომ დასავლეთზე ადრე თავისი აღორძინება ჰქონდა აღმოსავლეთს: ჩინეთს, შუა აზიას, ირანს, საქართველოს.

ბრიტანელმა ორიენტალისტმა ედუარდ ბრაუნმა ტერმინი „რენესანსი“ სპარსული მწერლობის ოქროს ხანას (X-XV სს.) მიუსადაგა. თუმცა ცხადია, რომ აღმოსავლური რენესანსი არც სპარსულენოვან სამყაროში მოიაზრებს მხოლოდ ზოგადად კულტურულ დაწინაურებას. კ. ჩაიკინი და ი. მარი პირად მიმოწერაში იმაზე საუბრობენ, რომ „ჰიჯრის IV საუკუნეში ირანი განიცდის ჭეშმარიტ რენესანსს“, ამ ეპოქის სპარსულ მწერლობაში ირანულენოვანი თუ მახლობელი აღმოსავლეთის ხალხების კულტურული წარსულის აღორძინებისაკენ სწრაფვა შეიმჩნევა.³

ფაზრ ედ-დინ გორგანის (XI ს.) პოემა „ვის ო რამინი“ (ქართული „ვისრამიანი“) საინტერესო პერსპექტივას გთავაზობს რენესანსული კულტურის კვლევის თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ სპარსულ თუ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ძეგლი საფუძვლიანადაა შესწავლილი, „ჯერ კიდევ ბევრია დასადგენი თუ გასარკვევი სპარსელი ავტორისა და მისი კონგენიალური ქართ-

1 რევაზ სირაძე, *სახისმეტყველება* (თბილისი, 1982), 157.

2 A. Mez, *Die Renaissance Des Islams* (Heidelberg, 1922).

3 Ю. Н. Марр, К. И. Чакиин, *Письма о персидской литературе* (Тбилиси, 1974), 43-44.

ველი მთარგმნელის შემოქმედებით ბიოგრაფიაში, რენესანსული სულისკვეთების ეპოქასთან მათ მიმართებაში, მხატვრულ ლაბორატორიაში, ტრადიციებთან კავშირსა და ნოვატორობაში.⁴ ჩვენი ნაშრომის მიზანიც სწორედ რენესანსული მსოფლადქმის კვლევაა „ვის ო რამინში“.

დასავლურ კულტურაში რენესანსი, ჩვეულებრივ, ანტიკური ხელოვნებისა და სამეცნიერო აზრის აღორძინებას გულისხმობს. მიიჩნევენ, რომ დასავლური აღორძინების ეს არსებითი ნიშანი აღმოსავლური რენესანსის თავისებურებაცაა (მაგ., „ფუგუ“ – წარსულის დაბრუნება – ჩინურ ლიტერატურაში⁵). ი. ბრაგინსკის მითითებით, კლასიკური სპარსული ლიტერატურა იყო აღორძინება, წმინდა ევროპული თვალთახედვით; აღორძინება ამ ქვეყნის ანტიკური წარსულისა. „ის, რაც ანტიკურ ტრადიციაში მხოლოდ ჩანასახად არსებობდა, კლასიკურ პოეზიაში გაშლილი ფორმით წარმოგვიდგა. ეს ეხება, არა მხოლოდ იდეურ-თემატურ შინაარსს, არამედ მხატვრული ფორმის ყველა ელემენტს.“⁶ ე. ბრაუნი სპარსული რენესანსის მწვერვალად ფირდოუსისა და მის თანამედროვეთა ეპოქას მიიჩნევს.⁷ რუდაქის ლირიკა თუ ფიდროუსის „შაჰნამე“ არ იყო ერთადერთი ბიძგი, რომელმაც მწერლობის მზერა საკუთარი ქვეყნის გმირული წარსულისაკენ მიაპყრო, ამ ეპოქის უკანასკნელ საუკუნემდე „მისთვის ნიშნეული იყო წარსულისაკენ მიბრუნება, მისი სახეების ხელახალი გააზრება, მისი შეფასება, როგორც მაგალითისა მომდევნო საუკუნეებისა და თაობებისათვის.“⁸

გორგანის „ვის ო რამინი“ მიბრუნებაა წარსულისაკენ. მართალია ახალ სპარსულ ენაზეა შექმნილი, იგი მაინც ფალაურ მემკვიდრეობას ეფუძნება. თვით პოემაში ავტორი მოგვითხრობს, რომ ვისისა და რამინის სიყვარულის ფალაური ამბავი, რომელსაც მეტად მწირი აზრი ჰქონია, ექვსი ბრძენის შეკრებილია.⁹ გასარკვევი ისაა, თუ რა როლი აქვს თავად გორგანის ჩვენამდე მოღწეული თხზულების შექმნაში: ის ფალაური ვერსიის მთარგმნელია ამ სიტყვის დღევანდელი გაგებით, ფალაურიდან თარგმნილი სპარსული პროზაული ტექსტის გამლექსავი, თუ კიდევ სხვა ღვაწლიც აქვს ამ პოემის სპარსულ ენაზე გაცოცხლების საქმეში. ერთი რამ კი ცხადია: XI საუკუნის შუა წლების სპარსულ ლიტერატურას მზერა წარსულისაკენ აქვს მიმართული, წინაპართა ნააზრევის აღორძინებას ცდილობს და ამიტომაც ეს ძველი ფალაური ამბავი დღის სინათლეზე გამოაქვს.

როგორც ვიცით, რენესანსული ესთეტიკა ანთროპოცენტრულია, ჰუმანისტურია.

ყველაზე თვალსაჩინო ნიშანიც, რომელიც აღმოსავლურ აღორძინებას დასავლურ რენესანსთან ანათესავებს, სწორედ ჰუმანიზმია. დასავლეთში ეს ის ეპოქაა, როცა ადამიანის პიროვნება არა მხოლოდ ლიტერატურის, არამედ, სა-

4 ალექსანდრე გვახარია, *ნარკვევები ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან*, II, (თბილისი, 2001), 251-252.

5 Николай Иосифович Конрад, Об эпохе Возрождения, *Запад и Восток* (Москва, 1966), 245.

6 Иосиф Самуилович Брагинский, *Проблемы востоковедения* (Москва, 1974), 204.

7 Edward Granville Brown, *A literary history of Persia*, II (Cambridge, 1956), 13.

8 Брагинский, *Op. cit.*, 191.

9 فخر الدین اسعد گرگانی، ویس و رامین، (تهران، ۱۳۷۷) ۳۷

ზოგადოდ, ხელოვნების, საზოგადოებრივ ურთიერთობათა, რელიგიური აზროვნების ცენტრად თუ ღერძად იქცევა.

სპარსული ლიტერატურის ოქროს ხანაც (X-XV სს.) ჰუმანისტური ბუნებით ხასიათდება. მისი მზერა ადამიანისაკენაა მიმართული. საგმირო ეპოსი, ფოლკლორული აზროვნება „სოციალურ ადამიანებს“ (მეფე, უფლისწული, რაინდი, ვასალი) გვიხატავენ; ადამიანებს, რომელნიც საზოგადოების ნაწილად, ძირითადად, მისი აზროვნებისა და იდეალების მატარებლად თუ დამცველად მოიაზრება. სიუჟეტის ძირითადი პერიპეტეიები რამდენიმე პიროვნებასა თუ საზოგადოების სხვადასხვა ნაწილს შორის ურთიერთობასა თუ დაპირისპირებაზეა აგებული. ძველი ირანული საგმირო ეპოსი მეტ-ნაკლებად სწორხაზოვან ხასიათებს ხატავს. კეთილი და ბოროტი აქ მკვეთრად ემიჯნება ერთმანეთს. გმირთა საარაკო მამაცობის ამბებს ზოგჯერ მათივე ბავშვობის ზღაპრული ისტორიები უძღვის წინ და სამაგალითო სიკვდილით მთავრდება. სწორხაზოვანია ბოროტების გზაც.

გორგანის პოემა „ვის ო რამინი“ იმით არის უნიკალური, რომ აქ მკითხველის წინაშე წარდგება „შინაგანი ადამიანი“¹⁰, რთული, წინააღმდეგობრივი ბუნებით. პერსონაჟები უკვე აღარ იხატება მხოლოდ შავი და თეთრი საღებავებით. კლასიკური ეპოქის სახოტბო ლირიკა იდეალური ხელმწიფისა თუ რაინდის უზადო პორტრეტებს, ძირითადად, სახე-იდეებს, გვიხატავს. გაქვავებული ეპითეტები კი უმრავლეს შემთხვევებში არაფერს გეუბნება მათი ადრესატის შინაგანი სამყაროს წინააღმდეგობრივ ბუნებაზე. კლასიკური სპარსული ყაზალები, თუ რობაიები კი ლირიკული გმირის, ხშირად – ავტორის, სულის საიდუმლოებებს გვაზიარებენ. თუმცა აქაც არსადაა ის მძაფრი შინაგანი წინააღმდეგობები, ამბივალენტური გრძნობა-განცდები, რაც „ვის ო რამინის“ ვრცელ ეპიკურ პორტრეტებშია გამოსახული.

ზოგადად, პიროვნების ფასეულობის აღიარება რენესანსული ესთეტიკის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად მოიაზრება.

პიროვნება, სუბიექტი, ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ანტიკური ელინიზმის ეპოქაშიც გამოიკვეთა.¹¹ ეს ცნება უფრო სრულად შუა საუკუნეებში ყალიბდება. ძველი ბერძნებისა და რომაელებისათვის ცნება – *persona* თავდაპირველად თეატრალური ან რელიგიური რიტუალის ნიღაბს აღნიშნავდა. უფრო ღრმა შინაარსი ამ სიტყვამ რომაული სამართლის სფეროში შეიძინა. რომელი მოქალაქე იურიდიული და რელიგიური პიროვნება (*personae*) იყო, რომელსაც ჰყავდა წინაპრები, ჰქონდა სახელი, საკუთრება. საპირისპიროდ ამისა, მონა, რომელსაც არც თავისი სხეული ებადა, არც სხვა საკუთრების მფლობელი იყო, პიროვნებად არ მიიჩნეოდა. პიროვნების ცნება საბოლოოდ მორალური სრულყოფილებით ქრისტიანულ ფილოსოფიაში ჩამოყალიბდა. „პერსონამ“ სხეულის, სახლისა თუ სახელის გარდა სულიც შეიძინა, რაც ადამიანური პიროვნების ბირთვად გამოცხადდა.¹² შუა საუკუნეებში ადამიანი საზოგადოების ნაწილად მოიაზრება. ესა თუ ის წრე, სოციალური ფენა მისი რაობის განმსაზღვრელია,

10 Елеазар Моисеевич Мелетинский, *Средневековый роман* (Москва, 1983), 174.

11 Алексей Фёдорович Посев, *Эстетика возрождения* (Москва, 1982), 118.

12 Арон Яковлевич Гуревич, *Категории средневековой культуры* (Москва, 1984), 305-306.

იგი ამ წრეში ინტეგრაციას ესწრაფვის, იზიარებს მის გარშემო მყოფთა იდეალებს, ღირებულებებს. ამ ეპოქის ადამიანის საქციელი მათი პირადი ხასიათით კი არ აიხსნება, არამედ, უპირველესად, იმ ძირითადი მოტივებით, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს ამ კონკრეტული სოციალური წრის პიროვნება. ამგვარად, შუა საუკუნეების ევროპული აზროვნების მიხედვით, ადამიანის პიროვნების იდეა ცხადი და გამოკვეთილი იყო: მეტაფიზიკური უკვდავი ცენტრის – სულის მქონე პიროვნება პასუხისმგებელი იყო ღვთისა და საზოგადოების წინაშე. თუმცა ეს იდეა ძნელად ერგებოდა ინდივიდუალურობის ცნებას. ადამიანის ამგვარი გაგება შუა საუკუნეების აღმოსავლური აზროვნებისაგან დიდად არ უნდა სხვაობდეს. ფიქრობენ, რომ აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაშიც ინდივიდუალიზმი უარყოფითი შინაარსის მატარებელი იყო და მას ხშირად ეგოიზმთან აიგივებდნენ.¹³

პიროვნული თავისებურებებით, ადამიანის ინდივიდუალური საწყისით დაინტერესება ევროპულ აზროვნებაში სწორედ ახალ ეპოქას – აღორძინებას – უკავშირდება. ზოგიერთი მოსაზრებით, აღორძინების ეპოქამ პირველმა შეძლო, ადამიანის შინა არსი მთელი სისრულით გაეხსნა და მზის სინათლეზე გამოეტანა. პიროვნების განვითარება, არსებითად უკავშირდება ადამიანის მიერ საკუთარი თავისა თუ სხვათა აღმოჩენას.¹⁴ ითვლება, რომ რენესანსის ეპოქის ევროპაში „ადამიანი ადამიანზე უფრო ფიქრობდა, ვიდრე თვით ღმერთზე... ადამიანი გაიდეგადა ხორციითა და სულითაც.“¹⁵ ეს არის ეპოქა, როცა ადამიანის საზოგადოებრივი მდგომარეობის მიუხედავად, ლიტერატურაში, ზოგადად, ხელოვნებაში იღვიძებს მისი პიროვნების ფასეულობის შეგნება. ჰუმანიზმის ეთიკური კონცეფცია აზროვნებისა და გრძნობა-ემოციათა თავისუფლებას ამტკიცებს, ჰუმანიზმის ესთეტიკური კანონები კი ხელოვნების უმთავრეს საგნად ადამიანს ხედავს, რომლის სხეული საგნობრივი სიცხადით აისახება, სულიერი სამყაროს გადმოსაცემად კი დახვეწილ ფსიქოლოგიურ ნიუანსებს მიმართავენ.

კლასიკური სპარსული ლიტერატურაც (მსგავსად რენესანსულისა) ანთროპოცენტრულია. განსხვავებით ადრე შუა საუკუნეების ფალაური ლიტერატურისაგან, აქ ყურადღება ეპყრობა არა ღვთაებათა განდიდებას, არამედ ადამიანის ასახვას.¹⁶

როგორ ადამიანებს გვიხატავს გორგანის პოემა? მაინც რა შტრიხები შეიძლება ჩავთვალოთ რენესანსული ეპოქისათვის ნიშნულად? ზოგადად, ინტერესი ადამიანის გარეგნული სილამაზის მიმართ ერთი ნიშანია რენესანსული ესთეტიკისა.¹⁷ მიიჩნევენ, რომ ღმერთმა შექმნა მშვენიერი სამყარო და ამ მშვენიერების გვირგვინი ადამიანი, რომლის გარეგნობასა და ცხოვრებაში დიდი სილამაზაა.

13 *Ibid.*, 325.

14 Якоб Буркхардт, *Культура возрождения в Италии* (Москва, 1996), 200.

15 სირაძე, დასახ. ნაშრ., 169.

16 Брагинский, *Op. cit.*, 186.

17 ყველაზე უკეთ ამ პრინციპს იტალიური რენესანსული ეპოქის ფერწერა და ქანდაკება ასაჩინოებს.

„ვის ო რამინის“ ავტორი კლასიკური სპარსული მწერლობის ტრადიციას არ არღვევს და შედარებებსა თუ ეპითეტებს არ იშურებს, რათა თავისი გმირები გააცოცხლოს მკითხველის წინაშე; ტრადიციულია პოეტური ორნამენტიც. პერსონაჟთა სილამაზე მზესა თუ მთვარეს, ლალსა თუ მარგალიტს, ვარდსა თუ ტიტას, ნაძვსა თუ ცის ცვარს არის შედარებული. პოეტური სამკაული, ძირითადად, ადამიანის გარეგნული იერის თუ სულიერი მდგომარეობის გადმოსაცემად გამოიყენება. აღსანიშნავია, რომ ქალისა და ვაჟის გარეგნობის გადმოსაცემად პოეტი, ძირითადად, ერთსა და იმავე შედარებასა თუ ეპითეტს მიმართავს. თმის, სახისა თუ სხეულის სილამაზე ერთნაირად საგულისხმოა ვისისა თუ რამინის პორტრეტის შესაქმნელად. იშვიათია შემთხვევა, როცა პოეტი ვაჟის დახასიათებისას მის სიმაძაცესა და გულოვანებასაც იხსენებს. უმთავრესად კი, ეპითეტი რომელიც გმირის სულიერ სამყაროში ჩაგვახედებდა, პოემაში მეტად მწირადაა წარმოდგენილი. მაშ, სადღაა პერსონაჟთა სულიერი პორტრეტის შტრიხები? რაში მჟღავნდება ის „ძლიერი გამომხატველობა ადამიანის გულის მოძრაობისა“, რაზეც ქართული „ვისრამინის“ ჯერ კიდევ პირველი გამომცემლები საუბრობდნენ?

აქ გმირთა შინაგანი სამყარო მათივე ქცევის დეტალებში, მეტყველების ქვეტექსტსა თუ გრძობა-განცდათა სიღრმეებში მჟღავნდება. არსებითი სიახლე „ვის ო რამინის“ პორტრეტებისა ისაა, რომ ჩვენ წინაშე უკვე შინაგანი ადამიანია. ავტორისა თუ მკითხველის მზერა პიროვნების სულიერი ლანდშაფტისკენაა მიმართული, სადაც დრამის მთავარი მოქმედებანი უნდა გათამაშდეს.

პოემის ჰუმანისტური ხასიათი იმაშიც ვლინდება, რომ აქ უკვე მოლაპარაკედ ვხედავთ არა ერსა თუ ხალხს, არამედ პიროვნებას. ხოლო ეს პიროვნება საკუთარი სუბიექტური პოზიციის წარმოჩენასა და დაცვას ცდილობს იმის მიუხედავად, რამდენად ზნეობრივი და მისაღებია იგი საზოგადოებისათვის. თუ „შაჰ-ნამეს“ ან „არდა ვირაფ ნამაკის“ გმირთა მეტყველებას ფსიქოლოგიური დატვირთვა არ გააჩნია და მისი უპირველესი დანიშნულება ნათქვამის ზუსტი გადმოცემაა, „ვის ო რამინის“ პერსონაჟთა დიალოგები თუ მონოლოგები მხატვრული ხერხია, რომლის მიღმაც გმირთა რთული ინტრასუბიექტური დრამა გათამაშდება ხოლმე. ამ დიალოგებში სტრიქონებს შორის უფრო მეტი რამ შეიძლება ამოვიკითხოთ, ვიდრე თვით სიტყვათა პირდაპირი შინაარსიდან. ავტორის სიტყვის უშუალო შინაარსი კი არ გვაგებინებს, იმას, რომ ვისისა თუ რამინის ესა თუ ის ნაბიჯი დიდ სულიერ ბრძოლას, შინაგან გაორებას უკავშირდება, არამედ ეს კონფლიქტს მათივე მეტყველების მიღმა ხედავს მკითხველი.

თხზულების მთავარი დაპირისპირება პიროვნების შინაგანი კონფლიქტია. ბრძოლის ველად კი ადამიანის შინაგანი სამყარო ქცეულა, უფრო ზუსტად – გული. იგი თითქოს ტოვებს პიროვნული მთლიანობის საზღვრებს და ჭირვეული დაუმორჩილებელი „პერსონაჟის“ სახეს იღებს, რომელთანაც ქალსა თუ ვაჟს შინაგანი მონოლოგი გაუმართავთ. გულთან გამართული დიალოგები მხატვრული ხერხია, რაც თხზულების მთავარ კონფლიქტს პიროვნების სულიერი სამყაროს სიღრმეში გადაანაცვლებს.

რა იწვევს პიროვნების შინაგან დაპირისპირებას? რას ეფუძნება „ვის ო რამინის“ გმირთა შინაგანი კონფლიქტი? ვხედავთ, რომ ავტორი თხზულების პერსონაჟებს სანიმუშო სულიერი სიმაღლითა და ზნეობრივი სრულყოფილებით არ წარ-

მოგვიდგენს. აქ სამიჯნურო პერიპეტიების მამოძრავებელ ძალად ხშირად ღალატი, სიცრუე, დაუნდობლობა, პირფერობა, სასიყვარულო ინტრიგები გვევლინება. ვფიქრობთ, გორგანის თხზულების ეს თავისებურებაც მრავალსახოვან რენესანსულ კულტურასთან ნათესაობაზე მიგვანიშნებს. ზნეობრივი დაცემის გაცილებით პირქუშ სურათებს აღგვიწერს იაკობ ბურგჰარდტი, როცა აღორძინების ეპოქის იტალიური კულტურის ნიშნებს მიმოიხილავს.¹⁸ მაგრამ საგულისხმო ისაა, რომ ვისისა და რამინის სიყვარულის ისტორიაში უზნეობა გამარჯვებული ძალა არაა, მას გამუდმებით ებრძვიან და ეკამათებიან. ავტორი პიროვნების შიგნით გამართულ საბრძოლო პერიპეტიებს გვიხატავს და ის გარემოება, რომ მიჯნურნი არად დაგიდევნენ დამკვიდრებულ ზნეობრივ ღირებულებებსა თუ საზოგადოების მორალურ ნორმებს, მათს შინაგან დაპირისპირებას განაპირობებს. პოემის გმირთა სამიჯნურო განცდის არსებითი სიახლე სწორედ მისი ამბივალენტური ხასიათია. იგი ხშირად ერთმანეთისაგან კარდინალურად განსხვავებულ განცდათა მთლიანობას გულისხმობს. აქ ხშირად ერთგულება ღალატს ითავსებს, თავგანწირვა – გულგრილობას, სიყვარული – სიძულვილს. საგულისხმოა ისიც, რომ პოემის ფინალში რამინის სამიჯნურო გრძნობას უკვე აქვს რუსთველური სიყვარულის¹⁹ ერთ-ერთი არსებითი ნიშანი – მსხვერპლად შეწირვის გრძნობა. პოემის ფინალში რამინს მსხვერპლად მიაქვს საკუთარი სიცოცხლე საყვარელი არსებისათვის. აქ ვნებანი უკვე დამცხრალია, განცდა – დაღვინებული და დაწმენდილი. ეს უკვე აღარ არის წინანდელი „უხანო“ და ცვალებადი გრძნობა და, შესაბამისად, იგი ესთეტიკურად დახვეწილი და სრულყოფილი ხდება.²⁰

რენესანსული აზროვნების ერთ-ერთი ნიშანი სხვადასხვა მოძღვრების მიღება-შეწინარებაა.²¹ ამ საკითხზე მსჯელობისას, უპირველესად, პროტესტანტიზმის ფესვებს იხსენებენ. იმ აზრმა, რომ არსებობს ერთადერთი და საყოველთაო რელიგიური გზა, რომელიც ბუნებისაგან ებოძა ადამიანს და იგი საერთოა კათოლიკე, ბუდისტი, იუდეველი თუ წარმართი მორწმუნისათვის, ნოყიერი ნიდადაგი პოვა XVI ს.-ის ევროპაში. ამგვარი თამამი აზროვნება კი საფუძვლად დაედო პროტესტანტიზმისა თუ მისი თანადროული სხვა ახალი რელიგიური მიმდინ

18 Буркхардт, *Op. cit.*, , 283-304.

19 ფიქრობენ, რომ რენესანსულმა მწერლობამ იდეალური მიჯნურის სახე შექმნა. ამ ეპოქის გმირებს ძალა შესწევთ, ხორციელი სიყვარულის განცდა ღვთაებრივი ტრფობის სიმაღლეზე აიყვანონ. ამგვარ იდეალურ მიჯნურებს გვიხატავს რუსთველის პოემა.

20 აღმოსავლურ მწერლობაში თავს იჩენს დასავლური რენესანსის ერთი არსებითი ნიშანიც, ზეციურისა და მიწიერის ჰარმონიული შერწყმა-შეზავება, და ეს სუფიურ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში შეინიშნება. ვ. ჟირმუნსკი აღმოსავლური რენესანსზე საუბრისას ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მიწიერი სიყვარულის კონცეფცია როგორც ალეგორია უფლისადმი ზეციური სიყვარულისა მუსლიმურ აღმოსავლეთში სუფიურ ტრადიციას უკავშირდება (Виктор Максимович Жирмунский, *Сравнительное литературоведение* (Ленинград, 1979), 182).

21 რენესანსული შემწყნარებლობის ნიმუშად რაფაელის ფერწერულ ტილოს წარმოგვიდგენენ – „ათენის სკოლა“, რომელზეც პლატონისა და არისტოტელეს გვერდით სხვადასხვა დროისა თუ სხვადასხვა რწმენის მოაზროვნენი არიან გამოსახულნი (სირაძე, დასახ. ნაშრ., 163).

ნარეობის წარმოშობას.²² რელიგიური შემწყნარებლობის განწყობა X-XI სს.-ის მუსლიმურ აღმოსავლეთშიც შეიმჩნევა. „ფილოსოფოსებისა და მეცნიერებისათვის რელიგია სოციალური ურთიერთობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ჩვეულებრივი ყალიბი იყო... რელიგიას აკლდა საიმისო დამაჯერებლობა, რომ იგი აბსოლუტურად მისაღები და მიმზიდველი ყოფილიყო ... ვინაიდან რელიგიურ მითებს შეიწყნარებდნენ როგორც საყოველთაო მოხმარებისათვის გამოსადეგ სიმბოლურ ჭეშმარიტებას, რელიგიური პოლემიკა ფილოსოფიურად მოაზროვნე ადამიანებისათვის საღალალო ინტელექტუალური სავარჯიშო იყო და არა – რწმენა-შეხედულებათა უხეში შეჯახება.“²³

განსხვავებული რელიგიური აზრის მიმართ ამგვარი ნეიტრალური განწყობა გორგანის პოემაშიც იგრძნობა. მართალია, ავტორს ისლამური ყოფის უმნიშვნელო დეტალები დაუმატებია პოემისათვის, ის მაინც მაზღვანურ სამყაროში მიმდინარე ამბებს გადმოსცემს. ამდენად, საგულისხმოა, რომ „მართლმორწმუნე მუსლიმი თითქმის ყოველგვარი მიკერძების გარეშე შედის ფალაურ სამყაროში და პირუთვნელად უყვება მუსლიმ მკითხველს ცეცხლის მსახურთა მიწიერ ვნებებზე.“²⁴ საერთოდაც, რელიგიური აქცენტი მეტად უმნიშვნელოა თხზულებაში. როგორც ჩანს, საზოგადოებამაც იცის, როგორ „იკითხება“ ხელოვნების ქმნილება.

შეიძლება თუ არა კლასიკურ სპარსულ ლიტერატურაში მკაფიოდ მოვნიშნოთ აღორძინების ეპოქის საზღვრები, ძნელი სათქმელია, თუმცა მსგავსება მეტად თვალსაჩინოა ცალკეულ თხზულებათა ცალკეული დეტალების კვლევისას. როგორც ვხედავთ, რენესანსული ესთეტიკის ნიშნები გორგანის თხზულებაშიც ვლინდება. „ვის ო რამინის“ ავტორი ადამიანის ხატვის რეალისტური მანერით, ფსიქოლოგიური ძიებებითა და სიუჟეტური კონფლიქტის ცენტრის პიროვნების შინაგან სამყაროში გადატანით საკმაოდ შორდება შუა საუკუნეების ესთეტიკურ პრინციპებს და მისი გმირები რენესანსული ეპოქის ადამიანს უფრო ენთესავებიან.

განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ „ვის ო რამინის“ სახე-ხასიათებს წარმოგვიდგენს. ხასიათის შექმნა კი (განსაკუთრებით, ხასიათთა გალერეისა) შედარებით ახალი მოვლენაა ლიტერატურის ისტორიაში. ადრეული შუა საუკუნეების იდეალისტური სისტემის სიტყვიერი კულტურისათვის უცხოა ხასიათის ცნება. პერსონაჟთა პორტრეტების ფერთა გამა, მისი დინამიკური ბუნება, ამბივალენტური განცდებით დაინტერესება „ვის ო რამინის“ ავტორს რენესანსულ ეპოქასთან აახლოვებს. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ გორგანის პოემა არ უნდა იყოს ძველი ფალაური ვერსიის თარგმანი, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით. შეიძლება ვიფიქროთ, რომ პოეტს ძველი თხზულების ფაბულა, ჩონჩხი აულია, ხორცი კი თვითონ შეუსხამს, გმირთა გრაფიკული ფიგურები ფერებით

22 А.Ф. Лосев, *Эстетика Возрождения*, (Москва, 1982), 552-553

23 Joel L. Kraemer, *Humanism in the Renaissance of Islam: The Cultural Revival During the Buyid Age* (Leiden, New York, Köln, 1992), 14-15.

24 ალექსანდრე გვახარია, მაგალი თოდუა, შესავალი წერილი, *ვისრამინი* (თბილისი, 1962), 9.

გაუმდიდრებია.²⁵ სავარაუდოა, რომ „ვის ო რამინის“ სახე-ხასიათებში ძირითადი კონტრასტული შტრიხები XI საუკუნეში უნდა იყოს შეტანილი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გვახარია, ალექსანდრე. ქართული მთარგმნელობითი ოსტატობის მწვერვალი. ნარკვევები ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, II. თბილისი, 2001.
2. გვახარია, ალექსანდრე; თოდუა, მაგალი. შესავალი წერილი, ვისრამიანი. თბილისი, 1962.
3. სირაძე, რევაზ. სახისმეტყველება. თბილისი, 1982.
4. Brown, Edward Granville. *A literary history of Persia, II*. Cambridge: 1956.
5. Kraemer, Joel L. *Humanism in the Renaissance of Islam: The Cultural Revival During the Buyid Age*. Leiden, New York, Koln, 1992.
6. Mez, A. *Die Renaissance Des Islams*. Heidelberg, 1922.
7. Бертельс, Евгений Эдуардович. *История Персидско-Таджикской литературы*. Москва, 1960.
8. Брагинский, Иосиф Самуилович. *Проблемы востоковедения*. Москва 1974.
9. Буркхардт, Якоб. *Культура возрождения в Италии*. Москва, 1996.
10. Гуревич, Арон Яковлевич. *Категории средневековой культуры*. Москва, 1984.
11. Жирмунский, Виктор Максимович. *Сравнительное литературоведение*, Ленинград, 1979.
12. Конрад, Николай Иосифович. *Об эпохе Возрождения, Запад и Восток*. Москва, 1966.
13. Лосев, Алексей Фёдорович. *Эстетика возрождения*. Москва, 1978.
14. Марр, Ю. Н., Чаикин, К. И. *Письма о персидской литературе*. Тбилиси, 1974.
15. Мелетинский, Елеазар Моисеевич. *Средневековый роман*. Москва, 1983.
16. Лосев, А.Ф. *Эстетика Возрождения*. Москва, 1982.
17. ۱۲۷۷ ، تهران ، ویس و رامین ، *فخر الدین اسعد گرگانی*

25 მონათესავე აზრი იკვეთება ბერტელსის ნაშრომში: „გადმოცემა ვისისა და რამინის სიყვარულის შესახებ შესაძლებელია ყოფილიყო პართულ ფოლკლორში, მაგრამ იმის ფიქრი, რომ პართულ თქმულებათა გმირებს ისეთივე თვისებები შეიძლებოდა ჰქონოდათ, როგორც გორგანის პოემის პერსონაჟებს ახასიათებთ, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. ამგვარ დაპირისპირებას მხოლოდ ფორმალური, ზედაპირული შედარების სახე ექნება“ (Евгений Эдуардович Бертельс, *История Персидско-Таджикской литературы* (Москва, 1960), 285).

მურმან ქუთელია

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

მანანა გვიშიანი

ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეგვიპტური რეალისტური რომანი

XX ს-ის 30-იანი წლებიდან ყალიბდება და ვითარდება ეგვიპტური რეალისტური რომანი, რომელიც თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს აღწევს XX ს-ის მეორე ნახევარსა და XXI ს-ის განვლილ პერიოდში. ამ დროს ხდება მისი იდეური, შინაარსობრივი და ფორმობრივი სრულყოფა. ის წარმოადგენს XIX ს-ის II ნახევრის შუა პერიოდიდან საგანმანათლებლო მოძრაობის აღმავლობის დროს ჩამოყალიბებული საგანმანათლებლო რომანის (ისტორიული რომანი და ჩვეულებრივი რომანი) ორგანულ გაგრძელებას.

საგანმანათლებლო რომანის მთავარი მიზანი იყო საზოგადოება დაეინტერესებინა თავისი ისტორიული წარსულით, აღეზარდა პატრიოტული გრძობები, გაეგრძელებინა განათლება, დაენერგა დასავლური კულტურიდან მომდინარე ახალი იდეები, ხელი შეეწყო აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციათა დადებითი მხარეების სინთეზისთვის. შეუძლებელი იყო 30-იანი წლებიდან განვითარებულ ეგვიპტურ რეალისტურ რომანზე გარკვეული ზომით არ გადმოსულიყო რიგი განმანათლებლური იდეებისა. ამიტომ ამ პერიოდის ეგვიპტურ რეალისტურ რომანშიც გვაქვს გარკვეული დოზით საგანმანათლებლო იდეოლოგია, სინამდვილის აღწერის რეალისტურობა და რომანტიკული სამყაროსეული აღქმა, ზრუნვა ქვეყნის წინსვლასა და განვითარებაზე, ხალხში განმტკიცება უკეთესი მომავლის რწმენისა. მაგალითისთვის ავიღოთ თავფიკ ალ-ჰაქიმის რომანი „სულის დაბრუნება“ (1933), რომელიც მიჩნეულია თანამედროვე არაბული პროზის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად. მასში დახატულია კაიროს ერთ-ერთი ოჯახის ცხოვრება, რომელიც უბრალოდ ოჯახი კი არ არის, არამედ განასახიერებს მთელ ერს, რომელიც იღვიძებს და ისწრაფვის ახალი ცხოვრებისკენ. მწერალი ატარებს აზრს, რომ ისევე, როგორც ძველმა ეგვიპტელებმა შექმნეს ცივილიზაციის ერთ-ერთი აკვანი, უბრწყინვალესი ქვეყანა, ისე თანამედროვე ეგვიპტის ყოველი ოჯახი მზად უნდა იყოს ყველაფერი შესწირონ სამშობლოს კეთილდღეობას, საკუთარი თავიც კი, გვერდში დაუდგნენ სამშობლოსთვის თავგანწირულ მამულიშვილებს ნათელი მომავლისთვის ბრძოლაში. მწერალი იმასაც ხედავს, რომ მხოლოდ ბრძოლა არ კმარა, არამედ აუცილებელია ქვეყნისთვის ისეთი დარგების განვითარება, როგორცაა მრეწველობა, კერძო მესაკუთრეობის გაფართოება, კერძო ინციატივების თამამი გამოჩენა. ამიტომაც, რომ რომანის პერსონაჟი გოგონა, რომელიც აქ სიმბოლოა ახალი ეგვიპტისა, ცდილობს თავის საქმროში, ახალგაზრდა მეფაბრიკის შვილში გააღვიძოს ის ძალისხმევა, რომ დრო არ დაკარგოს უსაქმურობასა და დროს ტარებაში, არამედ მთლიანად ჩაერთოს თავისი ფაბრიკის საქმიანობაში, რითაც დიდ სამსახურს გაუწევს საზოგადოებასა და ქვეყანას. როგორც რუსი მეცნიერი ვ. ბორისოვი წერს, ამ რო-

მანმა, ასევე 30-იან წლებში დაწერილმა ალ-ჰაქიმის სხვა რომანებმა, მოთხრობებმა და დრამატურგიულმა ნაწარმოებებმა, ტაჰა ჰუსაინის ნაწარმოებებთან ერთად, მიშენლოვანი როლი შეასრულა ეგვიპტელი ახალგაზრდების აღზრდაში.¹

საერთოდ, 30-40-იან წლების ეგვიპტურ რომანებში მოქმედება ძირითადად ეგვიპტის დიდ ქალაქებში ხდება, განსაკუთრებით კი კაიროში (მაგ. ნაჯიბ მაჰ-ფუზის კაიროს ციკლის რომანები, თავფიკ ალ-ჰაქიმის რომანი „სულის დაბრუნება“ და სხვ.). მაგრამ ამავე პერიოდში თანდათან ხდება მოქმედების გადატანა ეგვიპტის პატარა პროვინციულ ქალაქებში. ალ-ჰაქიმი 1937 წ. გამოსცემს რომანს „პროვინციელი გამოძიებლის დღიურები“, რომელშიც მოქმედება გადატანილია ეგვიპტის ერთ-ერთ პროვინციულ ქალაქში, გვაცნობს ქალაქის ყველა ფენის წარმომადგენელს. ნაჩვენებია საზოგადოებაში არსებული მანკიერებები. თავის მხრივ, ეს პატარა ქალაქი წარმოადგენს მთელი ეგვიპტის სახეს. ნაწარმოებში იკითხება ის აზრი, რომ აუცილებელია ხალხის მდგომარეობის შეცვლა, მაგრამ რა გზით – ეს არ ჩანს.

თავფიკ ალ-ჰაქიმის მსგავსად, გამოჩენილი ეგვიპტელი მწერლის ტაჰა ჰუსაინის (1889-1973) ნაწარმოებებში მოქმედება იშლება ეგვიპტის პროვინციულ ქალაქებში, გვიჩვენებს აქ მიმდინარე სოციალურ ძვრებს, კაპიტალისტურ ურთიერთობათა შექრას ადამიანთა ყოფაში და ძველ, პატრიარქალურ ურთიერთობათა რღვევას თანამდევი შედეგების ჩვენებით. 1934 წ. ტაჰა ჰუსაინი აქვეყნებს რომანს „გნოლის ძახილი“, სადაც ერთმანეთთან არის შედარებული ორი სამყარო: ბურჟუაზიული და პატრიარქალური. მთავარი მოქმედი გმირია განათლებული ინჟინერი, რომელშიც მწერალი ხედავს ქვეყნის მომავალს.

30-იანი წლების რეალისტ მწერალთა შემოქმედებაში ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი ხდება, რომელსაც არ გვინდა გვერდი ავუაროთ. საქმე ეხება მოციქულ მუჰამადის პიროვნებისადმი ახლებურ მიდგომას. მისი სახე პირველად წინ წამოსწიეს XIX ს-ის მეორე ნახევარში მოღვაწე „ისლამის რეფორმატორებმა“ მუჰამად აბდოს მეთაურობით. აბდო მოციქულის სახესთან პირველი მივიდა ადამიანური საზომებით, წარმოგვიდგინა იგი ალაჰის რჩეულად, შუამავლად რეალურ და არარეალურ სამყაროს შორის, შუამავლად ადამიანთა შორის, წარმოგვიდგინა ადამიანად, რომელიც უნდა იყოს მუდმივად ყველასთვის მისაბაძი. რეალისტი რომანისტები თავიანთი მსოფლმხედველობისა და რიგი ევროპელი მოაზროვნის გავლენით, სხვადასხვანაირად, მაგრამ მაინც ადამიანური თვალთახედვით უდგებიან მუჰამადის სახეს. მაგალითად, მუჰამად ჰუსაინ ჰაიქალი ნაწარმოებში „მუჰამადის ცხოვრება“ (1935) ისლამის დამფუძნებელს მოიაზრებს რუსოსეული სწავლების – „ბუნებრივი ადამიანის“ ადამიანად. აბას ალ-აკადი (1889-1964) ციკლში „ისლამის გენიოსები“ (გამოიცა 30-იან წლებში) ფრიდრიხ ნიცშეს ზეკაცზე დაყრდნობით გვიხატავს მოციქულს, ხოლო ტაჰა ჰუსაინი, რომელიც მხატვრულად გადაამუშავებს ჰადისებს, ცდილობს დაასაბუთოს ისლამის წარმოშობა როგორც საზოგადოებრივ-ისტორიული მოვლენა, შედეგი ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვის კულტურების ურთიერთობის და სინთეზისა. აბდ არ-რაჰ-მან შარკავიმ (1920-1987) მოგვიანებით 1962 წელს დიდ მოთხრობაში სათაურით

1 В. М. Борисов, *Современная египетская проза*, М. 1961: 60

„მუჰამადი – თავისუფლების დესპანი“ მხატვრულ ფორმებში გადმოსცა ისლამის ფუძემდებლის ბიოგრაფია. ყველა დასახელებული მწერალი მუჰამადს წარმოგვიდგენენ იდეალურ პიროვნებად, რომელიც ცხოვრობდა და მოქმედებდა ბუნების კანონების შესაბამისად, სოციალურ რეფორმატორად, რომელიც მიზნად ისახავდა ამ ქვეყნად სამართლიანობის დამყარებას. როგორც რუსი მეცნიერი ვ. კირპიჩენკო წერს, მუჰამადის სახის დახატვა, მისი მხატვრული დამუშავება ისახავდა კეთილშობილურ მიზნებს, კერძოდ, მხატვრული ნაწარმოების გმირის ევოლუციური განვითარების ჩვენებას, ადამიანის ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ქცევის ეთიკურ შეფასებას.²

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ თანდათან იკვეთება რეალისტი რომანისტიკის დამოკიდებულება პერსონაჟების მეტყველებისადმი. მანამდე განმანათლებლებისთვის, ასევე სენტიმენტალისტიკისა და რომანტიკოსებისთვის წერის და მეტყველების ფორმა იყო მხოლოდ და მხოლოდ არაბული სალიტერატურო ენა. 30-40-იანი წლების რეალისტი მწერლები ცდილობენ კორექტივები შეიტანონ თავიანთი გმირების მეტყველებაში, მცირე დოზით თანდათან შემოდის დიალექტიზმები, ძირითადად დიალოგებში. მაგრამ სასაუბრო ენის გამოყენებაში ისინი პიონერები არ ყოფილან. ამაში პირველობა ძმებ მუჰამად და მაჰმუდ თეიმურებს ეკუთვნით, რომლებმაც ამ მოვლენის დანერგვა დაიწყეს გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან თავიანთ ნოველებსა და პიესებში. მოგვიანებით 40-50-იანი წლებში მწერლები სულ უფრო და უფრო აფართოებენ დიალექტური ფორმების გამოყენების არეალს დიალოგებში, ხოლო საუკუნის მეორე ნახევარში თხრობის პროცესშიც კი ფართო გამოყენებას პოულობს. სხვათა შორის, 50-იანი წლებიდან ასპარეზზე გამოსული მწერლები მწვავედ აკრიტიკებდნენ წინამორბედებს სასაუბრო ენისადმი ნაკლები ყურადღების გამო.

უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც შუა საუკუნების არაბულ პროზაში, ისე XIX ს-ის განმანათლებელი მწერლებისთვის, არ იყო დამახასიათებელი მოქმედ პირთა შინაგან სამყაროში წვდომა, ადამიანის სულში მიმდინარე პროცესების გადმოცემა, ან კიდევ ანალიზი, არ ხდებოდა პერსონაჟების დახასიათება ადამიანის შინაგან სამყაროში მიმდინარე პროცესებით. ყოველივე ეს გადმოიცემოდა დიალოგებითა და გმირთა მიერ ჩადენილი საქმეებით. მაგრამ რეალისტი მწერლები თანდათან ახერხებენ ამ ხარვეზის აღმოფხვრას, 60-იანი წლებიდან კი იგი მწერლობაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ამაში მათ დიდად ეხმარება დასავლური პროზის სიღრმისეული გაცნობა. გარდა ამისა ხდება დასავლური ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური ნააზრვეის გააზრება და გათავისება, რის შედეგად ეგვიპტელი რომანისტიკის ნაწარმოებებში ფილოსოფიური მსჯელობები მატულობს, პარალელურად გმირთა ფსიქოლოგიური დახასიათება მეტ დამაჯერებლობას იძენს.

საინტერესოა ეგვიპტელი რეალისტი მწერლების დამოკიდებულება დასავლეთის სამყაროსადმი. ამ საკითხზე მსჯელობა განმანათლებლებმა და რომანტიკოსებმა დაიწყეს, მაგრამ არა მხატვრულ ნაწარმოებებში, არამედ უფრო თავიანთ სტატიებსა და გამოკვლევებში, გვიხატავდნენ აღმოსავლეთის და დასავლეთის სამყაროებს შორის ურთიერთობის დადებით და უარყოფით მხარეებს.

2 В. В. Кирпиченко, *Современная египетская проза (60-70-е годы)*, М., 1986: 27.

ზოგიერთი ამ ურთიერთობაში აღმოსავლეთისთვის მხოლოდ უარყოფითის მომტანს ხედავდა, მაგალითად მუსტაფა ლუტფი ალ-მანფალუტი, რომელიც უფრო სენტრიმენტალისტი მწერალი იყო, ამასთანავე რელიგიური განათლებისა, ხოლო დიდი განმანათლებელი, ერთ ხანს კაიროს ალ-აზჰარის უნივერსიტეტის პროფესორი ალ-ავლანი ღიად აცხადებდა: „დასავლეთი უპირისპირდება აღმოსავლეთს, ჯვაროსნულ ლაშქრობათა სული დღესაც აღელვებს გულებს“, ზოგიერთი – დადებითს (მაგალითად, რიფაა ატ-ტაჰტავი), მაგრამ უმრავლესობა, მათ შორის განსაკუთრებით ჯებრან ხალილ ჯებრანი, ამ ურთიერთობას საღად აფასებს და მიუთითებს როგორც უარყოფით, ისე დადებით მხარეებზე, ემხრობა ამ ორი ცივილიზაციის გონიერ სინთეზს.³ რეალისტი რომანისტების დამოკიდებულება დასავლური ცივილიზაციის მიღწევებისადმი კიდევ უფრო მჭიდრო ხდება. ყველა დიდი ეგვიპტელი მწერალი შესანიშნავად იცნობს დასავლეთელი მწერლების შემოქმედებას, ახალ მიმდინარეობებს, ახალ საზოგადოებრივ-ფილოსოფიურ იდეებს და წარმატებით იყენებს თავიანთ შემოქმედებაში (მაგ., ნაჯიბ მაჰფუზი, იუსუფ იდრისი, სიურრეალისტები, ნოველისტები და ა. შ.), ასევე XXI ს-ში მოღვაწე რომანისტები.

40-იანი წლებიდან ეგვიპტური რომანებისთვის თანდათან დამახასიათებელი ხდება უარის თქმა მთავარი გმირის პრინციპზე. ავტორისეული იდეები, მსჯელობები, შეხედულებები და ა. შ. გადანაწილებულია რამდენიმე მთავარ პერსონაჟზე, რომელნიც თავის მხრივ განასახიერებენ მთელ საზოგადოებას, სხვადასხვა ფენას თუ კლასს. ასეთი მიდგომები კიდევ უფრო ძლიერდება 50-იან წლებში და შემდეგ შექმნილ პროზაულ ნაწარმოებებში.

40-იანი წლები ეგვიპტური პროზის შემდგომი განვითარების მონაკვეთია, რომელიც, რიგ მკვლევართა აზრით, გრძელდება 1952 წლის რევოლუციამდე. მკვლევარები ამ წლებს უწოდებენ „ცვლილებებისა და აღმოჩენების ეტაპს“. შედარებით იცვლება ეგვიპტელების დამოკიდებულება ლიტერატურისადმი, ჩვენს შემთხვევაში, რომანისადმი. წინა პლანზე დგება ეგვიპტური პრობლემები, ძლიერდება სოციალური ძირები, უფრო ფართოდ და აქტიურად გვევლინებიან რომანისა და სხვა პროზაული ჟანრების გმირებად „კერძო“ სექტორის ადამიანები, საშუალო და დაბალი ფენის წარმომადგენლები, მოქმედების არეალი სცდება ქალაქებს და ინაცვლებს სოფლებისკენ, მოქმედებაში ერთვებიან სოფლის მაცხოვრებლები, ხდება ფელაჰთა (გლეხთა) ყოფის ჩვენება და განხილვა, მათი ცხოვრების პირობების შეულამაზებელი აღწერა. ამასთანავე ობიექტურია ავტორების დამოკიდებულება გარე სამყაროსთან, საზოგადოებასთან. იზრდება მოქმედ პერსონაჟთა კლასობრივი შეგნება, ლიტერატურა სულ უფრო მეტად უფიქრდება არსებული საზოგადოებრივი წყობის საფუძვლებს. ეს პროცესი კიდევ უფრო ძლიერდება 60-იანი წლებიდან.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სოციალური პრობლემები ისტორიულ რომანებშიც კი იჭრება. აქ კი უპირველესი სიტყვა ნაჯიბ მაჰფუზს (1911-2006) ეკუთვნის. მის შემოქმედებაში გამორჩეულია ისტორიული რომანების ციკლი „ფარაონთა“ შესახებ. ეს ციკლი სამი რომანისგან შედგება: „ბედის ტრიალი“ (1939), „როდოპისი“ (1943) და „თებეს ბრძოლა“ (1944). ამ რომანებში ავტორი წინა პლანზე

3 მ. ქუთელია, *არაბული რომანტიზმი*, თბ. 2009: 157-158, 160-161.

აყენებს სახელმწიფოს მეთაურისა (ფარაონის) და ხალხის ურთიერთდამოკიდებულების საკითხს. ამასთანავე მწერალი ცდილობს ისტორიული წარსული დააკავშიროს აწმყოსთან და მისი მემკვიდრეობით გადაწყვიტოს რიგი პრობლემებისა. გარდა ამისა, მაჰფუზი პირველია ეგვიპტურ ლიტერატურაში, რომელსაც ხალხი შემოყავს როგორც სოციალური ორგანიზმი და ახლებურად აფასებს ხალხის როლს ისტორიის განვითარებაში. უნდა ითქვას, რომ მაჰფუზის ეს რომანები ერთგვარი გამოძახილია საგანმანათლებლო მოძრაობის პერიოდში ეგვიპტურ ინტელიგენციაში გაჩენილი ლოზუნგისა „ეგვიპტე ეგვიპტელებისთვის“, რომელიც მოგვიანებით მიდის ე. წ. „ფარაონიზმამდე“. მისი მიმდევრები თავიანთ ძირებს ხედავენ არა მხოლოდ ისლამის დროინდელ, არამედ ფარაონთა პერიოდის ეგვიპტეში.

XX ს-ის II ნახევრის დასაწყისიდან სამწერლო მოღვაწეობას იწყებენ ახალი თაობის წარმომადგენლები, რომლებიც თავიანთ თავს უწოდებენ ახალი სკოლის „ახალ რეალისტებს“. ბევრი ახალგაზრდა მწერალი უშუალოდ მონაწილეობდა 1952 წლის რევოლუციაში, ასევე სტუდენტურ და მუშათა მოძრაობებში, ეცნობიან მარქსისტულ ლიტერატურას და მეტ-ნაკლებად განიცდიან სოციალისტური იდეების გავლენას. ამ ახალი მწერლების შეგნებაში მწიფდება რწმენა ხალხის პოტენციურ ძალაზე, ხალხისა და ინტელიგენციის მოწინავე ნაწილის კავშირსა და მათ როლზე, ძლიერდება ოპტიმისტური დამოკიდებულება მომავალზე. ისინი მკაცრად აკრიტიკებენ წინამორბედ მწერლებს ლიტერატურის როლის ნაკლებად შეფასებაში საზოგადოების განვითარების საქმეში. მათ წინ წამოსწიეს ლოზუნგი „ლიტერატურა ხალხისთვის“. მათ თამამად აიღეს ორიენტაცია მკითხველთა ფართო მასებზე, კიდევ უფრო მეტად გააფართოვეს სასაუბრო ენის არეალი.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში ეგვიპტური რეალისტური რომანი კიდევ უფრო იხვეწება, მასში მეტია სინამდვილის კრიტიკული აღქმა, მწერლები ცდილობენ სწორად აღიქვან და დახატონ რევოლუციის მიერ მოტანილი, მათ ნაწერებში ძლიერდება კრიტიკული რეალიზმის ნიშნები. თანამედროვე ევროპული ფილოსოფიური, საზოგადოებრივი და სამეცნიერო კონცეფციების სერიოზული გაცნობით და გავლენით ეგვიპტელი მწერლები ცდილობენ გაიაზრონ, გაანალიზონ და ჩამოაყალიბონ საკუთარი ეროვნული და სოციალური პრობლემები. ამის ნათელი დასტურია ეგვიპტურ ლიტერატურაში „ახალი რომანი“, სიურ-რეალისტური ნაკადის გაჩენა და სხვა.

1952 წლის რევოლუციის შემდეგ გატარებული იქნა რეფორმები, რის შედეგად გაუქმდა ფეოდალური ტიტულები და პრივილეგიები, ნაციონალიზებული იქნა მსხვილი უცხოური საკუთრებები, განხორციელდა აგრარული რეფორმის პირველი ეტაპი. რევოლუციამ საფუძველი დაუდო ტრადიციული სოციალური სტრუქტურების, პიროვნებასა და საზოგადოებას შორის წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული კავშირების რღვევას, რის შედეგადაც ძნელი გახდა წინასწარ განჭვრეტა რა მიმართულებით წავიდოდა ცვლილებები და რა შედეგს მოიტანდა, იქნებოდა თუ არა ის საზოგადოებისთვის, ქვეყნისთვის, მოსახლეობის ყველა ფენისთვის სასარგებლო, მთავრობის მიერ გატარებული რეფორმები თუ მოუტანდა ხალხს სიკეთეს. ამ გაურკვევლობამ ბევრ მწერალში შიში და დაბნეულობა გამოიწვია, რაც მათ ნაწარმოებებშიც აისახა. მაგალითისთვის ავიღოთ

იაპია ჰაკკი (1905-1993). მას აქვს რომანი „დილა მშვიდობისა“ (1959), სადაც აშკარად იკვეთება ავტორისეული დაბნეულობა და შიში მომავლის წინაშე. მწერალი აგვიწერს სოფელში მომხდარ ცვლილებებს, რკინიგზის გაყვანას, კარგად ხვდება, რომ ეს ხელს შეუწყობს ქალაქური ცივილიზაციის შედარებით ეგვიპტის მიყრუებულ სოფელშიც კი. ნაწარმოებში ჩას, რომ გლეხები ბევრ რამეში იღებენ თავისუფლებასაც კი, მაგრამ მწერალს არ ტოვებს შიშის განცდა, რომ სწრაფი ტემპით გადასვლა „ჩაგრულობიდან თავისუფლებაზე არ აღმოჩნდება ყველა მზად“, რადგან თავისუფლება „ადამიანს ძალიან დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს“.⁴

დროის სვლა, ქვეყანაში მიმდინარე ახალ-ახალი პროცესები და მოვლენები გავლენას ახდენს არა მარტო 50-იანი და შემდეგ ასპარეზზე გამოსულ მწერლებზე, არამედ 20-30-იან წლებში მოღვაწე მწერალთა მსოფლმხედველობასა და შემოქმედებაზე. ამის დამადასტურებელ მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ მაჰმუდ თეიმური (1894-1973), რომლის მწერლური საქმიანობა დაიწყო 20-იანი წლების დასაწყისიდან. ის 1958 წელს აქვეყნებს რომანს სახელწოდებით „შუმრუხი“, რომლითაც მის შემოქმედებაში პირველად შემოდის მუშათა კლასი და მათი ცხოვრება. ავტორი მუშებს წარმოგვიდგენს აქტიურ რევოლუციურ ძალად, პოლიტიკურად მომწიფებულებს, რომელთაც შეგნებული აქვთ თავიანთი კლასობრივი არსი.

მომხდარმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ცვლილებებმა ლიტერატურა გაამდიდრა ახალი თემებითა და პრობლემებით. წარმატებით აგრძელებენ მოღვაწეობას ისეთი გამორჩეული ფიგურები ეგვიპტური ლიტერატურისა, როგორებიცაა ნაჯიბ მაჰფუზი, იუსუფ იდრისი, აბდ არ-რაჰმან შარკავი და სხვ. მაჰფუზი აქვეყნებს ტრილოგიას (1956) („ბაინა ალ-კასრაინი“, „კასრ ამ-შავკი“, „ას-სუქქარი“) „ჩვენი უბნის შვილებს“, მცირე მოცულობის რომანებს, იუსუფ იდრისი რომანებს „ქერა ქალი“, „ცოდვა“ და სხვ., აბდ არ-რაჰმან ამ-შარკავი „მიწას“ და „ფელაჰს“ და ა. შ. ნაჯიბ მაჰფუზის ტრილოგია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია ეგვიპტური და არაბული პროზისა. ჟანრობრივი თვალსაზრისით იგი ენათესავება ევროპული წარმოშობის ოჯახურ ეპოსს, როგორებიცაა ლ. გოლზუორთის „ფორსაიტების საგა“ და თომას მანის „ბუდენბროკები“. მასში აღმოვაჩინებთ ევროპული ფილოსოფიური და საბუნებისმეტყველო მეცნიერების იდეათა კვალს, კერძოდ, ბერგსონის კონცეფციას (მარსელ პრუსტის მეშვეობით), დარვინის ევოლუციური განვითარების თეორიას, აგრეთვე სოციალისტური იდეების კვალს.⁵ შეიძლება ითქვას, რომ ტრილოგიის ბევრი გმირის ბედში აღბეჭდილია ეგვიპტის საზოგადოების განვითარება პირველი მსოფლიო ომიდან 40-იანი წლების შუა პერიოდამდე; დასავლეთთან შედარებით აღმოსავლეთის ჩამორჩენილობით წარმოშობილი წინააღმდეგობები და კონფლიქტები და სწრაფვა ამ ჩამორჩენილობის აღმოფხვრისკენ; ნაჩვენებია დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის სხვადასხვა ეტაპი; დავა დამოუკიდებლობის გზების და ფორმების შესახებ; თაობათა ცვლა და შეხედულებათა განსხვავება მამებსა და შვი-

4 Кирпиченко В. В., დასახ ნაშრ., 39.

5 იქვე, 34

ლებს შორის; ეგვიპტის ინტელიგენციის შეგნებაში კონფლიქტი რელიგიასა და მეცნიერებას შორის და ა. შ.

ამ პერიოდის თვითმყოფად რომანად შეიძლება მივიჩნიოთ იუსუფ იდრისის (1927-1992) „ცოდვა“; რომელიც გამოქვეყნდა 1958 წელს. მასში ყოფითი დრამა წარმოდგენილია რევოლუციამდელი (1952) ეგვიპტის სოფლის სურათების შესანიშნავი დახატვით. ნაჩვენებია სოციალური წყობის მკაცრი იერარქია, ტრადიციის მორალური ნორმების ანტიჰუმანურობით განპირობებული მძაფრი ფარული ანტაგონიზმი. ამასთანავე მწერალს ამავე წლების პროზაიკოსებისგან გამოარჩევს ის, რომ იგი ცდილობს გათავისუფლდეს ისლამის ეთიკური დოგმების ბატონობისგან. ეს კი მას აძლევს საშუალებას ახსნას საზოგადოებაში არსებულ ზნეობრივისა და არაზნეობრივის (უზნეობის) პირობითობა, გააშიშვლოს წინააღმდეგობა რიგ საზოგადოდ მიღებულ მორალურ ნორმებსა და ადამიანის პიროვნების პატივისცემაზე დამყარებულ ჭეშმარიტ ჰუმანურ ზნეობრიობას შორის. იგი ცდილობს გააკეთოს ობიექტური დასკვნა, რომ მორალი სოციალური ბუნებისაა.⁶

XX ს-ის II ნახევრის ეგვიპტურ რომანებზე მსჯელობისას უპრიანია შევჩერდეთ ახლ არ-რაჰმან აშ-შარკავის (1920-1987) სამ რომანზე, კერძოდ, „მიწა“ (1953), „მუჰამადი – თავისუფლების დესპანი“ (1962) და „ფელაჰი“ (1968). რომანს „მიწა“ კრიტიკოსები უწოდებენ „სოციალისტური რეალიზმის განთიადს“ ეგვიპტეში, ადარებენ მას მ. გორკის „დედას“.⁷ 50-იან წლებში მწერალმა გამოსცა რომანები „ცარიელი სიტყვები“ (1957) და „განაპირა ქუჩები“ (1958), რომლებიც ეძღვნება ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ამბებს. როგორც მოციქულ მუჰამადისადმი მიძღვნილ ეგვიპტელი მწერლების ნაწარმოებებზე საუბრისას აღვნიშნეთ, „მუჰამადი – თავისუფლების დესპანი“ წარმოადგენს თავისუფალ, მხატვრული სახით მოციქულის ბიოგრაფიის გადმოცემას. ნაწარმოებს ეპიგრაფად უძღვის მუჰამადის სიტყვები: „მე ისეთი ადამიანი ვარ, როგორც თქვენ.“ აქ ავტორი ხაზს უსვამს სოციალური სამართლიანობისთვის ბრძოლის იდეას. მწერალმა მუჰამადის ქადაგებები და ხალხისადმი ნაანდერძები ასე ჩამოაყალიბა: „პატიონება, სიკეთე, ზრუნვა მშობლებსა და ახლობლებზე, სიმაჰადაცე, კეთილშობილება, სუსტებისა და სხვების თავისუფლების დაცვა...“

აშ-შარკავის შემოქმედებაში გამორჩეული ადგილი უკავია რომანს „ფელაჰი“ (გლენი), რომელიც გამოქვეყნდა 1968 წელს და ასახავს 1952 წლის რევოლუციის შემდეგ პერიოდში მომხდარ ცვლილებებს. მწერლის ჩანაფიქრით, ეს რომანი უნდა ყოფილიყო იმ ამბების გაგრძელება, რომელიც მან დაიწყო „მიწაში“; უნდა მოეთხრო იმავე სოფლის მაცხოვრებელთა შესახებ, რომელიც დაიწყო 30 წლის წინათ („მიწაში“ ავტორი მოგვითხრობს 30-იანი წლების ერთ-ერთი სოფლის ამბებს). ისევე, როგორც „მიწაში“, აქაც წინ არის წამოწეული გლენების ბრძოლა სოფლის მდიდართა წინააღმდეგ. მაგრამ კონფლიქტის მიზეზი აქ რამდენადმე განსხვავებულია. თუ „მიწაში“ დაპირისპირება ყოფითია – გლენებს ემუქრებათ მიწისა და სარწყავი წყლის დაკარგვა, „ფელაჰიში“ განსხვავებული

6 იქვე, 35.

7 იქვე, 58

მდგომარეობა გვაქვს. ქვეყანაში გატარებული აგრარული რეფორმის შედეგად მიწის საკუთრების პრობლემა მოგვარებულია, გლეხებს მფლობელობაში აქვთ მიწა მიღებული და, არსებითად, ისინი მემამულეებისგან ეკონომიკურად დამოუკიდებელი არიან, კონფლიქტის მიზეზები გადატანილია ეკონომიკური სფეროდან ზნეობრივში. კონფლიქტის მამოძრავებელი მოტივები დევს გლეხების მხრიდან მოთხოვნაში: ადამიანური ღირსებების თავისუფლება და მისი პატივისცემა, ხოლო ბატონების (მემამულეების) მხრიდან – უარი ამ მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე. იყო კიდევ სხვა მიზეზები, მაგალითად, რეფორმების მეორე ეტაპზე მთავრობამ გლეხებს შეუმცირა საკუთრებაში გადაცემული მიწის ფართობი. ამ და სხვა შეზღუდვებმა უკიდურესობამდე დაძაბა ვითარება სოფელში და გააძლიერა დაპირისპირება ამ ორ მხარეს შორის. ნაწარმოებში ჩანს ავტორისეული შეხედულება, რომ ადამიანთა ისტორია არის ბრძოლა კეთილშობილ, საქმისადმი ერთგულ ადამიანებსა და მკაცრ, დაუნდობელ ძალებს შორის, რაც შეიძლება მივიჩნიოთ ერთგვარ გამოძახილად საგანმანათლებლო ისტორიული რომანებისა, სადაც კონფლიქტი დაპირისპირებულ ძალებს შორის გადატანილი იყო კეთილ და ბოროტ ძალებს შორის ბრძოლაზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეგვიპტურ ლიტერატურაში მნიშვნელოვანია „ახალი რომანისა“ და სიურრეალისტური ნაკადის გაჩენა. ნაჯიბ მაჰფუზი თავისი შესანიშნავი რომანით „ჩვენი უბნის შვილები“ ეხმაურება საფრანგეთში გასული საუკუნის შუა პერიოდში საფუძველჩაყრილ ე. წ. ახალ რომანს. მაჰფუზი ბრძოდ როდი იღებს ფრანგული ახალი რომანისთვის დამახასიათებელ უმთავრეს ნიშნებს (დროისა და სივრცის პირობითობა, ან სრულებით არქონა, ავტორის არ ყოფნა რომანში, მეტყველების თავისებურება და ა. შ.), არამედ შემოქმედებითად, გადაამუშავებული სახით, ადგილობრივი ლიტერატურული და კულტურული, ასევე რელიგიური ტრადიციების გათვალისწინებით, არსებითად, ქმნის სრულებითაც ახალ მსოფლიო მნიშვნელობის ნაწარმოებს, რომლისთვისაც მას ტრილოგისა და სხვა ნაწარმოებების გათვალისწინებით მიენიჭა ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ რომანში გამოიკვეთა ავტორის თავისებური, სხვებისგან განსხვავებული მიდგომა არსებული რელიგიების მიმართ (იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი).⁸

XX ს-ის II ნახევარში ეგვიპტურ ლიტერატურაში ფეხს იკიდებს სიურრეალისტური ხასიათის ნაწარმოებები. სიურრეალისტური ნაკადის უდიდესი წარმომადგენელია ეგვიპტელი იდვარდ ალ-ხარატი (1926-2015). უნდა ითქვას, რომ ამ ნაკადისთვის დამახასიათებელი ნიშნები უფრო მეტად გამოვლინდა არა იმდენად რომანებში, არამედ ეგვიპტელი მწერლების, კერძოდ, იდუარდ ალ-ხარატის, იუსუფ იდრისის, ლადა ალ-ჰალაუანის ნოველებში. თუმცა ფაქტია, რომ იდვარდ ალ-ხარატის რომანი „მისი ქვიშა ზაფრანისფერია“ (1985) საკმაოდ არის დატვირთული სიურრეალისტური ელემენტებით, ამიტომ მკვლევარები მიიჩნევენ მას ამ სახის რომანად.⁹

8 მ. გვიშანი, „ნაჯიბ მაჰფუზის შემოქმედების ზოგადი დახასიათება“, *ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწადი*, N VII, (ქუთაისი, 2015): 84.

9 სიურრეალიზმით დაინტერესებულ პირებს ვურჩევთ გაეცნონ თ. მოსიაშვილის დისერტაციას „სიურრეალისტური ნაკადი XX საუკუნის არაბულ პროზაში“, თბილისი, 2009.

შეუძლებელია არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ისრაელთან გამართულ ომებში განცდილი მარცხის შედეგად, ეგვიპტელი მწერლების უმეტეს ნაწილში ისადგურებს იმედგაცრუების, დაბნეულობისა და გულგატეხილობის განცდა, რაც ეგვიპტელი და, საერთოდ, არაბი მწერლების რომანებსა და ნოველებში აისახა. მაგრამ ეს კრიზისი მალე იქნა დაძლეული და 90-იანი წლებიდან ლიტერატურა კვლავ იწყებს აღმავლობას. ეს პროცესი კიდევ უფრო ძლიერდება ორი საუკუნის მიჯნაზე და განსაკუთრებით XXI საუკუნეში. ასპარეზზე გამოდიან ახალი თაობის რომანისტები და ნოველისტები, რომელთა ნაწარმოებები ცდება არაბული სამყაროს ფარგლებს და საერთაშორისო აღიარებას პოულობენ.

თანამედროვე ეგვიპტურ ლიტერატურაში გამორჩეული ადგილი დაიკავა შესანიშნავმა რომანისტმა და ნოველისტმა ეგვიპტელმა ალა აღ-ასუანმა, რომელიც დაიბადა 1957 წელს ქ. კაიროში. უმაღლესი განათლება მიიღო აშშ-ში ჩიკაგოს ილინოისის უნივერსიტეტში. მწერალს სახელი და დიდება მოუტანა XXI ს-ის ყველაზე გახმაურებულმა რომანმა „იაკობიანის სახლი“ (2002 წ.), რომელიც 9-ჯერ გამოიცა და 34 ენაზე ითარგმნა. მიღებული აქვს არაერთი პრემია. რომანს საზოგადოება არაერთგვაროვნად შეხვდა. ნაწილმა მოიწონა თანამედროვე რეალობის კრიტიკული აღწერა და გულახდილი სექსუალური სცენები. ნაწილმა კი ეგვიპტური საზოგადოების გამრყენელად შერაცხა. 2007 წელს გამოვიდა აღ-ასუანის რომანი „ჩიკაგო“, რომელიც ასევე ბეტსელერი გახდა. „იაკობიანის სახლი“ საყურადღებოა არა მხოლოდ იმიტომ, რომ უკანასკნელი წლების ყველაზე გახმაურებული რომანია, არამედ იმიტაც, რომ საყოველთაოდ აღიარებული იქნა ის, რომ მისი დამსახურებით მოხდა არაბული რომანის ჟანრის აღორძინება და მის მიმართ ინტერესის გაღვივება როგორც არაბულ სამყაროში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

XX ს-ის II ნახევრის შუა წლებიდან არაბულ ლიტერატურულ სამყაროში ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი ხდება, კერძოდ, არაბულ ლიტერატურულ ცხოვრებაში არაბი მწერალი ქალები აქტიურად ერთვებიან. განსაკუთრებით ისინი აქტიურდებიან გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან და XXI საუკუნეში. თუ აქამდე ქალის უფლებების დამცველები ძირითადად მამაკაცი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები იყვნენ, უკვე ქალები თვითონვე ცდილობენ განსაზღვრონ თავიანთი მოვალეობები და დაიცვან თავიანთი უფლებები. ამასთანავე ისინი თავიანთ რომანებსა და ნოველებში მამაკაც მწერლებზე არანაკლებ მწვავედ აყენებენ არაბული საზოგადოებისთვის მეტად საჭირობოროტო საკითხებსა და პრობლემებს. ეგვიპტელებს შორის აღსანიშნავია რომანისტები: ლატიფა აღ-ზაიათი (1923-1996). მას ეკუთვნის რომანი „ღია კარი“ (1960), რომელიც მიჩნეულია საეტაპო ნაწარმოებად, რომელმაც, თავის მხრივ, განაპირობა რომანის შემდგომი განვითარება. 1996 წ. მას მიენიჭა სახელმწიფო პრემია; ნავალ ას-საადავი (დ. 1930) – რომანისტი, ნოველისტი, პოეტი. მისი საქვეყნოდ აღიარებული რომანებია „ექიმი ქალის მოგონებანი“ (1969), „იმამის დამხობა“ (1987) და „ზეინა“ (2009) მისი წიგნები თარგმნილია 35 ენაზე; რადვა აშური (დ. 1946), რომელმაც რომანისთვის „გრანადა“ (1994) მიიღო მწერალთა კავშირის პრემია „საუკეთესო რომანისთვის“. მასვე ეკუთვნის მეტად საინტერესო გამოკვლევა „ჯებრანი და ბლეიკი“;

აპდაფ სუეიფი (დ. 1950 წ.) – რომანისტი და ნოველისტი, ავტორი რომანებისა „მზის თვალში“ (1992), „სიყვარულის რუკა“ (1999); და სხვ.¹⁰

ყოველივე თქმულის საფუძველზე ეგვიპტური რეალისტური რომანის შესახებ შეიძლება დასკვნის სახით ვთქვათ: ეგვიპტეში მიმდინარე ლიტერატურულმა პროცესებმა განაპირობა XX ს-ის 30-იანი წლებიდან რეალიტური რომანის ჩამოყალიბება და განვითარება; მისთვის დამახასიათებელია ლიტერატურული ენის დახვეწა, სასაუბრო ენის გამოყენების არეალის ზრდა; სოციალური სინამდვილის ესთეტიკური აღქმის სრულყოფა; ეროვნული თავისებურებების როლის ზრდა; ძველი ეგვიპტის (ფარაონების დროის) ისტორიაზე ყურადღების გამახვილება და მისი დაკავშირება თანამედროვე პრობლემებთან; წინა პლანზე იწევს ეგვიპტის პრობლემატიკა; მთელი ძალისხმევა მიმართულია ეროვნული ხასიათის ლიტერატურის შექმნისკენ; თუ თავდაპირველად ძირითადად აისახებოდა ეგვიპტის დიდ ქალაქებში მიმდინარე პროცესები, მოქმედება თანდათან გადადის ჯერ პროვინციულ პატარა ქალაქებში, მოგვიანებით კი რეალისტი მწერლების ყურადღების საგანი ხდება სოფელი და სოფლის მაცხოვრებელთა ყოფის შეუღამაზებელი აღწერა; იზრდება მწერალთა ფილოსოფიური მსჯელობები და პერსონაჟთა ქმედებების ფსიქოლოგიური ანალიზი. ჩამოთვლილ პროცესებს მნიშვნელოვნად უწყობს ხელს XX საუკუნის ევროპული ლიტერატურის გამოცდილების გაცნობა და გათავისება, დასავლეთთან კონტაქტების გაძლიერება და დასავლური საზოგადოებრივი, ფილოსოფიური და სამეცნიერო მიღწევათა ათვისება; ლიტერატურის განვითარება მიმდინარეობს არაბულ-მუსლიმური ლიტერატურული ტრადიციების თანდათანობითი დაძლევის, მაგრამ არ ხდება ტრადიციული ლიტერატურის ელემენტების სრული უარყოფა ან იგნორირება, მისგან სრული გამიჯვნა და ეს არც იყო სასურველი, რადგან ეს, თავის მხრივ, მიგვიყვანდა ლიტერატურის ეროვნული ხასიათის გაქრობამდე. სინამდვილეში კი დასავლურის გადმოღება და გათავისება ხდება ადგილობრივი, ეროვნული პირობების გათვალისწინებით. წარმატებით ხორციელდება აღმოსავლური (არაბული) და დასავლური ცივილიზაციათა მიღწევების დადებითი მხარეების სინთეზი. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ ყალიბდება ეროვნული ეგვიპტური ლიტერატურა, რომელშიც გაბატონებული ადგილი უკავია რეალისტურ მიმდინარეობას. ორი საუკუნის (XX-XXI) მიჯნაზე ეგვიპტის ლიტერატურულ და საზოგადოებრივ საქმეში აქტიურად ერთვებიან მწერალი ქალები.

10 ლ. ქველიძე, „ახალი არაბული ლიტერატურის დასაწყისი და არაბი მწერალი ქალები“, *ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული*, N 4, (ქუთაისი, 2012): 262-269.

ბიბლიოგრაფია

1. გვიშიანი, მ. ნაჯიბ მაჰფუზის შემოქმედების ზოგადი დახასიათება. *ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული*, N VII, ქუთაისი, 2015
2. მოსიაშვილი თ., სიურრეალისტური ნაკადი XX საუკუნის არაბულ პროზაში. ავტორეფერატი, თბილისი, 2009.
3. ქველიძე, ლ. ეგვიპტური „ახალი რომანი“, „ენა და კულტურა“, N 11, ქუთ., 2015.
4. ქველიძე, ლ. ახალი არაბული ლიტერატურის დასაწყისი და არაბი მწერალი ქალები. *ქუთაისის სამეცნიერო ბიბლ. წელიწდეული*, N 4, ქუთ., 2012.
5. ქუთელია, მ. არაბული რომანტიზმი. თბ., 2009
6. Борисов, В. М., *Современная египетская проза*. М., 1961
7. Кирпиченко, В. В. *Современная египетская проза (60-70-ые годы)*. М., 1986
8. Allen, Roger. *An Introduction to Arabic Literature*. Cambridge, 2003
9. Badawi, M. M. *Modern Arabic Literature*. Cambridge, 1992.
10. 1981 حمدي السكوت - الرواية المصرية و اتجاهاتها الرئيسية من 1913 الي 1952 القاهرة